


მ. ჩხეიშვილი

ჭავათ  
მარტილი



თ. ჩიქოვანი

ჭავა  
შურილი



(სამხარაოთაცოდნეო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვები)



გამოიცემობა „საგაოთა სამართველო“  
თბილისი, 1987

სამხარეთმცოდნეო ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკ-  
ვები სამხრეთ საქართველოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან  
რეგიონს, ზემო ქართლს ეძღვნება. დაინტერესებული მკა-  
თხველი მასში გაეცნობა ამ მხარის გეოგრაფიას, გეოკლიმა-  
ტურ პირობებს, აქ მომხდარ ისტორიულ პერიოდებს, ყო-  
ფით კულტურას და ბევრ სხვა საინტერესოს.

წიგნი ნაეარაუდევია ფართო მკითხველისათვის.

რეცენზიერები: პროფ. თ. მიქელაძე,  
ისტ. მეცნ. დოქტ. ირ. ჭალალია

Чиковани Теймураз Антонович

ЗЕМО КАРТЛИ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1987

K289.864  
3

1905040000 — 275

Ч —————— 158—87

М 601(08)—87

## ტაშისპარიდან არსიანამდე

ისტორიული გეოგრაფიის მიხედვით, საქართველოს ყველაზე დიდ რეგიონს ქართლი წარმოადგენს. ქართლი თავის მხრივ სამ ნაწილად — ქვემო, შიდა და ზემო ქართლად იყოფა. თანამედროვე ზემო ქართლი ამჟამად თორის მხარეს, სამცხესა და ჯავახეთს მოიცავს. ისტორიის შორეულ წარსულში ზემო ქართლის ტერიტორია გაცილებით დიდი იყო. მაგალითად, ლეგენდარული ქართლოსის ძის, მცხეთოსის დროს მისი ტერიტორია ტაშისკარიდან (ბორჯომისა და ხაშურის რაიონების საზღვარი) იწყებოდა და დასავლეთით თითქმის შავ ზღვამდე ვრცელდებოდა. მის ფარგლებში იყო მოქანდაკეული ისტორიული სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ყველა პროვინცია — ტაო, კლარჯეთი, ერუშეთი, შავშეთი, ივარა, ჯავახეთი, სამცხე და თორი. დროთა განმავლობაში ზემო ქართლის ცნება, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ნომენკლატურა, შინაარსობრივად და ტერიტორიულად თანდათანობით შეიკვეცა. ჩვენს ეპოქაში მასში მხოლოდ თორის მხარე, სამცხე და ჯავახეთი იგულისხმება.

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით ამჟამინდელი ზემო ქართლი მცირე კავკასიონის სისტემაში შემავალ დასავლეთის ქედებს შორისაა მოქცეული. აღმოსავლეთიდან მას ჯავახეთის, სამსარისა და ნაწილობრივ თრიალეთის მთაგრეხილის დასავლეთის მთები საზღვრავენ. ამ ქედების უმაღლესი მწვერვალია დიდი აბულის მთა (3301 მ) და იგი ახალქალაქ-ბოგდანოვების რაიონების აღმოსავლეთ შესაყარზე მდებარეობს. ჩრდილოეთიდან მისი მსაზღვრელია ფერსათის, ანუ იგივე მესხეთის ქედი, რომელსაც არცთუ იშვიათად ახალციხის ქედსაც უწოდებენ. აქაა ამაღლების მთა (2271 მ), ქედის უმაღლესი მწვერვალი, რომელიც ამჟამადაც იშვიათი სილამაზის ტყითა და ნოკიერი მდელოებითა დაფარული.

დასავლეთიდან ქართლის ამ რეგიონს გურია-აჭარისა და ერუშეთ-არსიანის ქედები ესაზღვრება. მესხეთისა და გურიის მთა-

გრეხილის შესაყართან მდებარეობს სამცხის, იმერეთისა და ვაკე-ის წყალგამყოფი მთა მეფის წყარო (2850 მ). ჩაც შეეხება სამხრეთ საზღვარს, აქ მის მიჯნად ჩილდირის (დამახინჯებული ძველქართული ჩრდილის თურქული შესატყვისი) მთაგრეხილია გადაჭიმული.

თანამედროვე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფით ამ-ჟამინდელ ზემო ქართლს სამხრეთიდან ესაზღვრება სომხეთის სსრ და თურქეთი; დასავლეთიდან კვლავ თურქეთი და ჩვენივე სამ-შობლოს სისხლხორცეული ნაწილი აჭარის ასსრ; ჩრდილო-დასავ-ლეთიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ჩვენივე რესპუბლიკის შემდეგი რაიონები: ჩოხატაურის, ვანის, მაიკოვსკის, ორჯონიშვილის, ხაშურის, ქარელის, წალკისა და დმანისის.

ზემო ქართლის ამჟამინდელი ტერიტორია 6 463,7 კვ. კმ შე-ადგენს და ექვს ადმინისტრაციულ რაიონადაა დაყოფილი. ეს რაი-ონებია: ბორჯომის — 1 189,0 კვ. კმ; ახალციხის — 1 023,1 კვ. კმ; აღიგენის — 839 კვ. კმ; ასპინძის — 822,4 კვ. კმ; ახალქალაქისა — 1 235 კვ. კმ და ბოგდანოვების — 1 355,4 კვ. კმ.

მოსახლეობა ეთნიკური შედგენილობის მიხედვით საქ-მაოდ ჭრელია. ქართველებთან ერთად აქ მოსახლეობენ სომხები, რუსები, ოსები, უკრაინელები, ბერძნები და ქართველი ებრაელე-ბი. ეს უკანასკნელი უმეტესად ჭ. ახალციხეში არიან დასახლებუ-ლი. თუმცა მათი თითო-ორთოლა ოჯახი სხვა ქალაქებშიც მოიძებ-ნება.

ქართველების შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობით სომხები მოსახლეობენ. სომხები ზემო ქართლის ბროვინციებში გასული სა-უკუნის 30-იანი წლებიდან არიან დასახლებულნი. მათი უმრავლე-სობა ახალციხის, განსაკუთრებით კი ახალქალაქისა და ბოგდანოვ-ების რაიონებშია თავმოყრილი. შედარებით მცირე ჯგუფებად არიან წარმოდგენილი ბორჯომის, ნაწილობრივ ასპინძისა და აღიგენის (ძირითადად აბასთუმანში) რაიონებში.

რუსები და უკრაინელები, რომლებიც აქ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დამკვიდრდნენ, უმთავრესად ქალაქებში მოსახ-ლეობენ. რუსების ერთი ნაწილი, წარსულში ე. წ. „დუხობორები“ ბოგდანოვების რაიონის სოფლებშიც ცხოვრობენ.

ოსები ძირითადად ბორჯომის რაიონში — გუჯარეთის ხეობაში არიან კომპაქტურად თავმოყრილნი. რაც შეეხება ელინოფონ-ბერდ-ნელ ენაზე, მოლაპარაკე ბერძნებს, კომპაქტურად მხოლოდ ბორ-ჯომის რაიონის სოფ. ციხისგვარში არიან დასახლებულნი. მცირე

ჭგუფებად გაერცელებული არიან ავტორების რაიონში სომხების მსგავსად ბერძნები სამხრეთ საქართველოში XIX საუკუნეებინ წლებში დასახლდნენ. ოსები ამავე საუკუნის დასაწყისიდან, ხოლო უკრაინელები და თორელი რუსები კი ბორჯომის ხეობაში მეფისნაცვალმა ვორონცოვმა ჩამოასახლა 1853 წელს.

რაც შეეხება ზემო ქართლის აბორიგენულ-ძირძელ მოსახლეობას, ქართველებს, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონების გარდა, ყველგან უმრავლესობას წარმოადგენენ.

თორის მხარე, სამცხე და ჭავახეთი საქმაოდ როული ლანდშაფტითა და არაერთგვაროვანი გეოკლიმატური პირობებით ხასიათდება. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხოლო არს ქუეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი, კლდიანი, კევიანი, ღრატონიანი, ტყიანი, შამბ-შროშანიანი, მდინარიან-წყაროიან-ტბიანი და მცირე ველოვანი. ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულ შეზავებული, რამეთუ აქუს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თვინიერ აგარაკთა“. ცალ-ცალკე და უფრო კონკრეტულად რომ წარმოვიდგინოთ, შემდეგ ვითარებასთან გვექნება საქმე: ზემო ქართლის ყველაზე სამხრეთი ნაწილი, ჭავახეთი ვაკე-ბორცვნალ-ლანდშაფტიანი ზეგანია და იგი ზღვის დონიდან 1500 მ-დან 2100 მ-დე იღწევს. კლიმატი ნაკლებ ტენიანი, კონტინენტური ჰავით ხასიათდება. ზამთარი დიდთოვლა და ყინვიანი იცის. თოვლის საბურველი არცთუ იშვიათად ზოგჯერ ხუთ თვემდე დევს.

კლიმატოლოგები და ჰიდროლოგები ჭავახეთს ჰაერითა და წყლით მდიდარ მხარეს უწოდებენ და, მართლაც, ამგვარი იშვიათი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო, ჭავახეთი ზაფხულის სეზონში კარგ სააგარაკო ადგილს წარმოადგენს. ეს გეოკლიმატური თავისებურება თავის დროზე აღნიშნული ჰქონდა გამოჩენილ გერმანელ მოგზაურსა და ბუნებისმეტყველს ფრ. ბოდენშტედტს და აგრეთვე ბევრ სხვა სახელოვან მეცნიერს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. ჭავახეთის ბუნების ეს სიკეთე არც ჩვენი შორეული წინაპრებისათვის იყო უცნობი. სწორედ აქ, ჭავახეთში, სოფ. დლივ-ში (რომელსაც სომხები დამახინჯებულად დილით-დისლისკას უწოდებენ) „ზაფხულ მოსასვენებელი სასახლე“ ჰქონდა აგებული ფეო-

ჯავახეთი, ზოგადად დამახასიათებელი ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშნების მეტნაკლები მსგავსების მიუხედავად, პირობითად რამდენიმე მიქრორაიონადაა დაყოფილი: კარწახ-ფარავნის, ნიალისურის, ჭობარეთ-ტაბაწყურის ქვერაიონები და ახალქალაქის ვაკე. ყველა ეს ფიზიკურ-გეოგრაფიული მიქრორაიონი თავისი ლოკალური ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივ-ლანდშაფტური თავისებურებებით ხასიათდება.

ჯავახეთის მოუცდენელსა და ნოუიერ ნიადაგებში ძირითადად შავმიწა ნიადაგები სჭარბობენ. აქა-იქ მძლავრადაა წარმოდგენილი საშუალო შავმიწა და კარბონატული ფენებიც. ნიადაგმცოდნებისა და ბოტანიკურსების დაკვირვებით, ჯავახეთის ნიადაგურ-მცენარეული საფარი ხანგრძლივი სამეურნეო საქმიანობის შედეგად საკმაოდ შესამჩნევად არის გარდაქმნილი. აქაური სტეპური და მდელო-სტეპური ლანდშაფტის ძირითადი ნაწილი ხემცენარეულობის მოსპობის შედეგადაა შექმნილი. შორეულ ისტორიულ წარსულში სამხრეთ საქართველოს ზეგანი ხასიათდებოდა ფიჭვნარის, არყნარისა და ტყის ზოგიერთი სხვა სახეობებით, რომელთა გაჩანაგების პროცესის დაწყებას სათანადო დარგის სპეციალისტები ჯერ კიდევ აღრესამიწათმოქმედო პერიოდიდან (ძვ. წ. V—IV ათასწლეული) და ინტენსიური მეცხოველეობის დაწყებიდან ვარაუდობენ.

ჯავახეთი ამჟამად უტყეო ქვეგნად ითვლება. თუმცა, არცთუ ისე შორეულ წარსულში, XVII—XVIII სს. ტყე იშვიათობას როდი წარმოადგენდა. მაგრამ საუკუნეთა მანძილზე გაუთავებელი და გამაპარტახებელი შემოსევების შედეგად, რაც გვიანთეოდალურ ხანში განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, ცეცხლითა და მახვილით განადგურდა წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის მასივები. რაც მომხდურთ გადაურჩა, მას შინაურმა მტერმა მოულო ბოლო. XIX ს. ჯავახეთი უკვე უტყეოდ დარჩა.

დოკუმენტური მონაცემების გარდა (მაგალითად, „გურჯისტანის დიდი დავთრის“ მიხედვით, ჯავახეთის ერთ რაიონს თურქოსმალებმა „ტყე-ჯავახეთის ნაპიე“ უწოდეს), ტყეების არსებობის მანიშნებელ საბუთს წარმოადგენს სოფ. ბალანთის შემოგარენში არსებული ტოპონიმები — „დიდი მუხები“, „პატარა ტყე“, „ზედა ტყე“, „ქვეშა ტყე“, და რაც მთავარია, იმავე ბალანთისა და სოფ. პტენის მახლობლად შემორჩენილი ეული ფიჭვები — „ობოლი

ჭიშვები“. XVIII ს. პირველ მეოთხედში ტაბაწყურის ირგვლივ ტყის დიდი მასივი ყოფილა, რომლის შესახებაც ვახუშტი გვიტოვა, ნიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს: „ტბა ტბის-ყურისა არს წყალი ან-კარა, სასმელად ტქბილი და შემრგო, გარმო ნაძოვანი, ტყიანი, ბა-ლახ-ყუვავილიანი...“ სამწუხაროდ, ტაბაწყურის „გარემოში“ ამჟა-მად ტყის კვალიც კი აღარაა დარჩენილი. მის დასავლეთ სანაპირო-ზე, სოფ. ტაბაწყურში აქა-იქ მოჩანს რამდენიმე ტირიფი და ალ-ვის ხე.

გეოკლიმატური პირობების მიხედვით სულ სხვა ვითარებაა ბორჯომის ხეობაში, ანუ იგივე ისტორიულ თორში, რომელიც თა-ვისი გეოგრაფიული აღგილმდებარეობით თრიალეთის მთაგრეხილის დასავლეთ ნაწილშია ლოკალიზებული. იგი ზღვის დონიდან 800 მ-დან 1700 მ-დე აღწევს და ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით თორის ქვეყანა, რომელშიაც შედიოდა ბაგრატიონი, გუჯარეთის ხე-ობა და ნარიან-ტაბაწყურის ველი და საკუთრივ ბორჯომის ხეობა, არის „შემცული მთითა, ბარითა, პირუტყვითა, ნადირ-ფრინველი-თა“. გუჯარეთის, განსაკუთრებით კი მტკვრის ხეობაში პატარა მდინარეებისაგან შექმნილია მცირე ხეობათა მთელი სისტემა, რო-მელიც უფრო სერავს ისედაც მთაგორიან რელიეფს. აქ ზომიერად ცივი და თოვლიანი ზამთარი იცის. ზაფხულობით არც მაინცადა-მაინც ცხელა. ტყის დიდი მასივებისა და მინერალური წყაროების სიუხვის გამო ეს მხარე ერთ-ერთ საუკეთესო რაიონად ითვლება საქართველოში. ალბათ, ამგვარი გეოკლიმატური ზემოქმედების გავლენითაცაა, რომ აღგილობრივი ქართველობა, ვახუშტი ბატო-ნიშვილის აღწერისა არ იყოს, ამჟამადაც „პატარიანი და ტანოვა-ნია“.

რაც შეეხება მესხეთის, ანუ იგივე ახალციხის ქვაბულს, იგი მცირე კავკასიონის ლანდშაფტური ოლქის სამ რეგიონს შორისაა მოქცეული. სამხრეთ-დასავლეთიდან მას აჭარის ქვაბული საზღვ-რავს; ჩრდილო-დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან—გურიის მთები და მესხეთის ქედი; აღმოსავლეთიდან თრიალეთის მთაგრეხილის გან-შტოებები — კოდიანისა და შავნაბადას მთები. ამ უკანასკნელის უმაღლეს წერტილს წარმოადგენს მთა „შავი კლდე“ (2850 მ). სამხ-რეთიდან მესხეთის ქვაბულს ერუშეთის ქედი ემიჭნება, რომელიც ტერიტორიულად ამჟამად თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებშია.

მესხეთის ქვაბულის ქვედა ბუნებრივი სარტყელი, რომელიც ტყე-სტეპური ლანდშაფტით ხასიათდება, მტკვრისა და ქვაბლიანის

ხეობებს მოიცავს, მისი ბუნებრივი შუა სარტყელი 1400 მ-დან 2200 მ-მდე ვრცელდება, ხოლო მის ზემოთ უკვე ზედა, ანუ პური სარტყელი იწყება.

მესხეთის ქვაბული შორეულ ეპოქებშიც მდიდარი ყოფილა ტყით, რის დამადასტურებელ უტყუარ საბუთს წარმოადგენს ქვაბლიანის ხეობის სათავეში, დაახლოებით იქ, სადაც მას პატარა მდინარე ძინძე ერთვის, გაქვავებული ტყე. ბუნების ეს საოცრება ვულკანური ლავის მოქმედების შედეგია. განუკითხავი გაზიდვის მიუხედავად, ადამიანს ჯერ კიდევ შეუძლია ნახოს გაქვავებულ ხემცენარეთა ნაშთები — პალმა, მაგნოლია, დაფნა, ოყის ხე, წიფელი, რომელგზედაც შემონახულია მწერებისა და ზოგიერთი ქვეწარმავლის გამოსახულებანი.

ტყეები ამჟამად განლაგებულია აჭარა-გურიის მთების აღმოსავლეთ კალთებზე, მესხეთის ქედის სამხრეთ კალთებზე და აგრეთვე თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილში — კოდიანის მთებზე. სამცხეში, რომელიც ტერიტორიულად მესხეთის ქვაბულს მოიცავს, ჰავა კონტინენტურია. ტყიან მიკრორაიონებში, მაგალითად, როგორიცაა ურავლის ხეობა, ოცხეს ხეობა, ოშორის მხარე და აწყურის შემოგარენი, ზომიერად ცივი ზამთარი და ასევე ზომიერად თბილი ზაფხული იცის. აქაური მიკროკლიმატური პირობები და ტყის მასივები ფრიად ხელსაყრელ სააგარაკო გარემოს ქმნის. მაგრამ, ვახუშტი ბაგრატიონის თქმისა არ იყოს, არის ადგილებიც „ფრიად ცხელი და გაუძლიისი“. ასეთი ადგილებია ახალციხისა და ასპინძის სამხრეთით მდებარე ხრიოკები და კლდეები. ეს ადგილები ზაფხულობით მზისაგან ისე ხურდება, რომ მტკვრის მაცოცხლებელი ნიავიც კი ძლიერ შევლის. მტკვარი რომ არა, ამ ადგილებში ცხოვრება მართლაც ძნელი იქნებოდა.

ზემო ქართლის ტერიტორიაზე ყველაზე ვრცელი და ნოყიერი სახნავ-სათესი საგარეულებია ჯავახეთში, რომლის მთელი ვაკე, შეიძლება ითქვას, მაქსიმალურადაა ათვისებული. ნოყიერი მცენარეული საფარითაა დაფარული ჯავახეთის საზაფხულო საძოვრები.

შედარებით ყველაზე მწირი და მცირე სახნავ-სათესი საგარეულებია ბორჯომის რაიონში. სამაგიეროდ, ამ კუთხეშია განლაგებული იშვიათი სილამაზის ლანდშაფტიანი საძოვრები, როგორიცაა დაბაძველი, კოდიანი, ნარიანი და ლომის მთა. ლანდშაფტის სილამაზის თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოიჩინა დაბაძველი და ნარიანის ველი, საიდანაც იღებს სათავეს ქვემო ქართლში ხრამის

სახელშოდებით ცნობილი მდინარე ქცია. ტყეებით გარშემორტყელი დაბაძველის კუნძულისებური მინდვრები, ლურჯად მოლდოვის ლივე კახეთის, დაბაძველისა და წეროს ტბები საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს; მნახველზე.

წიაღისეული სიმდიდრეებით ზემო ქართლი მაინცდამაინც მდიდარ ჩეგიონად არ ითვლება, მაგრამ არც ღარიბი ეთქმის. წიაღისეული საბაღოებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ურავლის ხეობაში (ახალციხის რ-ნი) არსებული ქისათიბის დიატომიტი, რომელიც საკავშირო მნიშვნელობისაა. დიატომიტს დიდი გამოყენება აქვს ქიმიურ, სამედიცინო და საშენ მასალათა მრეწველობაში. ასევე მნიშვნელი ვანია შურდოს, ორალისა და პამაჯის (ახალციხის რ-ნი) აქატის სა ადონები. აქატი, ეს ნახევრად ძვირფასი მინერალი, ფართოდ გაძლიყენება საათებისა და საიუველირო წარმოებაში. მისგან ამზადებენ ე.წ. „საათის ქვებს“ და სამკაულებს. ბაკურიანის მახლობლად ვდებარეობს ანდეზიტის მძლავრი საბადო. ანდეზიტს მშენებლობის გარდა, ქიმიურ მრეწველობაშიაც ფართოდ იყენებენ. ეს საბადოც საკავშირო მნიშვნელობისაა.

ა. ალციხესთან მდებარე დაბა ვალეში, აგერ უკვე ორმოციოდე წელია. რაც მურა ქვანახშირი ამოაქვთ. მის ძირითად მომხმარებელს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა წარმოადგენს.

ა. ალქალაქის მახლობლად, სოფ. ოქამთან ვულკანური პემზის დიდი მრიერია. იგი ლია წესით მუშავდება, რის გამოც თითქმის ნადგურება ძვირფასი არქეოლოგიური ძეგლები.

საქართველოს ეს სამხრეთი რეგიონი თერმული და მინერალური წყლებით საკმაოდ მდიდარია. შორეულ საუკუნეებშივე ცნობილი იყო და სამკურნალოდ იყენებდნენ აბასთუმნისა და ციხისჯვრის თბილ წყლებს. ამ ორი ათეული წლის წინათ ახალციხეში აღმოჩნდა თერმული წყალი, რომლის ბაზაზე უკვე მოწყობილია მცირე სამკურნალო ბალნეოლოგიური კურორტი. ასევე, შორეული წარსულიდა სამკურნალოდ იყენებდნენ დვირის, წინუბნის, სადგერის, ურავლისა და შურდოს თბილ წყლებს.

მინარალური წყლებიდან მსოფლიო აღიარება აქვს მოპოვებული სახელგანთქმულ „ბორჯომს“ ბაკურიანის მახლობლად, სოფ. მიტარბში კარგა ხანია, რაც ექსპლოატაციაშია მინერალური წყარო „მიტარბი“. ამავე ტიპის წყაროებია სოფ. კიმოთესუბანში და გუჯარეთის ხეობის სათავეში. რაც შეეხება ჩვეულებრივ წყაროებს, მათი რაოდენობა განუსაზღვრელია. განსაკუთრებით ბევრია ჯავა-

ჩეთში, სადაც ერთიმეორის სიახლოვეს უხვად მოჩუხჩუხებენ 

კარა და ცივი წყაროები.

ჰიდროლოგიური რესურსებით — მდინარეებითა და ტბებით ზე-მო ქართლი, შეიძლება ითქვას, ყველაზე მდიდარია საქართველოში. აქმური მდინარეები ქვიან-კლდოვანი და ქარაფოვანი კალაპოტებით ხასიათდებიან. პატარა მდინარეებმა და ღელეებმა ზაფხულობით ზო-გვერ საშინელი ადიდება იცის. ტკბილად მორაკრაკე კამკამა ნაკა-დულები და ღელეები უცბად საშიშ ღვართქაფებად გადაიქცევიან ხოლმე. ღვარცოფად მოვარდნილი სტიქია ყველაფერს ანგრევს თა-ვის გზაზე, ღორლითა და სილით ფარავს ყანებსა და ბაღებს. მერე ყველა მათგანი ზათქით ასკდება მტკვარს, რომელიც, თავის მხრივ, ანგრევს გზებსა და ხიდებს. ჩვენს საუკუნეში ორ ასეთ წყალდიდო-ბას ჰქონდა ადგილი. 1922 და 1970 წწ. მტკვრის აუზის მდინარე თითქმის ყველა ერთად ადიდდა. დაინგრა მრავალი ხიდი, ათეული კმ გზა, წაილეკა და განადგურდა ნათესები. წყალდიდობამ ძალიან დიდი ზარალი მიაყენა სახალხო მეურნეობას. მაგრამ, ასეთი რამ შალზე იშვიათად ხდება.

ზემო ქართლის წყლის აუზის მთავარ არტერიას მდინარე მტკვარი წარმოადგენს. მის სისტემაში შედის აქ არსებული ყველა ნაკადული, ღელე, ხევი, პატარა მდინარე; იგია მათი წყალშემკრები.

მდინარე მტკვარი, იღებს რა სათავეს ისტორიულ ზემო ქარ-თლში შემავალ კოლას პროვინციაში, ვარძიის ზემოდან შემოღის თანამედროვე საქართველოში. აქედან მოყოლებული ვიდრე ტა-შისკარამდე, ამჟამინდელ ზემო ქართლის ტერიტორიაზე მიედინება. საქართველოს ეს დედამდინარე ხერთვისამდე, სადაც მას მარჯვენა მხრიდან ჯავახეთის მტკვარი, ანუ იგივე ფარავნის წყალი უერთ-დება, „არტაანის მტკვრის“ სახელს ატარებს. მტკვარი მხოლოდ ხერთვისიდან ეწოდება.

მტკვრის აუზის ყველაზე დიდი მდინარეა ფარავნის წყალი, ანუ ჯავახეთის მტკვარი. სიგრძით იგი 81 კმ იღწევს. სათავეს იღებს ამავე სახელწოდების ფარავნის ტბიდან და დასავლეთისაკენ პატა-რა ნაკადულად მიედინება. გზაში სხვა ნაკადულებისა და წყაროე-ბის ხარჯზე ძალას თანდათან იკრებს და რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ საღამოს ტბაში შედის. საღამოს ტბიდან იგი შედარებით წყალუხვად გამოედინება და ახალქალაქამდე ფარავნის წყლის სა-ხელს ატარებს. აქ მას მურჯახეთისა და ბარალეთის წყლები ერთ-

ვის და უკვე ჯავახეთის მტკვრის სახელს იღებს. შემდეგ იგრ ტაანის მტკვრისაკენ მიექანება და ხერთვისთან უერთდება.

ქვაბლიანის წყალი სიღიღით მეორეა. მისი სიგრძე 66 კმ უდრის. ქვაბლიანის წყალი მესხეთ-გურიის ქედების შესაყარი მთების კალთებიდან იღებს სათავეს. გაივლის რა რამდენიმე კმ-ს სოფ. ზარზმასთან, მარჯვენა მხრიდან მდ. ძინძე უერთდება. ადიგენის შემდეგ, სოფ. ბენარასთან მდ. ოცხე, ვალეს სადგურის სიახლოვეს მდ. ფოცხოვი და ახალციხის ქვემოთ, სოფ. წნისთან, მარცხენა მხრიდან უერთდება მტკვარს.

სიღიღით შემდეგია გუჯარეთის წყალი (49 კმ). იგი გამოდის თრიალეთის ქედის, ქვარების მთის ჩრდილო კალთიდან. XIX ს. დასაწყისამდე ამ მდინარეს თორის წყალი ერქვა და ამისდა შესაბამისად ხეობაც თორისა იყო. თორის წყალი, ანუ იგრივი გუჯარეთი გაივლის წალვერს და სოფ. სადგერთან მას ამავე სახელწოდების წყალი უერთდება. აქედან მიედინება მტკვრისაკენ და ქვედა ბორჯომში მარჯვნიდან უერთდება მას.

მტკვრის აუზში სიღიღით მესამე მდინარეა ურაველი (37 კმ), რომელიც, გაივლის რა ამავე სახელწოდების ხეობას, სოფ. მინაძესთან მარცხენა მხრიდან უერთდება მტკვარს.

სოფელ ვალესა და არალის შუაში მიედინება ფოცხოვის წყალი და იქვე, ვალეს რეინიგზის სადგურთან, მარცხენა მხრიდან უერთდება ქვაბლიანის წყალს. იგი ერუშეთის ქედიდან იღებს სათავეს და საქართველოს ტერიტორიაზე ათიოდე კმ-ზე თუ მოედინება. ისე კი მისი საერთო სიგრძე 75 კმ-ია.

გარდა აღნიშნული მდინარეებისა, საქმაოდ ბევრია შედარებით პატარა მდინარეები, მაგალითად ისეთები, როგორიცაა წინუბნის წყალი, წრიოხის წყალი, ბალების ლელე, ქვაბისხევის წყალი, ლიქნის ხევი, ბანისხევის წყალი (ყველა მათგანი მტკვრის მარცხენა შენაკადებია), დვირულა, ჭობისხევის წყალი, ბორჯომულა, ნეძურა (მტკვრის მარჯვენა შენაკადებია) და ა. შ.

თანამედროვე ზემო ქართლის ყველაზე დიდი ბუნებრივი წყალსატევია ფარავნის ტბა. იგი ჯავახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და მისი სარკის ფართობი 37 კვ. კმ აღწევს. ფარავნის ტბა ზღვის დონიდან 2,074 მ მდებარეობს და სიღრმით სამ მეტრს არ აღემატება. სიგრძით 9 კმ-ია, ხოლო სიგანით 6 კმ. მის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, ნასოფლარ მახაროსთან აგებულია თევზის მიმღები პატარა ქარხანა-სამქრო და ნავსაყუდელი,

სადაც ბინა აქვს დადებული მეთევზეთა „მცირე ფლოტილი“<sup>1</sup>, რომელიც ორიოდე ბარკასისა და რამდენიმე ნავისაგან შედგენას ამ ტბას რამდენიმე ლელე და ნაკადული მიერთვის. მათ შორის ყველაზე წყალუხვია შაორის წყალი, რომელშიაც ჯერ კიდევ ბინაურობს შევზურგა ფორეგიანი კალმახი. ფარავნიდან მხოლოდ ერთი მდინარე, ჩვენთვის უკვე ცნობილი ფარავნის წყალი გამოედინება. არცთუ ისე შორეულ წარსულში ფარავნის ტბაში ბევრი კალმახი ყოფილა. ამჟამად შემოყვანილი ვერცხლისფერი კობრილა ბინადრობს.

ფარავნის ტბასთანაა დაკავშირებული ქართული ხალხური ზეპირსიტყველერების ერთი ბრწყინვალე ნიმუში „ბალადა თავფარავნელ ჭაბუკზე“.

თავისი სარკის ფართობის სიღიძის მიხედვით მეორეა კარწახის, ანუ ხოზაპინის ტბა (26,6 კვ. მ), რომლის ერთი მეოთხედი ამჟამად თურქეთის სახელმწიფო საზღვრებშია მოქცეული. იგი ზღვის დონიდან 1799 მ-ზე მდებარეობს და სიგრძით 8 კმ-ს ოდნავ აღმატება. ტბაში მხოლოდ ერთი, არსიანის მთებიდან გამომდინარე პატარა წყალი ფოსო ჩაედინება. ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფიის“ მიხედვით, კარწახის ტბა „აღსილი ყოფილა თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა“. ამჟამად თევზი აღარ ბინადრობს. აკად. ს. ჯიქიას ვარაუდით, არც წარსულში უნდა ყოფილიყო.

დიდი ტბებიდან ყველაზე ლამაზი და მიმზიდველია ტაბაწყურის ტბა, რომელიც ზღვის დონიდან 1 990 მ-ზე მდებარეობს. ეს ტბა ყველაზე ღრმა არის. მისი აბსოლუტურისილრმე ზოგიერთ აღგილებში 40 მ-ზე მეტია. ტაბაწყურის სარკის ფართობი 14,2 კვ. კმ-ია.

ტაბაწყურის ტბა თვალწარმტაც ყვავილოვანსა და წყაროიან ნარიანის ველზე მდებარეობს და ტერიტორიულად ბორჯომის რაიონს ეკუთვნის. ვახუშტის მიხედვით, ტაბაწყური ხელოვნურად შექმნილი წყალსატევი უნდა იყოს: „იტყვიან ტბის-ყურისას თამარ მეფემ ჰყო ტბად, ვინაითგან ჩანს ნარუალი, რომელი გაიტანაო ქციიდამ“. ამჟამად ამ „ნარუალის“ ნიშანწყალიც აღარაა შემოჩენილი. სპეციალისტების აზრით, ტაბაწყური ტექტონური წარმოშობისაა, დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმაციის შედეგად გაჩენილი. ტბაში კვლავ საკმაო რაოდენობითაა ქართული კალმახი, რომელსაც ბოლო ხანებში შეემატა სევანის იშხანი, ვოლხო-

ვის სიგა და ლადოგის ჭაპალა. ტბის დასავლეთ ნაპირზე გაშენებულ ძველქართულ სოფელ ტაბაწყურში, ამჟამად XIX ს. ვაკებულის წლებში თურქეთიდან ლტოლვილი სომხები მოსახლეობენ. ტაბაწყურში სამიოდე მინიატურული კუნძულიცაა. რომელიც განუმეორებელ კოლორიტს აძლევს ისედაც თვალწარმტაც ტბას. თევზის სარეწად ტბის ნაპირზე ავებულია პატარა ნავსაყუდელი და ქარხანა-საამქრო.

ზედაპირის ფართის სიღილით შემდეგია ხანჩალის ტბა (13,7 კვ. კმ), რომელსაც ქართველები შეა საუკუნეებში ხანჩერის ტბას უწოდებდნენ. იგი ზღვის დონიდან 1928 მ-ზე მდებარეობს და სიგრძით 6,5 კმ-ს აღწევს, ხოლო სიგანით 2,5 კმ-ს. ეს ტბა ამჟამად ძალიან თავთხელია და უყურადღებობის გამო ლაქაშით იფარება. თევზი ჯერ კიდევ საქმაოდ ბინადრობს, რომლის მცირე მასშტაბით რეწვა კვლავ მიმდინარეობს.

ზემო ქართლში, კონკრეტულად კი ჯავახეთში, მდებარეობს ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი ტბა მაღათაფა (2113 მ). აკად. ს. ჯიქიას გამოკვლევით, შეა საუკუნეებში მას ისკუნდრივ უნდა რქმეოდა. ეს საქმაოდ მოზრდილი წყალსაცავია (8,9 კვ. კმ) და მისი წყალი გამჭვირევალეა, რის გამოც ძალიან გემრიელი თევზი იცის. სიგრძით 4,8 კმ-ია, სიგანით კი 3,2 კმ.

საღამოს ტბა ფარავნის სიახლოესაა და სარკის ფართის მიხედვით არცთუ ისე მცირეა (5 კვ. კმ). ეს ტბაც საქმაოდ დიდ სიმაღლეზეა — 1,998 მ და თევზი ჯერ კიდევ საქმაოდ ბინადრობს.

აღნიშნული ტბების გარდა ზემო ქართლში, კერძოდ კი ჯავახეთში, კიდევ ბევრი ბუნებრივი წყალსაცევია. ესენია: აბულის, ბუღდაშენის, ეშტიოს, ლევანგელისა და სხვები, რომლებიც მიმოფანტული არიან მაღალმთიან საძოვრებზე. მცირე ტბებიდან ყველაზე მაღლა ლევანგელის ტბა მდებარეობს — 2 572 მ, ასპინძის რაიონშია ნაქალაქარ წუნდის მახლობლებზე მდებარე ამავე სახელწოდების ტბა (1 340 მ) და აწკვიტის მცირე წყალსაცევი. ქვაბლიანის ხეობაშია (აღიგნის რ-ნი) თახვის ტბა — 1 910 მ და წიწვოვანი ტყით გარშემორტყმული თრიალეთის ულამაზესი წყალსაცავი. მ მხრივ არც თორის მხარეა ღარიბი. ბორჯომის რაიონში, დაბაძველის პლატოზე მდებარეობს წიწვოვან ტყეში მიმოფანტული კახისის, წეროს, ჩიტოსა და დაბაძველის სახელით ცნობილი მცირე ტბები. სამწუხაროდ, ბუნებრივი წყალსაცევების უმრავლესობა კარგი ხანია აღამიანებისაგან შველას ითხოვს. ლაქაში და ლელი

ნელ-ნელა ფარავს და ავიწროვებს მათ ზედაპირს. თუ დროშე არ მიგხედეთ, ბუნების ამ სიმშევნიერეთა მავივრად მომავალ თეოტეტს ნატბეურებილა დახვდებათ, როგორც ამჟამადაა ბარალეთისა და გორელოვკის მახლობლად.

ზემო ქართლი ხემცენარეული საფარის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რეგიონია საქართველოში. როგორც უკვე ითქვა, ტყეები უმთავრესად მესხეთის ქედის სამხრეთ, აჭარა-გურიის მთების სამხრეთ-აღმოსავლეთ და ერუშეთის ქედის აღმოსავლეთ კალთებზეა განლაგებული. ტყის დიდი მასივებია აგრეთვე თრიალეთის ქედის დასავლეთის განშტოებებზე: გუჯარეთის ხეობაში, ბორჯომ-ბაკურიანის ზონაში და ოშორის მხარეს (ასპინძის რაიონი). ზემო ქართლის ტყეებში ფოთლოვანსა და შერეულს წიწვოვანი სჭარბობს. დიდი რაოდენობითაა ფიქვი, ნაძვი, კატარი, ანუ სოჭი. ფოთლოვანებიდან საქმაოდ გავრცელებულია რცხილა, წიფელი, ლეკის ხე, უხრავი, მურყანი და ა. შ. ამ მხარეში, როგორც ცნობილია, ერთადერთი უტყეო რაიონია ჯავახეთი, სადაც ამჟამად მიმდინარეობს მისი ხელოვნური გაშენება. დღეისათვის ახალგაზრდა ტყითაა დამშვენებული ახალქალაქის „ამირანის გორის“ კალთები, ხანჩალის ტბის ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო, სოფლების—აფნიის, აზავრეთის, მერენიისა და ზოგიერთ სხვა სოფელთა შემოგარენი.

**ფაუნა.** არცთუ ისე შორეულ წარსულში ზემო ქართლის ტყეებსა და ველ-მინდვრებში დიდი რაოდენობით ბინადრობდა ირემი, არჩვი, გარეული თხა, დათვი, გარეული ლორი, კურდლელი, სავათი, კაკაბი, გნოლი და სხვა ნადირ-ფრინველი. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, განსაკუთრებით კი ადამიანის გარე სამყაროსთან არასწორი დამოკიდებულების გამო ბოლო ხანებში ნადირ-ფრინველი ძალიან შემცირდა. მიუხედავად ამისა, ტყიან რაიონებში ჯერ კიდევ შესამჩნევადაა ირემი, შველი, გარეული ლორი, კურდლელი, დათვი, მელა, ტურა, აქა-იქ ფოცხვერიცაა შემორჩენილი. ჯაგნარებისა და ხრიოვ ადგილებში ბუღლობენ კაკაბი, გნოლი, ტყის ქათმი, მწყერი; საყანე ველ-მინდვრებში მტრედისა და გვრიტების გუნდებია. ბევრია აგრეთვე ქედანი, შაშვი, ჩხიკვი, ჩხართვი, ბუდა სხვა წვრილი და მსხვილი ფრთოსანი. მტაცებელი ფრინველებიდან გავრცელებულია ქორი, მიმინო, ძერა და შევარდენი. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ბრაქონიერების განუკითხავი თარეშისა და ნაწილობრივ სოფლის მეურნეობაში ქიმიური სასუქების მასობ-



ამ მხარეშია ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი. იგი მტკვრის მარცხენა მხარესაა და ქვაბისსევის, ჩითახევის, ლიქნისსევის, ბანისსევისა და ჭინჭარაულის ხევის ტერიტორიებს მოიცავს. თავისი ფართობით 18 ათას ჰექტარზე ოდნავ მეტია. ბორჯომის ნაკრძალის ძვირფას წიწვოვანსა და ნაწილობრივ შერეულ ტყეებში ბინადრობს კეთილშობილი კავკასიური და ალტაური ირემი, შეელი, დათვი, ფოცხვერი და ნაღირთა ზოგიერთი სხვა სახეობა. ბევრია აგრეთვე გარეული ფრთოსანიც, რომლებიდანაც პირველ რიგში აღსანიშნავია სავათი, როჭო, ტყის ქათამი და ა. შ.

ტბებსა და მდინარეებში, ბრაქონიერების აღვირახსნილი თარეშის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბინადრობს ორი სახეობის ენდემური კალმახი, ციმორი, მურწა, ხრამული, ჭანარი, კობრი. შემყვანილი და წყალსატევებში გამრავლებულია სევანის იშხანი, ჭაპალა, ვერცხლისებრი კობრი და ზოგიერთი სხვა ჯიშები.

**გზები და გადასასვლელები.** მკვეთრად დასერილი მთაგორიანი რელიეფის მიუხედავად, ზემო ქართლი ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის მეზობელ სხვა ქართულ პროვინციებთან — აჭარასთან, გურია-იმერეთთან, შიდა და ქვემო ქართლთან, და აგრეთვე მოსაზღვრე ქვეყნებთან — სომხეთთან, თურქეთთან, — ხეობებსა და უღელტეხილებზე გამავალი გზებითა და ბილიკებით. ისტორიული ქართლის მთავარი საკომუნიკაციო არტერია — „ქართლის გზა“ ტაშისკარიდან მტკვრის ხეობას აღმა მიუყვებოდა, რომლის სვლაგეზს თითქმის ზუსტად იმეორებს ხაშურ-ბორჯომ-ახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის თანამედროვე საავტომობილო გზატკეცილი, რომელიც ისევე როგორც ისტორიული ქართლის გზა, თავის განშტოებებშია განვითარებული. იგი ბორჯომიდან ბაკურიან-გუჯარეთისაკენ იტოტება, ახალციხეში აღიგენ-აბასთუმნისა და ასპინძა-ახალქალაქისაკენ, ხოლო ამ უკანასკნელიდან მარცხენა განშტოება ბაკურიანისაკენ, მარჯვენა კი ბოგდანოვებისაკენ. ბოგდანოვებიდან ახალი საავტომობილო გზა წალკაში მიემართება. მეორე საავტომობილო გზა სამხრეთ საქართველოს ისტორიული ტრაქტის სელაგეზს მიჰყვება.

ისტორიული ქართლის გზით ერთი განშტოება, რომელსაც წარსულში „რკინის ჯვრის გზა“ ეწოდა, აბასთუმნიდან ზექარზე (2 180 მ) ადის და იქიდან ხანის წყლის ხეობით იმერეთში, ბალდადის რაიონ-

ში ეშვება. „რკინის ჯვრის გზა“ იმდენად მნიშვნელოვანი ტრაქტი ყოფილა, რომ IV საუკუნეში რომაელებს თავიანთ მსოფლიოს კაზეც კი დაუტანიათ. მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ახალციხე-ადიგენიდან მასზე გადის საკავშირო ტურისტული მარშრუტი, ავტომობილებით ეზიდებიან ხე-ტყეს და საქონელს აიალა-ლებენ მესხეთის ქედის საზაფხულო საძოვრებზე.

„რკინის ჯვრის გზას“ ზეკარიდან მეორე განშტოება დაემატა. ეს განშტოება ჩადის მდ. წაბლნარას ხეობაში, გაივლის ცნობილ კურორტ საირმეს და იქიდან სოფ. წყალთაშუასთან უკვე ხანის წყლის ხეობაში უერთდება ძველ გზას.

ისტორიული ქართლის გზის — აღიგენის, ანუ ქვაბლიანის ხე-ობის განშტოება გაივლის რა სოფ. ზარზმას, სადაც იმაყად დგას ზარზმის დიდებული სამონასტრო კომპლექსი, მდ. ძინძეს ხეობით აღის გოდერძის ზეკარზე (2 025 მ) და იქიდან აჭარაში ეშვება. აჭა-რის წყლის ხეობის გავლით ბათუმისაკენ მიემართება. ჩვენი საუ-კუნის 70-იანი წლებიდან ეს გზა უკვე სავტომობილოა, იგი შე-დარებით გაფართოვდა და შეძლებისდაგვარად შეკეთდა. მასზე ბა-თუმ-ახალციხის მიმართულებით მუდმივი სავტომობილო მიმოსვ-ლა.

ახალციხიდან ვალეზე გავლით, ძველ საკომუნიკაციო არტერიას მიჰყება ერთი პატარა გზა, რომელიც სოფ. ვალეს გაივლის, შემ-დეგ მდ. ფოცხოვის ხეობაში შედის და თურქეთისაკენ მიემართება.

გარდა აღნიშნული საკომუნიკაციო არტერიებისა, ზემო ქართ-ლი მის მომიჯნავე პროვინციებთან დაკავშირებული იყო აგრეთვე ნაკლებად მნიშვნელოვანი და ცნობილი გზებით. მაგალითად, თა-ვის დროზე იგი ქვემო ქართლს, კერძოდ კი, თრიალეთს, ფარავნის გადასასვლელით უკავშირდებოდა. იმეამად აქ მოქმედებს ბოგდა-ნოვკა-წალკა-თეთრიწყაროს საავტომობილო გზატკეცილი. აღმოსავ-ლეთის მხრიდან შიდა ქართლთან დაკავშირებული იყო გუჯარეთ-ძამას ხეობის გზით. სხვათაშორის, ეს გზა რომ აქა-იქ შეკეთდეს და ოდნავ გაფართოვდეს, მასზე თავისიუფლად შეუძლია იმოძრაოს ავტომობილმა. ეს გზა, ქარელიდან ბაკურიან-ბოგდანოვკის მიმარ-თულებით, 40-იოდე კმ-ით შეამოკლებს თბილის-ბოგდანოვკის შო-რის არსებულ მანძილს.

ზემო ქართლი, გარდა აღნიშნული „რკინის ჯვრის გზისა“, იმე-რეთთან დაკავშირებულია საჭაპანო ვიწრო გზებით. ასეთი გზები და ბილიკები იმერეთში გადადის ბანისხევიდან, ლიკნისხევიდან,



ქვაბისხევიდან, ზოვრეთიდან, ბალების ღელიდან და წინუბნიდან, ქვაბლიანის ხეობიდან, ღალვის წყლის ხეობის ავლით, ჯაჭის ტბებზე ადის საცალფეხო გადასასვლელი. იქედან იგი იმერეთში, ვანის რაიონში ეშვება. გადასასვლელია აგრეთვე მეფის წყაროს მთასთან, რომელიც ამავე სახელს ატარებს და გურიაში, კერძოდ კი ჩოხა-ტაურის რაიონში ჩადის.

საქართველოს ამ რეგიონში გზებისა და გადასასვლელების სიმრავლე, როგორც იყალ. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, ერთმანეთისაგან მთებით იზოლირებულმა ხეობებმა და პატარა ხევებმა განაპირობა.

თანამედროვე ვითარებაში, გარდა აღნიშნული თბილის-ბორჯომ-ახალციხე-ახალქალაქ-ბოგდანოვკა და თბილის-თეთრიწყარო-წალკა-ბოგდანოვკის საავტომობილო გზატკეცილისა, ზემო ქართლი თბილისთან რკინიგზითაც არის დაკავშირებული. უკვე ორმოცი წელია მოქმედებს თბილის-ვალეს რკინიგზა. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა, სადაც უკვე დამთავრებულია რამდენიმე სადგური.

K289-864  
3

## გმირული წარსულის ფურცლები

ამ ბოლო ხანებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნათელყოფილია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გარიყრაჟზე, ეგრეთ წოდებულ აღრესამიწათმოქმედო ეპოქაში, ისტორიული ზემო ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი შორეული წინაპრები მრავალმხრივ სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ. ამ ვითარების შესახებ მეტყველებს ახალციხის ამირანის გორაზე მიჯვლეული ნივთიერი მონაპოვარი. ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურულს უკვე ცალკე დარგებადაა ჩამოყალიბებული მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მეთუნეობა და მეტალურგია. საკმაოდ განვითარებულია ბინათმშენებლობის ხელოვნება, რაზედაც თვალნათლივ მიგვითოთებს „ამირანის გორაზე“ გამოვლენილი ქვითა და ტალანტით ნაშენი და ტერასულად განლაგებული ბანიანი საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსები. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ არქეოლოგიური პერიოდიზაციით დადგენილი ყოველი ეპოქა ფრიად დაწინაურებული კულტურულ-ეკონომიკური მიღწევებით ხასიათდება. ბორნილელები, კვირაცხოველები, რველში, ჩითახევში (ბორჯომის ხეობა), ზველში, ვარძიასა და ჭინისში (ახალციხე-ასპინძის რ-ნი) ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომლებსაც ოთ. ჭაფარიძე, ოთ. ლამბაშიძე და კ. კვიენაძე ხელმძღვანელობდნენ, ყველაფერი ეს კონკრეტულად დაადასტურეს. რომ ბრინჯაოს, აღრერკინისა და ანტიკურ ხანაში საქართველოს აღნიშნულ ტერიტორიაზე ლითონის წარმოება — მჭედლობა და საიუვილერიო ხელოვნება განვითარების ძალზე მაღალ დონეზე მდგარა. ამ არქეოლოგიურ ობიექტებში აღმოჩენილი ცულები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, განსაკუთრებით კი საკინძეები, საყურები, სამაკურები და გულსაკიდები მსოფლიო მნიშვნელობის მონაპოვართა კატეგორიას განეკუთვნება. თუ საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება უფრო გაფართოვდება, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი მეცნიერებისათვის, ყოველგვარი გადაჭირდების გა-

უძველესი წერილობითი წყაროების მიხედვით, ისტორიული ზემო ქართლის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს, ჩვენ შორეულ წინაპრებს მუშებს, ანუ იგივე მოსხებს — მესხებს საკუთარი სამეფო პქონიათ. „მუშების სამეფო“ მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ჯერ ასურეთის ძლევამოსილ სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ ურარტუს. ძვ. წ. III საუკუნის პირველ ნახევარში მუშეთა სამეფოს ურარტულებმა და ამიერკავკასიაში შემოქრილმა კიმერიიდებმა მოუღეს ბოლო. ამის შემდეგ მესხთა ტომბობრივმა გაერთიანებებმა სამხრეთიდან უფრო ჩრდილოეთით გადაინაცვლეს და ძვ. წ. VI ს-ში უკვე ისტორიული ზემო ქართლის ტერიტორიაზე მოსახლეობენ.

როგორც უკვე ითქვა, ლეგენდარული ქართლოსის ძემ, მცხეთოსმა ზემო ქართლი ორ ნაწილად გაჰყო და თავის შვილებს ოძრახოსსა და ჯავახოსს გაუნაწილა. ოძრახოსს მისცა მიწა-წყალი ტაშისკარიდან — ვიდრე სპერის ზღვამდე. ამ სახელწოდებით მოიხსენიებოდა უძველეს საქართველოში შავი ზღვა. ჯავახოს ერვო აღგილები ფარავნიდან ვიდრე მტკვრის სათავემდე და ამ ქვეყანას შემდგომში სახელად დაუმჯვიდრდა ჯავახეთი. ჯავახოსმა ააგო ორი ციხე-ქალაქი — წუნდა და ორტაანი. წუნდის ნაქალაქარი ასპინძის რაიონში, ვარძიის სიახლოვესაა. ორტაანი ტერიტორიულად ამჟამად თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული და თურქული ენის გავლენით ორდაგანად იწოდება.

ოძრახოსმა, ისევე როგორც ჯავახოსმა ორი ციხე-ქალაქი ააშენა. ერთს საკუთარი სახელი — ოძრახე უწოდა, ხოლო მეორეს თუხარისი. ოძრახე ტერიტორიულად აბასთუმნის მისასვლელთან, შემდგომ ტრანსფორმირებულ სახელწოდების მქონე ოცხეს წყლის ხეობაში უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება თუხარისს, მისი ნანგრევები ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

ძვ. წ. III საუკუნეში საქართველოში მეფობდა ფარნავაზი, რომელმაც „განავრუო ენა ქართული, და ორლარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ფარნავაზმა თავის ძალაუფლებას დამორჩილებული ერთიანი საქართველო რვა საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ დაჰყო. ეს ტერიტორიალური და აღმინისტრაციული დაყოფა, რასაცვირველია, ზემო ქართლზედაც გავრცელდა. იგი სამ ტერი-

ტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად — საერისთავოდ და წუნდის, ოძრახესა და კლარჯეთის საერისთავოებად. წუნდის საერისთავო გადაჭიმული იყო ფარავნიდან ვიდრე მტკვრის სათა-ვემდე და მის ფარგლებში მოქმედა ჯავახეთი, კოლა და არტაანი. ოძრახეს საერისთავოს ტერიტორია ტაშისკარილან იწყებოდა და არსიანის მთამდე ვრცელდებოდა. ოძრახეს საერისთავოში შედიოდა სამცხე და აჭარა. რაც შეეხება კლარჯეთის საერისთავოს, იგი არ-სიანის მთილან სამხრეთ-დასავლეთით ვრცელდებოდა და შავ ზღვამ-დე აღწევდა. საუკუნეთა განმავლობაში, ვიდრე ბიზანტია-სპარსე-თის ომმა და შემდეგ არაბთა შემოსევებმა მათი ეკონომიკური და კულტურული განვითარება არ შეაფერხეს, სამცხე საერისთავო საქართველოს ფრიად მნიშვნელოვან სამოხელეო-საფეოდალოებს წარმოადგენდნენ. აქაური ქართველობა ეწეოდა ინტენსიურ მიწათ-მოქმედებას და მესაქონლეობას; შენდებოდა სოფლები და დაბები; მრავლდებოდა მოსახლეობა.

დროთა განმავლობაში, ისტორიული ქარტეხილების პირობებ-ში ამ საერისთავოთა საზღვრები ხშირად განიცდიდა ცვლილებას, ხან ფართოვდებოდა, ხან კი, პირიქით, ვიწროვდებოდა. მაგალითად, ჯავახეთის დიდი საერისთავოს არსებობის დროს, მისი საზღვრები თანამედროვე ჯავახეთიან ერთად კოლას ოლქსა და ჩრდილის ტბის შემოგარენს მოიცავდა. გვიანფეოდალურ ხანაში, როცა იგი ქართ-ლის სახელოვანმა მეფემ ლუარსაბ I (1527—1556 წწ.) შემოიერთა, ჯავახეთის ტერიტორია რამდენადმე შემცირებული იყო. ანალოგი-ურ ვითარებას ჰქონდა ადგილი წუნდისა და კლარჯეთის საერისთა-ვოების ისტორიაშიც. მათი საზღვრების ცვალებადობას ისტორიული ძვრები და ქარტეხილები განსაზღვრავდა.

ვახტანგ გორგასალის პერიოდში წუნდისა და ოძრახეს ერის-თავთა ძალაუფლება საემაოდ შეზღუდულად გამოიყურებოდა, რად-განაც მათი ადმინისტრაციული ცენტრები წუნდა და ოძრახე ერთ-დროულად სამეფო რეზიდენციასაც წარმოადგენდნენ. ასეთი მდგო-მარეობა ვახტანგის დალუბევის შემდეგაც გაგრძელებულა. ეს იქი-დანაც ჩანს, რომ ოძრახე ვახტანგ გორგასალის ქვრივისა და ორი შეილის საზამთრო, ხოლო წუნდა საზაფხულო რეზიდენციები ყო-ფილია.

735 წელს საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა. არაბე-თის ხალიფამ ჰიშამმა 120-ათასიანი ლაშქარი მირვან იბნ-მუჰამე-დის მეთაურობით ჩვენს ქვეყანას შემოუსია. „ქართლის ცხოვრე-

ბის" ერთ-ერთი მემატიანის, ჭუანშერის თქმით, არაბთა ლაშქარი საქართველოს „მუეფმნა; ვითარცა ღრუბელი ბნელისა, სიმრავლით ვითარცა მკალი და მუმლი, არეთა ჩრდილოსათა, და დაფარა პირი ქუეყნისა". არაბთა მხედართმთავარი იმდენად გულშვა და სასტიკი ადამიანი ყოფილა, რომ ქართველებმა მას „მურვან ყრუ" შეარქეს. მურვან ყრუმ მოაოხრა მთელი საქართველო. იგივე ჭუანშერის სიტყვებით, „არღარი იპოვებოდა ნაშენები არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვე". გაპარტახებული იქნა ზემო ქართლის სოფლები და ქალაქები. არაბებმა დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს ციხე-ქალაქები არტანუჯი, ოძრახე და წუნდა.

არაბების განდევნის შემდეგ საქართველოში ცხოვრება ნორმალურ კალაპორტში ჩადგა. ქვეყანა განახლების გზას დაადგა. ადრეფეოდალურ ხანაში სხვა ქართულ პროვინციებთან შედარებით ყველაზე ადრე ტაო-კლარჯეთი დაწინაურდა და IX ს. დასაწყისში აქ უკვე დიდი სამთავრო — „ქართველთა სამეფო" ჩამოყალიბდა. სამეფოს ბაგრატიონთა გვარი ჩაუდგა სათავეში. ყველაზე გამოჩენილი მეფეები აშოტ კურაპალატი და დავით კურაპალატი იყვნენ. მათ სახელებთანაა დაკავშირებული ყველა ის ეკონომიკური და კულტურული ღონისძიებანი, რომლებიც ტაო-კლარჯეთში განხორციელდა.

დავით კურაპალატის დროს (X ს. მეორე ნახევარი) „ქართველთა სამეფოს", ანუ იგივე ტაოს სამეფოს საზღვრებში მოექცა ისტორიული ზემო ქართლის თითქმის ყველა პროვინცია — სამცხე, ჭავახეთი, არტაანი, კოლა, კლარჯეთი, შავშეთი, საკუთრივ ტაო, აჭარა, ბასიანი, სპერი. ადრეფეოდალური ხანის სხვა სამეფო-სამთავროებთან შედარებით დავით კურაპალატის სამფლობელო პოლიტიკურად მდგრად, ეკონომიკურად და კულტურულად ყველაზე დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა. ბიზანტიიელებისა და არაბების ხანგრძლივი შემოსევების შედეგად გაპარტახებულ ქვეყანაში ხელახლა აღორძინდა სოფლის მეურნეობა — მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა, მევენახეობა. განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა ხელოსნობა — ქვით და ხით ხუროობა, ოქრომჭედლობა, მხატვრობა, ლიტერატურა. გაყვანილი იქნა გზები და სარწყავი არხები. მდინარეებზე გაიდო ხიდები, აშენდა ფუნდუკები, სასახლეები, მრავალი ტაძარი, მონასტერი, საყდარი და ციხე-სიმაგრე. სწორედ ამ პერიოდშია აშენებული ქართული მონუმენტური არქიტექტურის შედევრები — ზარზმა, კუმურდო, ბანა, ხანძთა,

ხახული, შატბერდი, ოშკი, ტბეთი, ოპიზა და ა. შ. ზოგიერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში ჩამოყალიბდა სემინარები, სადაც მეცნიერების მრავალ დარგში ოსტატდებოდნენ ქართველი ახალგაზრდები. რასაკვირველია, ეს კულტურული და ეკონომიკური იმპავლობა მუდამ ერთი ტემპით არ მიმდინარეობდა. იყო ხელის შემშლელი მიზეზები. შუა აზიიდან შემოკრიოლი თურქები და ბიზანტიილები ცდილობდნენ როგორმე საფუძველი გამოეთხარათ ქართველთა ძლიერებისათვის. ამ დროსაც იყო შემთხვევები, როცა მტრის მიერ დარბეულ იქნა სოფლები და ქალაქები, რისთვისაც ყოველთვის ღებულობდა საკადრის პასუხს. 990 წელს დავით კურაპალატმა ქ. მანასკერტთან სასტიკად დაამარცხა თურქები და არძულა ქალაქი დანებებულიყო. 998 წელს დავით კურაპალატის ლაშქარმა, რომელშიაც 6 000 სომები მხედარიც იღებდა მონაწილეობას გაბრიელ ოჩოპინტრეს ძის მხედართმთავრობით, სომხეთში დაამარცხა მაპმადიანთა 100-ათასიანი ჯარი და დიდი ნაღავლით დაბრუნდა სამშობლოში.

ქართველებმა უანგარო დახმარებაც იცოდნენ; ყოველთვის შხარში უდგნენ გაჭირვებაში მყოფ მეზობლებს. დავით კურაპალატის დროს, 979 წელს ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II თავისივე სარდალი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. იმპერატორმა ქართველთა მეფეს დახმარება სთხოვა. ქართველებმა დაივიწყეს ბერძნების მიერ მათ წინააღმდეგ ჩადენილი ვერაგული მოქმედებანი და ძმურად ღაეხმარნენ ბიზანტიელ იმპერატორს. დავით კურაპალატმა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ 12 ათასი რჩეული ცხენოსანი გაგზავნა. ქართველთა ლაშქარს სარდლობდა სახელგანთქმული თორნიკე ერისთავი და მისი თანაშემწე ფერის ჯოვიკის ძე. ქართველებმა გაანადგურეს ბარდა სკლიაროსი. ამ დახმარებისათვის იმპერატორმა ბასილ II დავით კურაპალატს დიზი მიწა-წყალი აჩუქა: ერზერუმისა და ბასიანის ოლქები, აპაჭუნისა და ჰაქსის პროვინციები, მძლავრი ციხე-სიმაგრე მდ. არაქსის სათავეში და სხვ. თორნიკე ერისთავისა და ბარდა სკლიაროსის ამბებს დიდებული პოემა მიუძღვნა აკაკი წერეთელმა.

ტაო-კლარჯეთის მეფეთა შორის დავით კურაპალატი ყველაზე ძლევამოსილი ხელმწიფე იყო. სამწუხაროდ, მას მემკვიდრე არ ჰყავდა. საქართველოს გაერთიანების მიზნით, დავით კურაპალატს მხარში ამოუდგა შიდა ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე, მან აფხაზთა უსინათლო და უძლური მეფის თეოდოსის დისშვილი ბაგ-

რატი იშვილა. ბაგრატ III სახელდებული თავისი მემკვიდრე და-  
ვით კურაპალატმა 975 წელს შიდა ქართლის მეფედ გამოაცხადა  
სამიოდე წლის შემდეგ მას აფხაზეთიც დაუმორჩილა. ასე ჩაეყოფა  
საფურველი საქართველოს გაერთიანებას. მაგრამ, დავიხიოთ ცოტა  
უკან.

VIII საუკუნის მიწურულს ტაო-კლარჯეთის სამეფოში შემავალ  
ძელ ქართულ პროვინციაში სამცხეში (ახალციხე-აღიგენის მხარე),  
გიორგი ჩორჩანელი მთავრობდა. სხვათაშორის, ოდესლაც ციხე-  
ქალაქ ჩორჩანის ნანგრევები დღესაც თვალნათლივ შეიმჩნევა. სა-  
ინტერესოა, რომ არც მისი სახელწოდებაა დაკარგული. ჩორჩანის  
სახელით ცნობილი პატარა სოფელი, დაბა აღიგენის მახლობლადაა  
და სწორედ აქა ნაქალაქარის ნანგრევები.

გიორგი ჩორჩანელი დიდი შეძლებისა და მამულების პატრო-  
ნი იყო. ზანავსა და ჩორჩანში დიდი სასახლეები ჰქონდა გამართუ-  
ლი. როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, იგი ფრიად მომლხე-  
ნი, მარდი მონადირე (თავის ნაკრძალ ცხორჭაში სანადირო სახლი  
ჰქონდა აშენებული) და ქველმოქმედი პიროვნება იყო. მისი უშუა-  
ლო დახმარებითა და სახსრებით ცნობილმა სასულიერო მოღვა-  
წემ სერაპიონ ზარზმელმა IX ს. დასაწყისში სახელგანთქმული ზარ-  
ზმის სავანე დაარსა, რომელიც თავისი სამონასტრო ანსაბლით  
ქართული მონუმენტური არქიტექტურის შესანიშნავ ძეგლს წარ-  
მოადგენს. ამავე პერიოდის სამცხეში მეორე დიდი ფეოდალია მი-  
რიან ხურსიძე, რომელიც გიორგი ჩორჩანელის სიძე, დის ქმარი  
იყო. უშვილო გიორგი ჩორჩანელმა სიკვდილის წინ თავის ადგილ-  
მამული და ქონება დასა და დისშეიღებს უანდერძა. ასე გაერთიან-  
და ორი მსხვილი საფეოდალო. გავიდა ხანი და მირიანის გარდა-  
ცვალების შემდეგ ყველაფერი აირია. გიორგი ჩორჩანელის ანდერ-  
ძად დატოვებულ ადგილ-მამულებზე მირიანის შთამომავალთა შო-  
რის შფოთი და სისხლის ღვრა ატყდა, რომელიც თითქმის ოთხ  
წელიწადს გაგრძელდა. ბოლოს მოშულლეთა შორის აწყურის ტაძ-  
რის დიდი მღვდელმთავარი გიორგი შუარტყლელი ჩადგა და საქ-  
მეც მორიგებით დამთავრდა.

ადრეფეოდალური ეპოქის მიწურულიდან იავარყოფილი ოძრ-  
ხეს ნაცვლად თანდათან წინაურდება ახალციხე, რომელსაც ვახუშ-  
ტი ბაგრატიონის მიხედვით ლომისიანა უნდა რქმეოდა. „მატიანე  
ქართლისაის“ ერთი ცნობის მიხედვით, IX ს. ტაო-კლარჯეთის  
მფლობელს გვარამ მამფლს ახალციხეში დიდი ციტადელი, ახალი

ციხესიმაგრე აუგია, რომლის შემდეგ ეს ქალაქი სამცხისა და ჭავახეთის აღმინისტრაციული ცენტრი გახდა.

გვარამი, დიდ მამფლად წოდებული, აშოტ კურაპალატის უმციროსი ვაჟი, ფართო პოლიტიკას აწარმოებდა. იგი ფლობდა თრიალეთს, ტაშირს, აბოცს (ქვემო ქართლის შემადგენელ ნაწილებს), ჯავახეთს, სამცხეს და არტაანს. წარმატებით ებრძოდა ბუღა-თურქის მეთაურობით შემოჭრილ არაბებს. გვარამი იმდენად გაძლიერდა, რომ შეიძყრო თბილისის ამირა გაბულოცი და საქართველოდან გააძევა. მანვე ჯავახეთში საეკლესიო კრება მოიწვია და ბევრი საჭირობოროტო საკითხი მოაგვარა. მაგრამ, მისი გარდაცვალების შემდეგ ყველაფერი იირია: დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებულმა დიდმა ფეოდალმა ლიპარიტ ბალვაშმა IX ს. 80-იან წლებში დაიძყრო თრიალეთი, სადაც ააგო მძლავრი ციხესიმაგრე კლდეკარი და თავის თავი დავით კურაპალატის ვასალად გამოაცხადა. ბუნებრივია, ლიპარიტ ბალვაშის ასეთ საქციელს გვარამის მემკვიდრეები ვერ მოითმენდენ. ეს ასეც მოხდა. თრიალეთი გვარამის უფროს ვაჟს ნასრს ეკუთვნოდა. ატყდა ძმათა შორის სისხლის მღვრელი ბრძოლა, რომელმაც მთლიანად შეიწირა გვარამ მამფლის შტო და მათი მამულები გვარამის ძმათა შთამომავლებს შორის განაშილდა. თრიალეთის ერისთავიდ ქცეულ ლიპარიტს ვერაფერი დააკლეს. პირიქით მოხდა. მისი შთამომავლები უფრო გაძლიერდნენ და გაერთიანებული საქართველოს მეფეებსაც იღარ ეპუებოდნენ. თრიალელ ბალვაშთა თავგასულობას და პარტიკულიარიზმს დავით აღმაშენებელმა დაუდო საზღვარი. დავით აღმაშენებელმა 1095 წ. შეიძყრო ლიპარიტ IV და ორი წლის პატიმრობის შემდეგ 1097 წ. ბიზანტიაში გააძევა. ხოლო, როდესაც ლიპარიტის ძე რატი გარდაიცვალა 1103 წ., დავითმა თრიალეთის. ანუ იგივე კლდეკარის საერისთავო გააუქმა და უშუალოდ თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა.

როვორც ცნობილია, ადრეულ საუკუნეებში სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი, კოლა და კიდევ სხვა სამხრეთი ქართული პროვინციები, ფარნაგაზიდან მოყოლებული ვახტანგ გორგასალის ჩათვლით, ერთიანი ქართლის სამეფოში შედიოდა. VIII—X სს. ისინი ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფოს“ საზღვრებში მოექცენ. საქართველოს გაერთიანების შემდეგ კვლავ ცალკე საერისთავოებად შევიდნენ ქართველთა ერთიან სახელმწიფოში. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერების პერიოდში სამხრეთ ქართული

პროვინციების ერისთავების უფლებები საკმაოდ შეკვეცილი იყო, ისინი მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების — მეფის მოხელეები იყვნენ. განუხრელად უნდა შეესრულებინათ სამეფო ხელისუფალთა გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში საერისთავოს ჩამორთმევასთან ერთად, არცთუ იშვიათად მეცირად ისჯებოდნენ.

დავით აღმაშენებლის (1089—1125 წწ.) მიერ ძლევამოსილად ჩატარებული განმათავისუფლებელი ომებისა და ბრძნული პოლიტიკის შედეგად საქართველოს მიწა-წყალზე მშვიდობიანობამ დაისადგურა. ქვეყანა განუხრელ ეკონომიკურ, კულტურულსა და პოლიტიკურ აღმავლობას განიცდიდა. საქართველომ თავისი ძლიერებისა და აღორძინების შევერვალს XIII ს. მიწურულს მიაღწია. ამ ეპოქაში შეიქმნა გელათისა და იყალთოს აკადემიები, ეკონომიკურად წელში გაიმართა დიდი თურქობისაგან გაპარტანებული სოფლები, დაბები და ქალაქები. აიგო მრავალი ტაძარი, მონასტერი, საყდარი და ციხესიმაგრე. განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება. რასაკირველია, ზემო ქართლშიც ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია. მისი მშენებლობა დავით აღმაშენებლის შეილიშვილმა გიორგი III (1156—1184 წწ.) დაიწყო და ამ უკანასკნელის ქალიშვილმა თამარ მეფემ (1184—1213 წწ.) დაამთავრა.

თამარის მეფობაში ზემო ქართლის ტერიტორიაზე ორი ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. 1185 წ. თამარს ქმრად შერთეს ვლადიმერ-სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ძე, საქართველოში გიორგიდ წოდებული იური. ჩვენს ისტორიაში გიორგი რუსის სახელით ცნობილი იური ბოგოლუბსკის კანდიდატურის შერჩევა თამარის სურვილის საწინააღმდეგოდ მოხდა. გიორგი რუსი უზნეო და ლოთი პიროვნება აღმოჩნდა, რითაც სულ მალე ისარებლა სამეფო ხელისუფლების გაძლიერებით უკმაყოფილო ზოგიერთმა დიდგვაროვანმა. მათ შორის იყო კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავთ-ერისთავი გუზანი, სამცხის სარდალი — სპასალარი ბოცო, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი და კიდევ რამდენიმე დიდებული აზნაური. შეთქმულებმა გიორგი რუსი თამარ მეფეს აუმშედოეს. აღვირახსნილი უზნეობითა და ლოთობით შეწუხებულმა თამარმა ქმარყოფილი საქართველოდან გააძევა. 1188 წ. თამარი მისმა თანამდგომებმა დავით სოსლანზე დააქორწინეს, რომელიც ოსთა სამეფო კარის წარმომადგენელი იყო და თანაც ქართველ

ბაგრატიონებს ენათესავებოდა. მეფის მოწინააღმდეგე დიდებულები ბოროტი სული არ ასვენებდათ. 1191 წ. საიდუმლოდ შეუთანხმით გიორგი რუსს, საქართველოში ჩამოიყანეს და დიდი ამბოხი მოაწყვეს. ამბოხებულები ჭერ სამეფო რეზიდენციას გეგუთს შემოეწყვენ და გიორგი მეფედ გამოაცხადეს. შემდეგ შიდა ქართლი მოაოხრეს, გადაწვეს ოძრხე და ციხისგვარი. მათ გადაწყვიტეს მთლიანად დაეპყროთ თრიალეთი და ჯვარეთი... მაგრამ თამარ მეფის ერთგულმა ლაშქარმა ნიალის ზეგანზე, რომელიც ტერიტორიულად ამჟამად ასპინძის რაიონშია მოქცეული, სასტიკად დაამარცხა აჯანყებულები. გიორგი რუსი და ბევრი მისი მომხრე ტყველ ჩავარდა. თამარმა დაინდო ქმარყოფილი, არ დასაჭა და იგი კვლავ გააძევა საქართველოდან. რაც შეეხება აჯანყების სულის ჩამდგმელებსა და ორგანიზატორებს — კლარჯეთ-შავშეთის ერისთავთერისთავს გუშანს, სამცხის სპასალარ ზოცის, მსახურთუხუცესს ვარდან დადიანსა და ზოგიერთ სხვა მეამბოხეს ღალატი და დანაშაული არ აპატიეს და მკაცრად დასაჯეს. გიორგი რუსმა კიდევ სცადა საქართველოს საქმეების ხელყოფა, მაგრამ კვლავ არაფერი გამოუვიდა და როგორც ზოგიერთი ისტორიის ვარაუდობს, კამბეჩოვანში (ქიზიუშია) დაასრულა სიცოცხლე.

ისტორიული ზემო ქართლი — სამცხე, ჯვარეთი, კოლა, არტა-ანი, კლარჯეთი, შავშეთი და ტაო გვიანთეოდალურ ხანამდე საქართველოს სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი ფორპოსტი იყო. საბერძნების მხრიდან და მცირე აზიდან წამოსული მტერი პირველად აქ შეელეწებოდა ხოლმე. საქართველოს ძლიერებით შეწუხებული მტრები გაერთიანებული ძალებით ცდილობდნენ ჩვენი ქვეყნის განაღურებას. XIII ს. დასაწყისში მცირე აზიის თურქ-სელჩუქთა სულთანმა რუქნ ად-დინ სულეიმან შავშეთი საქართველოს წინააღმდეგ მაშვადინთა დიდი კოალიცია შექმნა. 1202 წ. საქართველოს საზღვრებს მოაღვა და 400-ათასიანი ლაშქრით ბასიანის ველზე დაბანაკდა. რუქნ ად-დინმა თამარ მეფეს შეურაცხმყოფელი წერილი გამოუგზავნა, რომელშიაც აუგად იხსენიებდა ქართველთა შეფეს და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ქართველებს გაელეტით ემუქრებოდა. რუქნ ად-დინის თავხედური მუქარის საბასუბოდ სასწრაფოდ შეიყარა საქართველოს ჯარი და ბასიანისაკენ გაემართა. თამარმა თავისი ლაშქარი ვარძიიდან ლოცვა-კურთხევით გააცილა.

ქართველთა მხედრობას ზაქარია მხარგრძელი და ძმები შალვა

და ივანე თორელები სარდლობდნენ. ქართველებმა ფიცხელი ტევა აირჩიეს. გამართა საშინელი ხოცუა-ქლეტა. ქართველი მარტინული სახე იმდენად ძლიერი იყო, რომ მტერმა ვეღარ გაუძლო და გაიცია. ქართველებიც მიჰყვნენ და უმოწყალოდ ულიტეს მომხდურები. ბევრმა გაქცევით უშველა თავს. მათ შორის რუქნ ად-დინიც იყო. ბასიანის ომი ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებით დამრავრდა. მათ ბევრი თურქ-სელჩუკი დაატყვევეს. ტყვეთა შორის სხვებთან ერთად ერზინჯანისა და მენგუჯიკის სულთანი ბაჰრამ შაჰიც იყო. რომელიც შემდეგ თამარ მეფემ ვირის ერთი ნალის საფასურზე გაცვალა. ამ გამარჯვებით საქართველომ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი კავკასიაში, მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა. ბასიანის ომში გამოჩენილი გმირობისათვის შალვა და ივანე თორელებს ქალაქი ახალციხე ებოდა, რის გამოც ისინი თორელებთან ერთად ახალციხელებადაც იწოდებოდნენ.

XIII ს. 20-იანი წლების მიწურულს საქართველოს მონგოლების სახით მრისხანე და დაუნდობელი მტერი მოევლინა. მონგოლები საქართველოს სახელმწიფო საზღვართან 1220 წ. გამოჩენდნენ. სამწუხაროდ, ქართველებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს მონგოლთა ძალა და მტერს არცთუ მომზადებულები შეხვდნენ, რის გამოც ერთ წელიწადში ორჯერ დამარცხდნენ.

1225 წლის აგვისტოში სომხეთის სოფ. გარნისთან ქართველები წინ აღუდგნენ მონგოლებისაგან ოტებულ ხორეზმის სულთანს ჯალალ ად-დინს. ივანე ათაბაგ-მხარგრძელის უნიათო სარდლობის გამო ქართველები დამარცხდნენ და თანაც დიდი ზარალი განიცადეს. უამრავი ქართველი მეომარი შეკვდა მტერს. მათ შორის იყო ივანე თორელ-ახალციხელი და მისი ძმა შალვა, რომელიც მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩაუვარდა ხორეზმელებს. ჯალალ ად-დინი დიდ-ხანს ელოლიავებოდა შალვას, მაგრამ როცა ვერაფერს გახდა, ვერავულად მოაკვლევინა. შალვა და ივანე თორელ-ახალციხელებთან დაკავშირებით ურივო არ იქნება, თუ ცოტა რამეს გავიხსენებთ თორის საერისთავოს ისტორიიდან.

თორი, როგორც მტკვრის ხეობის მხარის სახელწოდება, წერილობით წყაროებში პირველად VII ს. იხსენიება და თავისი ტერიტორიით დღევანდელი ბორჯომის რაიონის ფარგლებს ემთხვეოდა. როდესაც საქართველოს არაბები შემოესივნენ, თორის მხარესაც დიდი ზარალი მოუვიდა. იგი თითქმის მთლიანად გაპარტახ-

და. არაბთა ბატონობის გადაგდების შემდეგ, ეს მხარე თანამდებობაში გაიმართა. IX ს. თორის ეკონომიკური და კულტურული განახლება ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა. მან თავის პოვების XIII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე მიაღწია. კვლავ აშენდა და განახლდა ცხოვრება ციხე-ქალაქ თორში, ცხისგვარში, ნეძვსა და ნუაში. ეს უკანასკნელი, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, დღევანდელი ბორჯომის ადგილზე უნდა ყოფილიყო. შეკეთდა მრავალი ციხესი-მაგრე, მათ შორის დემოთის, რომელიც გრე კიდევ III ს. იყო აშენებული. აგრეთვე სარბიელას, სალის, საკირის, დაბაძველის, დვიორის, ტაბაწყურის და ო. შ. მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა სატაძრო-საეკლესიო მშენებლობას. სოფელ დვირის მახლობლად გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ ქრისტეფორემ IX ს. ააშენა „კვირიკეწმინდის“ სახელით ცნობილი დიდი სამონასტრო ანსამბლი, შალვა თორელმა — ტიმოთესუბნის ცნობილი მონასტერი; ახალდაბის მახლობლადაა ოდესლაც ცნობილი ნეძვის მონასტერი, საკირეშია „ღვთისმშობლის“ სახელზე აგებული მონასტრის ნანგრევები. სხვათაშორის, ამ მონასტერთან არსებულ საეკლესიო სასწავლებელში მიიღო განათლება XI ს. მეორე ნახევარში მოღვაწე სახელგანთქმულმა მეცნიერმა, მწიგნობარმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა. გარდა მონასტრებისა, მრავლად აშენდა ეკლესია-საყდრები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თორის მხარეში არ არის სოფელი, სადაც ეკლესია არ იყოს. ზოგან ორ-ორიც კია. მაგალითად, ტაბაწყურში დღესაც დგას „წითელი საყდარი“ და „ნინოწმინდის“ ეკლესია, დვირში სოფლის ცენტრში „მთავარანგელოზის“ საყდარი, სასაფლაოზე კი „კვირაცხოვლის“ სახელზე აგებული მცირე საყდრის ნანგრევები. ჩითახევის თვალწარმტაც ვიწრო ხეობაშია „მწვანე მონასტერი“. თავისი ფრესკული მხატვრობით ფრიად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს ქვაბისხევის „მარიამწმინდის“ ეკლესია, რომლის ერთ-ერთ კედელზე გამოხატულია ახალგაზრდა ვაჟი და შუახნის ქალი. სპეციალისტების აზრით, ვაჟი შოთა რუსთაველი უნდა იყოს, ხოლო ქალი მისი დედა.

IX—XIII სს. თორის ქვეყანაში ინტენსიურ ხასიათს ატარებდა სოფლის მეურნეობა. მტკვრის ხეობაში მისდევდნენ მემინდერეობას და მევენახეობას. ამ უკანასკნელი დარგის დამადასტურებელი ნივთიერი მასალა, ყურძნის საწურის — საქაშავის ქვის ტაფები და ქვევრები მრავლადაა მიკვლეული დვირში, ქვაბისხევში, ჭობისხევში, ლიკანში, ახალდაბასა თუ სხვაგან. თორის ძეგლი მოსახლეობა

სელის მოყვანასაც მისდევდა. სელისაგან ხდიდნენ ზეთს, რომელსაც  
დიდი საოჯახო-სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. სელის ზეთის  
სახდელი მოწყობილობის ზოგიერთი ნაწილი აქა-იქ ამჟამადაც შე-  
მონახულია. მაგალითად, ტიმოთესუბნის მონასტრის ტერიტორიაზე.  
მასშტაბური ყოფილა მესაქონლეობა, რომელიც, როგორც ჩანს,  
ფრიად განვითარებულ სახეს ატარებდა. მესაქონლეობის შესახებ  
ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით წინამდებარე ნაშრომის სათანადო  
მონაკვეთში.

აღნიშნულ პერიოდში თორელი ერისთავები საქართველოში  
ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ფეოდალები იყვნენ. მათმა საგვარეულომ ბევრი გამოჩენილი პიროვნება მისცა ჩვენს  
სამშობლოს. მათ შორის ყველაზე სახელოვანნი და გამოჩენილები  
იყვნენ თამარ მეფის პირველი მთავარსარდალი — ამირსპასალარი  
გამრეკელ-თორელი, ჩვენთვის უკვე ცნობილი ძმები შალვა და  
ივანე ახალციხელებად წოდებული, მეჭურჭლეთუხუცესი, ანუ ფო-  
ნანსთა მინისტრი კახა თორელი და სხვა. მაგრამ, როგორც ცნო-  
ბილია, ცხოვრება ყოველთვის აღმავლობით როდი მიმდინარეობს,  
აღმართს დაღმართი მოჰყება ხოლმე. თორის საერისთავოშიც ასე  
მოხდა. XIII ს. 30-იანი წლებიდან იწყება თორელთა საგვარეულოს  
თანდათანობითი დაკინება და ციხისკვრელ ჭაყელთა აღზევება,  
რომლებიც მთელ სამცხეში გაბატონდნენ და მალე იმდროინდელ  
საქართველოში ყველაზე უმაღლესი ტიტული, ათაბაგობა დაისა-  
კუთრეს. ასე და ამრიგად, თორის საერისთავოს ტერიტორია სამ-  
ცხე-საათაბაგოს ფარგლებში მოექცა.

ჭალალ აღ-დინის ხუთწლიანი გამაპარტახებელი თარეშის შე-  
დეგად დასუსტებულ საქართველოში, როგორც ისტორიკოსი იტყ-  
ვის, ველარ აღმოჩნდა ისეთი პიროვნება, ვინც შეძლებდა მტრის  
წინააღმდეგ ძალთა გაერთიანებას. ისეთი უიმედობის ვითარებაში  
დაიპყრეს მონგოლებმა საქართველო. 1242 წ. ზავის თანახმად, სა-  
ქართველო მონგოლთა იმპერიის ყმადნაფიც ქვეყნად გადაიქცა.  
ამიერიდან საქართველოს ხარკი უნდა ეხადა. პირველმოთხოვნის-  
თანავე ჭარი უნდა გამოეყვანა და რაც მთავარია, ქართველი მეფე  
მონგოლთა ყაენის დამტკიცების გარეშე ტახტზე ვერ ავიდოდა.

საქართველო მონგოლებმა რვა აღმინისტრაციულ ერთეუ-  
ლად — ღუმნად დაჰყვეს და ყველა მათგანს სათავეში კვლავ ქარ-  
თველი დიდებულები ჩაუყენეს. ზემო ქართლი მეექვსე ღუმანს  
ჭარმოადგენდა და მის სათავეში პირველად ყვარყვარე ჭაყელი იღ-

გა. ეს ის ყვარყვარეა, რომელიც შალვა თორელის დაღუპვის შემდეგ თამარის ასულმა რუსუდანმა ამ პროვინციის გამგებლად აფასდა ნიშნა.

ყვარყვარე დიდი პატრიოტი და მედგარი პიროვნება იყო. მან სხვებსავით ლაქუცი კი არ დაუწყო მონგოლებს, პირიქით, იგი თავგანწირვით ებრძოდა მათ. მისი წინდახედულობა რომ არა, მონგოლები მთლიანად მოსპობდნენ ზემო ქართლის მოსახლეობას. ყვარყვარე ჯაყელმა თხოვნით მიმართა რუსუდან მეფეს, რათა ამ უკანასკნელს მონგოლებთან პირდაპირი მოლაპარაკების ნება დაერთო. რუსუდანი დათანხმდა. ამ გონივრული ნაბიჯით ყვარყვარემ მთელი ზემო ქართლი გადაარჩინა გაპარტახებას და გაუკაცრიელებას.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ სამშობლოს მძიმე ხვედრმა დიდად დააფიქრა ქართველი მამულიშვილები. ქვეყნის ხსნა მონგოლების ულლისაგან აჯანყების გზით გადაწყვიტეს. აჯანყების მომზადებისა და ორგანიზაციის მიზნით შეთქმულები ჯავახეთში, კოხტასთავს შეიკრიბნენ. აქ შეხვდნენ ერთმანეთს ყვარყვარე ჯაყელი, ერგასლან ბაკურიახელი, ვარამ გაგელი, შოთა კუპრი, გამრეკელ-თორელი, სარგის თმოგველი, თორლეა პანკელი და სხვა ქართველი დიდებულები. მათ შორის იყო ავრეთვე ცოტნე დადიანი. შეთქმულებმა ითათბირეს, აჯანყების ვადაც დათქვეს და საომრად განწყობილები დაიშალნენ.

შეთქმულება ვიღაცა არაკაცმა გასცა და მათი უმრავლესობა მონგოლებმა დააპატიმრეს. დაბორკილი პატრიოტები სომხეთში, ქალაქ ანისში წაიყვანეს, გააშიშვლეს, ტანხე თაფლი წაუსვეს და პაპანაქება სიცხეში დაყარეს. ამ დროს მოხდა ენით აუწერელი საარაკო ამბავი, რომელიც ცოტნე დადიანის გმირობის სახელითაა ცნობილი.

დაპატიმრებას შემთხვევით გადაარჩენილი ცოტნე დადიანი, როდესაც მეგობრების უბედურება შეიტყო, დაუყოვნებლივ სომხეთს გაემართა, ჩავიდა ანისს, მივიდა თანამოძმეებთან, ტანთ გაიხადა და გვერდით მიუჭდა. ასეთი საქციელით გაოცებულმა მონგოლებმა, როცა ცოტნეს პჟითხეს, რამ გამოიწვია მისი ამგვარი ქცევა, უპასუხა, რომ ქართველი დიდებულები უდანაშაულონი არიან და თუ მართალი ხალხის სე განუკითხავად დასჯა შეიძლება, მაშინც მეც დამსაჯეთო. ცოტნე დადიანის კეთილშობილურმა და

გა. ეს ის ყვარყვარება, რომელიც შალვა თორელის დაღუპვის  
დევ თამარის ასულმა რუსულანმა ამ პროვინციის გამგებლად დამკარგად  
ნიშნა.

ყვარყვარე დიდი პატრიოტი და მედგარი პიროვნება იყო. მან  
სხვებსავით ლაქუცი კი არ დაუწყო მონგოლებს, პირიქით, იგი  
თავანწირვით ებრძოდა მათ. მისი წინდახედულობა რომ არა, მონ-  
გოლები მთლიანად მოსპობდნენ ზემო ქართლის მოსახლეობას.  
ყვარყვარე ჯაყელმა თხოვნით მიმართა რუსულან მეფეს, რათა ამ  
უკანასკნელს მონგოლებთან პირდაპირი მოლაპარაკების ნება და-  
ერთო. რუსულანი დათანხმდა. ამ გონივრული ნაბიჯით ყვარყვარემ  
მთელი ზემო ქართლი გადაარჩინა გაპარტახებას და გაუკაციე-  
ლებას.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ სამშობლოს მძიმე  
ხევდრმა დიდად დააფიქრა ქართველი მამულიშვილები. ქვეყნის  
ხსნა მონგოლების უღლისაგან აჯანყების გზით გადაწყვიტეს. აჯან-  
ყების მომზადებისა და ორგანიზაციის მიზნით შეთქმულები ჯავა-  
ხეთში, კოხტასთავს შეიკრიბნენ. აქ შეხვდნენ ერთმანეთს ყვარ-  
ყვარე ჯაყელი, ერგასლან ბაჟურციხელი, ვარამ გაგელი, შოთა კუპ-  
რი, გამრეცელ-თორელი, სარგის თმოგველი, თორლვა პანკელი და  
სხვა ქართველი დიდებულები. მათ შორის იყო აგრეთვე ცოტნე  
დადიანი. შეთქმულებმა ითათბირეს, აჯანყების ვაღაც დათქვეს და  
საომრად განწყობილები დაიშალნენ.

შეთქმულება ვიღაცა არაკაცმა გასცა და მათი უმრავლესობა  
მონგოლებმა დააპატიმრეს. დაბორკილი პატრიოტები სომხეთში,  
ქალაქ ანისში წაიყვანეს, გააშიშვლეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და  
პაპანაქება სიცხეში დაყარეს. ამ დროს მოხდა ენით აუწერელი სა-  
არაკო ამბავი, რომელიც ცოტნე დადიანის გმირობის სახელითაა  
ცნობილი.

დაპატიმრებას შემთხვევით გაზარჩენილი ცოტნე დადიანი,  
როდესაც მეგობრების უბედურება შეიტყო, დაუყოვნებლივ სომ-  
ხეთს გაემართა, ჩივიდა ანისს, მივიღა თანამოძმევებთან, ტანზ  
გაიხადა და გვერდით მიუჯდა. ასეთი საქციელით გაოცებულმა მონ-  
გოლებმა, როცა ცოტნეს ჰქითხეს, რამ გამოიწვია მისი ამგვარი  
ქცევა, უპასუხა, რომ ქართველი დიდებულები უდანაშაულონი  
აჩიან და თუ მართალი ხალხის ასე განუკითხავად დასჭა შეიძლება,  
მაშინც მეც დამსაჯეთო. ცოტნე დადიანის კეთილშობილურმა და

ფე და სარდალი. ცოტა ხანს ურდოში ამყოფა და მერე თოვე  
საქართველოში გამოისტუმრა. ქართველები ვალდებულები ჰყანება  
პირველი დაძახებისთანავე ლაშქრით გიმოცხადებულიყვნენ ჰულა-  
გუ ყაენთან.

დავით მეფისა და სარგის ჯაყელის მევობრობა, სამწუხაროდ,  
დიდხანს არ გაგრძელებულა. მოშურნებმა მეფე ჯაყელის ორგუ-  
ლობაში დაარწმუნეს, ვითომდა სპასალარი მეფისაგან განდგომას აპი-  
რებდა. 1266 წ. შემოდგომაზე სარგის ჯაყელი მოტყუებით დააპა-  
ტიმრეს. როდესაც ირანის მფლობელმა ილხანმა აბალამ ჯაყელის  
დაპატიმრების ამბავი შეიტყო, მან დავით მეფეს სარგისის განთა-  
ვისუფლება და ირანში გაგზავნა მოსთხოვა.

მეფის ღალატით გაბოროტებულმა სარგის ჯაყელმა ილხან აბა-  
ლას თავის სამფლობელოს საქართველოდან გამოყოფა და უშუალო  
მორჩილება სთხოვა. ილხანსაც ეს უნდოდა. გარეშე მტრებს  
აწყობდათ საქართველოს დაქუცმაცება და თანხმობა მისცეს სარგის  
ჯაყელს. როგორც საქართველოს ისტორიაში წერია, პატივმოყვარე  
სპასალარმა სარგის ჯაყელმა თავისი უვნებლობა საქართველოს და-  
რღვევის საფასურად მოიპოვა.

ამრიგად, XIII ს. სამოციანი წლების მიწურულიდან აღმოსავ-  
ლეთ საქართველოს საქმაოდ დიდი ტერიტორია ჩამოსცილდა —  
ტაშისკარიდან არსიანამდე და იგი უშუალოდ მონგოლთა ყაენის  
ქონებათა სამმართველოს დაუმორჩილდა. ასეთი პოლიტიკური სი-  
ტუაციის მიუხედავად, სამცხე-საათაბაგოსა და დანარჩენ საქარ-  
თველოს შორის კულტურულ-ეკონომიკური კავშირი არ შეწყვეტი-  
ლა. ზემო ქართლის მფლობელები ფეოდალური საქართველოს სა-  
მოხელეო სისტემის ობიექტში ტრიალებდნენ. სარგის ჯაყელი კვლავ  
სამცხის სპასალარის სახელს ატარებდა. სამცხისავე სპასალარებად  
ითვლებოდნენ მისი უახლოესი შთამომავალნი. რომლებიდანაც ყვე-  
ლაზე სახელოვანი პიროვნება მისი შვილი ბექა მანდატურთუხუცე-  
სი იყო.

სარგისის შემდეგ ზემო ქართლში ბექა მანდატურთუხუცესი  
მთავრობდა (1285—1306 წწ.). ბექა შორსმცვრეტელი პოლიტიკო-  
სი, ნიჭიერი მხედართმთავარი და მგზებარე მცევრმეტყველი კაცი  
იყო. არც ქართველობის პატრიოტიზმი აყლდა. სამფლობელოში  
წესრიგის დამყარებისათვის შეადგინა საკანონმდებლო ძეგლი —  
„წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“, რომელსაც  
დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა და ინტენსიური კვლევის

ობიექტს წარმოადგენს. ბეჭა დიდ სამშენებლო საქმიანობას ეწეოდა.  შეაკეთა იავარყოფილი ბევრი ციხესიმაგრე, გაიუვანა გზები ააშენა ეკლესია-ტაძრები. ქვეყანა თანდათან კალაპოტში ჩადგა, დაიწყო ეკონომიკური განახლება, გამეფდა მშვიდობა და, რაც მთავარია, მოსახლეობამ იწყო მატება.

ლამაზი გარეგნობის, ვაჟა-ფშავერი აღნაგობისა და გმირული შემართების ბეჭა მანდატუროთუხუცესი, როგორც აკად. ივანე ჯავახიშვილი წერს, „თავის სამფლობელოს ფხზილად სდარაჯობდა და მტრის შემოსევის ყოველსავე ცდას უმალ მედგარ წინააღმდეგობას უწევდა“.

ბეჭა მანდატუროთუხუცესი იმდროინდელი საქართველოს ცალკეული სამეცნიერების და სამთავროების ხელისუფალთა შორის დიდი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. თავისი ფეოდალური პატივმოყვარეობის მიუხედავად ბეჭა საქართველოს ინტერესებით ცხოვრობდა. ყველა ქართველ მეცე-მთავართან ჰქონდა გამონახული საერთო ენა. მან იმასაც კი მიაღწია, რომ თავისი ქალიშვილი ნათელა აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს — დემეტრე მეორეს მიათხოვა. ეს ის დემეტრეა, რომელმაც შემდეგში საქართველოსათვის თავი დადო, რისთვისაც მადლიერმა ქართველმა ხალხმა „დემეტრე თავდადებული“ შეარქვა. ნათელა დედოფლისაგან დემეტრე მეორეს ერთადერთი ვაჟი შეეძინა, რომელიც მამის დაღუპვის შემდეგ პაპასთან, ბეჭა მანდატუროთუხუცესთან იზრდებოდა. ეს გახლდათ უფლისწული გიორგი, მომავალში ერთიანი საქართველოს დიდი ხელმწიფე, ბრწყინვალედ წოდებული.

ერთიანი ქართული ფეოდალური საქართველოს დაქუცმაცაბის პერიოდში, პირველობისათვის მებრძოლ იმ სამთავროთა და საერისთავოთა მესვეურებს შორის ყველაზე კოლორიტული, შორს-მჭვრეტელი და ენერგიული პოლიტიკოსი ბეჭა მანდატუროთუხუცესი იყო. მისი პოლიტიკური ინტერესები იმდენად ფართო და მტკიცე იყო, რომ მან ტრაპეზუნტის სამეცნ-საკეისროში ქართული გავლენის დამცველის როლიც კი იყისრა. ამ მიზნის გაღრმავება-განმტკიცებისათვის ბეჭამ ტრაპეზუნტის კეისარ ალექსი მეორეს თავისი უცროსი ქალიშვილი შერთო ცოლად.

ტრაპეზუნტის სახელმწიფოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, როგორც ცნობილია, უძველესი ქართველური ტომის, ლაზების სამფლობელოს წარმოადგენდა. ჯერ ძველი ბერძნები, ხოლო შემდეგ მათი შთამომავლები — ბიზანტიელები მუდამ იმის ცდაში იყვნენ,

რათა ხელში ჩაეგდოთ ეს მიწა-წყალი. უცხოელთა ყოველ ასეთ  
მცდელობას მუდამ ეწინააღმდეგებოდა საქართველო. ბერძენიშვილი  
მოტევა ტრაპეზუნტის იმპერიაზე განსაკუთრებით ბეჭა მანდატურთ  
უცხცესის დროს გაძლიერდა. მაგრამ არც ბეჭა დახვდა გულხელ  
დაკრეფილი. მის მიერ გადადგმულმა ენერგიულმა ნაბიჯმა —  
ალექსი კეისართან დამოყვრებამ, ფრიად შეაშფოთა ბიზანტია, პი-  
რადად იმპერატორი ანდრონიკე მეორე. ბიზანტიელებმა მათთვის  
ჩვეულ ხრისტეს მიმართეს. ყველაფერი იღონეს იმისათვის, რათა  
ერთმანეთისათვის დაეცილებინათ — გაეყარათ ტრაპეზუნტის კეი-  
სარი ალექსი მეორე და ქართველი დედოფალი, მაგრამ მიზანს ვერ  
მიაღწიეს. პირიქით მოხდა, ცოლ-ქმრის ურთიერთობა უფრო გან-  
მტკიცდა. სულ მოკლე ხანში მოხდა ძალიან სამწუხარო ამბავი:  
1333 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ალექსი კეისრისა და ბე-  
ჭას ასულის პირმშო ანდრონიკე კეისარი, რომელმაც მამის სიკვ-  
დილის შემდეგ მხოლოდ სამი წელი იმეფა. ბიზანტიამ ისარგებლა  
შექმნილი სიტუაციით, მოახერხა ვერაგული გეგმის განხორციე-  
ლება. მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. გაულიტეს ქართული  
ორიენტაციის მომხრენი. პირველ რიგში მოკლეს სამეფოს პირველი  
ვეზირი, დიდი დუქა ჭავჭავაძე და მთავარსარდალი, დიდი დომესტი-  
კოსი ჭაბა. ყოველივე ამის შედეგად ტრაპეზუნტის საკეისრო ძალიან  
დასუსტდა და მალე ბიზანტიის ვისილად გადაიქცა. ბედმა ესეც არ  
აქმარა. მცირე აზიაში შემოჭრილმა და გაბატონებულმა თურქებმა  
დაიპყრეს. ასე დაამთავრა არსებობა ტრაპეზუნტის საკეისრომ,  
რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, საქართველოს ბუ-  
ფერულ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ბეჭა მანდატურთუხცესის დროს ტაოსა და ბასიანს აზატ-მო-  
სეს მეთაურობით თურქები შემოესიენ. ტაოს ერისთავი თაყა ფა-  
ნასკერტელი თურქთა მარბიელ ლაშქარს მოუმზადებელი შეხვდა.  
მართალია, თაყა ერისთავი მცირე რაზმებით მედგრად ებრძოდა  
თურქებს, მაგრამ მათი თარეში ვერ შეაჩერა. პირიქით, თუ ჩქებმა  
უფრო მაგრად შემოუტიეს ზემო ქართლის სამხრეთ სანახებს. გამძ-  
ვინვარებული მტერი არბევდა და ანადგურებდა მოსახლეობას,  
სოფლებს, იალაღებიდან ერეკებოდა საქონელს. როდესაც ბეჭამ  
შეიტყო თურქების შემოსევა, მაშინვე მოუწოდა ზემო ქართლე-  
ლებს — მესხებს, ჭავახებს, კლარჯებს, შავშელებს. მყისვე შეკრიბა  
ქართველი მხედრობა და ბრძოლის წინ, ლაშქრის წინაშე მგზნება-  
რე სიტყვა წარმოთქვა, რომელიც ქართული მცენრმეტყველების

შესანიშნავ ნიმუშადაა მიჩნეული. აი, ეს სიტყვაც: „ისმინეთ, ქართველობის გარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავენო ჩემნო, მან მარტო ტყუა ჩემი!

ღილმან და სახელოვანმან, სკიპტრისა და პორფირის მქონებელთა შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით (აღმაშენებელზეა ლაპარაკი—თ. ჩ.) დასცა და დაამხო ძლიერება თურქთა ნათესავისა და აოტნა სამეფოსაგან მისისა. მიერ უამითგან აქომომდე არღარა ჩენილან თურქნაი, და აწ ცოდვითა ჩუენთათვს, და კუალად ალიძრნეს მდვინვარედ მოახსრეს ტაო, და ურიცხვ სული ტყუეყვეს და მოსწყვდეს პირითა მახვილისითა. ეკლესიანი დასცეს და სიწმინდენი შეაგინეს, და კუალად გამზადებული არიან ბოროტის ყოფად ქრისტეანეთა და მოჯრებად, ვინათვან მეფე (დემეტრე მეორე — თ. ჩ.) შემცირებულს არს მძლავრებისაგან თათართასა და კუალად პირნი და თავნი საქართველოსანნი განდგომილან, და არავინ არს წინააღმდეგომ თურქთა.

აწ ისმინეთ ჩემნი, ტომნო და ერთ-ნებენო! და შევკრბეთ ყოვლითა ძალითა ჩუენითა და მივმართოთ თურქთა, და არ მივსცეთ თავნი და შვილნი ჩუენნი, და არა განუგწირნეს ლმერთმან მოსავნი და აღმსარებელნი მისნი, და მოგუცეს ძლევა მათ ზედა, ვითარ მისცა მამათა ჩუენთა ძლევა მათ ზედა. დავდვათ თავი ჩუენი სჯულისა შეუგონებლობისათვის და ძმათა ჩუენთათვს, უეჭველად ლმერთი მოგუანიჭებს ცხოვრებას!”

ბექას მგზნებარე სიტყვით აღფრთვეანებული ქართველები მედგრად ეკვეთვნ მომხდურებს. ჯერ ბექას ვაუმა, სარგისმა დაიფრინა თურქთა მრავალთასიანი არმია, ხოლო შემდეგ 12 000 კაცი-საგან შემდგარმა ქართველთა ლაშქრის ძირითადმა ბირთვმა უშუალოდ ბექა მანდატურთუხუცესის ხელმძღვანელობით დაამარცხა და გააქცია თურქთა 30 000 არმია. გაჟერულ თურქებს ქართველები ქალაქ სპერთან წამოეწიენ და ერთდღიანი ფიცხელი ბრძოლის შემდეგ საბოლოოდ გაანადგურეს.

ბექა მანდატურთუხუცესის სიკვდილის შემდეგ ზემო ქართლში, მისი შეიღი სარგის მეორე (1306—1334 წწ.) მთავრობდა. სარგისის ათაბაგობის ბოლო პერიოდში საქართველო კვლავ გააერთიანა მისმა დისტულმა გიორგი მეხუთე ბრწყინვალემ (1314—1346 წწ.). გიორგი ბრწყინვალე, დავით აღმაშენებლის შემდეგ, ქართველ მეფეთა შორის ყველაზე შორსმშევრეტელი პოლიტიკოსი და მტკიცე ნებისყოფის პიროვნება იყო. მან ბოლო მოუღო ერისმთავრე-

ბის თვითნებობას და გამთიშველობას. ალაგმა ყველა თავნება და ფეოდალი და მათი სამფლობელოები პირდაპირ სამეფო კუნძულის დაუქვემდებარა. როდესაც ბიძამისი, დედის ძმა, სარგის მეორე გარდა იცვალა (1334 წ.), მისი შვილი, ყვარყვარე თვითონვე დანდშნა სამცხე-საათაბაგოს მმართველად.

საქართველო, მისი არხებობის მთელ მანძილზე, მრავალჯერ ყოფილა მტრებისაგან დარბეული, მაგრამ ძნელია იმის გადმოცემა, რაც თემურ ლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა თავს დაატეხა ჩვენს ქვეყანას. თემურ ლენგმა 1386 წლიდან მოყოლებული, თხუთმეტი წლის განმავლობაში რვაჯერ ილაშქრა საქართველოზე, რომლის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ვერა და ვეღარ გასწორდა წელში. თემურ ლენგის „ურდოებთან ხანგრძლივსა და უთანასწორო ბრძოლაში გაჩანაგდა საქართველოს ერმრავალი მოსახლეობა, დაიწვა და გადაშენდა სოფლები და დაბა-ქალაქები, დაიქცა და დაილეწა ციხე-კოშკები, გაიჩეხა და გაპარტახდა ბაღ-ვენახები, შეირყვნა და შეიბილწა ეკლესია-მონასტრები, განადგურდა ერის მატერიალური და სულიერი კულტურის დიდებული ძეგლები“ (კ. ტაბატაძე). ასეთივე მძიმე ბედი ხვდა წილად ვითომდა დამოუკიდებელ სამცხე-საათაბაგოს. ივანე ჯაყელის ათაბაგობის დროს, 1400 წ. თემურ ლენგმა მთელი ზემო ქართლი მოაოხრა. ისტორიკოსის ცნობით, სამარყანდელი მბრძანებელი „ჩაუდგა შიგან ზემო ქართლსა, რომელს არს საათაბაგო და ვერარა წინააღმდეგა ათაბაგი და ივლტოდა სიმაგრეთა შინა. მაშინ მრავალი ბოროტი მოაწია, და მოსრა პირითა მახვილისათა სულნი მრავალნი, მრავალი ტყუე ჰყო, და დაქცივნა წმინდანი ეკლესიანი, და დაწვნა ცეცხლითა ყოველივე შენობანი, თემი და დაბანი“. ძნელია ამაზე ამომუშარავად და ლაკონიურად გადმოიცეს ის საშინელებანი, რაც თემურმა ზემო ქართლში დაატრიიალა.

XV ს. დასაწყისში ქართველთა გაჭირვებას ისიც დაერთო, რომ ივანე ათაბაგი საქართველოს მეფეს გიორგი VII განუდგა. ათაბაგს მეფის ძმა კონსტანტინე მიემხრო. ორივ განდგომილი სულ მალე დიდი ძლვენით თემურ ლენგს ეახლენ და ერთგულება შეჰვიცეს. ქვეყანაში შინა აშლილობაშ ახალი ძალით იფეთქა. დაუძლურებულსა და თითქმის გაპარტახებულ საქართველოში, მეფე გიორგი VII გარდაცვალების შემდეგ, მისი განდგომილი ძმა კონსტანტინე ჭამეფდა. მაგრამ კონსტანტინემ, არათუ ქვეყანას ვერ მოუარა, საკუთარ შვილთანაც ვერ გამონახა საერთო ენა. ბატონიშვილი ალექ-

სანდრე მამის სახლიდან გაიქცა, ზემო ქართლში ჩავიდა და მისის ყოფილ მეგობარს ივანე ჭაველს შეაფარა თავი. ათაბაგებადა რასაკვირველია, გამოიყენა სამეფო ოჯახის წევრებს შორის უთანხმოება და ქარგადაც მოითბო ხელი. ალექსანდრე უფლისწულისადა ივანე ათაბაგის მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ალექსანდრე მალე მიხედა. ათაბაგის ვერაგობას, რომელსაც საქართველოს შინააშლილობით თავისი მდგომარეობის განმტკიცება სურდა, დაუბრუნდა ოჯახს და კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ თვითონ ავიდა ტახტზე. ალექსანდრე პირველი საქართველოს ისტორიაში დიდის სახელითაა შესული. მან ოცდაათ წელზე მეტხანს იმეფა (1412—1443 წწ.) და თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს ერთიანობისათვის.

XV ს. მიწურულს ივანე აღმულას ძე ჭაველმა თავისი სეპარატისტული მოქმედება ბოლომდე მიიყვანა და თავი დამოუკიდებელ მთავრად გამოაცხადა. მან ესეც აღარ იქმარა, 1415 წ. შეჰეკარა ლაშქარი და ალექსანდრე დიდის შინააღმდეგ გაემართა. მეფე იმხანად კონტასთავს (ჭავახეთში) იდგა. ფიცხელ ბრძოლაში ურჩი ათაბაგი დამარცხდა, ტყვედ ჩაუვარდა სამეფო ლაშქარს. განრისხებულმა მეფემ ათაბაგსა და მის მომხრე დიდებულებს მამულები ჩამოართვა. ზემო ქართლის ციხესიმაგრეებში თავისი სანდო ხალხი ჩაყენა.

პატიმრობაში მყოფმა ივანე ჭაველმა თავისი ცოდვები მონანია და შენდობა-პატიება სთხოვა მეფეს. ერთგულების ფიცის დადების შემდეგ მეფემ აპატია დანაშაული და იგი კვლავ ათაბაგად დატოვა.

1416 წ. ზემო ქართლს ყარა-იუსუფის ურდოები შემოესია. შინაგამცემთა მეშვეობით თურქებმა ახალციხის ციტადელი — დედო ციხე იღეს და შივ ცეცხლი და მახვილი დაატრიიალეს. ყარა-იუსუფმა უამრავი ქართველი დაატყვევა, გაძარცვა ახლომახლო ადგილები და სამეფო ჭართან შეხვედრის შიშით სასწრაფოდ გაეცალა საქართველოს.

XV ს. ორმოციან წლებში ივანე ჭაველის შვილს, აღმულას (1444—1451) ათაბაგობაში ბიძამისი ყვარყვარე შეეცილა. ყვარყვარემ გადაიბირა დიდებულები, შეკრიბა ლაშქარი, დაესხა თაქს მის-წულს და დაამარცხა. დამარცხებული აღმულა ათაბაგი ალექსანდრე დიდის შვილს, გიორგი VIII ეახლა და ეთაყვანა. გიორგი მეფემ შეიწყნარა აღმულას ვეღრება და დახმარება აღუთქვა. შეჰეკარა

ლაშქარი და ყვარყვარეს წინააღმდეგ გაემართა. შეშინებულმა ყვარყვარემ მეფეს შებმა ვერ გაუტედა და თავისი ფეხით საქართველოს ხელმწიფეს. გიორგი VIII ყვარყვარე მძევლად დაიტოვა, ხოლო ათაბაგობა კვლავ ობბულა ივანეს ძე ჯაყელს დაუტოვა. სამწუხაროდ, გიორგი მეფემ მალე მიივიწყა ყვარყვარეს ვერაგობა და როცა ობბულა გარდაიცვალა, ათაბაგობა — ზემო ქართლის მთავრობა ყვარყვარეს უბობა.

ყვარყვარე ათაბაგმა მალე გამოაჩინა თავისი ბოროტი ზრახვები, რამაც გარკვეული ბიძგი მისცა საქართველოს დაქუცმაცებას. იგი იმდენად გათავსედდა, რომ მეფეს აღარ ეპუებოდა. განდიდების მანიით შეპყრობილმა ყვარყვარემ თავისი ვერაგული მოქმედებით შუღლი და მტრობა დათესა ყველა სფეროში. აქტიურად დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ ჩამოეშორებინა საქართველოსაგან მისი სისხლხორცეული ნაწილი სამცხე-საათაბაგო, მთელი იმდროინდელი ზემო ქართლი. სამეფო კარის გვერდის ავლით დაიწყო დამოუკიდებელი, სეპარატული საგარეო პოლიტიკის წარმოება. გაიჩინა საკუთარი დესპანები, რომლებსაც დავალებებით სხვადასხვა ქვეყანაში აგზავნიდა. გაკადნიერებული ყვარყვარე ათაბაგი უფრო შორს წავიდა. უარყო მცხეთის კათალიკოს-პატრიარქის პირველმლოდელთმთავრობა, ეკლესიებსა და მონასტრებში წირვა-ლოცვისას აქრძალა კათალიკოსისა და მეფის მოხსენიება. თვითნებურად ნიშნავდა თანამდებობებზე სამლოდელო პირებს. იგი იმდენად გათავსედდა, რომ განიზრახა აწყურის მთავარ-ეპისკოპოსი მაწყვერელი საქართველოს კათალიკოსისათვის გაეტოლებინა. ყვარყვარეს ასეთ ვერაგულ, გამოიშველ მოქმედებას, ბუნებრივია, მეფე და კათალიკოსი ვერ შეურიგდებოდნენ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა დავითმა, ურჩი და განკურძოების მომხრენი სასტიკად შეაჩვენა, რასაც ყვარყვარემ კვლავ ვერაგობით უპასუხა. სასტრაფოდ გამოძებნა ქართული ეკლესის დაუძინებელი მტერი, ერთი გაიძვერა, ვითომდა „წინასწარმეტყველი“ ნაირალა ბერძენი მლოდელი და უბრძანა, დაეწყო პროვოკაციული ქადაგება საქართველოს პატრიარქის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ზოგიერთი გონებაშეზღუდული სამლოდელო პირი აჰყვა პროვოკატორს. მაგრამ, საერთო-ქართული ქრისტიანული ეკლესის მოწინააღმდეგებს არაფერი გამოუვიდათ. ბერძენი „წინასწარმეტყველისა“ და ზოგიერთ გზააბნეულ სამლოდელოს წინააღმდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა საგანგებო და გადამჭრელი ზომები მიიღო.

აკად. ივ. გავახიშვილი წერდა, რომ აღნიშნული პერიოდისათვის არცთუ ისე ადვილი იყო ერთიანი ქართული ეკლესიისაგან დანართობის დგომა. კათალიკოს-პატრიარქმა მტკიცედ გადაწყვიტა, საქართველოშე ჩვენი უძველესი სამღვდელო პირი. ანათემის შიშით თავზარდაცემული ზემო ქართლის სამღვდელოება მუხლმოყრით ეახლა კათალიკოსს და პატიება სთხოვა. შერისხულებს ფიცისა და ერთგულების წიგნზე მოაწერინეს ხელი. ამის შემდეგ სამცხე-საათაბაგოში ყოველი სამღვდელო პირის კურთხვისას კათალიკოსისა და მეფის ერთგულებას აფიცებდნენ. ეს ფიცი, როგორც აკად. ივ. გავახიშვილი შენიშნავდა, იმავე დროს „საქართველოს სახელმწიფოს და ეკლესიის მთლიანობისა და ერთობის ფიცი იყო“.

ხანგრძლივი ბლოკადისა და განუწყვეტელი იერიშების შემდეგ, 1453 წლის 30 მაისს თურქებმა სულთან მეჰმედ მეორის წინამძღოლობით ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი აიღეს. გამარჯვებულმა თურქებმა ქალაქს სახელი გამოუცვალეს და ახალი სახელი—სტამბული შეარქვეს. მრავალსაუკუნოვანმა ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა.

ბიზანტიის იმპერიის განადგურება, საუკუნეების მანძილზე მასთან არსებული შეჯახებების მიუხედავად, საქართველოსათვის მეტად სამწუხარო მოვლენას წარმოადგენდა. ოსმალო-თურქების ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დამკვიდრებით, საქართველოს ირგვლივ მუსლიმანური სამყაროს დახშული წრე შეიკრა. ევროპასთან ურთიერთობის ყველა გზა დაეხშო. ამიერიდან საქართველოს მთელ მუსლიმანურ სამყაროში მარტოდმარტო მოუხდებოდა ყოფნა-არყოფნის გადაწყვეტა. ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია. შეწუხებულები იყვნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მესვეურებიც. აღრე თუ გვიან მათაც მიაღებოდა თურქთა ლაშქარი.

თურქების ბალკანეთში გადასვლა კარგს არაფერს უქადა არა მხოლოდ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სამყაროს, არამედ უშუალოდ რომის პაპის სამწყსოსაც. გათვალისწინა რა ყოველივე ეს, რომის პაპმა გადაწყვიტა სამხედრო კოალიცია მოეწყო თურქების იმპერიის წინააღმდეგ. ამ მიზნით, სხვასთან ერთად, საქართველოშიაც გამოვჭავნა თავისი დესპანი ლუდოვიკ ბოლონიელი.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, პაპის დესპანს ქართველ მეფე-მთავართა შორის თანხმობა ჩამოუგდია. პაპის მოწო-

დებას ქართველები აქტიურად გამოეხმაურნენ და ერთიანი ქართული ლაშქრის შეკრება გადაწყვიტეს. ქართველთა შორის ყველაზე აქტიურად მაინც ყვარყვარე ათაბაგი მოქმედებდა. მან სპეციალური წერილით, რომელიც საფრანგეთში თავისი დესპანის ხელით 1459 წ. გავზავნა, ბურგუნდიის მთავარს აცნობა, რომ იგი მზადაა, რათა თავის მხედრიონით შეუერთდეს მოკავშირეებს.

ყვარყვარე ათაბაგის გარდა, თურქების წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის თანხმობა განაცხადა მეფე გიორგი VIII, გურიელმა და აფხაზეთის ერისთავმა. ჩარტო სამცხე-საათაბაგო ევროპელებს 20 000 ცხენოსნის გამოყვანას პირდებოდა. სამწუხაროდ, მოკავშირეებმა თავიანთ ჩანაფიქრს ხორცი ვერ შეასხეს. ევროპის მეფე-მთავრებმა თურქებისათვის ვერ მოიცალეს. ისინი საჯუთარი შინაური საქმეებით იყვნენ დაკავებულნი.

იმის მაგივრად, რომ თურქების საწინააღმდეგო სამხედრო კოალიციის ჩაშლას გონჩე მოეყვანა ქართველი მეფე-მთავრები და ერთიანი ძალით შეეტიათ გაძლიერებული მტრისათვის, პირიქით მოხდა. კვლავ ახალი ძალით იფეთქა შინააშლილობამ, რომლის სულის ჩამდგმელი და წამომწყები ისევ ყვარყვარე ათაბაგი გახდა.

ყვარყვარემ ომი დაუწყო გიორგი VIII. ამ საქმეში მან ირანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანი მოიშველია. ერთობლივ შემოტევას ველარ გაუძლო ქართველთა მეფემ და დამარცხდა. ისარგებლა რა გიორგი VIII დამარცხებით, იჯანყდა ქუთაისის ერისთავი ბაგრატი, რომელიც ბაგრატიონთა შთამომავალი იყო. ბაგრატს სხვა დიდგვაროვანი აზნაურებიც დაეხმარნენ და კვლავ სძლია მეფე გიორგის. ეს მოხდა 1463 წ., რომელიც ჩიხორის ომითაა ცნობილი. ბაგრატმა კი გაიმარჯვა, მაგრამ წარმატება ველარ განავითარა. საქმე ძალიან ცუდად წაუვიდა. იგი იძულებული გახდა თავის გადარჩენაზე ეზრუნა. როგორც ყოველთვის, ავ საქმეში კვლავ ყვარყვარე ჩიერია, ბაგრატს დახმარების ხელი გაუწოდა. ამის გამონე განრისხებული გიორგი VIII 1465 წ. განდგომილი მთავრის დასასჯელად ზემო ქართლს გაემართა.

მეფე თავისი ლაშქრით ფარავნის ტბასთან დაბანაკდა. განდგომილები ავი საქმისათვის მოემზადნენ. მეფის ღიალატით მოკვლა გადაწყვიტეს. შეთქმულთა ზრახვა სრულიად შემთხვევით მეფის ერთგულმა იოთამ ზედგინიძემ შეიტყო და ყველაფერი პატრონს მოახსენა. გიორგი VIII არ დაუჭერა ერთგულ აზნაურს. მაშინ ითამმა გადაწყვიტა საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაერჩინა მეფე.

მან ითხოვა ნება მის კარავში დაწოლილიყო, ხოლო თვითონ მეფე კი საიდუმლოდ სხვაგან გადასულიყო. მეფე დაეთანხმა ზედგინიძეს და მოსასვენებლად სხვა კარავში გადავიდა. იოთამი ღამით მეფის კარავში დარჩა. გვიან ღამით შეთქმულები შეიძარნენ მეფის კარავში და სასიკვდილოდ დაჩეხეს იოთამ ზედგინიძე. როცა დილათ მეფემ ერთგული ადამიანის სიკვდილი შეიტყო, საშინლად განრიცხდა. გასცა განკარგულება, გამოძიება დაეწყოთ; რაც არ უნდა დაღომოდათ, ეპოვათ დამნაშავენი. ყვარყვარემ ამ არეულობით ისარგებლა, თავს დაესხა სამეფო ღაშქარს, დაამარცხა და მეფეც ტკიცდა ჩაიგდო. მაგრამ, ათაბაგის ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა. მისი მემკვიდრე ბაადური საიდუმლოდ შეუთანხმდა მეფეს, რომ შემდგომში იგი საათაბაგოს საქმეებში აღარ ჩაერეოდა. თუ დათანხადებოდა, თავისუფლებას მიიღებდა. მეფეს რაღა დარჩენოდა, თანხმობა გამოუცხადა და თბილისისაკენ გასწია.

გიორგი VIII იოთამ ზედგინიძის თავგანწირული ერთგულება არ დაივიწყა. მის მემკვიდრეს თავადობა უბოძა და მამულებით დააჭილდოვა. ღარიბი აზნაურის შთამომავალი ზედგინიძეები, ქათლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფეოდალები, ამილახვრები გადნენ.

1477 წ. ზემო ქართლში ირანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანი შიქრა. მან მოითარეშა და უმოწყალოდ დაარბია ქვეყანა. მარტინ აწყურში მოთარეშეებმა მრავალი მოსახლე გადაბუგეს. გაწყვიტას აწყურის საკათედრო ტაძრის მსახური, გაძარცვეს ტაძარი და სხვა ძვირფასეულობასთან ერთად თან წაიღეს აწყურის ღვთისმშობლუნიკალური ხატი.

XV ს. მიწურულში ერთიანი ქართული ფეოდალური სახე მწიფოს დაშლის პროცესი უკვე დამთავრებული იყო. საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად საბოლოოდ 1491-92 წწ. დაქუმაცდა ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლას თან დაერთდი სათავადოების ჩამოყალიბების პროცესი, რომლის დამთარებისას მთლიანად მოიშალა სახელმწიფოებრივი მართვის აპარატი.

სათავადოები, რა თქმა უნდა, ზემო ქართლშიაც შეიქმნა. ყაზელთა ფეოდალურ გვარს დაუპირისპირდნენ აღზევებული შალი-კაშვილები, დიასამიძეები, ავალიშვილები. ყველაზე მეტად შალი-კაშვილთა ფეოდალური სახლი გაძლიერდა, რომლის ზოგიერთშა წარმომადგენელმა კიდევ უფრო გაამწვავა ამ სამხრეთ ქართულ სამთავროს პოლიტიკური კრიზისი.

XVI ს. დამდეგს ზემო ქართლს კვლავ დიდი უბედურება ჰყა-  
ატყდა. 1500 წელს ირანის შაჰი ისმაილის სარდალ ხოლეფა-ბეგის  
მეთაურობით თურქულ-თურქმანული წარმომავლობის ყიზილბა-  
შებმა დაარბიეს ქვეყანა. როგორც ერთი ქართველი ისტორიკოსი  
წერს, ყიზილბაშებს ძალიან დიდი ნადავლი წაუღიათ სამცხე-საათა-  
ბაგოდან.

მტერთა შემოსევებისა და შინაფეოდალური აშლილობისაგან  
მიყენებული მძიმე ჭრილობების მიუხედავად, XVI ს. დაწყებული  
თითქმის XVI ს. პირველი ნახევრის ჩათვლით, საქართველოს ის-  
ტორიაში განდგომილი ათაბაგების პოლიტიკური ორხევების პერი-  
ოდია. ჯერ იყო და ავად მოსახსენიებელმა ყვარყვარებმ არახელ  
ძლიერებას მიაღწია. როგორც უკვე ვიცით, იგი მეფესაც აღარაფ-  
რად აგდებდა. შემდეგ ყვარყვარესავე პოლიტიკას დაადგა მზეჭა-  
ბუკ ათაბაგი (1500—1515 წწ.), რომელმაც საკუთარ ძმისწულს —  
ყვარყვარე ქაიხოსროს ძეს ათაბაგობა წაართვა. შემდგომ ათაბაგო-  
ბაც არ იქმარა და თავისი თავი მეფედ და ყოვლისა აღმოსავლეთი-  
სა ხელმწიფედ გამოაცხადა. მართალია, მისი „მეფობა და ხელმწი-  
ფობა“ ზემო ქართლის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, მაგრამ ფაქ-  
ტი მაინც ფაქტად რჩება.

მზეჭაბუკი მეტად ძლიერი და შეუპოვარი პიროვნება იყო.  
სწორედ მისმა ვაჟკაცურმა შემართებამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი,  
როდესაც მამამისი ყვარყვარე 1463 წ. შეება კონსტანტინე მეფეს,  
მავრამ, როგორც ცნობილია, ამ გამარჯვების მიუხედავად ყვარყვარემ  
გადამწყვეტ წარმატებას მაინც ვერ მიაღწია. რადგანაც იგი შორს-  
მჭერეტელი პოლიტიკოსი არ იყო. მან ალო ვერ აუღო იმდროინ-  
დელ საერთაშორისო ვითარებას და საკუთარი სამთავროს ვიწრო,  
კუთხური პოლიტიკით შემოიფარგლა. იმისათვის რომ ზურგი მაგა-  
რი ჰქონდა, ოსმალეთთან ვაბა კავშირი და ერის ინტერესების  
დაღუპვას მიჰყო ხელი. მამის გზას დაადგა მზეჭაბუკიც. ოსმალების  
აქტიური დახმარებით გურიაში ილაშქრა და აჭარა-ლაზეთი თავის  
სამთავროს შეუერთა. განდიდების მანით შეპყრობილმა მზეჭა-  
ბუკმა ესეც არ იქმარა. სრული დიდებისათვის საეკლესიო სფერო-  
შიაც მოინდომა დამოუკიდებლობა. მართალია, მანაც ვერ მოახერ-  
ხა ერთიანი ქართული ეკლესიის დაშლა, მაგრამ მისმა ვერაცულ-  
სებარატისტულმა მოქმედებამ მაინც დიდი ზიანი მიაყენა ქართულ  
ეროვნულ ერთიანობას.

მზეჭაბუკის გარდაცვალების შემდეგ ათაბაგად მისი ძმისწულო /  
ყვარყვარე ქაიხოსროს ძე ჯაყელი გახდა (1515—1535 წწ.), მაგრამ მა-  
სხლა უმცროსმა ბიძამ, მანუჩარმა არ მისცა მოსვენების საშუალება.  
იგი აუჯანყდა ძმისწულს, შალიკაშვილები მიიმხრო და სულ მალე  
ათაბაგობაც ჩამოართვეს. გაბოროტებული ყვარყვარე დახმარების  
მიღების მიზნით ირანის შაპთან წავიდა. შაჰ ისმაილსაც ეს უნდო-  
და. დაუყოვნებლივ გამოგზავნა დიდი ლაშქარი სარდალ დივ-სულ-  
თან რუმლუს მეთაურობით. 1516 წ. თმოგვის ციხესთან შეებნენ  
ერთმანეთს დივ-სულთან რუმლუსა და მანუჩარის ლაშქარი. გამარ-  
ჯვება ყიზილბაშებს დარჩათ. ყვარყვარე კვლავ გახდა ათაბაგი.

ყვარყვარედ წოდებულ ყველა ათაბაგის მსგავსად, არც ყვარ-  
ყვარე ქაიხოსროს ძეს ასვენებდა განდიდების მანია. ათასნაირი  
ხრიკების ხლართვა დაიწყო იმერეთის მეფის, ბაგრატის წინააღმ-  
დებ. გურიის დაპყობის გეგმებსაც აწყობდა. ბაგრატი კი თავის  
მხრივ ძალ-ღონეს არ ზოგავდა იმერეთის სამეფოს გაძლიერებისა-  
თვის. ყვარყვარეს ავკაციობით თავმობეზრებული ბაგრატი გურიისა  
და სამეგრელოს მთავრებს შეუთანხმდა და 1535 წ. ყვარყვარეს  
დასათრგუნავად გაეშურა. გადამწყვეტი ბრძოლა ს. მურჯახეთთან  
(ახალქალაქის მახლობლადაა) მოხდა. ყვარყვარე დამარცხდა და  
ტყვედ ჩაუვარდა გამარჯვებულებს. ტყვეობაში მას დიდხანს აღარ  
უცოცხლია და სულ მოკლე ხანში გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე  
ქაიხოსრო ოთარ შალიკაშვილმა საიდუმლოდ გააპარა და სულთანს  
მიჰვარა სტამბულში.

ყვარყვარეს გარდაცვალების შემდეგ, ზემო ქართლის ერთი  
დიდი რეგიონი — ჯავახეთი ქართლის მეფემ ლუარსაბ I შეიერთა  
და იგი მთელი ათი წლის განმავლობაში ქართველთა მეფის ხელში  
იყო.

XVI ს. ორმოციანი წლების დასაწყისში თურქეთის სულთანია  
სულეიმან კანუნიმ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა გადაწყვიტა. ამ  
მიზნით 1543 წ. ზემო ქართლს 22 000-ანი არმია შემოუსია, რომელსაც  
არზრუმის ბეგლარბეგი მუსა ფაშა მეთაურობდა. იმერეთის მეფემ  
ბაგრატ მესამემ კვლავ მოიხმო გურიისა და სამეგრელოს მთავრები  
და თურქების შესახვედრად გაემართა. ამასობაში თურქებმა ოლ-  
თისის ციხესიმაგრე აიღეს და იქვე დაბანაკდნენ. გადამწყვეტი  
ბრძოლა ოლთისის მახლობლად, ქარალასთან მოხდა. ქართველებმა  
ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს.

ოლთისთან დამარცხებამ ოსმალეთს სამხრეთ საქართველოს დაპყრობაზე ხელი როდი ააღებინა. პირიქით მოხდა. 1545 წელს ლეიმან სულთანმა ზემო ქართლს უფრო დიდი ლაშქარი შემოუსია. საერთო მტრის წინააღმდეგ კვლავ შეიკრიბნენ ქართველი მეფე-მთავრები. ბასიანის მახლობლად, იქ სადაც 1204 წ. თამარ მეფის ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა გათავხედებული სულთანი რუქნ ად-დინი, მოხდა დიდი სისხლისმღვრელი ომი. ქართველი სარდლების ყოყლოჩინობამ, გარდაუვალი გამარჯვების ჩრდილი და არაორგანიზებულობამ, რომელსაც ლალატიც დაერთო, თავისი დამლუპველი შედეგი გამოილო. ბასიანთან ბრძოლა ქართველებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ისინი დამარცხდნენ და თანაც ძალიან მძიმედ.

ოთარ შალიკაშვილისა და ზოგიერთი სხვა გამყიდველი თავადის დახმარებით ოსმალო-თურქებმა თითქმის უბრძოლველად დაიკავეს ზემო ქართლის ციხესიმაგრები. ოსმალებმა სასწრაფოდ ჩამოიყანეს სტამბულში დავაუკაცებული ქაიხოსრო და ათაბაგად გამოაცხადეს.

ქაიხოსრო მესამემ (1545—1573 წწ.), რომელსაც ქართველობის გრძნობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული, მალე იგრძნო, რომ სულთანი მისი ქვეყნის სრული დაპყრობისათვის ემზადებოდა. სამწუხაროდ, იგი არსებულ ვითარებაში კარგად ვერ გაერკვა. იმის მაგივრად, რომ სხვა ქართველ მეფე-მთავრებთან გაერთიანებულიყო, ირანს მიმართა დახმარებისათვის. ირანსაც ეს უნდოდა. მათ იფიქრეს, რომ ერთი ხელის დაკვრით ლუარსაბ I გაანადგურებდნენ და ზემო ქართლსაც დაიპყრობდნენ. ირანის შაჰი თამაზი ჯავახეთს შემოესია. 1547 წ. ახალქალაქი აიღეს და მთელი ჯავახეთი მოაოხრეს. ცეცხლითა და მახვილით მოსპეს სახიზარებში თავშეფარებული უამრავი ქართველობა, მაგრამ გადამწყვეტ წარმატებას ვერ მიაღწიეს. რაღგანაც, როგორც „ახალი ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, თვითონაც დიდი ზარალი განუცდიათ, რამაც იმაში დაარწმუნა, რომ მეფე ლუარსაბს ადვილად ვერ დაამარცხებდნენ და დროებით გაცლა ამჯობინეს. დახმარების მაგივრად ირანელებმა, უბადრუკი ქაიხოსროს სამშობლო აწიოკეს.

1547 წ. კვლავ განახლდა ირან-თურქეთის ომი. თურქ-ოსმალოები პირველ რიგში ზემო ქართლში, სამცხე-საათაბაგოში შემოიჭრენ. ოსმალებისაგან შევიწროებით გონს მოსული ქაიხოსრო ათაბაგი შემოსეული მტრის წინააღმდეგ აჯანყდა. აჯანყება თითქმის

ორ შელიშადს გრძელდებოდა. სამწუხაროდ, ერთმანეთში მოკინჭება ლავე სხვა ქართველმა მთავრებმა თანამოძმებისათვის ვერ მოიხსენია ცალეს, დახმარების ხელი არ გაუწოდეს ზემოქართლელებს. მარტოდ დარჩენილი ზემოქართლელები ოსმალებმა 1549 წ. როგორც იქნა, დაიმორჩილეს. იერიშებით აიღეს ციხესიმაგრე, რომლიდანაც ათი მიწასთან გაასწორეს, ხოლო თხუთმეტში თავიანთ გარნიზონები ჩააყენეს. დამარცხებულმა ქაიხოსრო ათაბაგმა გაქცევით უშველა თავს.

მეცე ლუარსაბ I თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს ძლიერებისა და ერთიანობისათვის. იგი მედგრად დაუხვდა საქართველოში შემოჭრილ ოსმალებს. დიდი ბრძოლების შედეგად თითქმის მთელი ზემო ქართლი გაათავისუფლა. ოსმალები განდევნა სამცხიან, ჯავახეთიდან და კოლა-არტაანიდან. სამწუხაროდ, ლუარსაბის წარმატებები დიღხანს არ გაგრძელებულია. 1551 წ. საქართველოს ისევ შაპ-თამაზი შემოესია. მან პირველად კვლავ ზემო ქართლი დალაშქრა. გამდვინვარებული ირანელები არავის და არაფერს არ ინდობდნენ. დაანგრიეს ქალაქები, დაბა-სოფლები, გადაწვეს სახიზარები, აჩეხეს ბაღ-ვენახები. შაპ-თამაზმა დიდი ზარალის საფასურად ვარძის კლდეში ნაკვეთ ქალაქშიაც შეძლო შესვლა. უთანასწორო სისხლისმღვრელ ბრძოლაში დედაშულიანად ამოხოცეს ვარძის ქვაბებში თავშეფარებული ქართველები. გაწყვიტეს ვარძის მონასტრის ბერები. ვაანადგურეს ყველაფერი, რისი ვაანადგურებაც კი შეიძლებოდა. გაძარცვეს ვარძის საგანძურები და თან წაიღეს მონასტრის ოქროსა და ვერცხლის ძვირფასი ნაკეთობანი, თვალ-მარგალიტით შემქული ხატები, უძვირფასესი ხელნაწერი წიგნები. მოგლივეს და გაიტაცეს ვარძის მონასტრის ოქროს კარები და სხვა მრავალი ძვირფასეულობა.

შაპ-თამაზმა ათაბაგად კვლავ ქაიხოსრო მესამე ჯაყელი დასვა, რომელიც ფაქტიურად ირანის ყურმოჭრილ ვასალად გადაიქცა.

1555 წ. ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის შედეგად საქართველო ორ ნაწილად იქნა გაყოფილი. იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, ტაო, შავშეთი, კლარჯეთი და ლაზეთი ოსმალეთის გავლენის სფეროში მოექცა. ქართლი, კახეთი, თორის მხარე, სამცხე და ჯავახეთი ირანის გამგებლობაში გადავიდა. ბუნებრივია ქართველები ასეთ „დანაწილებას“ ვერ შეურიგდებოდნენ და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა კი არ შეანელეს, პირი-

ქით, უფრო გააძლიერეს. მრავალი მწარე დარტყმა აგემეს  აგრესორს.

ირანის გამეგბლობაში არსებული ზემო ქართლის ნაწილი — თორის მხარე, სამცხე და ჯავახეთი შაპ-თამაზშა კვლავ ქაიხოსრო ჯაყელს დაუტოვა. მართალია, იგი ირანის გასალი იყო, მაგრამ თურქები ქაიხოსროს არ ეპუებოდნენ და ხშირად არბევდნენ მის სამფლობელოს. ოსმალო-თურქებისაგან შეწუხებულმა ათაბაგმა დახმარებისათვის კვლავ შაპ-თამაზს მიმართა. იგი ყაზვინს ეახლა შაპს. შაპ-თამაზი ორჭოფულად დაპირდა დახმარებას. ირანელების დახმარების მოლოდინში ქაიხოსრო ათაბაგი 1573 წ. გარდაიცვალა ქალაქ ყაზვინში.

ქაიხოსროს შემდეგ ათაბაგობა ირანელებმა მის შვილს, ყვარყვარე მეოთხეს (1573—1581 წწ.) დაულოცეს. მაგრამ ქვეყანას ფაქტიურად მისი დედა — დედისიმედი მართავდა. დედისიმედი ენერგიული და ძალაუფლების მოყვარე ქალი იყო. იგი იოლად თავს არავის დააჩავრინებდა. ამ დროს შალიკაშვილები და მათი მომხრე დიასამიძეები ათაბაგს განუდგნენ და მისი ჩამოგდება განიზრახეს. შორს სმეჭვრეტელმა დედისიმედმა შეთქმულებს დაასწრო და მათი მეთაური, ვარაზ შალიკაშვილი მოაკვლევინა. მაგრამ შინა აშლილობას ამითაც არაფერი ეშველა. ათაბაგისა და განდგომილი თავადების მომხრეებმა გადასწვეს და დაარბიეს ერთმანეთის სახლკარი. ამ უბედურებას ისიც დაერთო, რომ ათაბაგობაში ყვარყვარეს მისი ძმა მანუჩარი შეეცილა. შინა აშლილობა და ძმათა სისხლისლვრა სამცხე-საათაბაგოში, მთელ ორ წელს მძვინვარებდა.

1578 წ. აგვისტოში ოსმალთა ურიცხვი ლაშქარი მუსტაფა ლალა-ფაშას მეთაურობით ჯავახეთში შემოიქრა. ყვარყვარემ ბევრი იღონა. მაგრამ ვერაფერს გახდა. ხელი არავინ გაუმართა. მის ძმას, მანუჩარ ჯაყელს, რომელიც ექვისიათასიან ლაშქარს სარდლობდა, ორჭოფული მდგომარეობა ეკავა. ოსმალოები მას მუსტაფა ლალა-ფაშას სახელით ათაბაგობას ჰპირდებოდნენ. მანუჩარიც იღგა და ელოდა, ვინ გაიმარგვებდა, ირანი თუ ოსმალეთი. არ ორჭოფობდნენ მხოლოდ ხალხისა და ქვეყნის ერთგული აზნაურები და გლეხეცაცობა. ბევრმა მათგანმა შეაკლა თავი კარზე მომხდეურ მტერს. მაგალითად, მგელისციხედ წოდებულ ციხესიმაგრეში (იგი ამჟამად თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული) გამაგრებული ქართველები, როინ და ბერი გოგორიშვილების მეთაურობით, ხუთი დღის განმავლობაში იგერიებდნენ იენიჩართა-

გააფორებულ იერიშებს. მტერთან ბრძოლაში გაწყდნენ ველის ჭიათურის, თეთრიციხის და ქაჯთაციხის (ყველა მათგანი ამჟამად თუშების თის ფარგლებშია) გმირი დამცველები.

იმავე წლის ცხრა აგვისტოს, ჩრდილის ტბასთან ერთმანეთს შეეკახნენ ირანელები და ოსმალო-თურქები. ირანელთა მხარეზე იბრძოდა თურქების ბატონობის მოშინააღმდეგე ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი. გადამწყვეტ ბრძოლაში მუსტაფა ლალა-ფაშაშ სასტიკად დაამარცხა ირანელები. ტყვედ ჩავარდნილ რამდენიმე ათას ირანელ ყიზილბაშს, იენიჩერებმა თავები გააყრევინეს. უფრო სასტიკად მოექცნენ ტყვედ ჩავარდნილ ქართველებს. ისინი ცეცხლში დაწვეს.

შორიდან მაცქერალი, ათაბაგობის მომლოდინე მანუჩარ ჭაყელი ეახლა და ეთაყვანა სულთნის გამარჯვებულ სარდალს და თავისი ციხე-სიმაგრეების გასაღებები ჩააბარა. მუსტაფა ლალა-ფაშაშ პატივით მიიღო მანუჩარი, მაგრამ დანაპირები მაინც არ შეუსრულა. ამასობაში ოსმალებმა ახალციხის ციტადელიც იიღეს და სამცხე-საათაბაგო სანჯაყებად, მცირე რაიონებად დაჰყვეს. ათაბაგობის მაგივრად მანუჩარს მხოლოდ ერთი სანჯაყის, კერძოდ კი, ხახულის სანჯაყის ბევრობადა ერგო. ქედმაღალი მანუჩარი, ბუნებრივია, თავისი ხეედრით უქმაყოფილო დარჩებოდა.

საკუთარი სამშობლოს მძიმე ხეედრით შეწუხებული და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ყვარყვარე და დედისიმედი, აგრეთვე გაწმილებული მანუჩარი იძულებული გახდნენ ოქროს ციხეში (აღიგენის რაიონშია) ხლებოდნენ სულთნის სარდალს. სამივემ სულთნის ერთგულებაზე დაიფიცეს, სულ მალე ყვარყვარე და მანუჩარი სულთნის მოთხოვნით სტამბულს გაიწვიეს.

ძმები დიდხანს დარჩნენ სტამბულს. სულთანმა ორივეს მაჰმადის რეზულზე გადასცლა მოსთხოვა. ყვარყვარე სასტიკ უარზე დადგა, მანუჩარი მერყეობდა.

ერთხელ სტამბულში გამართულ სახალხო რელიგიურ დღესასწაულზე სულთნის საყვარელმა ფალავანმა ერთიმეორეზე დააწვინა სახელგანთქმული მოჭიდავეენი. ამ სანახაობას ორივე ძმა ესწრებოდა. გამარჯვებებით გაამაყებულმა თურქმა ფალავანმა ქართველებს რომ მოჰკრა თვალი, ორივე ძმა ჰიდაობაში გამოიწვია. ყვარყვარემ გამოწვევა მიიღო. თურქი და ქართველი გამეტებით დაეძერნენ ერთმანეთს. ყვარყვარემ ბევრი არ დააყოვნა, კისრულით წამოიღო გოლიათი თურქი ფალავანი და ისე დაანარცხა, რომ

ადგილზევე სული გააფრთხობინა. ჭარად შეყრილი თურქი მაკუფ რებელი მზად იყო ეკუწა ქართველი ვაუკაცი. სულთანი რომელიმე, ალბათ ასეც მოხდებოდა. დასჯის მაგივრად სულთანმა გამარჯვებული ცვარყვარე დააჯილდოვა. ამასთან, კვლავ მოსთხოვა მაპმადიანობა მიეღო. მაგრამ ისევ მტკიცე უარი მიიღო. ხოლო როდესაც მანუჩარს მიმართა, მისგან დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო. იგი დათანხმდა წინადაცვეთა ჩაეტარებინათ. მაპმადიანობასთან ერთად მანუჩარმა ახალი სახელიც მიიღო. მას თურქებმა მუსტაფა შეარქვეს და ძმასთან ერთად, უკვე ფაშის წოდებით, საქართველოში გამოისტუმრეს.

1579 წ. 25 ივნისს სულთნის ბრძანებით, თურქების მიერ დაპყრობილ ზემო ქართლის ნაწილში, ახალციხის საფაშო დაარსდა და მის პირველ ფაშად მანუჩარყოფილი მუსტაფა დანიშნეს.

გამაპმადიანებული მანუჩარი იძულებული იყო ოსმალებთან ერთად მიეღო მონაწილეობა ქართლის სამეფოს სოფლების დაბევაში. ამავე დროს იგი, სისხლითა და ხორცით ქართველი, თანაუგრძნობდა თანამოძმებს და საიდუმლოდ ეხმარებოდა ქართლის მეფე სვიმონს.

ერთხელ სვიმონ მეფემ მუხრანთან მუსრი გაავლო თურქთა მარბიელ ლაშქარს. იმისათვის, რომ სულთანთან ემართლებია თავი, მარბიელი ლაშქრის სარდალმა მუხრანთან მარცხი მანუჩარს გადააბრალა და მისი ლალატით მოკვლა განიზრახა. ამ მიზნით, ვითომდა სამხედრო თაბბირისათვის მანუჩარი მეპმედ ფაშას კარავში დაიბარეს. მანუჩარმა გუმანით იგრძნო საშიშროება და თან ორმოცდათი ერთგული მხედარი გაიყოლია. მანუჩარის მხედრები ფაშის სიახლოვეს შეჩერდნენ. უხეიროდ გათამაშებული სამხედრო თაბბირი ოსმალოებს არ გამოუვიდათ. როცა მანუჩარი კარვიდან გამოსვლას აპირებდა, ერთმა ოსმალომ ხელი წაატანა მას. მანუჩარმა მრისხანედ შეჰვეირა და თურქს ისეთი ძალით დასცხო ხმალი, რომ იგი თავიდან მუცლამდე გაჩეხა. ჭაყელის ყვირილზე, მის გადასარჩენად კარავში ქართველი მხედრები შევარდნენ და ბევრ თურქს დაუბნელეს მზე. ნირწიმხდარი მეპმედ ფაშა იძულებული გახდა ყარსისაკენ წასულიყო და იქიდან დაეწყო ფიქრი შერისძიებაზე.

1582 წ. მანუჩარმა კვლავ ქრისტიანობა მიიღო და მის სამფლობელოში ანტიოქიალური აჯანყების ცეცხლი დაატრიალა. უამრავი თურქი გაწყვიტა, ფიცხელი იერიშებით აიღო ციხე-სიმაგრე-

ები და ზემო ქართლში ათაბაგობა აღადგინა. 1583 წ. მანუჩარ ჭაველი ქართლის მეფეს სვიმონს დაუმოყვრდა. ცოლად შეიტყობინება მისი ქალიშვილი ელენე. ამ აქტით კვლავ ოლსდგა მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი ქართლის სამეფოსთან. სამწუხაროდ, მტერსაც არ ეძინა. ოსმალებმა გადაწყვიტეს ძლიერი დარტყმით ერთხელ და სამუდამოდ წელში გაეტეხათ მანუჩარ ჭაველი, რასაც მათ 1587 წ. მიაღწიეს. სულთნის ჯარმა კვლავ დაიბყრო ჯავახეთი და სამცხე, აღადგინეს ახალციხის (ჩილდირის) საფაშო, რომლის ცენტრსაც სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებამდე ქალაქი ახალციხე წარმოადგენდა.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, თურქ-ოსმალთა ურიცხვი სამხედრო ძალის გარდა, მანუჩარის საბოლოო დამარცხებაში გარკვეული წვლილი მიუძღვით მოღალატე თავიდებს, რომლებსაც ისევ შალიკაშვილთა გვარი ედგა სათავეში. 1587 წ. მანუჩარის დასასჯელიდ ოსმალთა ლაშქარს პირველად კოკოლა შალიკაშვილი მიეგება. ეს კოკოლა იმ ოთარ შალიკაშვილის შვილისშვილია, რომელმაც თავის შვილთან ვარაზთან ერთად ორგულობითა და განდგომით სისხლი გაუშრო ათაბაგებს.

დამარცხებული მანუჩარი იძულებული გახდა თურქებს გასცლოდა. მას მიბაძა ჭაველთა გვარის ბევრმა წარმომადგენელმა, რომლებიც დასავლეთ საქართველოს სხვა პროვინციებს შეეხიზნენ. ასე გაჩნდნენ ჭაველები გურიაში, აჭარასა და იმერეთში. ვინც საკუთარ მამულს ვერ შეელია, მათ მაპმადიანობა მიიღეს, ბეგები გახდნენ და თანდათანობით გათურქდნენ. ზოგიერთმა ჭაველმა თურქეთის სულთნისაგან შთამომავლობით მიიღო ფაშობა და ერთგულად ემსახურებოდა ოსმალეთის იმპერიის ინტერესებს. XVII საუკუნის დასაწყისიდან XIX ს. 30-იანი წლების მიწურულამდე, ვიდრე რუსეთი დღევანდელ სამხრეთ საქართველოს გაათავისუფლებდა, ახალციხის საფაშალიკოს ოცდაათი ფაშიდან ოცდაოთხი გამაპმადიანებული ქართველი იყო. ხოლო ამ გამაპმადიანებული ქართველი ფაშებიდან 20 ჭაველთა საგვარეულოს გათურქებული შთამომავალი იყო, დანარჩენი ოთხი კი — ხიმშიაშვილების გვარისა.

რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში, ზემო ქართლში დარჩენილი გათურქებული ჭაველები რუსული ყაიდის, ათაბაგ-ქიბლიანსკის გვარს ატარებდნენ. მათ „სამფლობელოს“ მხოლოდ ერთი სოფელი, აბასთუმან-ადიგენის გზაგამყოფი ბენარა წარმოადგენდა.

ოსმალები ქრისტიან ქართველებთან შედარებით გამაპჰალიჩ-  
ნებულებს უკეთეს პირობებს უქმნიდნენ. თანამდებობებზე წილშეფ-  
დნენ, არცთუ იშვიათად მამულებითაც ასაჩუქრებდნენ. სამავიე-  
როდ, სასტიკად თრგუნავდნენ ყველა იმას, ვინც კი მომხდურებს  
ეურჩებოდა. განსაკუთრებით სდევნიდნენ და ავიწროვებდნენ ქარ-  
თულ ქრისტიანულ ეკლესიას, რომელშიაც გამაპმაღიანება-გათურ-  
ქების ყველაზე დიდ მოწინააღმდეგეს ხდავდნენ. ქვეყნის რაც შე-  
იძლება მალე დამონებისა და ასიმილაციისათვის მრავალი თურ-  
ქულ-თურქმანული ტომი ჩამოასახლეს და ყველაზე საუკეთესო  
ადგილებზე დასახლდეს.

1590 წ. ორან-ოსმალეთის ზავის თანახმად, ზემო ქართლი თით-  
ქმის მთლიანად ოსმალთა სახელმწიფოს საზღვრებში მოქეცა და  
სულ მალე ქვეყანა ეკონომიურადაც დაიმორჩილეს. XVI ს. მიწუ-  
რულს ზემო ქართლში არსებული ყველა სოფელი, სახნავ-სათესი  
სავარგულები, საძოვრები, ტბები, წისქვილები... მოკლედ, ყველა-  
ფერი ის, რისი აღწერაც კი შეიძლებოდა, თურქებმა დეტალურად  
იღნუსხეს და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სახელ-  
წოდებით ცნობილ საგადასახადო რეესტრში შეიტანეს. ყოველივე  
ამას ოსმალური მართვა-გამგეობა და საგადასახადო სისტემის და-  
ნერგვა მოჰყვა.

ახალციხის, ანუ იგივე ჩილდირის საფაშალიკოდ გამოცხადე-  
ბული სამცხე-საათაბაგო, რვა აღმინისტრაციულ ერთეულად —  
სანჯაყად (რაიონად) დაჰყვეს და სათავეში სანჯაყ-ბეგები ჩაუყენეს. სანჯაყები, თავის მხრივ, ნაპირებად, პატარა თემებად დაანაწილეს.  
მაგალითად, ახალციხის სანჯაყში ცხრა თემი — ნაპირ შედიოდა.  
ესენი იყო მზვარეს, ჩილდირის, უდეს, ქვაბლიანის, აწყურის, ალ-  
თუნ-ალის (ოქროს ციხის), ოცხეს, ასპინძისა და ჭაჭარაქის ნაპი-  
ები, აკშეპირის (ასე დაამახინჯეს თურქებმა ახალქალაქის სახელი)  
სანჯაყში შედიოდა საკუთრივ ახალქალაქის, თმოგვისა და ნიალის-  
ყურის ნაპიები. დიდი არტაანის სანჯაყი მზვარის, ჩრდილისა. და  
ტყის ნაპიებს მოიცავდა. სამ-სამი ნაპირ შედიოდა ხერთვისისა და  
ჩილდირის სანჯაყებში, ხოლო ორ-ორი პეტრას, ფანაკისა და ფო-  
ცხოვის სანჯაყებში.

საერთოდ, თურქების მიერ მიტაცებულ სამხრეთ საქართვე-  
ლოს ტერიტორიას ოთხი ბეგლარბეგი, გუბერნატორი განაცებდა;  
50



რომელთა შორის ერზერუმის ფაშა პირველობდა. იგი იყო ოთხივე თლქის ჭარების მთავარსარდალი — სერასკირი. ყოველ ფაშა-ბეგლარბეგს ჰყავდა თავისი სამოხელეო აპარატი, სადაც, არცთუ იშვიათად გამაპმადიანებულ ქართველებსაც ეკავათ თანამდებო-ბები.

როგორც სათანადო ადგილზე უკვე ითქვა, ახალციხის საფა-შალიკოს, მისი არსებობის მთელს მანძილზე ოცდათი ფაშა მარ-თავდა, საიდანაც ოცდაოთხი გამაპმადიანებული ქართველი იყო. ისტორიული ზემო ქართლის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ახალ-ციხის ფაშა განაეცდა. მასვე ემორჩილებოდნენ ჭავახეთისა და კო-ლის პროვინციის ფაშები. ახალციხის ფაშას ორი რეზიდენცია ჰქონდა. საკუთრივ ახალციხის ციტადელი და ქალაქი ოლთისი. ასე-ვე თავ-თავიანთი რეზიდენციები ჰქონდათ მის ხელქვეით ფაშებ-საც. ჭავახეთის ფაშა ასპინძასა და ხერთვისს შორის მდებარე ს. ნიჯ-გორში იჯდა, ხოლო კოლაში. — ქ. კოლაში.

XVI ს. დასასრულს, „გურჯისტანის დავთრის“ მიხედვით, ზემო ქართლში 1160 სოფელს ჰქონდა შეწერილი გადასახადი. ამის გარ-და კიდევ ყოფილა 53 სოფელი, რომელიც ჭერ კიდევ ქართველ თავად-აზნაურთა საკუთრებას წარმოადგენდა. ამგვარად, XVII ს. დასაწყისში ზემო ქართლში 1213 დასახლებული პუნქტი ყოფილა. ამავე რიცხვს უნდა დაემატოს აგრეთვე ის 364 ნასოფლარი, რომ-ლის მოსახლეობა თურქთა ბატონობას გაექცა და შილა ქართლში პოვა თავშესაფარი. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ არაბე-ბის, მონგოლების, თემურლენგის, ირანელებისა და ოსმალო-თურ-ქების გამაპარტახებელი შემოსევების მიუხედავად, XVI ს. მიწუ-რულშიაც კი ზემო ქართლი ფრიად მჭიდროდ დასახლებული ქვე-ყანა ყოფილა. თანამედროვე ზემო ქართლის ექვსივე რაიონში ამ-ჟამად მხოლოდ 265 სოფელია. აქ ისიც ხაზგასასმელია, რომ ამ სოფლების მხოლოდ ნახევარშიღა ცხოვრობენ ქართველები.

ოსმალთა გაბატონების შემდეგ ზემო ქართლში თურქულ-თურქმანული ეთნიკური ელემენტიც გაჩნდა. როგორც სათანადო ადგილზე უკვე ითქვა, საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებისა და ქართველების გამაპმადიანება-ასიმილაციის დაჩქარების მიზნით რამდენიმე ტალღად ჩამოასახლეს მაპმადიანი მეჯოგე ტომები, რომლებსაც უამრავი რაოდენობით მოჰყვნენ თან მოლები, ხოჯები, ქეთხუდები, ყადები და სხვადასხვა ჯურის რელიგიურ-აღმინისტრა-

ციული მოხელენი. ყოველ მათგანს კონკრეტული დავალება ჰქონდა მიცემული: ყოველნაირად უნდა ცდილიყვნენ ქართველების „შეშმარიტ რელიგიაზე“ დაყენებას, რაც საბოლოო ჯამში გათურ-ქებას ნიშნავდა.

ასეთი ვითარების მიუხედავად, XVII ს. პირველ მეოთხედამდე ზემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობა მაინც ქრისტიანი ქართველები იყვნენ. ამ დროისათვის არც თავადაზნაურობა ყოფილა გამაპმადიანებული. მათი გამაპმადიანება XVIII ს. პირველ ნახევარში დამთავრდა.

ზემო ქართლის დედასამშობლოდან მოგლეჭას არასოდეს შერიგებიან ქართველები. ბევრჯერ ეცადნენ თურქების განდევნის, მაგრამ ყოველი მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. ერთ-ერთ ასეთ მცდელობას წარმოადგენდა 1770 წ. 20 აპრილის ასპინძის ბრძოლა. იგი ქართული სამხედრო ხელოვნების უბრავყინვალესი ნიმუშია.

წინასწარი შეთანხმების შედეგად რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II რამდენიმე ათასიანი კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი საექსპედიციო კორპუსი გამოგზავნა საქართველოში. კორპუსს სარდლობდა ავანტურისტული ბუნებისა და ქართველების მიმართ არცთუ კეთილად განწყობილი გენერალი ტოტლებენი. ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე II, გადაწყვიტა ესარგებლა შემთხვევით და გაენადგურებინა ახალციხის საფაშალიკო, რომელიც სისხლს უშრობდა იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოებს. საფაშოს განადგურება ერთდროულად ზემო ქართლის განთავისუფლებასაც ნიშნავდა.

გენერალი ტოტლებენი თავდაპირველად დაეთანხმა ერეკლე II გეგმას. მაგრამ, როგორც ბოლოს გაირკვა, ეკატერინე II მიერ მოვლენილ სარდალს სულ სხვა ზრახვები ჰქონდა.

1770 წ. 17 აპრილს ქართველებისა და მეფის რუსეთის ჯარები აწყურში ჩავიდნენ. მეფე ერეკლე წინააღმდეგი იყო აწყურის ციხის ალყაზე. იგი ახალციხისაკენ ისწრაფვოდა და იქიდან აპირებდა იერიშის განვითარებას, რასაც ზემო ქართლის გათავისუფლება უნდა მოჰყოლოდა. გენერალმა ტოტლებენმა აწყურის ციხეზე ალყის შემორტყმა აიჩემა. ღრმად ჩაფიქრებული დიდი საქმის ბოლომდე მიყვანის ინტერესებისათვის, ერეკლემ დაუთმო რუსთა სარდალს.

აწყურის ციტადელს ალყა შემოარტყეს. მაგრამ, ყველასათვის  
მოულოდნელად და, რაც მთავარია, მეფის უკითხავად, ტოტლებენ-  
მა ალყა მოხსნა, ქართველები თურქებს შეატოვა და თვითონ იმე-  
რეთისაკენ გასწია.

ერეკლე მეორემ, რომელიც იმ დროს ორმოცდაათ წელს გადა-  
ცილებული ჭარმაგი ვაჟავაცი იყო, გასაოცარი სიმტკიცე და შორს-  
შვერეტელობა გამოიჩინა. ციხეს ალყა მოხსნა და სასწრაფოდ ას-  
პინძისაკენ გაეშურა. ასპინძამდე თურქები ორჯერ შეებნენ ქართვე-  
ლებს, მაგრამ ორჯერვე დამარცხდნენ. ვიდრე ერეკლე თავისი ლაშ-  
ქრით ასპინძას ჩააღწევდა. იქ უკვე თავი მოეყარა ოსმალებისა და  
დაღესტნელების გაერთიანებულ ჭარს, რომლის რაოდენობა თითქ-  
მის ათი ათას მეომარს აღწევდა. ქართველებს მხოლოდ სამი ათასი  
მებრძოლი ჰყავდათ.

ბრძოლის დაწყების შინაღამით ერეკლემ საიდუმლოდ მტკვარ-  
ზე ხიდი მოაშლევინა. დილით ასპინძის ველზე ქართველთა ლაშქა-  
რი სამ ნაწილად გაიშალა, რომლის ერთ ფრთას სარდალი დავით  
ორბელიანი ჩაუყენა სათავეში, მეორეს კი ბატონიშვილი ვიორგი.  
რაც შეეხება ცენტრს, მას თვითონ ერეკლემ უსარდლა. ქართვე-  
ლებმა მედგრად შეუტიეს მტერს და მათ რიგებში არევ-დარევა  
შეიტანეს. ფრიცხელი ბრძოლის შემდეგ, მტერმა ველარ გაუძლო ვა-  
ლომებულ ქართველებს და თავის გადარჩენის მიზნით მტკვრის მე-  
ორე მხარეზე გადასვლა მოიწადინა, რასაც საშინელი უბედურება  
მოჰყვა. მტკვარზე გადებული ხიდი აშლილი დახვდათ. ფეხდაფეხ  
დაღევნებული ქართველები ეძერნენ თურქთა და დაღესტნელთა  
გაერთიანებულ ლაშქარს. დაიწყო საშინელი ხოცვა-ულეტა. ვინც  
ქართველთა ხმლებს გადაურჩა, აღიდებული მტკვრის ტალღებმა  
შთანთქა. ერეკლეს მხედრობამ ბრძოლის ველზე მტრის ოთხი ათა-  
სი ჭარისკაცი გაულიტა. თითქმის ამდენივე მტკვარმა დაახრჩო.  
მცირე ნაწილი ქართველებს ტყვედ დანებდა. ტყვეების ჩვენებით,  
მხოლოდ 13 კაცსღა უშველია თავისთვის გაქცევით. უამრავ მტერთან  
ერთად ბრძოლის ველზე დაეცა თურქთა გოლა ფაშა, რამდენიმე  
სანჯაყ-ბეგი, დაღესტნელთა სარდალი მალაჩილა და კიდევ სხვა  
ბელადი. კოხტა ბელადის სახელით ცნობილი მალაჩილა თვითონ  
ერეკლემ განგმირა ცხენდაცხენ. ქართველთა მხრიდან სულ რამდე-  
ნიმე ათეული მეომარი იყო მოკლული და დაჭრილი. ერეკლესთან  
ერთად თავი გამოიჩინა უებრო სარდალმა დავით ორბელიანმა,  
რომლის საარაყო გმირობას ლექსი უძღვნა ბესიქმა.

მადლიერმა ქართველმა ერმა სათანადოდ დაფასა ერეკლე  
მეორის გმირობა და თავისი აღტაცება ერთ ხალხურ ლექსშია  
მოხატა:

ასპინძას ენაზე ერეკლე,  
ხელში ეჭირა ხმალიო,  
ჩეხეა დაუწყო ლეკ-ოსმალთ,  
ადინა სისხლის ლვარიო.

სამწუხაროდ, ასპინძასთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარ-  
ჯვება შინაგანი და საგარეო დაძაბულობის გამო ერეკლე II ველარ  
განავითარა. იგი იძულებული გახდა თავისი ლაშქრით თბილისში  
დაბრუნებულიყო.

ზემო ქართლში ციხე-სიმაგრეებში ჩაყენებული ოსმალთა იე-  
ნიჩრების ალვირახსნილ ძალმომრეობას, აბუჩად აგდებას და ძარც-  
ვა-გლეჭას ვერ ურიგდებოდა დაპყრობილი ქართველობა და არც  
თუ იშვიათად, მაპმადიან თანმომმებობა ერთად იბრძოდა თავისი  
უფლებების დასაცავად, ხშირად მახვილით ხელში გამოდიოდა.  
შართალია, უმეტესად თვითონ უფრო ზარალდებოდა, მაგრამ არც  
მტერს ადგა კარგი დღე.

ზემო ქართლში ყველაზე დიდმა აჯანყებამ 1816 წლის მაისის  
დამდეგს იფეთქა. დაიწყო ხანგრძლივი და მძიმე სახალხო-გამათა-  
ვისუფლებელი ომი. აჯანყებულებმა სისხლისმღვრელ ბრძოლაში  
აიღეს საფაშალიკოს ცენტრი, ქალაქი ახალციხე. შემდეგ ხელთ იგ-  
დეს მისი ციტადელი და ტყვედ ჩაიგდეს ახალციხის ფაშა. ახალ-  
ციხეზე გამარჯვების შემდეგ აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა ხერ-  
თვისის სანჯაყ-ბეგი. გამაპმადიანებული მემედ ვაჩნაძე, რომლის  
ხელმძღვანელობით ქვაბლიანის ხეობაში დაამარცხეს ოსმალო-  
თურქთა დიდი რაზმი. მღელვარება მალე აჭარასაც მოედო. აჭარ-  
ლებმა და მესხებმა ორ ცეცხლს შორის მოაქციეს ახალციხის ფა-  
შას საშველად გამოგზავნილი ოსმალოთა რეაათასიანი კორპუსი,  
რომელიც სულ მალე მთლიანად გაანადგურეს და მისი სარდალიც  
ტყვედ ჩაიგდეს.

რასაკვირველია, თურქეთის ხელისუფლება ასეთ მარცხს ვერ  
შეურიგდებოდა. ეს ასეც მოხდა. არზრუმის ვილაიეთის სერასკირ-  
მა ბაბა ფაშამ აჯანყებულთა წინააღმდეგ დიდი დამსჯელი ლაშქარი  
გამოგზავნა. აჯანყებული ზემოქართლელები და ოსმალთა ლაშქარი

რამდენჯერმე შეეტაკნენ ერთმანეთს. გადამწყვეტ ბრძოლაში დღიურთან, რომელიც ამჟამად თურქეთშია და დუგური ეწოდება, აგანუყბულები დამარცხდნენ. სამაგიეროდ, ახალციხის იერიშისას რამალოებმა დიდი ზარალი ნახეს და უკუიქცნენ. ბაბა ფაშა იძულებული გახდა ახალციხის მხარე მიეტოვებინა. ქვეყანა თანდათან დაწყნარდა და ყველამ თავთავიანთ სახლებს მიაშურა. აგანყებულთა ბელადი მემედ ვაჩნაძე ხერთვისში წავიდა და ციხესიმაგრეში გამავრდა.

1826 წლის სახალხო აგანყება თითქმის ხუთ თვეს გრძელდებოდა. სამწუხაროდ, მისი განვითარება და ბოლომდე მიყვანა ქართველებმა ველარ შეძლეს, ზემო ქართლი კვლავ ოსმალთა უღელქვეშ გმინავდა.

სათანადო ადგილზე აღნიშნული იყო, რომ XIV საუკუნიდან ავალიშვილების ფეოდალურმა საგვარეულომ თანდათანობით იწყო გაძლიერება. XV ს. მიწნაზე თორის მხარეში მათი დიდი სათავადო ჩამოყალიბდა. ავალიშვილებმა თავდაპირველ რეზიდენციად ნუა აირჩიეს. იგი დღევანდელი ბორჯომის ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო. ცოტა ხნის შემდეგ სადგერში, დღევანდელ წალვერთან, გადაინაცვლეს. ავალიშვილთა სათავადო 56 სოფელს ითვლიდა და ქვეყანაც საქმაოდ წელში გამართული იყო. მაგრამ ზემო ქართლის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე ოსმალთა გაბატონებამ თავისი უარყოფითი გავლენა თორის მხარეზეც მოახდინა. ავალიშვილების სათავადომ დაკნინება იწყო. XVIII ს. მეორე ნახევარში სამეურნეო და კულტურული ცხოვრება, შეიძლება ითქვას, უკვე მოშლილი იყო. ოსმალო-თურქებისა და ლეკების გამუდმებული თარეშის გამო მოსახლეობა და თვითონ ავალიშვილებიც დიდ შიშიანობასა და გაჭირვებას განიცდიდნენ. ასეთი მიზე მდგომარეობის მიუხედავად ავალიშვილები მაინც მედგრად ებრძოლნენ მტერს. მაგალითად, 1739 წ. შიდა ქართლიდან ახალციხისაკენ შემობრუნებული ლაშქარი, რომელსაც უსუფ-ფაშა მეთაურობდა, პეტრას ციხესთან (კურორტ ლიკანის მოპირდაპირედ, მტკვრის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს), ავალიშვილებმა ერთიანად გაჟღიტეს. მტრის მთელი ავლადიდება და ნაძარცვი ქართველებს დარჩათ. მათ შორის იყო ფრიად საჭირო იარაღი — ზარბაზნები, რომლებიც ციხესიმაგრეში აიტანეს და ახალციხის მიმართულებით დააყენეს. მოულოდნელი დამარცხებისაგან გაოგნებულ უსუფ-ფაშას გული გაუსკდა და ადამილზევე გარდაიცვალა.

ავალიშვილებმა დიდხანს ვეღარ გაუძლეს თურქების გაუთავებელ შემოტევებს, XVIII ს. 60—70 წწ. მიატოვეს მხარე და შიდა ქართლში პოვეს თავშესაფარი.

გვიანფეოდალური ეპოქის მიწურულს, როდესაც საქართველოს საქმეები საბოლოოდ აიშეწა, გათურქებას გადარჩენილი ზემო ქართლის მცირე ნაწილი, თორის მხარე, მოთარეშე აბრაგი ლეკების არენად იქცა. ლეკები დღენიდაგ აწიოკებდნენ უპატრონოდ მიტოვებულ მოსახლეობას, ვისი მოტაცებაც შეეძლოთ — იტაცებდნენ და ახალციხის საფაშოში ტყვეებად ყიდდნენ. მარბიელ დაღესტნელებს არც ზოგიერთი ავკაცი და ულხარბი ქართველი ფეოდალი ჩამორჩებოდა. XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში სუმბათაშვილების გვარის ზოგიერთმა ულიქმა წარმომადგენელმა ბორჯომში არსებული გოგიასციხე შიდა ქართლიდან მოტაცებული ქართველი ტყვეების შესაკრებ ბაზად გადააქციეს. მათ არც ციციშვილები ჩამორჩენ, უფრო მეტი ავკაცობა ჩაიდინეს. ისინი სისტემატურად აწიოკებდნენ გუჯარეთის ხეობის ქართველობას. მთელ ოჯახებს ატყვევებდნენ და გასაყიდა ახალციხეში ერეკებოდნენ. ციციშვილებმა, რომლებიც გუჯარეთის ხეობაში ძამას მხრიდან შედიოდნენ, მოკლე ხანში მთლიანად გააპატრახეს და გააუკაცრიელეს ოდესლაც ეკონომიურად და კულტურულად აყვავებული ეს თვალწარმტაცი ხეობა. XIX ს. ათიანი წლების მიწურულს ციციშვილები გუჯარეთის ხეობას მთლიანად დაეპატრონენ და გაუკაცრიელებულ მხარეში თავიანთი ყმა-ოსების ჩამოსახლება დაიწყეს. ასე გაჩნდა ოსობა გუჯარეთის ხეობაში.

1801 წლს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა. ამის შემდეგ რუსეთის იმპერიამ ერთიმეორებზე მიყოლებით თავის გამგებლობაში მოაქცია საქართველოს სხვა პროვინციებიც. ჯერი სამხრეთ საქართველოზე დადგა.

გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრის გენერალ გ. ერისთავის მიერ ქალაქ თავრიზის აღებამ და საერთოდ, სპარსეთთან ომის წარმატებით დამთავრებამ, აგრეთვე რუსეთის ჩარევამ თურქეთ-საბერძნეთის კონფლიქტში, ოსმალეთის იმპერიასთან ომის აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა.

1828 წლის აღრე გაზაფხულზე რუსეთის იმპერიამ თურქეთს ომი გამოუცხადა. იმპერატორ ნიკოლოზ I ბრძანებით რუსთა მხედ-

რობამ ორი მხრიდან, კავკასიიდან და ბალკანეთიდან შეუტია სუფლა თნის სახელმწიფოს. რუსეთის ჭარის სამხედრო ოპერაციები წერილი ქართლის მიმართულებითაც წარიმართა. გენერალმა პასკევიჩმა სამხრეთიდან შემოუარა ზემო ქართლს — ახალციხის საფაშალიკოს. საფაშოს დასახმარებლად სულთანმა ჭარის ახალი ნაწილები გამოგზავნა, მაგრამ რუსები მაინც მედგრად მიიწევდნენ წინ. 1828 წლის 23 ივნისს შტურმით აიღეს ყარსის ციტადელი. მალე ახალქალაქიც დაეცა. გენერალ პასკევიჩს უბრძოლველად დანებდნენ ხეროვისისა და ასპინძის ციხესიმაგრები. ჭერი ახალციხეზე მიდგა.

მომავალი ალყის მოლოდინში, ოსმალებმა ახალციხის მთელი მაჰმადიანი მოსახლეობა შეაიარალეს. ახალციხის ციტადელს, რომელსაც ათი ათასი ასკერი იცავდა, სულთანმა დასახმარებლად ოცდაათ ათასიანი კორპუსი მიაშველა. ახალციხისაკენ მომავალ თურქთა მაშველ კორპუსს რუსებმა ქალაქში შესვლა არ დააცალეს და ფოცხოვის ხეობაში დახვდნენ. ერთდღიანი ფიცხელი ბრძოლის შემდეგ თურქთა მაშველი კორპუსი განადგურებული იქნა.

1928 წლის 10 აგვისტოს რუსთა მხედრობამ ალყა შემოარტყა ახალციხის ციტადელს. პასკევიჩმა მეორე დილითვე დაიწყო ციტადელის დაბომბვა, რამაც უდიდესი ზარალი მიაყენა მეციხოვნებს. ზარალისანთა ბათქების შეწყვეტის შემდეგ, პასკევიჩმა თურქებს კაპიტულაცია მოსთხოვა. თურქებმა უარით უპასუხეს. უარის საპასუხოდ პასკევიჩმა ციტადელზე იერიშის განკარგულება გასცა.

15 აგვისტოს, ცამეტსაათიანი გააფორებული იერიშების შედეგად შეანგრიეს ციხესიმაგრის კედლები და ციტადელში შეიჭრნენ.

ახალციხისა და საერთოდ სამცხე-ჭავახეთის განთავისუფლებაში რუს ჭარისკაცებთან ერთად ქართველმა მეომრებმაც გამოიჩინეს თავი. განსაკუთრებით ალსანიშნავია შემდეგში ცნობილი გენერლების ი. ანდრონიკაშვილის, ძმების — იასონ, სპირიდონ და რომან ჭავახაძეების, ოფიცირების — ვაჩაძის, ბერენიშვილისა და სხვათა გმირობა, რომლებმაც დიდების შარავანდელით შეამკეს ქართველ მებრძოლთა სახელი.

ახალციხის ციტადელის გასაღების ჩაბარების დამთავრების შემდეგ გენერალმა პასკევიჩმა ციხესიმაგრეში შესვლის პირველობის საპატიო მოვალეობა ქართველ გრენადერთა პოლკს მიანდო. ქართველობა გაშლილი დროშით შევიდა მამა-პაპათა მიერ აშენებულ ამ ძველქართულ ციხესიმაგრეში. მთელი საქართველო ზეი-

მობდა ამ დიად გამარჯვებას. ასე გათავისუფლდა თურქების შე-  
ტონობის ულლიდან ზემო ქართლის ყველაზე დიდი ნაწილი ნაწილი  
ცხე და ჯავახეთი.

XIX საუკუნეში თურქეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ძლევა-  
მოსილად წარმოებული ომების შედეგად, თითქმის მთლიანად გა-  
ათავისუფლა მთელი ისტორიული ზემო ქართლი — აჭარა, კლარჯე-  
თი, არტაანი, ოლთისი, ერუშეთი, შავშეთი, ლაზეთი. მაგრამ გარ-  
კვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ისტორიულ  
ზემო ქართლს მხოლოდ აჭარა და ჩვენთვის უკვე ცნობილი ექვსი  
რაიონიღა შემორჩა.

1828 წლის ომის დამთავრებისთანავე ცარიზმის ხელისუფლე-  
ბამ გათავისუფლებული ზემო ქართლის ხენებულ ტერიტორიაზე  
შექმნა „ახალციხის საფაშოს დროებითი მმართველობა“, რომელ-  
მაც 1840 წლამდე იარსება. 1840 წ. ჩამოყალიბდა ახალციხის მაზრა  
და მასში გაერთიანდა ყველა გათავისუფლებული თემი. ახალცი-  
ხის მაზრა უშუალოდ თბილისის გუბერნიას ექვემდებარებოდა.  
1867 წელს შეფისნაცვალის ბრძანებით ახალციხის მაზრა ორად,  
საკუთრივ, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებად გაიყო. საქარ-  
თველოს გასაბჭოების შემდეგ მოხდა ხელახალი აღმინისტრაციული  
გადანაწილება. შეიქმნა ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის,  
ახალქალაქისა და ბოგდანოვეკის რაიონები, რომლებიც ამჟამად  
წარმოადგენენ თანამედროვე ზემო ქართლს.

რუსეთის ცარიზმის „ქრისტიანულმა კაცომყვარეობამ“ და  
ანტიისლამურმა მოქმედებამ, რომლის ამოსავალსაც კოლონიალუ-  
რი პოლიტიკა წარმოადგენდა, ათასობით ძალით გამაპადიანებული  
ზემოქართლელი აიძულა ოსმალეთში გადასახლებულიყო. იმის მა-  
გივრად, რომ ქართველი მაპმადიანებისაგან მიტოვებული სოფლები  
და ადგილ-მაშულები ქართველებშივე გადაენაწილებინა, რუსეთის  
ცარიზმმა ვერაგული პოლიტიკა განახორციელა, რომლის შესახებაც  
აკად. ივ. ჯავახიშვილი საბჭოთა საქართველოს მთავრობისადმი  
1926 წელს წარდგენილ მოხსენებით ბარათში წერდა: „1822 წლით-  
გან მოყოლებული, როდესაც ქართველი მაპმადიანებით დასახლე-  
ბული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციონ რუსეთმა ოსმა-  
ლეთს წართვა და მცხოვრები ისეთ სულიერ განწყობილობაში ჩა-  
აგდო, რომ ქართველმა მაპმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სა-  
მოსახლოთაგან იყრა და ოსმალეთში გადასახლება არჩიეს, ვრაფმა

ცარიზმა ესეც არ იქმარა. XIX ს. 60-იანი წლებიდან უკან  
ქართლში, კერძოდ კი გავახეთში ვორონეცის, ჩერნიგოვისა და ყი-  
რიმის გუბერნიებიდან რუსი სექტანტები, ე. წ. „დუხობორები“  
ჩამოასახლა. რუსეთის იმპერატორებმა ზემო ქართლის ყველა-  
ზე საუკეთესო სააგარაკო ადგილები და მამულები თავიანთ  
ნათესავებს დაურიგეს. 1871 წელს იმპერატორმა ალექსანდრე II  
ბორჯომი თავის ბიძაშვილს, კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ  
რომანოვს უწყალობა. თავისავე შთამომავალს, გიორგი რომა-  
ნოვს აჩუქქეს აბასთუმანი, მანამდე კი მეფისნაცვალმა მიხეილ  
ვორონცოვმა იმპერატორ ნიკოლოზ I ნებართვით ბორჯომის ორ  
ნასოფლარში — თორსა და მოქცევაში 1853 წ. პოლტაველი და  
ჩერნიგოველი ორასიოდე რუსულ-უკრაინული ოჯახი დაასახლა.  
მეფისნაცვალის გეგმით, ჩამოსახლებულებს ორგვარი სარგებლობა  
უნდა მოეტანათ. პირველი: ადგილობრივი, ქართული მოსახლეობის  
საწინააღმდეგო, ცარიზმისათვის საიმედო დასაყრდენი უნდა შე-  
ექმნათ. მეორე: ჩამოსახლებული რუსები და უკრაინელები მალე  
გამრავლდებოდნენ და ამგვარად საფუძველი ჩაეყრებოდა შეთხე-  
ლებული ქართული მოსახლეობის ასიმილაციას, რუსიფიკაციას.  
მაგრამ, მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. ჩამოსახლებულები არა  
თუ დაუპირისპირდნენ თორის მხარის ქართველობას, არამედ მათ-  
თან მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა დაამყარეს. რუსი  
და უკრაინელი ქალიშვილები ქართველებზე თხოვდებოდნენ, ხოლო  
ქართველი ქალები ცოლებად მიჰყვებოდნენ ერთმორწმუნე ჩამო-  
სახლებულებს... სულ მალე რუსები და უკრაინელები ქართველებ-  
ში აითვიფნენ. ცარიზმის ვერაგულმა ნაციონალურმა პოლიტიკამ  
საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. ყველაფერი პირიქით მოხდა. რუ-  
სებმა და უკრაინელებმა თანდათანობით იწყეს გაქართველება. პირ-  
ველი მსოფლიო ომის წინ თორელი, მოქცეველი რუსები და უკ-  
რაინელები, შეიძლება ითქვას, უკვე გაქართველებულები იყვნენ.  
ჩამოსახლებულებმა ქართულ ენასთან ერთად ადგილობრივი ჩვეუ-  
ლებები და სოფლის მეურნეობის წარმოების წესებიც შეითვისეს<sup>1</sup>.

თურქებმა საქართველოს უკანასკნელად მენშევიკების დროს

1 თორის მხარეში ჩამოსახლებულმა სლავურმა მოსახლეობამ, შეიძლება ითქვას, დღემდე შემოინახა მათვეის დამახასიათებელი ანთროპოლოგიური ნიშ-

შემოუტიეს. 1918 და 1919 წწ. ჯავახეთსა და სამცხეში შემოიტიეს ნებ. მათი მიზანი იყო ბორჯომის ხეობით შიდა ქართლში აშენებული ლიკვიდნენ და იქიდან დამუქრებოდნენ თბილის. წინასწარ საიდუმლოდ ჩატარებული საგანგებო აგიტაციის შედეგად, თურქებმა ასპინძისა და ადიგენის სოფლების გამაჭმაღიანებული მესხები თანამოძმეთა წინააღმდეგ განაწყვეს. ფანატიკურად განწყობილი მაჭმაღიანი მესხებისაგან თურქებმა რამდენიმე ათასკაციანი ბანდა შექმნეს, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ახალციხელი მსხვილი მემამულე სარვან-ბევი, მენშევიკებმა მათ სათანადო წინააღმდეგობა ვერ დაუპირისპირეს. თურქები და რენეგატ ქართველ მაჭმაღიანთა ბანდები უმოწყალოდ აწიოკებდნენ ქრისტიანულ მოსახლეობას. თანამოძმეთა დაწიოკებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ზარზმელმა, ვარკანელმა, ბენარელმა და ზოგიერთი სხვა სოფლების მაჭმაღიანმა მესხებმა. ქრისტიანი ქართველებისა და სომხების ქალ-ბავშვი თავის გადარჩენის მიზნით საქართველოს შიდა რაიონებს მიაწყდა. აწყურში მოსული და გამაგრებული თურქების შიშით, მოქცეველ მარტინენკოთა, ქვაბისხეველი და დვირელი ქართველების ქალ-ბავშვიც აიყარა და ბორჯომის ხეობის ქვედა სოფლებს — ახალგაბას, ვარდგინეთს, კორტანეთსა და ზანავს შეაფარეს თავი.

ადგილებში დარჩენილმა დვირელმა, ქვაბისხეველმა და მოქცეველმა ვაჟკაცებმა, რომლებსაც საკირლები, დგვარელები და ტაძრისელები წამოეშველნენ, სლესის ციხესიმაგრეში გამაგრდნენ და იქიდან დაუწყეს თვალთვალი მტერს.

თურქი ასკერებისა და მოლალატე ქართველ მაჭმაღიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ისახელეს საროელმა, ვარგაველმა და თორელმა ქართველებმა. განსაკუთრებით კი ხიზაბავრელებმა, რომლებმაც შექმნეს „განწირულთა ათასეულის“ სახელით ცნობილი მოხალისეთა რაზმი. „განწირულთა ათასეულს“ ხელმძღვანელობდნენ ეფრემ ველიჯანაშვილი, პავლე ლეკიშვილი, მიხეილ ხუციშვი-

---

ნები და ნაწილობრივ გვარებიც. მაგრამ, მეუად ქართულ ეთნიკურ ელემენტში ისე არიან ათქვეფილნი, რომ მათ წარმომავლობაზე გვარებილი მეტყველებენ. მოხდა უფრო მეტიც. ოდესადაც ასტახოვებად და შირიაშვილებად ყოფილთა შთამომავლნი დღეს ასტახიშვილებად და შირიაშვილებად იწერებიან. თორის ქვეყანაში ჩამოსახლებული დუგარევების, კრაცოვების, მარტინენკოების, პანქენკოების, შევრჩენკოებისა და სხვათა უმრავლესობა ქ. ბორჯომში, ახალციხეში და ამ უკანასკნელის რაიონის ორ სოფელში — თისელსა და სხვილისში მოხალეობენ.

ლი, ბაგრატ ყრუაშვილი და ამბროს ველიკანაშვილი. ქართველი მოხალისეთა ათასეული გმირული იცავდა ხიზაბავრა—ხერთვეის ზონის ქართულ სოფლებსა და მთავარ გზებს. ქრისტიან ქართველებს მალე წამოეშველა რეგულარული ჯარის ნაწილი, რომელ-საც კაპიტანი ალექსიძე მეთაურობდა. ჯარის ნაწილთან ერთად, „განწირულთა ათასეულიც“ გმირული ეკვეთა ასპინძაში გამაგრებულ მტერს და სასტიკი დამარცხება აგება.

თითქმის ორი წლის განმავლობაში ბევრი ჭირ-ვარაში და ბრძოლა გადაიტანა ზემო ქართლის, კერძოდ კი სამცხისა და გავახეთის ქართულმა ქრისტიანულმა მოსახლეობამ. ბოლოს და ბოლოს ქართველებმა სძლიერ მომხდურ თურქებს და ისინი საქართველოს სახელმწიფო საზღვარს იქით გადარეცეს.

## ხალხური ხუროთმოძღვრება

ისტორიული ზემო ქართლის ეკონომიკური და კულტურული აღორძინება VIII საუკუნეში დაიწყო და განვითარების უმაღლეს დონეს XIII საუკუნეში მიაღწია. ერთიანი და ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნამ, რომლის ვითარებაშიაც ქართველი ერის საბოლოო კონსოლიდაცია მოხდა, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა შემოქმედებით აღმავლობას. კულტურული აღორძინების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს ისეთმა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებმა, როგორიც იყო ხანძთა, ზარზმა, ტბეთი, ოპიზა, ოშკი, ხახული და სხვა მისთანანი. ამავე საქმეს ემსახურებოდნენ უცხოეთის ტერიტორიებზე არსებული ქართული სავანები — ათონის მონასტერი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, ზემოქართლელი ძმების გრიგოლ და აბას ბაკურიანების მიერ ბულგარეთში დაარსებული პეტრიწონის მონასტერი. ამ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში მიიღეს სწავლა-განათლება შუა საუკუნეების საქართველოს გამოჩენილმა სწავლულებმა და განმანათლებლებმა გრიგოლ ხანძთელმა, გიორგი მერჩულემ, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა, იოანე პეტრიწონელმა, მიქელ მოდრეკილმა, აბუსერიძე ტბელმა და სხვებმა. აღნიშნულ ეპოქაში დაიწერა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, ჩახრუხაძის „თამარიანი“, იოანე შავთელის „აბდულმესია“, სარგის თმოველის „დილარიანი“. სამარადისოდ დაუვიწყარია სახელგანთქმული ხუროთმოძღვრების, მხატვრების, ოქრომჭედლებისა და კალიგრაფების ღვაწლი. მათმა ნამოღვაწარმა შორს გაუთქვეს სახელი ქართულ კულტურას. სწორედ ამ ეპოქაში აშენდა ისტორიული ზემო ქართლის ტერიტორიაზე მიმობნეული სწორუპოვარი ხუროთმოძღვრების ძეგლები — ეკლესიები, ტაძრები, მონასტრები, სასახლეები, ხიდები, ციხესიმაგრეები. XII ს. 80-იან წლებში დასრულდა საქვეყნოდ ცნობილი კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, რომლის 800-



წლოვანი იუბილე ახლახან იზეიმა ქართველმა ერმა. შეუა საუკუნე—  
ების ყველა ძეგლს, თავისი ნატიფი ფორმებით დღესაც აღტაცებაში  
მოჰყავს მნახველი.

სამშენებლო ხელოვნება საქართველოში, საერთოდ და კერძოდ,  
ზემო ქართლში, აღრეფეოდალური ხანიდან მოყოლებული ყოველ-  
თვის მაღალ დონეზე იდგა. ამაზე მეტყველებენ კარგად თუ იავარ-  
ყოფილი სახით შემორჩენილი სხვადასხვა ეპოქისა და დანიშნუ-  
ლების ხუროთმოძღვრული ძეგლები და საფორტიფიკაციო ნაგებო-  
ბანი. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშ-  
ნოს ის კანონზომიერება, რაც მათ განლაგებაში შეინიშნება. სა-  
ქართველოში არსებული თავდაცვითი ნაგებობანი, ასე თუ ისე,  
ყველა ერთი-მეორის სამზერზეა განლაგებული. ასეთივე ვითარე-  
ბას აქვს აღვილი ზემო ქართლშიც, სადაც ყველა მთავარი საფორ-  
ტიფიკაციო ნაგებობა ძირითადად მტკვრის ხეობაშია და განლაგე-  
ბის მიხედვით თავდაცვის სისტემის ერთ მთლიან ჭაჭვს ქმნის. თავ-  
დაცვის ერთიანი ჭაჭვი ერთმანეთის სიხლოვეს თავმოყრილი მსხვი-  
ლი ცალკეული რგოლებისაგან — კოშკებისა და ციხესიმაგრეები-  
საგან შედგება. ეს საფორტიფიკაციო სისტემა ტაშისკარის ვიწრო-  
ებიდან იწყება და საქართველოს ყელამდე, „გიურჯი ბოლაზის“ სა-  
ხელით ცნობილ კლდეკარამდე ვრცელდება. საქართველოს ყელად  
ნაგულისხმები კლდეკარი ისტორიული ბასიანის მხარეშია და ამ-  
ჟამად თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული.

თავდაცვის სისტემაში შედიოდა აგრეთვე ქარაფოვან კლდეებ-  
ში ნაკვეთი სახიზრები და მიწისქვეშა საიდუმლო სამალავები —  
დარანები, რომლებიც ამჟამადაც მრავლადაა შემორჩენილი ზემო  
ქართლში. ერთ-ერთ ასეთ სახიზარს წარმოადგენს წალვერის ზე-  
მოთ, კიმოთესუბნის მოპირდაპირედ, შვეულად აღმართულ კლდეში  
ნაკვეთი ქვაბების კომპლექსი, რომელიც დღემდე რატომღაც უყუ-  
რადღებოდაა მიტოვებული და დიდი ხანია ელის არქეოლოგის წე-  
რაქვს.

ტაშისკარის ვიწროების ერთ-ერთ კლდოვან კონცხზე, ზემო  
და ქვემო ქართლის შესაყარზე ამაყად დგას სანახევროდ დანგრე-  
ული ციხე-კოშკი. იგი ერთნაირად დარაჭობდა ზემო და ქვემო  
ქართლს. ისტორიიდან ცნობილია, რომ 1609 წელს ტაშისკართან  
მოხდა დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლა, სადაც ქართველებმა ვი-  
ორგი სააკაძის მეთაურობით სასტიკად დამარცხეს ოსმალების მიერ  
შემოსეული ყირიმელ თათართა ლაშქარი.

ტაშისკარის შემდეგ, მტკვრის აყოლებაზე, ახალდაბის შემდლად, კლდოვან მთაზე ომართული ციხე-კოშკიდან კარგად ჩანაწერდნა ჩანს ბორჯომის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებულ სალის მთაზე აგებული ძლიერი ციხესიმაგრე. სალის ციხესიმაგრიდან სამხრეთ-დასავლეთით, კურორტ ლიკანის მოპირდაპირე დიდ კლდეზე, აშენებულია ავალიშვილების ციხესიმაგრე, რომელსაც ხეობელები პეტრეს ციხეს უწოდებენ. ამ ციხესიმაგრიდან კარგად მოჩანს ბორჯომის ფარგლებში არსებული გოგიას ციხე.

ლიკანიდან ჭობისხევამდე სოფელი არ გვხვდება. ძალიან ვიწრო და კლდოვანი ხეობის გამო სოფელი არც უნდა ყოფილიყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არქეოლოგებმა ნამოსახლარები (ბრინჯაოს ხანის) ჩითახევში და შუა ფეოდალური ხანისა ნადიკრებში (მხოლოდ ჭობისხევის სიახლოვეს) დაადასტურეს. სოფ. ჭობისხევის თავზე, დაბაძვლის მხრიდან ახალციხის მიმართულებას გაჰყურებს საკმაოდ დიდი ნაციხარი, საიდანაც ძალიან კარგად მოჩანს ასევე იავარყოფილი დვირის ციხე. დვირის ციხიდან კვლავ ახალციხის მიმართულებით ნანგრევების სახითაა შემორჩენილი ზორეთის კოშკი. რამდენიმე კმ-ის შემდეგ, ნასოფლარ მოქცევის მოპირდაპირედ, დიდ ქარაფოვან კლდეზე აღმართულია, აქა-იქ გვერდებშელეწილი სლესის ციხე, რომელიც ამჟამად რკინიგზის მიერ შუაზეა გაგლეჭილი. ეს ციხესიმაგრე თავის დროზე ზემოქართლელ ფეოდალ სლესართა გვარს ეკუთვნოდა.

სლესის ციხის შემდეგ, რამდენიმე კმ-ზე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბალების ღელის მოპირდაპირედ კლდეში ნაკვეთი ქვაბებია, რომლებიც თავის დროზე სახიზრებად იყო გამოყენებული.

ბალების ღელიდან სულ ახლოსაა და რაც მთავარია ძალიან კარგად მოჩანს აწყურის მრისხანე ციხესიმაგრე, რომლის ძირში, მტკვრის მარჯვენა მხარეზე, აშენებული იყო საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ლამაზი ტაძარი, რომლის ნანგრევებსაც ძნელად თუ მიაგნებს კაცი. აწყურში იჯდა მთავარეპისკოპოსი მაწყვერელი, რომელიც ავად მოსავონარ ყვარყვარე და მზეჭაბუკ ათაბაგების დროს საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსს ეცილებოდა პირველობას.

აწყურის ციხესიმაგრე ზემოდან გადაჰყურებს მის დასავლეთით გაშლილ დიდ დავაკებას, რომელშედაც მდებარეობენ სოფლები: ტყემელანა, საყუნეთი, აგარა და საკუთრივ აწყური. აწყურის ციხესიმაგრის თავდაცვის სისტემაში შედის წრიოხის ციხე და

საყუნეთის ნაკოშკარი, რომლებიც ერთმანეთის სამზერზე არის /  
განლაგებული.

ახალციხის მიმართულებით ფერსის ველის გავლის მეტე, წნის კლდეკარი, იყო, რომელიც ბორჯომ-ახალციხის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციისას სრულიად სახეცვლილია, მაგრამ დაკვირვებული თვალი კარგად შეამჩნევს, რომ აქ თავის დროზე „ვიწროები“ უნდა ყოფილიყო.

წნისიდან იწყება სამკუთხედის მოყვანილობის მსგავსი დიდი დავაკება, რომლის ბოლოშიც, ქარაფოვან კლდეზე, აღმართულია მრავლის მომსწრე ახალციხის ციტადელი. იგი მთლიანად გაბატონებულია მინაძის მხრიდან მომდინარე მტკვრისა და მის სიახლოეს ქვაბლიანის წყლის ხეობების სოფლებზე.

ჯავახეთის მიმართულებით ჯერ ტობა-მუსხის ვიწროებია, შემდეგ რუსთავის ნაკოშკარი, მეტე იდუმალის „მაღალი კოშკი“. ამ უკანასკნელის სამზერზეა ასპინძის ციხესიმაგრე, ხოლო შემდეგ ხერთვისის ციხე-ქალაქი, რომლიდანაც ერთი გზა მარცხნივ აუხვევს და ახალქალაქისაკენ მიდის, მეორე კი ჯერ თმოვავის ციხე-ქალაქს გაივლის და ვარძიის კლდეში ნაკვეთ ქალაქთან მიდის. ვარძიიდან თავდაცვის სისტემა კვლავ გრძელდება და მის უახლოეს. დიდ რგოლს მგელის ციხე წარმოადგენს. ეს ციხესიმაგრე ამჟამად თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს.

თავდაცვის ანალოგიური სისტემებია ქვაბლიანის ხეობაში, ჯავახეთის მტკვრის აუზში და გუგარეთის ხეობაში. ქვაბლიანის ხეობის თავდაცვის მთავარი ორიენტირია ოქროს ციხე, ჯავახეთის მტკვრის ხეობისა — ახალქალაქის ციტადელი და აბულის ციხე-სიმაგრე, ხოლო თორის მხარეში, უფრო ზუსტად გუგარეთის ხეობის აუზში, ციხე-ქალაქი ციხისჯვარი, თედიაშვილების სახელით ცნობილი სიმაგრე, სარბიელას ციხე, სახდელის ციხე-კოშკი და ა. შ.

თავდაცვისა და უსაფრთხოების ორგანიზაციის თვალსაზრისით ზემოქართლის სოფელთა უმრავლესობა, ჯგუფჯგუფად ერთი რომელიმე დიდი ციხესიმაგრის სამზერზეა განლაგებული. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფო ზრუნავდა საკუთარი მოსახლეობის თავდაცვაზე, და შეიძლება ითქვას, ორცუ ისე ცუდად. მაგალითად, აწყურ-წრიოხის თავდაცვის ზოლშია განლაგებული აწყური, თისელი, ტყემლანა, საყუნეთი, აგარა, წინუბანი და გურკელი. ოქროს ციხის შემოგარენშია შოყა, ფხერო, ბოლაჭური, ზემო და 5. თ. ჩიქოვანი

ქვემო ენთელი. ასევეა ზანავის ციხე. იგი ოქროს ციხესიმაგრებს სისტემაში შედის და მის ირგვლივაა გაშენებული ჩორჩანი, კუთმიარო, საკუთრივ ზანავი, დიდი და პატარა სმაღა. ამდაგვარ ვითარებას აქვს ადგილი ასპინძაშიც. ასპინძის ციხესიმაგრის სამზერზე მდებარეობენ აწყვიტა, დამალა, იდუმალა, ოშორა, საკუთრივ ასპინძა და ა. შ. ასეთ სურათთან გვაქვს საქმე ახალციხის ციტადელის შემოგარენში, თმოვეის ციხე-ქალაქთან და სხვაგან.

ისეთი სოფლები, რომლებიც თავდაცვის ამგვარ საშუალებას იყო მოკლებული, დასახელებული პუნქტების ქვეშ იკეთებდნენ საიდუმლო სამალავებს — დარანებს. ამავე მიზნით იყენებდნენ კლდეში ნაკვეთ ქვებებს და ბუნებრივ გამოქვაბულებს. მიწისქვეშა საიდუმლო საცხოვრებელ-სამალავები მიკვლეულია მრავალ სოფელში — ზევლში, ჭობარეთში, ხიზაბავრაში, საროში, გორთუბანში, ჰეჭლაში და ვინ იცის, კიდევ სად აღმოჩნდება ავბედური ცხოვრების მაუწყებელი ეს უტყუარი ნიშნები.

ჯაჭვად გაბმული თავდაცვის ერთიანი სისტემა, საშუალებას აძლევდა გლეხკაცობას, რათა ადგილზე დამაგრებულიყო და მტრის განდევნის შემდეგ კვლავ ეწარმოებინა სამეურნეო საქმიანობა. ასეც იყო. ოდნავ სიმშვიდე ჩამოვარდებოდა თუ არა, გლეხკაცი კვლავ გუთანსა და თოხს კიდებდა ხელს. ზემოქართლელები — მესხები, VI ს. გამოჩენილი ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის თქმისა არ იყოს, მართლაც გამრჯე მშრომელები იყვნენ. ამაზევე მეტყველებს ამ სამასიოდე წლის წინათ დაწერილი, ასევე გამოჩენილი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვები. აი, რას წერდა ვახუშტი ზემოქართლელების შესახებ: „ხოლო კაცნი და ქალნი არიან მსგავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს წილად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხენნი, შემმართებელნი, შუენიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი...“ სწორედ მათმა გამრჯე საქმიანობამ, ცოდნისა და ხელოვნებისადმი სიყვარულმა მოუტანა სახელი და დიდება შუაფეოდალური ეპოქის ზემო ქართლს, სადაც IX ს. დაიწყო ფიქრი და ზრუნვა საქართველოს გაერთიანებაზე.

სათანადო ადგილზე ითქვა, რომ ზემო ქართლში შემავალ ყველა ძეველქართულ პროვინციაში VIII—XIV სს. სამშენებლო ხელოვნება განვითარების ძალიან მაღალ დონეზე იდგა. არანაკლებ განვითარებული უნდა ყოფილიყო ხალხური ბინათმშენებლობაც, რომლის დამადასტურებელ უტყუარ ფაქტს წარმოადგენს ლიკანში

მიკვლეული ქვის გვირგვინიანი სახლი და წნისის სამაროვანზე  
(ახალციხის რაიონი, არქეოლოგი პ. კვიშინაძე) გათხრილი ბანგარის  
საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსი. წნისის ნა-  
სახლარის კომპლექსში ერთიმეორის გვერდითაა დაგეგმარებული  
ზემო ქართლის მრავალდაზოვანი სოფლის მეურნეობის ამსახვე-  
ლი და საჭირო სათავსები. ამავე ფაქტზე მეტყველებს აგრეთვე  
ბორჯომის რაიონის „ნადიკვრებში“ მიკვლეული ანალოგიური  
კომპლექსი (არქეოლოგი გ. ნასიძე), საღაც სხვასთან ერთად მარა-  
ნიცაა დადასტურებული.

**დასახლება.** ზემო ქართლი მთავორიანი და მცირევაკიანი რე-  
ლიეფით ხასიათდება. ხევხუები და დავაკებანი ერთმანეთში გადა-  
დის. ჭავახეთის ზეგანი უპირატესად ვაკეა, რაც არ ითქმის სამცხე-  
ზე, განსაკუთრებით კი თორის მხარეზე, სადაც დასახლებული პუნ-  
ქტები ძირითადად ვიწრო ხეობებშია გაშენებული. ამგვარმა რელი-  
ეფმა, რასაკვირველია, იმოქმედა დასახლების ფორმის ჩამოყალიბე-  
ბაზე, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ჯგუფურ ხასი-  
ათს ატარებდა. ჩვენი წინაპრები, როგორც სოფელთა განლაგებიდან  
ჩანს, მდინარეთა და ტბების ნაპირებზე ირჩევდნენ ცხოვრებას. ზე-  
მო ქართლის ყველა სოფელი უკლებლივ ამ პრინციპის მიხედვითაა  
გაშენებული. ამაზე მეტყველებს ფარავნის ტბის ირგვლივ არსებუ-  
ლი უძეველესი დასახლებული პუნქტები: ფოკა, ასფარა, მახაროვა-  
ნი (ამჟამინდელი ვლადიმიროვკა), ჭაჭკა (ტამბოვკა), ნასოფლარი,  
შაორი და ფარავანა (როდიონოვკა). ასეთ ვითარებას აქვს ადგილი  
დიდი ხანჩალის ტბის ირგვლივ, ჭავახეთისა და არტაანის მტკვრის  
ხეობებში, ქვაბლიანში, გუჯარეთსა და სხვაგან. ზემო ქართლის  
რთული ლანდშაფტი მოსახლეობას აიძულებდა შეგუებოდა ამგვარ  
გეოგრაფიულ პირობებს. მაგრამ როგორც სოფელთა განლაგებიდან  
ჩანს, ძეველ მხენელ-მთესველებს საცხოვრებლად უფრო დავაკებუ-  
ლი ადგილები აწყობდათ. ამ ვითარების გამოა, რომ ბევრი სოფე-  
ლი ვაკე ადგილებზეა გაშენებული. მაგრამ ფერდობებსა და მთის  
კალთებზეც საქმიოდ ბევრი სოფელი იყო და არის გაშენებული.

კოლექტივიზაციის შემდგომ პერიოდში მკვეთრად გამოიყეთა  
გზისპირა დასახლების ტენდენცია. საკარმიდამო ნაევეთების ახლე-  
ბურად გადანაწილებამ მოსახლეობა თანდათან გამოიყვანა მიჯრით  
განაშენიანებული მამაპაპური უბნებიდან. ყველა ახალმოსახლე  
ცდილობს, რაც შეიძლება დაუახლოვდეს საქომუნიკაციო მაგისტ-  
რალებს — საავტომობილო გზებს. ამგვარმა სწრაფვამ თანდათანო-

ზემო ქართლის ძეველებური სოფელი, როგორც წესი, რამდენი-  
მე უბინისაგან შესდგებოდა და ყოველ უბანში სხვადასხვა გვარი  
ცხოვრობდა. სოფლის ორიენტირს ეკლესია წარმოადგენდა, რომე-  
ლიც ყოველთვის გამოსაჩენ ადგილზე იყო აშენებული. სოფელს  
ჰქონდა სახალხო თავშესაყარი ადგილი, მოედანი, რომელიც ეპლე-  
სიასთან, სამჭედლოსთან ან მთავარ წყაროსთან არსებულ დავაკე-  
ბულ ადგილზე იყო გამართული. აქ იკრიბებოდა ხანში შესული  
მოსახლეობა რაიმე საჭირობო საკითხის გადასაწყვეტად. აქვე  
იმართებოდა ყველა სასოფლო დღესასწაული, ცეკვა, სიმღერა, ჭი-  
დაობა და ა. შ.

XIX ს. სოფლის უბნები ჯერ კიდევ მონოგენურ ხასიათს ატა-  
რებდა. ყოველი უბანი სისხლით ნათესავ მოგვარეთა ხუთი-ექვესი,  
ზოგჯერ უფრო მეტი ოჯახის სახლ-კარისაგან იყო შექმნილი. ცალ-  
კეულ ოჯახთა სახლ-კარი ბანიანი საცხოვრებლით და სამეურნეო  
ნაგებობათა კომპლექსებისაგან შედგებოდა. ნაგებობათა კომპლექ-  
სები ერთმანეთზე იყო მიღმულ-მიშენებული. უბნის ამგვარი კომ-  
პაქტურობა ავტედობით იყო ნაკარნახევი, ყველა სახლი ერთმანეთ-  
თან საიდუმლო კარებით უკავშირდებოდა. მოულოდნელი თავ-  
დასხმის შემთხვევაში, უბნის მოსახლეობა ამ საიდუმლო კარებით  
ერთი სახლიდან მეორეში გადადიოდა და იქ იყრიდა თავს, რომე-  
ლიც უფრო საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. სახლებს, არც-  
თუ იშვიათად გვირაბებიც ჰქონდა, რომლის საშუალებითაც ლტოლ-  
ვილი მოსახლეობა სოფლიდან იპარებოდა და ციხესიმაგრებს აფა-  
რებდა თავს.

ბანიანი სახლებით შექმნილი უბანი, ანდა საერთოდ სოფელი,  
მაინცდამაინც თვალში საცემი არ იყო, რის გამოც უცხო ადამიანი  
ადვილად ვერ ერკეოდა ადგილობრივ ვითარებაში. ერთმანეთზე  
წაბმული, რაღაც მიწაყრილის მსგავსი, ამობურცულ-დავაკებული  
ბანები კეთილმოწყობილი სახლების შთაბეჭდილებას არ ტოვებდა  
და საეჭვოს ხდიდა ამგვარი ბანების ქვეშ ოჯახების ცხოვრებას.  
ასეთ წარმოდგენას ისიც უწყობდა ხელს, რომ ეზო-ბალები ზემო-  
ქართლელთა სახლ-კარისათვის მაინცდამაინც დამახასიათებელი არ  
იყო. ბალები, ვენახები და სხვა სავარგულები სოფლის მოშორებით  
მდებარეობდა.

ჭვეულურად თავმოყრილი და ერთმანეთზე მიღებულ-მიშენებული ბანიანი სახლები მიწისქვეშა კვარტალებს ქმნილნენ. ყოფილ ასეთი უბან-კვარტალი ერთმანეთისაგან გამოჯოლი. იყო შუკით, ლელით ანდა სამოსახლოდ უვარგისი კლდოვანი ფერდობით.

XIX ს. მიწურულამდე ჯერ კიდევ მოშლილი არ იყო სისხლით ნათესავი მოგვარე ოჯახების ტრადიციულად მომდინარე პატრონი-მიული ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ერთ მოდგმა-წარმომავლობაზე დამყარებულ შრომასა და მოხმარებაზე იყო აგებული. ყოველი პატრონიმია საერთო წინაპრის შთამომავალი ძმების და ბიძაშვილებისაგან იყო შექმნილი. ასე რომ, რომელიმე მონოგენური უბანი, ერთ გარკვეულ პატრონიმიას წარმოადგენდა. ასეთ საოჯახო-საგვარო გაერთიანებას სათავეში ედგა გვარში ყველაზე საზრიანი უხუცესი მამაკაცი. არცთუ იშვიათად პატრონიმიის მეთაური იყო შედარებით ახალგაზრდაც.

სისხლის ნათესაობით შეკავშირებულ ერთ გვარს, პატრონი-მიას, ჰქონდა საერთო საძოვარი, აღგილი სასაფლაოზე, წისქვილი, ტყე და სერი — კერძო საკუთრების აღმნიშვნელი ნიშანი, რომელ-საც თურქულის გავლენით ამჟამად დამდას ვუწოდებთ. სერი, კდის სახით უკეთდებოდა საქონელს და სამასალე მოსაჭრელ ხეს. საინ-ტერესოა, რომ ერთობის ეს კეთილშობილური ტრადიცია, თავისი ზოგიერთი გამოვლინებით დღესაც განაგრძობს არსებობას. მაგალი-თად, სოფლის სასაფლაოებზე კვლავ ძალაშია საგვარეულო ნაკვე-თების ხელშეუხებლობის დაუწერელი კანონი. ასევე ითქმის რე-ლიგიურ დღესასწაულებზე ერთად გასვლის შესახებაც და სხვ.

XIX ს. 30-იანი წლების დასაწყისიდან ზემო ქართლში რამდე-ნიმე ტალღად ჩამოვიდა თერქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ვილაი-თებიდან გადმოხვეწილი სომხური ეთნიკური ელემენტი. ლტოლვი-ლი სომხები ქართველთა ნასოფლარებში დასახლდნენ, სადაც მათ დახვდათ ხალხური მატერიალური კულტურის ძეგლები — სახლები, წისქვილები, ზეთსახდელები, რომლებიდანაც ზოგიერთი მზამზა-რეულად აითვისეს. ხანგრძლივი ისტორიული თანამეზობლობის გამო, ყოფით კულტურაში ქართველებსა და სომხებს ბევრი რამ მსგავსი ჰქონდათ. ერთ-ერთი ასეთი მსგავსება დასტურდებოდა და-სახლების ფორმაში, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყოველმხრივ ქართულის ანალოგიური იყო. განსხვავება მხოლოდ ტერმინოლო-გიური ხასიათისა იყო, რაც ბუნებრივი და ლოგიკურია.

რუსთა სოფლები სწორად გაყვანილი ფართო ქუჩებით და  
მათ გასწვრივ განაშენიანებით ხასიათდება. პატრონიმულ საფუძ  
ველზე აღმოცენებული მონოგენურ უბნებად დასახლება მათ-  
თვის არადამახასიათებელი და სრულიად უცხო მოვლენაა. სწო-  
რედ ასეთი ვითარების გამოა, რომ სისხლით ნათესავ მოგვარეთა  
ოჯახები სოფელში გაფანტულად არიან დასახლებულები. სამაგიე-  
როდ, ქართველებისა და სომხების ძველი ყოფისაგან განსხვავებით  
რუსებს საკუთარი კარ-მიდამოს ფარგლებშივე ჰქონდათ ეზო და  
სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო სავარგული.


რევოლუციის, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემ-  
დეგ ქართველობითა და სომხებით დასახლებულ სოფლებში, შეიძ-  
ლება ითქვას, დასახლების ფორმა ძირფესვიანად შეიცვალა და სრუ-  
ლიად ახალი სახე მიიღო. სახლები უმთავრესად საკარმიდამო ნაკ-  
ვეთებში შენდება. სახლს ეზოსთან ერთად გაუჩნდა ბალი და ბოს-  
ტანი. ბოლო ხანებში აშკარად შეიმჩნევა დასახლების გადაწევა შა-  
რაგზებისაკენ და მათ გასწვრივ განაშენიანების ტენდენცია. ყველა  
თანამედროვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო სიკეთესთან ერთად,  
ოდესლაც ჭგუფურ-ევარტალური დასახლება გაფანტულ-ბუდობრივ  
ფორმაში გადაიზარდა.

ზემოქართლელი ებრაელები ქალაქებსა და დაბებში ცხოვ-  
რობდნენ და მათი დასახლებული ადგილები ჭგუფურ ხასიათს  
ატარებდნენ.

გუჯარეთის ხეობაში მცხოვრები ოსების დასახლების ფორმა  
ამჟამად საერთო ქართულის ანალოგიურია. სახლები ჩადგმული  
აქვთ საკარმიდამო ნაკვეთებში, რის გამოც დასახლების ფორმა  
გაფანტულ-ბუდობრივია. ოსებშიაც უკვე დიდი ხნის მოშლილია  
სოფლის შიგნით პატრონიმიული განსახლების პრინციპი.

ელინოფილი ბერძნები კომპაქტურად, ამჟამად მხოლოდ ბორ-  
ჯომის რაიონის სოფ. ციხისჭვარში მოსახლეობენ და მათი დასახლე-  
ბის ფორმა გზების ორივე მხარეზე განაშენიანებით ხასიათდება. ბერძნებს, ისევე როგორც თანამედროვე ზემო ქართლში მცხოვ-  
რებ ყველა ეროვნების წარმომადგენელს, ქალაქური ყაიდის ახალი  
ტიპის სახლები აქვთ.

საცხოვრებელი. ზემო ქართლი ძველთაგანვე ტრადიციული მაღალგანვითარებული ხალხური სამშენებლო კულტურის მქონებელი მხარეა. ისტორიის შორეულ წარსულში თვითმყოფადი კულტურის საფუძველზე აღმოცენებული ხალხური სამშენებლო ხელოვნება საუკუნეთა მანძილზე იხვეწებოდა, თანდათან სრულყოფილი ხდებოდა. ადრეფეოდალური ხანის ზემო ქართლში უკვე ლოკალურ ხასიათს ატარებდა საერთო ქართულ წიაღში ჩასახულ-აღმოცენებული მსოფლიო მნიშვნელობის ხალხური საცხოვრებელი — დარბაზული სახლი. ბანით მომთავრებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსი — დარბაზული სახლი, რომელსაც არც-თუ იშვიათად ერთობის სახლსაც უწოდებდნენ. თავისი სოციალური ბუნებით ერთობის სახლი, ანუ იგივე დარბაზული სახლი სამიოთხი თაობისაგან შემდგარი ხალხმრავალი ოჯახის ტიპურ საცხოვრებელს წარმოადგენდა. იგი იმდენად სიცოცხლისუნარიანი გამოდგა, რომ გაუძლო დროთა ჭიდილს, გამოიარა ერთმანეთისაგან ეკონომიკურად და პოლიტიკურად განსხვავებული ეპოქა და გადმონაშთის სახით ჩვენს დრომდე მოაღწია (სურ. 1).



I კარავანის  
II ჟარიბაშის  
III ბათქოლი  
IV საბრელი

### ღარბაზები სახლი

რაბა

I ქარავანის  
II ტანტი  
III საწყლე  
IV სუნარი  
V ქვერა

VI წალმ  
VII საცომ  
VIII ხარისხი  
IX სანარწყული  
X ბარა

სურ. 1.

ერთობის სახლში, რომელიც ერთი საერთო სახურავის ქვეშ მოქცეული ამობურცული და ბრტყელი ბანებისაგან იყო შექმნილი, ერთომეორის გვერდით დაგეგმარებული იყო სხვადასხვა დანიშნულების ოთახ-სათავსოები: კარაპანი, დარბაზი, თავარებიანი ოდა, სახელამბრე, სათონე, საბქელი, საციონ და ბოსელი. ყველა მათგანი ერთმანეთთან დერეფნების მთელი სისტემით იყო დაკავშირებული. ლაბირინთისებურად დაგეგმარებული ერთობის სახლის ცენტრს წარმოადგენდა დარბაზი — ოჯახის მთავარი სამყოფ-საცხოვრებელი.

ერთობის სახლი, რომელშიაც შემავალი ყველა ოთახი სხვადასხვა ფორმის ბანური გადახურვით იყო მომთავრებული, ერთ მთლიან დახშულ კომპლექსს წარმოადგენდა. ამგვარ სახლში მხოლოდ ერთი მხრიდან, კარაპანის საშუალებით შეიძლებოდა შესვლა. კარაპანი ყოველთვის წინა მხარეს წარმოადგენდა და თავისი დანიშნულებით მნიშვნელოვანი ფუნქციების მატარებელი იყო. იგი წინა მხრიდან ღიად იყო დატოვებული და მის ბრტყელ ბანს, რომელიც ძელურ სისტემას წარმოადგენდა, ქვემოდან შეყენებული რამდენიმე სვეტი იკავებდა. კარაპანი ფართით 16—20 კვ. მ შორის მერყეობდა, ხოლო სიმაღლით ორ მეტრზე ნაკლები არასოდეს იყო. ხშირად ამ სათავსოში იდგა დიდი ტევადობის სამგანყოფილებიანი „ლაზამბარი“, საზაფხულოდ გამოსაყენებელი ტახტი და ზოგიერთი სხვა ინვენტარი.

ერთობის სახლი უმეტესად ქვითკირით იყო ნაშენები და კარი, რომლითაც იგი დარბაზს უქავშირდებოდა, მუდამ ცალყურა და სქლად ნათალი ფიცრებისაგან ჰქონდა შეკრული. იგი შიგნით იღებოდა. საკეტად ძელური ურდფული გამოიყენებოდა, რომელიც გარედან ორიგინალური და საიდუმლო გასაღებით იღებოდა. ასეთი კარის შენგრევა ძალიან ძნელი საქმე იყო. მას დანარჩენი სამი მხარე ქვის კედლებით ჰქონდა შემოზღუდული.

კარაპანის კარის გავლის შემდეგ, ერთი დერეფანი სახლის სამყოფ-საცხოვრებელი ნაწილისაკენ მიემართებოდა, მეორე კი საბქელ-ბოსლისაკენ. ოჯახის სამყოფ-საცხოვრებლის მხარეზე განლაგებული იყო დარბაზი, სახელამბრე, საციონ და სათონე, ანუ იგივე ფურნის ოთახი. სახლში არსებული მეორე საცხოვრებელი ოთახი — თავარებიანი ოდა, ყოველთვის ბოსლის გვერდით იგეგმებოდა.

ოჯახის მთავარი სამყოფ-საცხოვრისი ოთახი — დარბაზი, საკმაოდ დიდი ფართისა იყო. საშუალო ზომის დარბაზების ფართი 40—50 კვ. მ შორის მერყეობდა. მაგრამ, იყო ისეთი დარბაზებიც,

რომლებიც 100 კვ მ აღწევდა და ეს იშვიათობას როდი წარმოადგნდა. დარბაზის დაგეგმვაში აშკარად შეიმჩნეოდა კვადრატული ბის ტენდენცია. სიგრძე და სიგანე თითქმის ყოველთვის თანაბარი ჰქონდა. დარბაზი ხასიათდებოდა საგანგებოდ დატეპნილი მიწური იატკით, რომლის ცენტრშიც გამართული იყო ქვის ორი ბლოკი-საგან შექმნილი კერა.

დარბაზის მიწურბანიან სახურავს, როგორც წესი, მოგვირგვინებული კერი ჰქონდა და მას ზემო ქართლში „მერცხლის ბუდურას“ უწოდებდნენ. ერთი შეხედვით დარბაზის გვირგვინი მართლაც წააგავდა მერცხლის ბუდეს.

ზემო ქართლის დარბაზებში ორნაირი სამშენებლო ტექნიკით აღმართული გვირგვინები იყო გავრცელებული. უფრო არქაული ითვლებოდა, როდესაც გვირგვინი ოთახის ცენტრში და კედლების პერიმეტრზე აღმართულ სვეტების თავზე გადებულ თავხესა და საწარბე ძელებზე იყო დაყრდნობილი. ამ ძელებზე დაწყობილი, ერთმანეთში თავბოლოთი ჩაჭდეული ნიურები — დაკუთხული მოკლე ძელები, სიმაღლეში თანდათანობით მოკლდებოდა, და ქმნიდა დაკიბულ პირამიდისებურ გვირგვინს.

მეორე წესით აღმართული გვირგვინი, პირველთან შედარებით ტექნიკურად უფრო გაუმჯობესებული იყო. მას ოთახის ცენტრში აღმართული დედაბოძები უკვე აღარ სჭირდებოდა. იგი დაყრდნობილი იყო, მხოლოდ ოთახის კედლების პერიმეტრზე მიღმული სვეტების თავებზე გადებულ საწარბე ძელებზე.

ზემო ქართლში უპირატესად მრავალწახნაგა გვირგვინები იყო გავრცელებული. გვირგვინი რაც უფრო მრავალწახნაგა-კუთხოვანი იყო, მით უფრო მაღალი გამოდიოდა. მაღალი გვირგვინი კი კერიდან ასულ კვამლს კარგად იწოვდა. გვირგვინის თავში დატანიებული ერთო ორმაგი ფუნქციის მატარებელი იყო. იგი ერთდროულად საკვამურს და სარქმელსაც წარმოადგენდა. ერდოღან შემოსული მზის სხივი, დღის განმავლობაში დარბაზის ყველა კუთხე-კუნძულს ანათებდა.

უფრო არქაული სახის დარბაზებში კერის თავზე მოწყობილი იყო აყარი, რომელიც გვირგვინის დამჭერი სვეტის თავებზე მაგრდებოდა. შედარებით გაუმჯობესებული სამშენებლო ტექნიკით აღმართულ გვირგვინიან დარბაზებში აყარი უკვე აღარ გამოიყენდოდა. აყარზე ეკიდა ოჯინჯალი — ქვაბსაკიდი კაუჭიანი ჯავეთ, მასზე გამოყავდათ ლორის, საქონლისა და ბატის შაშხი. შედარებით

ახალი ტიპის დარბაზებში ოჯინჯალის მოვალეობას ასრულებდა რეინისაგან გამოჭედილი სამ-ოთხფეხიანი ზედაღვარი. კერძოდ დაბაზულ სახლში წარმოადგენდა საოჯახო ყოფის ცენტრს. მის ირველივ შემოატარებდნენ და დალოცავდნენ ხოლმე ოჯაზში შემოსულ ახალ წევრს — პატარძალს. კერძასთან საღილ-ვახშმობდა და ბჭობდა ოჯახი. მის სიახლოეს დასვენებდნენ ხოლმე მიცვალებულს, მასთან ირწეოდა მომავალი თაობის აკვანი. ყოველივე ამის გამო კერძას ძალიან უფრთხილდებოდნენ. იგი მუდამ ჩაუქრობელი სიცოცხლის სიმბოლოს წარმოადგენდა.

დარბაზში ყველა საჭირო დგამჭურჭელი თავისი წესია და რიგის მიხედვით იყო განლაგებული. შემოსასვლელიდან მარჯვენა მხარეზე იდგა ოჯახის უფროსებისათვის განკუთვნილი ტახტი, რომელზედაც ზრდაში შესული ბავშვებიც იძინებდნენ. აღნიშნული ტახტის გარდა იყო სხვებიც, ოჯახის სულადობაზე დამოკიდებით. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ხიზაბავრელი ოენოშვილების ოჯახი 50 სულს ითვლიდა, დათაშვილებისა — 35-ს, ძალიაშვილებისა — 40-ს, ველიჯანაშვილებისა — 35-ს და ა. შ. ხალხმრავალი ოჯახები კერძეულის დასამზადებლად სამოცი ლიტრი ტევადობის სპილენძის ორყურა ქვაბს ხმარობდნენ. სუფრის თავში ყოველთვის ოჯახის უფროსი უნდა მჯდარიყო. მის მხარმარჯვნივ, ასაყის მიხედვით მამაკაცები ისხდნენ. ამავე წესის მიხედვით ქალები მარცხენა მხარეს იყვნენ ჩამწერივებული. ისიც საინტერესოა, რომ საერთო სუფრა დღეში ერთხელ, ვახშმობისას იშლებოდა. საუზმე, საღილ-სამხარი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით იყო რეგლამენტირებული. საუზმე, საღილ-სამხარი თავისი წესით მხოლოდ ზამთრის პერიოდში მიმდინარეობდა.

საოჯახო ძვირფასეულობისა და ტანისამოსის შესანახ სკივრ-ზანდუკებს, საფქვილე და საპურე კიდობნებს, წყლის ჭურჭელს, კუტალებს, თიხის კოკებს, რომლებიც მუდამ ფიცარნაგზე იყო გამართული, დარბაზში სხვადასხვა აღგილი და კუთხე-კუნძული ჰქონდა მიჩნეული.

XIX ს. ზემოქართლურ დარბაზებში ბუხარიც გაჩნდა, რომლის დამნერგავებად ლაზი ქვით ხუროები ითვლებიან. ლაზების ნახელავი ზოგიერთი ბუხრის ქვა, ორნამენტირებისა და დამუშავების თვალსაზრისით, ქვითხუროობის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ. დარბაზის ვითარებაში, ბუხარმა თავისი დანიშნულება ვერ გაამართლა. ერთი გლეხვაცის მოსწრებული სიტყვისა არ იყოს —

„ბუხარი ცას უფრო ათბობს, ვიდრე ადამიანს“. სწორედ ამის გამო მო იყო, რომ ჩვენ დრომდე მოღწეულ ზოგიერთ დარბაზში, ამასთან ერთად კერაც ფუნქციონირებდა.

დარბაზთან ბევრი საინტერესო წეს-ჩვეულებაა დაკავშირებული. ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს საქორწილო რიტუალი, აჯილას გამართვის ტრადიცია. არცთუ ისეთ შორეულ წარსულში, როდესაც საქორწინო სუფრა გაიშლებოდა, დარბაზში ნეფე-დედოფლისათვის სპეციალურად შემაღლებულ ტახტს — აჯილას დადგამდნენ ხოლმე. მთელი საქორწინო ღრეობის ღროს ახლადშეულლებულნი აჯილაზე უნდა მსხდარიყვნენ. როდესაც ნეფე-დედოფალს მათთვის განკუთვნილ ოთახში გაიყვანდნენ, რომელსაც უმეტესად თავარებიანი იღდა წარმოადგენდა, აჯილას მაშინვე მოშლიდნენ. აჯილას მოშლა საქორწინო რიტუალის დამთავრებას ნიშნავდა, თუმცა ქეიფი აუცილებლად დილამდე უნდა გაგრძელებულიყო.

ზემოქართლელებმა — თორელებმა, მესხებმა, ჯავახებმა, კლარჯებმა, შავშელებმა, ისევე როგორც საერთოდ ყველა ქართველურ-მა ტომმა, კარგი მოლხენა იცოდნენ. სიმღერა და ცეკვა პურობის აუცილებელი თანამგზავრი იყო. დარბაზში სწორედ სიმღერის დიდმა სიყვარულმა შექმნა ქოთნებიანი გვირგვინი, რომელიც ზემო ქართლის ანალოგიურად, ქვემო ქართლშიაც საქმაოდ გავრცელებული ყოფილა. დაკიბული პირამიდის მოყვანილობის მრავალ-წახნაგა გვირგვინიანი დარბაზი თავისთავად კარგი აკუსტიკით ხასიათდებოდა. მაგრამ, სიმღერის დიდად მოყვარული ოჯახი იმითაც არ კმაყოფილდებოდა. ოჯახში რეზონანსის გაძლიერების მიზნით, გვირგვინის პირველ წყებაში სხვადასხვა დიამეტრის მქონე პირფართე ქოთნებს ჩამაგრებდნენ ხოლმე. პირდაპირ ნიუტრებში, გვირგვინის დაკუთხულ ძელებში ჩამაგრებულ ქოთნებს, პირი ოთახის ცენტრისაკენ ჰქონდა გამოშვერილი. ლხინისა და პურობის ღროს, ქოთნებიანი გვირგვინი დიდებული ექო-მოძახილის ფონს უქმნიდა ხალხურ სიმღერებს. ერთი ასეთი დარბაზის ნანგრევებს მივაკვლიერ ვალეს ახლო მდებარე ნასოფლარ ნაოხრებში, რომელიც თავის ღროზე სიმღერის მოყვარულ მათიძეთა გვარს ეკუთვნოდა.

დარბაზს, გარდა ერთი მთავარი კარისა, რომლითაც იგი კარაპანთან იყო დაკავშირებული, შიგნითა მხარეს კიდევ ერთი კარი ჰქონდა. ამ კარით იგი საციოსა და სახელამბრეესთან იყო დაკავშირებული. ჯერ საციო იყო, ხოლო მის შემდეგ სახელამბრე.

საციონ საშუალო ზომის ოთახი იყო. მიხი ფართობი 12—16 კვ. მ. შორის მერყეობდა. იგი ხასიათდებოდა მიწური იატაკით და ბრტყელი ბანით, რომელსაც ერდოც ჰქონდა. საციონ-საკუჭნაოში ინახებოდა ერბო, ყველი, ჩაყაურმებული ხორცი, შაშხი, მწილი, თაფლი და არაყი. იქ, სადაც ვენახი იყო, საციონში ქვევრებით ინახებოდა ლვინო.

სახელამბრე, რომელიც ბეღლის ფუნქციას ასრულებდა, საციონსთან კარით იყო დაკავშირებული. სახელამბრეში იდგა ორი ამბარი; დიდი და პატარა. დიდს ლაზამბარი ერქვა, პატარას კი ხელამბარი. ხელამბარი საფეხვილეს წარმოადგენდა. რაც შეეხება ლაზამბარს, იგი სამ-ოთხ განყოფილებიანი დიდი ტევადობის საცავი იყო და ფხვიერი პროდუქტების შესანახად გამოიყენებოდა. ლაზამბარი, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ლაზი ხითხუროების ნახელავს წარმოადგენდა, რომლის გაკეთება შემდეგში ზემოქართლელებსაც კარგად აუთვისებიათ. ადგილობრივი ხელოსნების ნახელავი არაფრით არ ჩამოუვარდება ლაზურს, მაგრამ რატომლაც სახელწოდება მაინც პირველმკეთებლებისა დარჩენილა.

საშუალო ზომის ლაზამბარი სიგრძით თვრამეტ მტკაველს აღწევდა, სიგანით ათს, ხოლო სიმაღლით — შიგ აღამიანი უნდა გამართულიყო. იგი კარგად გარანდული ფიჭვის ან სოჭის ფიცრებისაგან კეთდებოდა და სამი-ოთხი განყოფილებისაგან — ხაროსაგან შედგებოდა. ლაზამბარს ჰქონდა ერთი კარი — ფულაყა, რომლიდანაც შეიძლებოდა შიგ შესვლა. თავთავიანთი კარები ჰქონდა აგრეთვე ხაროებსაც. ამ კარებების — სათვალეს საშუალებით იყრებოდა ხაროში ფხვიერი პროდუქტი — ლობიო, მუხუდო, ცერცვი. ბოლო ხანებში სიმინდიც.

სათონე, ანუ იგივე ფურნის ოთახი შედარებით ქველად ნაგებ სახლებში მუდამ სახელამბრეს გვერდით მდებარეობდა და მოგვირგვინებული ჰქონდა პერ-სახურავი ჰქონდა. ერდოიანი გვირგვინი რომ არა, ბრტყელ ბანში გაკეთებული ერდო ბოლს ვერ გადევნიდა, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია პურის საცხობისათვის.

ადრე პურს სანახევროდ მიწაში ჩადგმულ თონეში აცხობდნენ. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ქვეყანა თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს, მათი გავლენით თანდათანობით ფურნე გავრცელდა. ფურნე ნაფლეთი ქვისაგან შენდებოდა და მუდამ სახლის სისტემაში იყო ჩადგმული. ფურნის შიგნითა ნაწილში, სადაც უშუალოდ პური ცხვება, ნახევარწრისებურადაა მოფენილი ცეცხლგამძლე ქვის ფილები. მას

ორი თვალი აქვს. მრთი დიდი, საიდანაც ჭერ საწვავი შეაქვთ, ხოლო გახურების შეძლევ დაგუნდავებული ცომი. მეორე თვალი არც ფანგარა პატარაა და პურის ცხობის სათვალთვალოდ გამოიყენება. ფურნის სათანალო კონდიციამდე გახურების შემდევ, ხის სპეციალური ნიჩით გამოიტანდნენ შეშის ნამწვს. კეტზე დამაგრებული ჩვრით მოწმენდნენ ფსკერს და მერე შეაწყობდნენ გამოსაცხობად დამზადებულ დაგუნდავებულ ცომს. შემდევ დიდ თვალს — ფანგარას დაგმანავდნენ. პატარა თვალსაც სპეციალურად გამოკრილ თუნექს მიაფარებდნენ, რომელსაც პერიოდულად იღებდნენ და შიგ იხედებოდნენ. ამოწმებდნენ პურის ცხობის მიმღინარეობას. როდესაც პური გამოცხვებოდა, იგი კვლავ ნიჩაბით გამოჰქონდათ.

ფურნე სხვა დანიშნულებითაც გამოიყენებოდა. შემოდგომის დამდეგს, როცა ხილი უკვე მოიკრიფებოდა, ზოგს საჩირედ გადაარჩევდნენ. ძირითადად პანტა, მსხალი, ჭანჭური და ვაშლი იჩირებოდა. დაჩირულ ხილს ჭერ მზეზე გააშრობდნენ, ხოლო შემდევ, როდესაც ფურნიდან პურს გამოიღებდნენ, უკვე განელებულში ჩირს შეალაგებდნენ.

მას შემდევ, რაც ზემო ქართლში XIX ს. პირველი ნახევრიდან მოყოლებული სხვა ქართველობაც ჩასახლდა შიდაქართლელები, იმერლები, რაჭველები, თონეში პურის ცხობის ტრადიცია თანდათანობით განახლდა.

ქარაპანის გავლის შემდევ ქარების მეორე დერეფანი საბეჭბოსლისა და თავარებიანი ოდის მიმართულებით, გეგმარდებოდა. ბოსელი საბძლისა და თავარებიანი ოდის შუაში იყო მოქცეული.

ბინადარ მესაქონლეობას, რომელიც ზამთარში საქონლის ბაგურ კვებაზე ყოფნას გულისხმობს, აუცილებლად კეთილმოწყობილი სადგომი ესაჭიროება. ზემო ქართლისათვის დამახასიათებელი შედარებით ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთრის გამო იგი ჰიგიენურად ვარგისი, პაერმტევი და თანაც თბილი უნდა ყოფილიყო. წინააღმდევ შემთხვევაში, ცუდ პირობებში გამოზამთრებული საქონლი, განსაკუთრებით კი მუშა პირუტყვი ავადმყოფი ხედებოდა გაზაფხულს. ეს ყველაფერი კარგად იცოდა ქართველმა მეურნემ. ამიტომაც, ზემოქართლური ბოსელი ყველა პირობას აქმაყოფილებდა. უფრო მეტიც, იგი ხალხური არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენდა და აი რატომ.

ბოსელი გეგმაზე ყოველთვის გრძელი ოთხეუთხედის მოყვანილობისა იყო. საშუალო ფართის მქონე საქონლის სადგომი სიგრ-

ძით ათ მეტრს აღწევდა. მაგრამ იყო თხუთმეტი და ოცი მეტრზე სიგრძისანიც. რაც შეეხება სიგანეს, ისე იყო ნავარაუდები, რომ სიგრძით დატეულიყო სამი მოზრდილი ხარი ან კამეჩი. განსაკუთრებული უურადღება ექცეოდა იატაკს და სახურავის — ჭერის სიმაღლეს. მიწური იატაკი ჭერ მაგრად დაიტკეპნებოდა, ხოლო შემდეგ ხის მრგვალი ძელებით — ლატებით ან ქვის ფილებით მოიფინებოდა. ასეთ ფიცარნაგს და ქვაფენილს ზღვე ეწოდებოდა. ზღვეს შუაში ბოსლის თავიდან ბოლომდე საქონლის წუნწუხისა და ნაკელის მოსაგროვებელი არხი — სანარწყული უკეთდებოდა. ბოსლის ორივე გრძივ კედელზე მიმაგრებული იყო ფიცრისაგან შეკრული ბაგები, რომელთაც ყოველ ერთ მეტრში ნაცხვირალი ჰქონდა გაკეთებული. ნაცხვირალში, ანუ იგივე ნახვრეტში გაყრილი ღვლერჭით საქონელი ბაგაზე იბმებოდა.

ბოსლიც მიწური ბანით იყო მომთავრებული და შენობაში ჰქონდა უკეთესი ცირკულაციისათვის ორი ერდო ჰქონდა დატანიებული. მისი გადახურვის კონსტრუქცია დარბაზში არსებული ძელური სისტემის მსგავსი იყო. მათ შორის ის განსხვავება შეიმჩნეოდა, რომ ბოსლის სახურავი ორმხრივ დაქანებული იყო და სიგრძეში ვითარდებოდა, დარბაზისა კი — დაკიდებული პირამიდის სახეს ატარებდა. ბოსლის ოთხივე კედლის პერიმეტრზე, დაახლოებით ორ-ორი მეტრის დაშორებით განლაგებულ, ორი მეტრის სიმაღლის სვეტებზე გადებული იყო საწარბე ძელები. საკედლე ძელებიდან მოშორებით, სანარწყულის ორივე მხარეს აღმართული იყო ასეთივე რიგით განლაგებული, მაგრამ უკვე შედარებით მაღალი სვეტები, რომლებსაც ზემოდან თავიდან ბოლომდე გასდევდა მსხვილი თავხეები. შემდეგ, საწარბესა და თავხეებზე, ორივ მხრიდან ერთმანეთის პარალელურად მაგრდებოდა მოკლე ძელები, ე. წ. კვანტები, რომლებიც ერთი მტკაველით იყვნენ გადაცილებული თავხეებზე და მათ ვერძის თავები ეწოდებოდათ. სხვადასხვა ზომის ძელებისაგან ხის ამ ჩონჩხებზე მიჯრით დაწყობილი იყო ნაპობისებური ძელები, რომელთა შორის დარჩენილი ღრიჭოები თიხაში აზელილი ბალახით ან ბზით ამოიტენებოდა ხოლმე. თუ უფრო მაღალჭერიანი სახურავი იყო საჭირო, მაშინ საწარბე ძელების, თავხეებისა და კვანტების წყობა მეორდებოდა, რის გამოც ბოსელი უფრო ჰქონდიოდა.

ზემოქართლური ბოსლის სახურავი ერთნავიანი ბაზილიკის ფორმას ატარებდა, რაც თავის მხრივ იმის მაუწყებელია, რომ აღ-

ნიშნული ტიპის გადახურვა ხალხური სამშენებლო ხელოვნების  
წიაღიდან უნდა მომდინარეობდეს.

საქართველოს  
სამეცნიერო კულტურული მუზეუმი

საბძელი გეგმის ფორმითა და მოყვანილობით ბოსლის ანალო-  
გიურ ნაგებობას წარმოადგენდა. ფართითაც, არც მაინცადამაინც  
ჩამორჩებოდა. ვისაც ბევრი საქონელი ჰყავდა, დიდი საბძელ-ბო-  
სელი უნდა ჰქონდა. საბძელი საგულდაგულოდ დატკეპნილი მი-  
წური იატაკით და ძელებზე დაყრდნობილი ბრტყელი ბანით ხასი-  
ათდებოდა. არცთუ იშვიათად, მის ბანზე კალო იყო ხოლმე გამარ-  
თული და პურის გალეჭვის შემდეგ დარჩენილ ბზეს, პირდაპირ  
ერთოდან ყრიდნენ შიგ. ასეთი ვითარების გამო, საბძლის ერდო  
ბანის ცენტრში არ უნდა ყოფილიყო.

ბზის გარდა, საბძელში ინახავდნენ თივას, ჩალას და აგრეთვე  
ხილს, განსაკუთრებით ვაშლს. ბზეში ფენა-ფენად დაწყობილი ვაშ-  
ლი გვიან გაზაფხულამდე ინახებოდა.

დარბაზული სახლის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს  
წარმოადგენდა თაკარებიანი ოდა, რომელსაც ზოგიერთ მიკრორა-  
იონში საჯალაბოსაც უწოდებდნენ. თაკარებიანი საჯალაბო შედა-  
რებით გვიანდელი კულტურული შენაძენია და იგი ზამთარში სა-  
ცხოვრებელს წარმოადგენდა, რის გამოც ყოველთვის კომპლექსის  
სილრმეში, ბოსლის გვერდით იყო მისი ადგილი. ბოსელი სითბოს  
თავისებურ წყაროს წარმოადგენდა. საქონლის მიერ დაყენებული  
სითბო თაკარებიან ოდაზეც ვრცელდებოდა.

თაკარებიანი საჯალაბო მოგრძო ოთხუთხედის მოყვანილობის,  
15—21 კვ. მ ფართის მქონე, მიწურიატაკიანი და სიგრძივ ორმხრივ  
დაყიდებულად შეფიცრულჭერიანი, ბანით მომთავრებული ოთახი  
იყო. ჭერის კონსტრუქციის გამო, მისი ბანი ბოსლის ანალოგიურად  
სიგრძეში განვითარებული ორფერდიანი სახურავის ფორმას ატა-  
რებდა. მისი შინა-ინტერიერი ხასიათდებოდა შესასვლელის მოპირ-  
დაპირე კედელში ჩადგმული ბუხრით, ორივე გრძივ კედელზე მიდ-  
გმილი ტახტებითა და ბუხრისაკენ ღრნავ დაქანებული ჭერით. ზე-  
მო ქართლში ჭერის შემქმნელ კონსტრუქციის, თაკარები ეწოდე-  
ბა. ჭერის იმგვარი კონსტრუქციის გამო თაკარებიანი საჯალაბოს  
სიმაღლე არათანაბარი იყო. საბუხრე კედელთან მისი სიმაღლე ორ  
მეტრ-ნახევარს აღწევდა, შესასვლელთან კი სამს. წინა კედლისა  
(იქ, სადაც კარია) და ბანის შესაყართან გამართული იყო სარქმე-  
ლი, რომელიც XIX ს. მიწურულს უკვე შემინულ სახეს ატარებ-  
და. ამ სარქმლიდან შემოსული სინათლის სხივი პირველ რიგში

ბუხარს ანათებდა, რომლიდანაც შემდეგ სხვადასხვა მიმართულებით  
ირკელებოდა.

თავარებიან საჭალაბოში მიწური იატაკი მხოლოდ კარის სი-  
განეზე, დაახლოებით 70-80 სმ. იყო დატოვებული და იგი ორ  
ტახტს შორის მოქცეული ბუხრამდე მიღიოდა. მრავალსულიან  
ოჯახებში ორიარუსიანი ტახტების გაკეთება იცოდნენ. იგი დაკი-  
ბულის სახეს ატარებდა და მისი ქვედა ნაწილი საწოლთან ერთად  
გრძელი სკამის მოვალეობასაც ასრულებდა.

თავარებიანი საჭალაბოს ტახტები კარგად გარანდული ფიცრე-  
ბისაგან კეთდებოდა. მეორე იარუსის ტახტი იმნაირად იყო მოწყო-  
ბილი, რომ მისი ფეხები ერთდროულად ქვედაზე მჯდარი ადამიანის  
ზურგის საყრდენს წარმოადგენდა. ქვედა და ზედა ტახტი ერთი და  
იგივე სიგრძე-სიგანისა იყო და თავით საბუხრე კედელზე მიბჯე-  
ნილი, ხოლო ბოლოთი — მის მოპირდაპირეზე.


ვარგისიანობის თვალსაზრისით თავარებიანი საჭალაბო ყველა  
სხვა ტიპის მიწურ ბანიან საცხოვრებელს სჭობდა. მისი ჭერი ქვე-  
მოდან შეფიცრული იყო, რის გამოც მიწის ცვენა და წყლის უონვა  
თავიდან იყო აუცილებელი. ნაკლებად იგრძნობოდა სინესტე, რად-  
განაც კედლები ტახტების ზემოდან, ოთხივე კედლის პერიმეტრზე  
ლამაზად იყო შეფიცრული.

თავარებიანი ოდის უაღრესად საინტერიერმა, და-  
კიბულად შეფიცრულმა ჭერმა და გრძივი კედლების გასწვრივ  
გამართულმა ტახტებმა, კერას კედელში მიუჩინა ადგილი და იგი  
ბუხრად გადაჯცია. თავარებიან საჭალაბოში ყოველთვის მცირე  
ზომის ბუხრები იყო და მისი თავდაპირველი მქეთებლები ლაზი  
ქვითხუროები ყოფილან. ფორმა-მოყვანილობით, ქვის დამუშავე-  
ბის ტექნიკითა და ორნამენტირების თვალსაზრისით ზემოქართლუ-  
რი ბუხრები ხალხური ქვითხურობის იშვიათ ნიმუშებს განეკუთვ-  
ნებიან.


ბუხრის გამოთლისა და მოწყობისას ყველა ქვითხურო ცდი-  
ლობდა საკუთარი ხელშერა ჩაექსოვა მის კომპოზიციაში. განსა-  
კუთრებით ბევრის მთქმელი და მაღალმხატვრული ორნამენტის სა-  
შუალებით, ბუხრის თავზე — კამარაზე სხვადასხვანირი სიუჟეტე-  
ბი გამოიხატებოდა ხოლმე, რომლის ცენტრსაც წარმოადგენდა სი-  
ცოცხლის ხის მოტივი. სიცოცხლის ხის მოტივის ორივე მხარეზე,  
რელიეფურადვე გამოყვანილი იყო ციური მნათობები — მზე,  
მთვარე და ვარსკვლავები. კამარაზე აგრეთვე გამოიკვეთებოდა ხოლ-








ნაბიანის კილა




Թիկնութիւն Առեղի



大河山脈之西山



ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣାରାମ ଗାଁରୁଷାରୁଷାଙ୍ଗାଳ



କୁଳା ଜାହାନାର କୁଳ ପ୍ରଦୀପ ଶାର୍ଯ୍ୟକରଣ ଘରିଲୁ



Digitized by  
Digitized by  
Digitized by

ବୋଲିବାଳୀ — ବୋଲିବାଳୀ ରୋ ଶେଖରପାତା

მე ყურძნის ლერწი მტევნებითურთ და უკანა ფეხებზე შემდგარ  
ლომები ან მგლები.

თავარებიან საჯალაბოში საერთო ქართულის სამხრეთდასავ-  
ლური გავლენა მხოლოდ აღნიშნულით როდი ამოიწურებოდა. ამა-  
ვე გავლენის ნაყოფია მის საბუხრე კედელზე გამართული, ერთ  
მთლიან მხატვრულ კომპოზიციად შეკრული საჭურჭლე თარო —  
კარადა. თავარებიან ოდაშივე, მისი ჭერის ბრტყელ ნაწილში მიმაგ-  
რებული იყო აგრეთვე ვარდული — ხეზე კვეთილობის მაღალმხატ-  
ვრული ნიმუში. ვარდული მრგვალი მოყვანილობისა იყო და მცენა-  
რეული ორნამენტისაგან შექმნილი კომპოზიცია რამდენიმე ფეხად  
ამოიკვეთებოდა ხოლმე. მისი ფენოვანი ჩუქურთმის ამოყვანა მე-  
ტად მაღალსა და უაღრესად დახვეწილ ოსტატობას მოითხოვდა.

ერთობის სახლის კომპლექსში წარმოდგენილი საცხოვრებელი  
და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი ამომწურავად პასუხობდ-  
ნენ მრავალსულიანი ოჯახების ინტერესებს და ზემო ქართლისათ-  
ვის დამახასიათებელ მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას, რომ-  
ლის შესახებაც მომდევნო თავში გვექნება საუბარი.

ისეთი გრანდიოზული და ფუნდამენტალური კომპლექსის ასა-  
შენებლად, როგორიც ერთობის სახლი იყო, ბევრ მუშახელს საჭი-  
როებდა და აუცილებლად ერთ წელიწადში უნდა აშენებულიყო.  
ამის საფუძველს იძლეოდა ერთად ცხოვრებისა და კოლექტიური  
ურთიერთდახმარების კეთილშობილური ტრადიცია, რომელიც XIX  
ს. ზემოქართლელთა საზოგადოებრივ ყოფაში, უხილავი ინერციის  
ძალით გერ კიდევ განაგრძობდა არსებობას.

რამდენიმე თაობისაგან შედგენილი, მრავალსულიანი დიდი  
ოჯახის განაყარი საცხოვრებელ ადგილს სხვაგან როდი ეძებდა.  
თავისი სახლი მამაპაპეულზე უნდა მიეშენებინა. ასე მოითხოვდა  
ძვალსა და ხორცში გამჭდარი ძველებური ყოფა-ცხოვრება, ტრადი-  
ცია, რომლის წინააღმდეგ წასვლა XIX ს. ვითარებაში გერ კიდევ  
არავის ძალუძა. ცალკე დასახლების ტრადიციას საფუძველი ზემო  
ქართლში XIX ს. 80-იანი წლებიდან ჩაეყარა, მას შემდეგ. რო-  
დესაც სოფლად კაპიტალისტურმა ურთიერთობამ მტკიცედ მოიკი-  
და ფეხი და მუდმივი შიშიანობის ფაქტორმაც დაპარგა თავისი  
მნიშვნელობა.

ზემო ქართლში საშენ მასალად ნაგლეჭი ქვა და ხის წიწვო-  
ვანი ჯიშები გამოიყენებოდა. წიწვოვანიდან უპირატესობა გერ  
სოჭს, ხოლო შემდეგ ფიჭვს ეძლეოდა. მშენებლობის პირველ ეტა-  
6. თ. ჩიქოვანი

პალ სამშენებლო მასალის დამზადება-მოტანა ითვლებოდა. ეს სტენი  
მე ძალიან მძიმე და შრომატევადი იყო, რის გამოც ახალ მოსახლეები  
ხარ-ურმით მისივე პატრონიმის წევრები ეხმარებოდნენ. სამშენებ-  
ლო მასალა წინასწარ ერთი წლით ადრე მარაგდებოდა. რაც შე-  
ეხება უშუალოდ მშენებლობის დაწყებას, ხვნა-თესვის დამთავრე-  
ბისთანავე იწყებოდა. წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით,  
ჯერ მომავალი სახლის საერთო საძირკვლის ხანდაკს გათხრილენ,  
რომელიც სიღრმე-სიგანით სამ მტკაველს იშვიათად აჭარბებდა.

საძირკვლის ჩაყრის წინ, გვარის უფროსი მამაკაცი დალოცავ-  
და სამოსახლოს, დაკლავდნენ ზვარაკს — ცხვარს ან მამალს და  
სისხლის ხანდაკაში მიმოაქცევდნენ. ხანდაკშივე ჩაყრიდნენ ხურდა  
ფულს, რომელიც ზვარაკის სისხლთან ერთად მომავალი სახლის  
სისხლსავსე და დოვლათიანი ცხოვრების საწინდრად ითვლებოდა.  
ამ რიტუალის მომთავრების შემდეგ ქვითა და ლამკირით ამოიყვან-  
დნენ საძირკველს, რომელსაც სიმტკიცისათვის ერთ-ორ დღეს აც-  
დიდნენ გამავრებას.

კედლების მშენებლობისას წინასწარ ტოვებდნენ ლიობებს კა-  
რის, წალოს, თახჩისა და ბუხრისათვის. კედლების დამთავრების  
შემდეგ, რომელიც სიმაღლით ორ მეტრზე ნაკლები არ უნდა ყო-  
ფილიყო, მშენებლობას ებმოდა ხითხურო. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შეკრავდნენ წირთხლებს — საკა-  
რე ჩარჩოებს, ჩამოკიდებდნენ ცალყურა კარებებს და რაც მთავა-  
რია, გამართავდნენ სახურავს, ერდო-ბანს, ბანის გამართვა შემდეგ-  
ნაირად მიმდინარეობდა: ოთახთა პერიმეტრზე, ყველა კედლის გას-  
წვრივ ქვის ბალიშებზე დაიდგმებოდა საჭირო რაოდენობის ბოძები,  
რომლებიც კედელზე ოდნავ დაბალი უნდა ყოფილიყო. საკედლე  
სვეტებზე გასდებდნენ საწარბე ძელებს, რომლებიც უკვე კედლის  
დონეს უსწორდებოდა. საწარბე ძელები ერთმანეთში თავბოლოე-  
ბით მაგრდებოდა. ამის შემდეგ იწყებოდა უშუალოდ სახურავის გა-  
მართვა, რომლის მიმდინარეობა ითახთა ბანის კონსტრუქციაზე  
იყო დამოკიდებული. ბანის გამართვა ყველაზე შრომატევად და  
ამასთანავე ერთად სახეიმო საქმიანობად ითვლებოდა. მასში ყველა  
მონაწილეობდა, დიდიც და ბატარაც. წინასწარ მოტანილ თიხამი-  
წას რამდენიმე ფენად აყრიდნენ ბანს და თანაც ფეხით ტკეპნიდ-  
ნენ. ბანი ფეხით იქმდე იტკეპნებოდა, ვიდრე არ გამაგრდებოდა,  
გამკვრივდებოდა. შემდეგ მისი ტკეპვნა ხის საზეპელათი გრძელდე-  
ბოდა. როდესაც ზეპვას მორჩებოდნენ, მერე ქვის მძიმე საგორა-

უით ასწორებდნენ ბანს. საგორავების გადატარებას, რომელიც ას-  
ლოს დამთავრების შაუშეყებული იყო, დიდი დროს ტარება და ჭერფული  
მოპყვებოდა ხოლმე, რაშიაც მთელი მოდგმა სისხლით ნათესავი  
მოგვარეები იღებდნენ მონაწილეობას.

რასაკვირველია, ამგვარი რთული შედგენილობის დარბაზული  
სახლი ყველა ოჯახს არა ჰქონდა და არც ყველა სოფლისათვის  
იყო დამახასიათებელი. პირველ ყოვლისა, იგი ოჯახის შეძლებაზე  
იყო დამოკიდებული და რაც მთავარია, მის კომპლექსში არსებული  
სამეურნეო ნაებობების ფუნქციასა და ფართს, აღნიშნული კუ-  
თხისათვის დამახასიათებელი სოფლის მეურნეობის წამყვანი დარ-  
გები განაპირობებდა. მაგალითად, მესაქონლეობის მასშტაბურობის  
გამო ჯავახეთში ძალიან დიდი ბოსლები იცოდნენ. მათი ფართი,  
არცთუ იშვიათად 100—120 კვ. მ აღწევდა. ბაგურ კვებაზე მყოფი  
მრავალრიცხვანი საქონელი ზამთრის განმავლობაში ბევრ საკვებს  
საჭიროებდა, რის გამო საბეჭლიც შესაბამისად დიდი ფართისა უნ-  
და ყოფილიყო. ხოლო ისეთ მიკრორაიონებში, სადაც მეხილეობა  
და მევენახეობა იყო განვითარებული, საკუჭნაოდ გათვალისწინე-  
ბული საციო, ანუ იგივე მარანი გაცილებით დიდი იყო, ვიდრე  
ჯავახეთში, ანდა თორის მაღალმთაინ სოფლებში. ასევე ითქმის  
სახელამბრესა და ლაზამბარზე. მცირე მასშტაბის მემინდვრეობის  
გამო თორის მხარემ საერთოდ არ იცოდა რა იყო ლაზამბარი და  
ა. შ.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს, რომ თავის დროზე თორის ქვეყანაშიც ქვატალახა და ქვითკირის სახლები უნდა ყოფილიყო გავრცელებული. XIX ს. 20-იანი წლებიდან მოყოლებული, გაუკაცრიელებულ თორის მხარეში ქართველობამ თანდათანობით იწყო ჩამოსახლება. აქ ყველაზე მრავალრიცხვანად დასახლდნენ ზემო იმერლები და მცირე რაოდენობით ში-  
დაქართლელები (ბრეთი, ქარელი). როგორც ითქვა, თორში საცხოვრებლად მოვიდნენ და ციხისჯვარში დასახლდნენ თურქეთი-  
დან (გიუმიშპანედან) გამოქცეული ბერძნები, აგრეთვე ციცელშეი-  
ლების ყმა ისები, რუსეთიდან ჩამოყვანილი უკრაინელები, რუსები  
და სხვები. თორის გაპარტახებულ-გაუკაცრიელებული ადგილები ყველაზე ფართოდ ზემოიმერლებმა ითვისეს, რომლებმაც თან მო-  
იტანეს დასავლეთქართული ხალხური ბინათმშენებლობის ტრადი-  
ციები. მართალია აქა-იქ შიდაქართლელები, პირველ ხანებში, ინერ-  
ციით მათთვის დამახასიათებელ დარბაზულ სახლებს იშენებდნენ.

მაგალითად, დვირელი კეცლიშვილები, კვირიკაშვილები და სულიშვილები XIX ს. მიწურულაძე კვლავ ბანიან სახლებში განვითარდნენ ცხოვრებას; მაგრამ, თანდათანობით თორის მთელ ახალ მოსახლეობაში დასავლურქართულმა სახლმა მოიკიდა ფეხი. ზემო-იმერული ტიპის საცხოვრებელი გავრცელდა ყველგან, რომელიც ძალიან კარგად აითვისეს რუსებმა, უკრაინელებმა, ოსებმა და ბერძნებმა.

სომხები ქართველების ანალოგიურად ჭგუფჲგუფად სახლდებოდნენ. თუ საშუალება იყო სისხლით ნათესავი მოვარეები ერთ უბნად იყრიდნენ თავს და ქმნიდნენ საგვარო უბანს — მაილას, რომელსაც დროთა განმავლობაში გვარში პირველ მოსახლეს არქ-მევდნენ ხოლმე. მაილა არაბული მაპალას არმენიზებული ფორ-მაა და უბანს ნიშნავს.

პატრიონომიულ ყოველ სომხურ ოჯახს, რომლის სულადობაც საოცარი აღმავლობით იზრდებოდა, სათავეში ედგა ასაკით ყველაზე უფროსი მამაკაცი „მეძ მართ“ ან „ტანუტერ“. ამ ორ სომხურ სახელშოდებას არცთუ იშვიათად თურქული „ქიალაც“ ენაცვლებოდა. სომხური დიდი ოჯახის — „მეძ//მეწ ოჯახის“ მეთაური განუკითხავი გამგებელი იყო. იგი წყვეტდა ყველაფერს. მის უკითხავად მეზობლისათვის საარყე ქვაბის თხოვებაც კი არ შეიძლებოდა.

სომხების ბანიანი სახლიც კომპლექსური ხასიათის ნაგებობა იყო. იგი შეიცავდა კარაპანს — „ჩარდახ“, ოჯახის უშუალო საცხოვრისს — „ოდასა“ და „გლხტუნს“ (ეს უკანასკნელი მოგვირგვინებული იყო), ფურნის ოთახს — „ჰაცატუნს“, საკუჭნაოს — „ქილარ“, ბოსელს — „ქომ“ და საბაქელს — „მარაკ“. ქვითნაშენ ფურნესთან ერთად, სომხები პურის საცხობად მიწაში ჩადგმულ პატარა ზომის თონესაც, თუნირს იყენებდნენ. თუნირში მხოლოდ თხელი ლავაში ცხვებოდა. სხვათა შორის, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თონე სომხებს ყოველთვის საცხოვრებელ ოთახში — „ტუნ-ში“ ჰქონდათ მოწყობილი. თუნირი კერა-ღუმელის მოვალეობასაც ასრულებდა. ზამთარში, ძილის წინ, წივით გახურებულ თუნირს ირგვლივ ლეიბებს შემოუწყობდნენ, მერე დიდ საბანს გადახურავდნენ, შიგ შეძვრებოდნენ და ასე იძინებდნენ. ბოლო ხანებში, თუნირების პარალელურად ბუხრებიც გაჩნდა, მაგრამ სომხობა ტრადიციულ კერა-ღუმელს მაინც ვერ შეელია. სომხეთა უმრავლესობა ძველ ტრადიციას არ ღალატობს და ლავაშის გამოსაცხობად კვლავ წივის თუნირს იყენებს.

ზემო ქართლის რუსული მოსახლეობა ჯავახეთის სოფლებშიც განსახლებული და მათი დასახლება თავიდანვე სწორი და ფართო ქუჩების გასწვრივ განაშენიანებით ხისიათლებოდა. რუს სექტანტთა — „დუხობორთა“ თავდაპირველი ადგილიდან, რუსეთიდან თანმოყოლილი დასახლების ფორმა იმდენად ცხოვრებისეული და ტრადიციულია, რომ იგი თანამედროვე ვითარებაშიაც მტკიცედ განვითარდება.

„დუხობორების“ სოფლებისათვის დამახასიათებელი მთავარი საქომუნიკაციო ორტერია — სწორხაზოვნად და ფართოდ გაყვანილი ქუჩა, ძირითადად სოფელზე გამავალ შარაგზის მოვალეობასაც ასრულებს. სოფლის ეს მთავარი ორტერია, ასევე სწორხაზოვნად გაყვანილი, მაგრამ შედარებით მოკლე და ვიწრო ქუჩებითაა გადაკვეთილი. ყოველი ქუჩის გასწვრივ, მის ორივე მხარეზე გაშენებულია ცალკეულ ოჯახთა სახლ-კარი, რომელსაც თან ახლავს ყორით შემოკავებული საკარმილამო ნაკვეთი. ყორითვეა შემოკავებული, აგრეთვე საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობები: ბოსელი და საბძელი.

რუსი სექტანტები, ყოფა-ცხოვრების თვალსაზრისით კონსერვატული ბუნებისანი არიან. სიახლის დანერგვა, მათში მაინცდამა-ინც მიღებული არ არის. სწორედ ამის გამოა, რომ „დუხობორთა“ უმრავლესობა. 1980 წლისათვის კვლავ ძველებურ სახლებში განვითარდა ცხოვრებას.

„დუხობორთა“ ძველებური სახლი გეგმით სიგრძივაა განვითარებული და ერთსართულიან შენობას წარმოადგენს. გარდა გრძელი სახლებისა, იქა-იქ გვირცელებული იყო აგრეთვე რუსული ასო „გ“ მოვანილობის ნაგებობანი. ორივე შემთხვევაში შენობა ორფერდიანი სახურავით მთავრდებოდა, რომლის სახურავად ლელქაში იყენებდნენ. ლელქაში ჯავახეთის ნატბეურებსა და ტბების სანაპიროზე დღესაც საკმაოდ მოიპოვება.

ჯავახელი რუსების სახლი კომპლექსური ხასიათის ნაგებობაა. ერთ საერთო ჭერქვეშ, ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილია სხვადასხვა დანიშნულების ოთახ-სათავსები: „ხატა“ — უშუალოდ ოჯახის საცხოვრისი, „ხატიონკა“ — პატარა ოთახი, „ჩულან“ — საკუჭნაო, „ამბარ“ — ბელელი, „სენი“ — წინჯარი და „კონიუშნია“ — საჯინიბო.

ამგვარი სახლების მშენებლობის ტრადიცია რუსმა მოსახლეობაშ თან მოიტანა. სექტანტთა კონსერვატიული ბუნების გამო და-

ბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ მათ სახლს რაიმე არსებით  
ტრანსფორმაცია არ განუცდია. თუ განიცადა, ისიც სამშენებლო  
მასალის მხრივ. ალიზის კედელი („სირცევაია სტენა“) ქვის კედელ-  
მა შეცვალა, ხოლო სახურავისათვის აღრე გამოყენებული ლელ-  
ქაში, ანუ იგვე ისლი, ტორმეა.

„დუხობორთა“ სახლის მშენებლობა მაინც დიდ სიძ-  
ნელეს არ წარმოადგენდა. ქვის მასალა ჯავახეთში საძებარი არ  
არის. სახურავისათვის საჭირო ტორფი ნატებეურებში ჯერ კიდევ  
დიდი რაოდენობით მოიპოვება. რაც შეეხება ხის მასალას, არც  
მისი მოტანა დიდი სიძნელე ბაჟურიან-ციხის ჯვრის მხრიდან. გარ-  
კვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული კირის შოვნა, რის გა-  
მო „დუხობორთა“ ნაელებად შეძლებული ფენა კედლების აქოსაყ-  
ვანად წებოვანი ტალახის ხსნარს იყენებდა. როდესაც ქვისა და ტა-  
ლახის ხსნარით კედლების აშენებას მოამთავრებდნენ. შემდეგ მათ  
თავზე ერთიანად ორფერდა სახურავისათვის ძელურ-ფიცირული  
კონსტრუქციის კარჯას მოაწყობდნენ. სახურავის კარჯასში დარჩე-  
ნილ ღრივოებს ჯერ საჯულდაგულოდ დაგმანავდნენ, ხოლო შემდეგ  
თივას მოაფენდნენ, რომელზედაც ათიოდე სმ სისქის ფენა ნაცარს  
დააყრიდნენ. ამის შემდეგ სახურავზე მჭიდროდ დააწყობდნენ 50  
სმ სიგანისა და 15-20 სმ სისქის ტორფის ბელტებს, რომლებსაც  
ერთიანად საჯულდაგულოდ ტკეპნიდნენ.

„დუხობორებმა“ სახლის მშენებლობაში კოლექტიური შრო-  
მის გამოყენება არ იცოდნენ. მასში მხოლოდ ოჯახის წევრები და  
დაქირავებული მუშები მონაწილეობდნენ. მუშებად სხვა ეროვნე-  
ბის წარმომადგენელს არ ქირაობდნენ.

ტრადიციულად მომდინარე ჩვეულების თანახმად, რაგინდ ღა-  
რიბი ოჯახი არ უნდა ყოფილიყო, წინა საფასადო კედელი კირ-  
წყლით ყოველწლიურად უნდა შეღებილიყო.

სახლის ერთი ფრთა ხატასა და ხატიონქასათვის იყო განკუთვ-  
ნილი. მეორე ფრთა „ჩულანს“, „სენისა“ და „კანიუშნას“ პქონდა  
დათმობილი. ხატას წინ, როგორც წესი „კრილცო“, ჩარდახისებუ-  
რად გაკეთებული პატარა და უმოაჭირო აივანი იყო გამართული.  
„კრილცოს“ მხრიდან კეთდებოდა სახლში შესასვლელი პატარა დე-  
რეფანი — „სენი“, რომელშიაც ჩვეულებისამებრ ორი კარი იყო.  
ერთი „ხატაში“ შედიოდა, მეორე კი „ხატიონქაში“. „ხატიონქა“  
თავის მხრივ პატარა კარით „ჩულანთან“ იყო დაკავშირებული.

საშუალო შეძლების ოჯახის ხატას ფართობი დაახლოებით  
18-22 კვ. მ შორის მერყეობს. იატაკი, როგორც წესი, მიწატკეპ-

ნილია. ნათდება პატარა ფანჯრებით. აქვს შეფიცრული ჭერი. ხატაკი მთავარ ლირსებას წარმოადგენს დიდი რუსული ლუმელი — „კეჩი-კა“, რომელიც მის ძირითად ფუნქციასთან ერთად (კერძეულის დამზადება და პურის გამოცხობა), ზამთარში ოჯახის უფროსი თაობისა და მოზარდების საძინებლის მოვალეობასაც ასრულებს. ხატარშია განლაგებული ოჯახისათვის საჭირო დგამჭურჭელი, ორიოდე საწოლი და ტანსაცმლის კარადა.

„დუხობორთა“ სახლში ხატიონკაც საცხოვრებელ ოთახს წარმოადგენს და მისი ინტერიერის მოწყობილობა ხატას ანალოგიურია. ეგაა, რომ ფართით მცირეა და არც პეჩქაა მის შიგნით. თუმცა ეს უკანასკნელი არც საჭიროებს, რადგანაც ხატას ლუმელის ერთი მხარე ხატიონკას კედელს წარმოადგენს.

ხატიონკას გაგრძელებაზეა ჩულანი. იგი სანახევროდ ბნელი ოთახია და საკუჭნაო-საწყობის მოვალეობას ასრულებს.

რუს სექტანტთა სახლის მეორე ფრთაზე სამეურნეო დანიშნულების ოთახ-სათავსებია განლაგებული. ამ მხარეზე არსებულ ერთ ოთახში დგას ბეღელი — „ამბარი“, რომლის ქვეშ გაკეთებულია სარდაფი — „პოდვალ“, სადაც ერბო-ყველს, კარტოფილსა და დამარილებულ ხორცს ინახავენ.

„დუხობორების“ საქონლის სადგომი — „კონიუშნია“, რომელიც ძირითადად ცხენის სადგომს წარმოადგენს, ძროხისთვისაც გამოიყენება და არცთუ ისე დიდი ნაგებობაა. ზოგიერთ ოჯახს ცხვრის პატარა ბაჟიც — „ოვჩარნაიაც“ აქვს, რომელშიც ბატები-სათვის მცირე ადგილია გამოყოფილი.

„დუხობორები“ ამჟამადაც მეტისმეტად „დეთისმოსავნი“ არიან. თავიანთი ორთოდოქსალური რწმენის გამო, რომელსაც დღესაც მტკიცედ ადგანან, ყოველგვარ სიახლეს ეჭვის თვალით უყურებენ და საქმაოდ დაგვიანებით ითვისებენ. მოსახლეობის საშუალო და ხანში შესული თაობის უმრავლესობა შეძლებისდაგვარად ცდილობს, რაც შეიძლება მტკიცედ დაიცვას რელიგიურ საბურეველში გახვეული მამაპატური ტრადიციები, რის გამოც მათი ცხოვრების წესი ყველა სხვა ხალხებისაგან განსხვავებით კარჩაკეტილად გამოიყურება. სწორედ ამგვარი ცხოვრების წესს უნდა მიეწეროს ისიც, რომ 1980 წლისათვის რუს სექტანტთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ძველი ტიპის სახლებში განაგრძობდა ცხოვრებას. ეს მაშინ, როდესაც თანამედროვე ზემო ქართლის მოსახლეობის სხვა ერის წარმომალგენლებს, არათუ რევოლუციამდელი, არამედ ჩვენი

დროის 50-იან წლებში შექმნილი საცხოვრებელიც კი უკვე  აკმაყოფილებს.

კოლექტივიზაციის შემდეგ, ზემო ქართლის სამიერ პროვინციაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, საკარმილამ ნაკვეთების ხელახალმა გადანაწილებამ საბოლოოდ მოშალა მონოგრაფიურ, პატრონიმიულ უბნებად ცხოვრების ძირძველი ტრადიცია. სოფელში დასახლების განცენილობა თანდათანობით გაფართოვდა, რომლის შედეგადაც ახლად შექმნილი უბნები ყველგან პოლიგრაფიური გახდა. ამას ისიც მოჰყვა, რომ ჯგუფურად ცხოვრების ტრადიციის მოშალამ სოფლის ახლებური დაგეგმარება გამოიწვია. მიხვეულ-მოხვეული ვიწრო შუკებისა და ორლობების ნაცვლად გაყვანილ იქნა შედარებით სწორი და ფართე ქუჩები. სოფლის ცენტრმა ეკლესია-სამჭედლოდან კოლმეურნეობის კანტორასა და სკოლებთან გადაინაცვლა. ცხოვრების ახალმა წესმა ახალი ტიპის ბინათმშენებლობა გამოიწვია, რომელიც თანამედროვე ზემო ქართლში სამეტაპარაგო განხორციელდა. პირველი ეტაპი 30-იანი წლებიდან დაიწყო და მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მიმდინარეობდა. დროის ამ მონაცემთში რევოლუციამდელი ტიპის ბანიან ნაგებობებში მასიურად გაერთა ქვითკირით ნაშენი ერთსართულიანი სახლები, რომლებიც ხასიათდებოდნენ ფანჯრებითა და ორფერდიანი ყავარ-ფენილი სახურავებით. სოფლის მოსახლეობამ აღნიშნულ პერიოდში საბოლოოდ უარყო მიწურ სახლებში ცხოვრება. ახალი ტიპის, მართალია, ჯერ კიდევ საყოფაცხოვრებო და არქიტექტურული თვალსაზრისით არასრულყოფილი სახლების მშენებლობას ომმა მოუსწრო და მისი შემდგომი განვითარება დაამუხრუჭა. მაგრამ, პროგრესი ბინათმშენებლობაში აშკარა გახდა. ახალმა ბინათმშენებლობამ თან მოიტანა ჯავახეთისა და სამცხისათვის, ნაწილობრივ თორისათვის სრულიად არა დამახასიათებელი ელემენტი, ეზო, რომელიც დროთა განმავლობაში განივრცო და განვითარდა.

ბინათმშენებლობის მეორე ეტაპი ზემო ქართლის სამიერ პროვინციაში, 40-იანი წლების მიწურულიდან დაიწყო და თითქმის 60-იანი წლების დასასრულამდე გაგრძელდა. აღნიშნული პერიოდის ჯავახეთში ძირითადად ქვითკირის ორსართულიანი სახლები შენდებოდა. ორსართულიანი სახლები შენდებოდა აგრეთვე თორისა და სამცხის ტყიან სოფლებშიც. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათი ქვედა სართული უპირატესად ქვითკირისა იყო, ხოლო ზედა კი ხისა. მეორე სართული ძელებისა და ფიცრების ჩაბოყება-ჩაჭ-

დევებით, კოჭახური სამშენებლო ტექნიკის გამოყენებით შენდებოდა. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სახლოსნი გარეგნულ სახეს, მის გაფორმებას, რაც უმეტეს შემთხვევაში უგიმოვნო პომპეზურობაში გამოიხატა. მართალია, სახლი შიგნით თითქოს ქალაქურ ყაიდაზე კეთდებოდა, მაგრამ ადგილი ჰქონდა უხეირო მიმბაძველობას. სამაგიეროდ, სახლები შენდებოდა უკვე არა მოტიტვლებულ ადგილებში, არამედ ხეხილიან კარ-მიდამოებში, რამაც ახალი ეშხი და კოლორიტი შესძინა ზემოქართლელთა სოფლებს. აქა-იქ, განსაკუთრებით ჯავახეთსა და სამცხის მთიან სოფლებში, გაღმონაშოთის სახით შემორჩენილია ბანიანი ნაგებობები და მათ უმეტეს შემთხვევაში დამხმარე სათავსების მოვალეობა ღაერისრათ.

აონიშნულ სამშენებლო პერიოდის სახლების პირველ სართულზე არსებული ორი ოთახიდან, ერთი საკუჭნაო-საციოს მოვალეობას არსულებდა, ხოლო მეორე კი ზამთარში საცხოვრებელს წარმოადგენდა. რაც შეეხება მეორე სართულის ოთახებს, რომლებიდანაც ერთი სასტუმროდ, ხოლო მეორე სასადილოდ ითვლებოდა, იშვიათად გამოიყენებოდა.

ქალაქურ ცხოვრებას ნაზიარებმა სოფლის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა, როდესაც ეკონომიურად მომძლავრდა, კვლავ ახალი ბინათმშენებლობა წამოიწყო. ეს პროცესი ზემო ქართლის რაიონებში 70-იანი წლებიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება. კოლმეურნე გლეხობას, მით უმეტეს სოფლის ინტელიგენციას ე. წ. სოფლური ტიპის სახლებში ცხოვრება ხელს აღარ აწყობს. გაზრდილ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს უკვე 30-იარ აქმაყოფილებს 50-იან წლებში შექმნილი სახლები. ზემო ქართლის ექვსივე რაიონში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ამჟამად შენდება მხოლოდ და მხოლოდ ქალაქურად მოწყობილი თანამედროვე სტილის ორსართულიანი სახლები, რომლებშიაც აშკარად შეიმჩნევა დახვეწილი არქიტექტურული ფორმებისაკენ სწრაფვა. საგანგებო ყურადღება ეთმობა საცხოვრებლის სანიტარიულ-ჰიგიენურ მხარეს. საქონლის სადგომი საბოლოოდ ჩამოშორდა სახლს და მისგან მოშორებით დაიდო ბინა. გაჩნდა კეთილმოწყობილი სანიტარიული, ე. წ. სველი წერტილები, ცენტრალური გათბობა, გარაჟი და სხვა, თანამედროვე ცხოვრებით გამოწვეული, ოთახ-სათავსები. ასე რომ, ამ ოციოდე წელიწადში ეკონომიურად საგრძნობლად მომძლავრებული სოფლის მოსახლეობა, ამჟამად არნახულ კულტურულ საყოფაცხოვრებო აღმავლობას განიცდის.

## სამხურნი ყოფა

ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს მიხედვით, რომელიც ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს, „მთიან, გორიან, ლრანტოიან, ხევ-კლდიანსა და მთა-ბარიან“ ზემო ქართლის მიწა-წყალზე ბევრი სიკეთე ხარობდა და ხარობს. სხვადასხვა, მაგრამ სამეურნეო ცხოვრებისათვის უმეტესად ხელსაყრელ გეოკლიმატურ სამივე რეგიონში ისოფლის მეურნეობა ისტორიულადვე მაღალგანვითარებული იყო. საუკუნეების მანძილზე ინტენსიურსა და მასშტაბურ ხასიათს ატარებდა მემინდვრეობა, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა. საქმაოდ დიდი ეკონომიკური კუთრი წონა პქნდა მეხილეობას, მეთევზეობას და მებოსტნეობას. ყოველივე ეს განვითარებული ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების მძლავრ საფუძველს ქმნიდა, რომლითაც ესოდენ ცნობილი იყო ზემო ქართლი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე.

შორეული საუკუნეებიდან მომდინარე მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, ადგილობრივი გეოკლიმატური პირობებიდან გამომდინარე, შესაბამისი პროფილის მიხედვით იყო დაწინაურებული. სოფლის მეურნეობა შერწყმულ, სიმბიოზურ ხასიათს ატარებდა. გეოკლიმატური პირობების გათვალისწინებით, სიმბიოზურად წარმოებულ მეურნეობაში ზოგან მემინდვრეობა, მესაქონლეობა ანდა სხვა რომელიმე დარგი, კერძოდ მეხილეობა-მევენახეობა იყო წამყვანი. თუ ამ ნიშნის მიხედვით ვიმსჯელებთ, შემდეგი სურათი წარმოისახება. ჯავახეთის პლატოსა და სამცხის დავაკებებზე პურეული კულტურებისა და სელის კულტივიზაციის მისდევდნენ. სამცხესა და თორის ხეობათა ფერდობებზე — მეხილეობას, ხოლო ბუნებრივად ისეთ ხელსაყრელ ადგილებში, მაგალითად, როგორიც მტკვრის ხეობის თორის მონაკვეთის ორივე სანაპიროა ანდა ხიზაბავრისა და აწყურის შემოგარენში, მევენახეობა იყო გავრცელებული. სუბალპურსა და ალპურ ზონაში მესაქონლეობა და ა. შ.

მიწათმოქმედება. სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგი ზემო ქართლის მოსახლეობის ერთ-ერთ უძველესსა და უმთავრეს

სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენდა, რომლის დამაღასტურებელი ფაქტიური მასალა — ქვის, ძვლისა და ლითონის იარაღების არქეოლოგების მიერ ამჟამად მრავლადაა მიკვლეული. მაგალითად, ახალციხის „ამირანის გორას“ ნამოსახლარის გათხრისას აღმოჩენილია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე არქაული სპილენძის სამკაული იარალი — ნამგალი, რომელიც ძველი წ. ა. მესამე ათას-წლეულს განეკუთვნება. სადაც ნამგალი იყო გავრცელებული, ბუნებრივია მოსამკელიც უნდა ყოფილიყო. როგორც მეცნიერი აგრძოლობები ვარაუდობენ, ზემო ქართლის, კერძოდ კი სამცხისა და ჯავახეთის შორეული წარსულის მემინდვრეობისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ყველაზე აღრე კულტივირებული თავთავიანი მცენარე ასლი. ახალი ქვის ხანიდან — ნეოლითიდან მომდინარე ეს მინდვრეული კულტურა, რომლის სამშობლოდაც მეცნიერები ეთიოპიას მიიჩნევენ, ისტორიის შორეულ წარსულში ჩვენ ქვეყანაშიაც საქმაოდ გავრცელებული ყოფილა. საქართველოში მის კულტივირებას ადასტურებენ ძვ. წ. ა. IV ს. გამოჩენილი მოგზაური და მწერალი ქსენოფონტე და ძველებრაული ნაწარმოებების, „დაბადების“ ქართული თარგმანი.

ადრეფეოდალური ხანიდან მოყოლებული, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ითესებოდა ასლი, დიკა, დოლის პური, თავთუხი, იფქლი, ქერი და ჭვავი. ახ. წ. ა. VI ს. ბიზანტიური ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი ხორბლეულს უქებდა მესხებს. ამასვე იმეორებდა ზოგიერთი სხვა ავტორიც.


ზემო ქართლში გარკვეული სახეობის ხორბლეულის, კერძოდ კი დოლის პურის ფართო გავრცელებაზე მეტყველებს IX ს. მის სახელზე აშენებული „დოლის ყანის“ ცნობილი ეკლესია. იგი ერთ-შეთის ქედის ერთ-ერთ დასავლეთ-დაფერდებაზე მდებარეობს და ამჟამად თურქეთის სახელმწიფო საზღვრებშია მოქცეული.

ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიისთან“ ერთად, ზემო ქართლის სამეურნეო ცხოვრების შესწავლის საიმედო წყაროა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც გვიანდეოდალური ხანის ზემო ქართლის ეკონომიკური რესურსების ამომწურავ სურათს იძლევა. აღნიშნული პერიოდის სამცხე-საათა-ბაგოში საქმაოდ დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, მუხუდო, ოსპი და ცერცვი. მის. სვანიძის გაანგარიშებით XVI ს. მიწურულისათვის მარცვლეული კულტურებიდან, ერთ კომლზე წელიწადში საშუალოდ ხორბლის მოსავალი შეადგენდა

300

2864 კგ; ქერისა — 2692 კგ; ჭვავისა — 602 კგ; ფეტვისა — 2864 კგ; რაც ერთად აღებული 6458 კგ უდრის. შთამბეჭდავი ცოფონია არა! მაგრამ, იმ დროისათვის ყოფილი ისეთი ოჯახებიც, რომელთა საერთო შემოსავალი მარცვლეული კულტურებიდან 8-10 ტონას შეადგენდა. თუ ამას პარკოსანი კულტურების (ლობიო, ცერცვი, მუხულო, ოსპი) მოსავალს დავუმატებთ, მაშინ, მართლაც მრავლის-მეტყველ ფაქტოან გვექნება საქმე. ეს ყველაფერი იმის მაუწყებელია, რომ კახეთიან და შიდა ქართლთან ერთად, ზემო ქართლი მართლაც საქართველოს „პურის ბეღელი“ უნდა ყოფილიყო. ზემო ქართლის მემინდვრეობის მასშტაბურობაზე მეტყველებს აგრეთვე, ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ტექნიკურად სრულყოფილი სასოფლო-სამუშრნეო იარაღები და მემინდვრეობის პროდუქტების შესანახ-საცავები, დიდი ტევადობის ლაზამბარი და ხარო.

ხარო. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახ ჭურჭელ-სათავსებიდან ერთ-ერთ ყველაზე უძველეს და ორიგინალურ მიწისქვეშა ნაგებობას წარმოადგენს ხარო, რომელიც მთელი სამხრეთ საქართველოს ძევლი სამეურნეო ყოფისათვის იყო დამახასიათებელი. მართალია, მან უკვე დიდი ხანია, რაც დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მაგრამ აქა-იქ კვლავ მოქმედებაშია; ზოგიერთ სოფელში კარტოფილის შესანახად იყენებენ. ამან კი საშუალება მოგვცა გავრკვეულიყავით მის ფორმა-მოყვანილობასა და გაბარი-ტებზე (სურ. 2).



სურ. 2.

ზემო ქართლის წარსულ სამეურნეო ყოფაში ხაროს უმოავტორებული რესად სახლ-კარის ფარგლებში აკეთებდნენ. ზოგჯერ იგი უშემოსავალი ლოდ სახლის შიგნით საბძელშიც ამოჰყავდათ ხოლმე. ხაროსათვის ჯერ დიდსა და ღრმა ორმოს ამოთხრიდნენ და შემდეგ მის კედლებს ქვიტკირით მოაპირკეთებდნენ. თავისი მოყვანილობით ქვევრის ფორმას იმეორებდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი გაცილებით დიდი ტევადობისა იყო. ხარო ხასიათდებოდა ბრტყელი ძირით, განიერი და მრგვალი ტანით და შევიწროვებული ყელით, რომელშიაც ადამიანი თავისუფლად ეტეოდა. ამ ოცდაათიოდე წლის წინათ საექსპედიციო კვლევა-ძიების შედეგად მიკვლეულ ხაროთა უმრავლესობა სილრმით სამ მეტრს იშვიათად აჭარბებდა. მისი წელის ყველაზე განიერი ადგილის დიამეტრი ორ მეტრზე ნაკლები არასოდეს ყოფილა. რაც შეეხება ყელის, ანუ იგივე თავის დიამეტრს, თითქმის ერთ მეტრამდე აღწევდა. ყოფილა აგრეთვე უფრო დიდი ტევადობის ხაროებიც, რომლებსაც საპყრობილებაც იყენებდნენ. სასოფლო თავყრილობის გადაწყვეტილებით არა ერთი დამაშავე უყურყუტებიათ ამგვარ ხაროში. არცთუ იშვიათად ტკვედ ჩავარდნილ მომხდურ მტერსაც ხაროში უკრავდნენ ხოლმე თავს.

ხაროს სილრმე-სიგანე, საერთო მოცულობა და ტევადობა ოჯახის შეძლება-დოვლათიანობაზე იყო დამოკიდებული. რაც უფრო შეძლებული ოჯახი იყო, მით უფრო დიდი და ტევადი ხარო ჰქონდა მას. ვიდრე მოწეულ ჭირნახულს, ხორბალს ხაროში ჩაყრიდნენ, იგი წინასწარ უნდა მოემზადებინათ, გაეშროთ და გაენიავებიათ. თუ ხაროს ნესტი შეეპარებოდა, შიგნით ცეცხლს ჩაუნთებდნენ. გაშრობისა და განიავების შემდეგ, მის ფსკერზე გამხმარ თივას სქლად მოაფენდნენ და მერე ხორბალს ჩაყრიდნენ. ხორბლით სავსე ხაროს ზემოდან კვლავ გამხმარ თივას დააფენდნენ და შემდეგ ქვის ბრტყელი სარქველით დაგმანავდნენ. დაგმანულ ხაროზე აუცილებლად მიწის სქელი ფენა უნდა დაყრილიყო, რომელსაც საგულდაგულოდ ტკეპნიდნენ და შემდეგ მოასწორებდნენ ხოლმე.

ხარო ხორბლეულის მიწისქვეშა საიდუმლო საცავს წარმოადგენდა. მისი ადგილსამყოფელი ისე იყო შენილბული, რომ არათუ შემოსულ მტერს, ზოგჯერ ოჯახის ახლობლებსაც უჭირდათ მისი მიგნება. საგანგებოდ გასაიდუმლოებული ანდა სხვა რაიმე მიზეზით (მტრის შემოსევის შედეგად სოფლიდან უცბად აყრის გამო) მიტოვებული ხორბლით სავსე ხარო რამდენჯერმეა მიკვლეული სომხებით დასახლებულ ძველქართულ სოფლებში.

საშუალო ტევადობის ხაროში 10-15 სომარი ხორბლეული ეტე-  
ოდა. თუ ვიანგარიშებთ, რომ ერთი სომარი 16 ფუთის ოჭუნობრ-  
საა, მაშინ საქმე 200-250 ფუთ ხორბლეულთან გვექნება. ზემო  
ქართლში ყველაზე დიდი ტევადობის ხაროები ჯავახეთში ყოფილა  
გავრცელებული. ეს არცა გასაკვირი, რადგანაც სწორედ ამ რე-  
გიონში ატარებდა მემინდვრეობა მასშტაბურ ხასიათს. საშუალო  
შეძლების ჯავახურ ოჯახს ოცი სომარის ტევადობის ხარო პქონდა.  
უფრო შეძლებულებს ოცზე მეტიც.

ხაროში ხორბლის შენახვის ხანგრძლივობა მის ჯიშსა და ნია-  
დაგის სტრუქტურაზე იყო დამოკიდებული. სათანადო კონდიციის  
სიმშრალის კარგი ჯიშის ხორბალი, ხელსაყრელ ნიადაგურ პირო-  
ბებში თხუთმეტიოდე წლის განმავლობაში ინახებოდა.

გარკვეული მიზეზების გამო, არცთუ იშვიათად ხაროში მავნე  
აირები გროვდებოდა და შიგ ჩასვლა ადამიანისათვის საშიში იყო.  
ამიტომ, როდესაც ხორბლის ამოღება იყო საჭირო, ხაროს სარქველს  
მოხდიდნენ და რამდენიმე ხნით ლიად ტოვებდნენ. ამის შემდეგ,  
შემოწმების მიზნით, შიგ ქათამს ჩასვამდნენ. თუ ქათამი არ გაიგუ-  
დებოდა, იგი ადამიანისათვისაც უსაფრთხო იყო.

როგორც საველე-საექსპედიციო კვლევა-ძიებისას გაირკვა, ზე-  
მო ქართლში ჩამოსახლებულ სომხებს ქვითკირის ხაროების მშე-  
ნებლობის ტრადიცია არა პქონიათ, მაგრამ აღვილზე დახვედრილი  
ხაროების მნიშვნელობაში მალე გარკვეულან და ქართველების მი-  
ბაძვით, პირველ ხანებში ისინიც ხორბლეულის საცავად იყენებდ-  
ნენ. სულ მალე კი, XIX ს. ოთხმოციანი წლებიდან, კარტოფილის  
კულტურის დანერგვა-გავრცელების შემდეგ, სომხებმაც ხაროები  
ამ უკანასკნელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის საცავ თრმოე-  
ბად გადააქციეს.

ინტენსიურად წარმოებული მემინდვრეობის საფუძველს, ხელ-  
საყრელ გეოკლიმატურ პირობებთან ერთად ქმნიდა ისიც, რომ აღ-  
ნიშნულ რეგიონში ხალხური აგროკულტურა საქმაოდ მაღალ დო-  
ნეზე იდგა. რაც სავარგულის სათანადო დამუშავებაში, თესლბრუნ-  
ვასა და ტექნიკურად სრულყოფილ სახვნელი იარაღების ნაირსახე-  
ობაში გამოიხატებოდა.

როგორც ცნობილია, თესლბრუნვა ნიადაგის გადახალისებისა  
და მოსავლის გადიდების საწინდარია. ამაში ქართველი მეურნე  
კარგად იყო გათვითუნობიერებული. ამიტომაც იყო, რომ ერთი და  
იგივე სავარგულზე მონაცემეობით ითესებოდა სხვადასხვა სასოფ-

ლო-სამეურნეო კულტურა. კულტურათა მონაცვლეობის შედეგად ხორბლის მოსავალი არცთუ იშვიათად ოცი-ოცდაათი პროცენტიდან იზრდებოდა. მოსავლის გაზიდების საქმეში თავისი წვლილი შეკენდა აგრეთვე ნიადაგის ორგანული სასუქით, ნაკელით გამდიდრებას და სავარგულის ხარისხიანდ დამუშავებას.

ზემო ქართლში სავარგულის დამუშავებისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის სახვნელი იარაღი გამოიყენებოდა. საქართველოს ამ რეგიონში ტექნიკურად სრულყოფილი სახვნელი იარაღების მთელი სისტემა იყო შექმნილი. კავი და არონა ფერდოვანი სავარგულების დასამუშავებლად იხმარებოდა. კავი ყველაზე მსუბუქ სახვნელს წარმოადგენდა და მის გამწევად ერთი ულელიც კმაროდა. არონა მასთან შედარებით რთულსა და შესაბამისად მძიმე სახვნელს წარმოადგენდა. მას ორ ულელი, ანუ ყევარი გამწევი ძალა ესაჭიროებოდა. არონაზე მძიმე და რთულ სახვნელს წარმოადგენდა ჯილდა, რომელიც ვაკე ადგილებისათვის იყო განკუთვნილი. ჯილდას სამუშაოდ ორი ყევარი, ანუ ოთხი ულელი ხარკამეჩი სჭირდებოდა. ყველაზე დიდსა და რთულ სახვნელს წარმოადგენდა დიდი გუთანი, რომელსაც ექვსი-შვიდი, არცთუ იშვიათად, ცხრა ულელი ხარ-კამეჩი ესაჭიროებოდა. გამწევი ძალის რაოდენობა ნიადაგის ხარისხზე იყო დამოკიდებული. რაც უფრო მაგარი და მკვრივი იყო ნიადაგი, მით უფრო მეტი გამწევი ძალა იყო საჭირო დიდი გუთნისათვის.

ჯილდა და დიდი გუთანი დავაკებული სავარგულების სახნავად გამოიყენებოდა. ჯილდისათვის თითქმის ყველა ოჯახს ყოფნიდა გამწევი ძალა. დიდი გუთნის ამუშავება იშვიათად თუ ვისმე შესწევდა. ექვსი-შვიდი, მით უმეტეს ცხრა ულელი ხარ-კამეჩი, ზემო ქართლისათვის დამახასიათებელი დიდი ოჯახებისათვისაც კი აუხდენელ ოცნებას წარმოადგენდა. დიდი გუთნის ასამუშავებლად რევოლუციამდელ ზემო ქართლში სავანგებო კოლექტიური ამხანაგობა იქმნებოდა ხოლმე და მას მოდგამი ეწოდებოდა. მოდგამში გაერთიანებული ნაკლებად შეძლებული თანასოფლელები კოლექტიურად ამუშავებდნენ მიწას.

ურთიერთდახმარებისა და კოლექტიური შრომის აღნიშნული ფორმა-მოდგამი მთელი აღმოსავლეთ საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი და შრომის ანაზღაურების თავისი გამო ყოველ რეგიონში სხვადასხვანირ ხასიათს ატარებდა. ისევე როგორც სხვაგან, მოდგამი ზემო ქართლშიაც აღრიან გაზაფხულზე

ყალიბდებოდა და მასში ერთი ან ორხარიანი შვიდი-რვა თანასოფლელი ერთიანდებოდა. თავიანთ კოლექტივიდანვე ირჩევდნენ მოადგამის მეთაურს, რომელიც ერთდროულად გუთნის დედაც უნდა ყოფილიყო. გუთნის დედა უაღრესად პატიოსანი და გამოცდილი მეურნე უნდა ყოფილიყო, რადგანაც მის სინდის-ნამუსზე იყო დამოკიდებული შრომის განაწილება და ხვნა-თესვის წარმოება.

მოდგამი ხვნა-თესვისათვის ადრიან გაზაფხულიდანვე ემზადებოდა. წესრიგში მოჰყვავდა დიდი გუთანი, ლველი, ჭაჭვი და ულელი. ზემო ქართლში მოდგამი შედარებით მსუბუქ სახვნელს — ჯილდასაც იყენებდა, მაგრამ დაცემულ ვაკე ადგილებსა და დიდ ფართობებში მოსახნავდა, ძირითადად დიდი გუთანი გამოიყენებოდა.

ხვნის დროს გუთანს გუთნისდედა „ეკიდა“, იგი მართავდა სახვნელ იარაღს. გუთნეულის პირველ, ანუ საძირე ულელში ყველაზე ღონიერი ხარები ან კამეჩები შეიძმოდა, ხოლო მოწინავეში კი ახალგაზრდა, ფიცხი საქონელი, რადგანაც მათზე იყო დამოკიდებული გუთნეულის სწრაფი შემობრუნება და ახალ კვალზე დაყენება.

როდესაც გუთნეული სახვნელად გაეწყობოდა, გუთნისდედა მოწინავე ულლის ხარებს შუბლზე კვერცხს დაახლიდა და რქებზე ანთებულ სანთლებს მიამაგრებდა. შემდეგ გუთნის სახელურს — მანქს მოჰყიდებდა ხელს, შეუძახებდა ხარ-კამეჩს, მეხრეებიც თავის მხრივ დასკეცებდნენ ყიუინას და დაიძვრებოდა გუთნეული. იწყებოდა ხვნა, რომლის აუცილებელ თანამგზავრს სიმღერა წარმოადგენდა...

გადი-გამოდი გუთანო, ჯამბარავ ბანი უთხარო,

სახნის-საკვეთო რყინისა, საუღლე მარგალიტისა...

მოდგამი მეტად საინტერესოდ შეკრულ მტკიცე ორგანიზმს წარმოადგენდა. ყოველ ულელ გამწევ ძალას თავისი გამძლოლი — მეხრე ჰყავდა, რომელთა მოვალეობაში აღნიშნულთან ერთად საქონლის ძოვებაც შედიოდა. მოდგამის საქმიანობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მისი წევრების მოზარდი ბაშვები — მორბედები, რომლებიც მიწის მუშაქობაში იწაფებოდნენ.

ხუთ-ექვს ულლიანი გუთნეული მოდგამის წევრების სავარგულების დამუშავებას ოციოდე დღეში ამთაერებდა. მოდგამი თავისი სამუშაო ციკლის უკანასკნელ დღეს რომელიმე თანასოფლელ ქვრივ-ობოლს უხნავდა მიწას. ზოგაერთ დიდ და ხალხმრავალ სოფელში ხუთი-ექვსი მოდგამი გამოდიოდა და ყოველ მოდგამს წი-96

ნასწარ ჰქონდა ოლტული ვალდებულება, თუ რომელ გაჭირვებულ  
ოჯახს უნდა დახმარებოდა უსასყიდლოდ. ეს კეთილშობილური  
ტრადიცია ზემო ქართლში თითქმის XIX ს. მიწურულამდე გრძელ-  
დებოდა.

უცვი მოსავალი რომ მოსულიყო, ჭილლით ან დიდი გუთნით  
დამუშავებულ სავარგულს პატარა სახველით კელავ ჩახნავდნენ.  
პატარა სახველით — ჩუთით ჩახვნა ხალხური აგრობიოლოგიური  
გამოცდილებით იყო ნაკარნახევი. მიწის მუშაკთა ღრმა რწმენით,  
ორჯერ მოხნულ სავარგულს ორჯერ მეტი მოსავლის მოცემა შეუძ-  
ლიათ. საერთოდ კი, როგორც ცნობილია, მიწის რამდენჯერმე მო-  
ხვნა ნიადაგს ქვა-ლორლისა და სარეველა ბალახებისაგან ასუფთა-  
ვებს.

მოდგამში შრომის ანაზღაურება, შეიძლება ითქვას, სრულ შე-  
საბამისობაში იყო მისი წევრების მიერ ინდივიდუალურად შეტა-  
ნილ წვლილთან. ანაზღაურების გარეშე არავინ და არაფერი რჩე-  
ბოდა. ყველას და ყველაფერს თავისი ეკუთვნოდა. გუთნის დედას,  
ვითარცა მოდგამის ხელმძღვანელს, ორი ალო ერგებოდა. ე. ი.  
გუთნეულს მისთვის ორი დღის განმავლობაში უნდა ემუშავა. თი-  
თო სამუშაო დღე — ალო ერგებოდა მეხრეს, ერთ ხარს, დიდ გუ-  
თანს. ნახევარ ალოდ ფასდებოდა ღვედი, ჯაჭვი. თუ რომელიმე  
წევრი ლამის მეხრეობასაც ეწეოდა (ვინც ღამით აძოვებდა საქო-  
ნელს), მაშინ მას ნახევარი ალო ერგებოდა. თუ იმასაც გავითვა-  
ლისწინებთ, რომ მოდგამში უხაროდ არავინ შედიოდა, მის თითო-  
ეულ წევრზე გათვალისწინებულ სამუშაო დღეთა რაოდენობა  
სრულიად საკმარისი იყო მასში გაერთიანებული ოჯახების სავარ-  
გულების დასამუშავებლად.

ტერასული მიწათმოქმედება. მასშტაბურად წარმოებულ მე-  
მინდვრეობასთან ერთად, ზემო ქართლში, განსაკუთრებით კი მდ.  
ფარავნისა და არტაანის მტკვრის ხეობების ჯავახეთის მონაცემში,  
აგრეთვე თორის მხარის დაფერდებულ სავარგულებში გავრცელე-  
ბული იყო მიწათმოქმედების ტერასულად წარმოების ტრადიცია. ტერასული მეურნეობა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარ-  
მოადგენდა.

ჯავახეთის ზეგანის დიდი და დავაკებული ფართობები ისტო-  
რიულად მხოლოდ მემინდვრეობისა და მესაქონლეობისათვის იყო  
ხელსაყრელი. მისი გეოკლიმატური პირობები მებოსტნეობის, მები-  
ლეობის, მით უმეტეს მევენახეობის წარმოების საშუალებას არ იძ-  
7. თ. ჩიქოვანი

ლეოდა. სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგებისათვის შესაფერ-  
რი პირობები, ჯავახეთის ვითარებაში მხოლოდ არტაანის მტკიცებულ  
სა და ფარავნის წყლის ხეობების ჭალებში იყო, სადაც ტერასე-  
ბის — დარიჯებისა და ოროჟების მოწყობის ტრადიცია შორეული  
საუკუნეებიდან მომდინარეობდა.

დარიჯი, ანუ იგივე ოროკი შემდეგნაირად კეთდებოდა: ჭალის  
დაფერდებას წინა მხრიდან ერთიდან ორ მეტრამდე სიმაღლის  
ყორეს ამოუშენებდნენ, რომლის სიგრძე და სიგანე სავარგულის  
ფართობზე იყო დამოკიდებული. შემდეგ, ფერდობსა და ყორეს  
შორის მიწას ჩაყრიდნენ და კარგად მოასწორებდნენ. ერთი ორო-  
კის დასასრულს, ფერდობის მხარეზე კვლავ ყორეს გააკეთებდნენ,  
მასაც მიწით ამოავსებდნენ, მოასწორებდნენ... და ასე შემდეგ და  
ამგვარად მთელი ფერდობის ჩაყოლებაზე კეთდებოდა დაკიდებუ-  
ლად მოწყობილი სავარგულები, სადაც აშენებდნენ ხეხილს, ვე-  
ნახს და ბოსტანს. ერთ-ერთი ასეთი უძველესი ტერასებია გაკე-  
თებული ჯავახეთის სოფ. ჭიგრაშენში.

ჭიგრაშენი ფარავნის წყლის, ანუ იგივე ჯავახეთის მტკვრის  
მიერ შექმნილი კანიონის თავზე, მის მარცხენა მხარესაა გაშენე-  
ბული და იგი ამჟამად სომხებითაა დასახლებული. ამ სოფელში  
ჩვენი წინაპრების მიერ ქარაფოვანი კანიონის ჩაყოლებაზე, ალაგ-  
ალაგ კიბისებური პატარა ბაქნებია გაკეთებული. ასეა შექმნილი  
ასიოდე ხელოვნური სამიწათმოქმედო სავარგული, ბაქან-ტერასა,  
რომელთა ფართი 2-5 კვ. მ შორის მერყეობს. ყოველი ოროკი, გარ-  
და იმისა, რომ კლდეშია ღრმად შეჭრილი, ირგვლივ ქვებითაცაა შე-  
მოკავებული. სოფ. ჭიგრაშენი ურწყავ ადგილად ითვლება. რა სი-  
კეთის მოტანა შეეძლო ურწყავ სავარგულს და ისიც კლდოვან სა-  
ფუძველზე გაკეთებულ ბაქან-ტერასს? იცოდნენ რა ყოველივე ეს,  
ჩვენ წინაპრებს ოროჟების თავის მთელ გაყოლებაზე პატარა წყალ-  
სატევები მოუკვეთიათ კლდეში. ორმოსებური მოყვანილობის ამ  
პატარა წყალსატევების დიამეტრი საშუალოდ ერთ მეტრს აღ-  
წევს, ხოლო მათი სილრმე 30-40 სმ. შორის მერყეობს. ყოველ  
წყალსატევს ფსკერთან დატოვებული აქვს ვიწრო ნახვრეტი, რო-  
მელიც თავის ღროზე წყალსაწრეტის მოვალეობას ასრულებდა.  
წყალსაწრეტი ნახვრეტი მუდამ დაგმანულ მდგომარეობაში იყო.  
ღროთა განმავლობაში წვიმის წყლითა და სოფელში არსებული  
წყაროს საშუალებით ნელ-ნელა ივსებოდა წყალსატევი ორმოები.  
საჭიროების შემთხვევაში, როცა ოროკის მორწყვა აუცილებელი

იყო, აღებდნენ წყალსაშრეტ ნახვრეტს და მის ქვემოთ გაყვანილი ჟულია ჭავჭავაძის მიერთულებით.

სომხების ჩამოსახლებისას ჯიგრაშენში ტერასულად გამართულ ამ პატარა სავარგულთა სისტემა ჭერ კიდევ მთლიანი სახით ყოფილა შემონახული. მოხუცი სომხების გადმოცემით, მათი შამა-პაპა მალე გარკვეულან ვითარებაში და სათანადოდ აუთვისებიათ ჩვენი წინაპრების ხელით შექმნილი ოროკები. აუთვისებიათ, მაგრამ არა მთლიანად. საბოსტნედ იყენებდნენ ოროკების მხოლოდ ზედა ნაწილს, ქვედა ტერასები უყურადღებოდ დაუტოვებიათ. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში ბუნების ძალების ზემოქმედებით, უნიკალური სატერასე სისტემა თითქმის თუ არა, სანახვროდ მაინც განადგურებულა.

მიწათმოქმედების ტერასული სისტემით წარმოების მეორე სახეობაა ლარები. ლარების სისტემა მემინდვრეობისათვის იყო განკუთვნილი და თორის მხარის დაფერდებულ ადგილებში გამოიყენებოდა. ამგვარი სისტემით წარმოებული მემინდვრეობის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტიურ მაგალითს წარმოადგენს ამჟამად უკვე ნასოფლარი ლარებისათვის დამახასიათებელი წირსული სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ერთი საინტერესო რეალია.

ნასოფლარი ლარები ბორჯომიდან ახალციხის მიმართულებით დაახლოებით მე-14 კმ-ზეა და მტკვრის ხეობის მარჯვენა მხარეზე არსებული დიდი და ტყიანი მთის წვეროს სიახლოეს, დასავლეთის კალთაზე მდებარეობს. იგი სრულიად ახალი ნასოფლარია. მისი მოსახლეობა ჩვენი დროის ორმოციანი წლების მიწურულს ახალციხის რაიონში ჩასახლეს, ხოლო სოფელში არსებული მიწის ნაკვეთები სოფ. დვირსა და ჭობისხევს გადასცეს. ამჟამად სამივე სოფელი და აგრეთვე საკირე, დგვარი, ტაძრისი და ქვაბისხევი დვირის საბჭოთა მეურნეობაშია გაერთიანებული.

**ლარები** მთის გლუვ კორტოხშე გაშენებული პატარა სოფელი იყო და მას ირგვლივ ხშირი წიწვოვანი ტყე აკაცია, რომელშიაც, კუნძულებად მიმოფანტული იყო მცირე ფართობის მქონე რამდენიმე სავარგული. სუბალპური ზონის შესაბამისი გეოკლიმატური პირობების გამო მეურნეობის წამყვან დარგს მსხვილფეხა მესაქონლეობა წარმოადგენდა. ასეთი სამეურნეო ვითარების მიუხედავად, მემინდვრეობა ინტენსიურ ხასიათს ატარებდა და მისგან მოსახლეობა საკმაოდ კარგ მოსავალს იღებდა. მას საფუძვლად ედო ემბირიულად გამომუშავებული ხალხური აგროკულტურის წარმოების



რაციონალური მეთოდები. ლარები და მისი შემოგარენი მთლიანობის მწვანე, მზიან ადგილს წარმოადგენს. მზე, თითქმის მთელი დღის განმავლობაში ასხივებს მის არემარეს. ეს კი მთიური მეურნეობისათვის ფრიად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. შეგნებულ მეურნეს კარგად ესმოდა ბუნების ამ სიკეთის მნიშვნელობა.

ხშირი წიწვოვანი ტყით დაფარული და თანაც ძალიან დაფერდებული ტერიტორია მიწათმოქმედების ფართო მასშტაბის საშუალებას არ იძლეოდა. ქართველი მეურნე იძულებული იყო სამიწათმოქმედო სავარგულები ახოს აღებით — ტყის გაჩერვით მოეპოვებინა. იმისათვის, რომ ნიადაგის ეროზია თავიდან აეცილებინათ, მთის კალთაზე არსებულ ტყეს დაახლოებით 200-300 მ. სიგრძესა და 10-15 მ სიგანეზე გაკაფიავდნენ ხოლმე. შემდეგ ტყის ნარჩენებს დაწვავდნენ და მიწის ამ ზოლს შეძლებისდაგვარად დაავაკებდნენ. თუ ოჯახს სამყოფი მუშახელი პყავდა, მეორე ასეთსავე სავარგულს — ლარებს გააკეთებდა. ლარები ერთმანეთის გასწვრივ კეთდებოდა და მათ შორის ტყის ვიწრო, ძალიან ვიწრო ზოლი აუცილებლად უნდა დარჩენილიყო. ტყის ზოლი ლარების ნიადაგს ეროზიისა და ჩამორეცხვისაგან იცავდა. სადაც ტყე არ იყო, რაც თორის მხარეში იშვიათობას წარმოადგენდა, ლარებს ქვედა მხრიდან მთელ სიგრძეზე სამაგრ კედელს უშენებდნენ. ფერდობებზე და ტყეებში შემონახულმა ამგვარმა სიმაგრებმა, ზოგიერთ არქეოლოგს ბევრი საფიქრალი გაუჩინა.

ზღვის დონიდან საკმაო სიმაღლის (1350-1400 მ) მიუხედავად ლარების პურის ყანები, ქერზე რომ არაფერი ვთქვათ, მუდამ ასწრებდა დამწიფებას და, რაც მთავარია, ყოველთვის კარგ მოსავალს იძლეოდა.

ლარების სისტემით წარმოებული მემინდვრეობა თორის მხარეში იშვიათობას როდი წარმოადგენდა. ლარების სისტემის სავარგულები იყო სოფ. დვირში, სლესის ციხის მოპირდაპირე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აჩსებულ ნასოფლარ მოქცევში, სოფ. ჭობისხევში და მის მოპირდაპირე მტკვრის მარცხენა მხარეს არსებულ „მინდიაშვილის ყანებში“ და სხვაგან.

პურეულ და პარკოსან კულტურებთან ერთად ფრიად მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალის შემცველს წარმოადგენდა სელი, რომელიც ზემო ქართლის პროვინციებში, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და ფოცხოვის ხეობაში მასშტაბურ ხასიათს ატარებდა.


ზემო ქართლში ორნაირი — ბრტყელმარცვალა და გრძელ-  
მარცვალა სელი იყო გავრცელებული. გრძელმარცვალა სელის ზო-  
ჭელისაგან კარგი ქსოვილი მზადდებოდა, რომლის საქსოვი დამზემი  
თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა. XIX ს. მეორე ნახევრიდან სოფ-  
ლად ფართოდ შეჭრილმა ფაბრიკულმა ქსოვილმა განდევნა მამაპა-  
პური სელის ქსოვილი, რის შედეგადაც მივიწყებას მიეცა გრძელ-  
მარცვალა სელის კულტივაცია. ბრტყელმარცვალა სელისაგან კარ-  
გი ხარისხის ზეთი გამოდიოდა, რის გამოც მან თითქმის ჩვენი დრო-  
ის 30-იან წლებამდე შემოინახა თავი.

სელისათვის განკუთვნილ სავარგულს ჯერ კარგად მოხნავდნენ  
და მეტე ნაკელით გაანიყიერებდნენ. მოხვნიდან დაახლოებით ერ-  
თი თვის შემდეგ, ღრუბლიან დღეს შეარჩევდნენ და სელს დათესდ-  
ნენ. დათესილი სავარგული აუცილებლად უნდა დაფარცხულიყო.  
დაფარცხვიდან თხუთმეტიოდე დღის გასვლის შემდეგ სელი ამო-  
დიოდა და აგვისტოს თვეში მისი ყლორტი საკმაოდ ყვითლდებო-  
და, რაც სიმწიფის მაუწყებელი ნიშანი იყო.

სელის ყანა თუ დაბალი იყო, ხელით გლეჭდნენ, თუ არა და,  
ნამგლით მკიდნენ. საძაფე სელს ცალკე კონებად კრავდნენ და შემ-  
დეგ საგულდაგულოდ აშრობდნენ. კონებადვე იქვრებოდა საზეთე  
სელიც, რომელსაც ვაშრობის შემდეგ ჩვეულებრივ კალოზე მი-  
იტანდნენ და კევრით ლეწავდნენ. გალეწილი და განიავებული სე-  
ლის მარცვალი უკვე ზეთსახდელში მიჰქონდათ, სადაც ხდებოდა  
ზეთის გამოხდა.

ზემო ქართლის წარსულ სამეურნეო ყოფაში თითქმის ყველა  
სოფელში იყო ზეთსახდელი. იყო ისეთი სოფლებიც, სადაც არათუ  
ერთ რომელიმე გვარს, არამედ ზოგჯერ ცალკეულ, შეძლებულ ოჯა-  
ხებსაც კი ჰქონდათ საკუთარი ზეთსახდელი (სურ 3).

ზეთსახდელი საწარმო, რომელიც თავისი მნიშვნელობით პა-  
ტარა ქარხნის ხასიათს ატარებდა, რამდენიმე ოთახისაგან შედგე-  
ნილ და ბანით მომთავრებულ ქვითკირის ნაგებობას წარმოადგენ-  
და. მისი ფართობი სელისაგან ზეთის ხდის ციკლის მიმდინარეობის  
მიხედვით იყო დაგეგმილ-დანაწილებული. შენობაში ყველაზე დიდი  
ფართობი სელის მარცვლის საფქვავ ქვის კალოს და ზეთის საწნეს  
მოწყობილობას ეკავა. ორივე ეს ერთ დიდ ოთახში იყო გამარ-  
თულ-განლაგებული. ცალკე ოთახ-სათავსო ჰქონდა გალეწილი სე-  
ლის მოსახალ ღია ფურნე-ღუმელსა და უკვე დაფქვილი სელის  
მარცვლის გასაცრელ მოწყობილობას. ასევე ცალკე საღვომი ჰქონ-



სურ. 3.

და სელის კალოზე მომუშავე საქონელს, ყველა აღნიშნული ოთახ-სათავსო სათანადო კარებებით იყო დაკავშირებული.

კალოზე გალეშილ და განიავებულ სელის მარცვალს, ზეთსახ-დელში ჯერ ფურნეში მოხალავდნენ, შემდეგ კი ქვის ფილებით სუფთად მოპირკეთებულ კალოზე გადაიტანდნენ. იმისათვის, რომ ქვის კალოდან სელის მარცვალი გარეთ არ გამობნეულიყო, მას ირგვლივ ქვისავე პატარა ბორდიური ჰქონდა შემოვლებული. მო-ხალული სელის მარცვალს კალოზე საქმაოდ სქელ ფენად მო-ფენდნენ და მერე ფქვავდნენ. ქვის კალოს, ანუ იგივე სელის საფ-ქველი წისქვილის ცენტრში, დუღაბის გამოყენებით დამაგრებული იყო რკინის მსხვილი ძალაყინი, რომელშიაც ჩამოცმული ხელნა თავისუფლად მოძრაობდა. ხელნა გრძელდებოდა, ცერად აყირავე-ბული ქვის დიდი დოლაბის ცენტრში გადიოდა და მკვიდრად მაგრ-დებოდა. გელაზი წისქვილ-კალოში იყო ჩადგმული ხელნის ბოლო-ში, რომელიც წისქვილ-კალოს გარეთ გადიოდა, ორი ტაბიკი იყო გაყრილი, ხელნის ბოლო ულლისებური იყო, მასში კამეჩი ან მძლავრი ხარი შეიძმოდა ხოლმე. გამწევი ძალის საშუალებით გე-ლაზი მოძრაობაში მოდიოდა და ფქვავდა სელის მარცვალს. გა-

ლეჭილი სელის მასას — ქუმელს ცოტა წყალს ასხამდნენ, კარგზე  
შეზელდნენ და შემდეგ თხისურისაგან (თხის ბალნისაგან) მუჩხეთ-  
რად მოქსოვილ ტომრისებურ სალებზე აწყობდნენ. სალებს მერე  
კონვერტისებურად შეკრავდნენ და ქვის საწნეს გეჯაში აწყობდნენ.  
გეჯაში ოთხი-ხუთი სალი ეტეოდა. საწნეხი საშუალებით გეჯაში  
იწნებოდა სელის მასა და საწრეტი მიღიდან გამოღიოდა ზეთი.  
დაწნეხილი სელის ცომისაგან რჩებოდა კოპტონი, რომელიც საქონ-  
ლისათვის მაღალკალორიულ საკვებს წარმოადგენდა.

სელის ზეთს მრავალგვარი გამოყენება ჰქონდა. ხმარობდნენ  
საკვებ ცხიმად, ამხადებდნენ სამკურნალო მალამოებს, პოხავდნენ  
მუშა საქონელს მკბენარი მწერების თავიდან ასაცილებლად. გამო-  
იყენებოდა ასანთებ-საწვავ მასალად ჭრაქისა და მაშხალისათვის,  
ტყავის დამუშავებაში, საღებავების დასამზადებლად, ქსოვილების  
საჩითავად. სელის ზეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებე-  
ლი იყო ეკლესია. სასულიერო პირები ზეთს ცხიმად და კანდელე-  
ბისათვის იყენებდნენ. მთელ გვიანფეოდალურ ხანაში, თითქმის  
XIX ს. მიწურულამდე ზემო ქართლიდან სელის ზეთი გაპქონდათ  
იმერეთში, შიდა ქართლში, მეზობელ სომხეთსა და თურქეთში.

XVIII საუკუნიდან ზემო ქართლის რაიონებში სიმინდის  
კულტურამაც იწყო გავრცელება. მან ძირითადად სარწყავ საგარ-  
გულებში მოიკიდა ფეხი. სიმინდის კულტურა ამჟამად ფართოდ  
გავრცელებულია ქვაბლიანის ხეობაში, აწყურ-აგარის შემოგარენში  
და თორის მხარეში, უპირატესად მტკვრის ხეობის მონაკვეთში.

XIX ს. 80-იანი წლებიდან მემინდვრეობაში გაჩნდა სრულიად  
ახალი კულტურა — კარტოფილი, რომელმაც რამდენიმე ათეული  
წლის განმავლობაში პირველი ადგილი დაიკავა მიწათმოქმედებაში.  
კარტოფილს ყველაზე დიდი ფართობები უკავია ჯავახეთის პლა-  
ტოზე, ქვაბლიანის ხეობის ზედა წელსა და თორის მაღალმთიან  
სოფლებში.

ზემო ქართლის სოფლის მეურნეობაში ყოველთვის მნიშვნე-  
ლოვან დარგს წარმოადგენდა მეხილეობა, რომელიც განსაკუთრე-  
ბით გავრცელებულია ფოცხოვ-ქვაბლიანის შესართავის შემოგა-  
რენში, წნისი-კლდის, აწყურ-აგარა-ზიეილიის ზონაში, მტკვრის ხე-  
ობაში (ტაშისკარიდან დაწყებული სოფ. ქვაბისხევის ჩათვლით) და  
ურაველში. მეხილეობა შედარებით ნაკლებმასშტაბური იყო  
მტკვრის ხეობის ვარძია-ახალციხის მონაკვეთში. ხეობის აღნიშნუ-  
ლი მონაკვეთის ჭალებსა და ტერასულ საგარგულებში — ოროკებ-

სა და დარიგებში დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული თუმას  
ხის ნარგავები და ჭინჭური.

ზემოქართლური ხილიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ვაშლი,  
რომელსაც თავისი ხარისხით, ჯიშების მრავალი სახეობითა და ნა-  
ყოფიერებით ბადალი არ მოეძებნება საქართველოში. XIX ს. მო-  
ნაცემების მიხედვით, მეხილეობის ცენტრებში აღიარებულ ფო-  
ცხოვ-ქვაბლიანის შესართავის შემოგარენში, ურავლის ხეობაში,  
აწყურ-აგარა-ზიკილისა და კლდე-წნისის ზონაში ორმოცამდე ჯი-  
შის ვაშლი ყოფილა გავრცელებული. თავისი საუკეთესო თვისებე-  
ბით გამოირჩეოდა ვაშლის შემდეგი ჯიშები: თურაშაული, შექარ-  
ვაშლა, კიტრა, ადრეულა და სხვ. მსხლის ძვირფასი ჯიშებიდან აღ-  
სანიშნავია უდური გულაბი, ხეჭეჭური, კალოს მსხალი და ა. შ.

საქართველოს აღნიშნულ რეგიონში ამჟამადაც საკმაოდაა  
გავრცელებული სხვადასხვა ჯიშის თუთა — ხართუთა, ჭროლა,  
თეთრა და შავა. განსაკუთრებით დიდად გავრცელებულია სხვადა-  
სხვა სახეობის ჭინჭური; შედარებით ნაკლებადაა ქლიავი, ალუბა-  
ლი და ბალი. მრავლადაა გარეული ხილი — პანტა, მაჟალო, ტყე-  
მალი, ზღმარტლი და შინდი.

ხილის კულტურული და გარეული სახეობებიდან, კერძოდ თუ-  
თიდან, პანტიდან, მაჟალოდან და ჭინჭურიდან მეტად სურნელოვანი  
არაყი გამოდის. თუთიდან ხარშავენ მოშავო ფერის ოდნავ შესქე-  
ლებულ ხილფაფის — ბაქმაზს, რომელიც ფრიად გემრიელი და  
ყუათიანია. თუთის წვენიდანვე აკეთებენ ტებილისკვერს. არანაკ-  
ლებ გემრიელია აგრეთვე ჭინჭურისა და შინდის კერკი და გამხმა-  
რი კოწახური. აკეთებენ ვაშლის, პანტის, მსხლისა და ჭინჭურის  
ჩირს.

გვიანფეოდალურ ხანაში, პოლიტიკურად მოწყვეტილია ზემო  
ქართლი, კვლავ განაგრძობდა ცკონომიკურსა და კულტურულ ურ-  
თიერთობას დედასამშობლოსთან. მაგალითად, სამცხელ და თორელ  
მეტივებს ხე-ტყესთან ერთად ხილიც ჩამოჰქონდათ თბილისში.  
ტივით ჩამოტანილ ხილს დიდი გასავალი ჰქონდა თბილისის ბაზარ-  
ზე. პოლიტიკური იზოლაციის მიუხედავად, სამცხე-თორიდან თბი-  
ლისში ხილი ისეთი დიდი რაოდენობით შემოდიოდა, რომ ქალაქის  
მოურავს მასზე სპეციალური გადასახადიც კი დაუწესებია.

თურქების ბატონობისაგან ზემო ქართლის განთავისუფლების  
შემდეგ, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა უფრო გაძლიერდა—  
ხილმა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებმა — ყველია


თაფლი, ერბო — უფრო ინტენსიურად და დიდი რაოდენობით  
იწყო დინება თბილისის ბაზარში.

სოფლის კოლექტივიზაციისა და მეურნეობის ინტენსიფიკაცი-  
ის პირობებში მეხილეობა განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა.  
ზანაგში, ყვებისში, დვირში, ქვაბისხევში, აწყურ-აგარა-საყუნეთ-  
ზიკილიაში, წნისი-კლდის ზონაში, ურავლის, ქვაბლიანისა და ოცხეს  
ხეობებში, აგრეთვე რუსთავში, იღუმალაში, ოშორაში, ასპინძასა და  
სხვაგან გაშენდა ხილის პლანტაციები. ვაშლის ყინვაგამძლე ზოგი-  
ერთმა ჯიშმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჭავახეთის პლატოზე და ზო-  
გიერთ მთიან სოფლებში. ზემო ქართლში, ამჟამად იმდენად დიდი  
რაოდენობის ხილი მოდის, რომ არათუ საქართველოს სამრეწველო  
ცენტრებში, არამედ რუსეთშიც კი იგზავნება.

მებოსტნეობაც ძველთაგანავე მომდინარე დარგს წარმოადგენდა  
ზემო ქართლში. იგი განსაკუთრებით უხვმოსავლიანია ქვაბლიანისა  
და ოცხეს წყლების შესართავის სავარგულებში. კარგი ბოსტნეული  
იცის აგრეთვე ურავლისა და მტკვრის ხეობის ჭალებში. განსაკუთ-  
რებით კი ზანაგში, ყვებისში, ჭობისხევში, ქვაბისხევში, საყუნეთში,  
წნისში, ზევლისა და ასპინძის ჭალებში. კიტრისა და პამიდორის  
კარგ მოსავალს იძლევა უდე-არალის, სხვილისის, აწყურის, საყუ-  
ნეთის, დვირის. ჭობისხევისა და სხვა ადგილებში განლაგებული  
სავარგულები. მებოსტნეობის ბაზაზე ზემო ქართლის რაიონებში  
რამდენიმე საკონსერვო ქარხანა მოქმედებს, რომელთა ნაწარმი  
ფართოდ ნაწილდება როგორც შიდა სარესპუბლიკო, ასევე საკავ-  
შირო ბაზარზე.

**მევენახეობა** ზემო ქართლის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი  
ყველაზე უძველესი დარგთაგანია. ჯერ კიდევ VI ს. გამოჩენილი  
ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი წერდა, რომ „მეს-  
ხები შრომის მოყვარულნი არიან; მათ ბევრი ვენახი აქვთ და თა-  
ვიანთი ღვინო სხვადასხვა ქვეყნებში მიაქვთ გასასყიდად“. მევენა-  
ხეობისა და მელვინეობის ფართოდ არსებობაზე მეტყველებს არ-  
ქეოლოგიურად მიკვლეული ნივთიერი მასალა, რომლის მიხედვი-  
თაც სოფლის მეურნეობის აღნიშნულ დარგს მისდევდა მტკვრისპი-  
რა სოფლების მოსახლეობა, ტაშისკარიდან ზედა ვარძიის შემოგა-  
რენის ჩათვლით. ყოველივე ამაზე მეტყველებს შრავლად აღმოჩე-  
ნილი ქვევრები, საწანხლები, ქვის საქავავები და აგრეთვე ნავენა-  
ხარი ადგილები, რომლებიც თითქმის მტკვრისპირა ყველა სოფ-  
ლებშია დადასტურებული. მევენახეობა-მელვინეობის ტრადიციუ-

ლობაზე მეტყველებს აგრეთვე ვარძიის ნაქალაქარში კლდეში ჩა-  
ვეთი საწნახლები და კლდეშივე ჩადგმული სხვადასხვა ტევზლების  
ქვევრები.



სურ. 4. საქაფეი სოფ. აწყურიდან (რესტავრაცია).

მტკვრის ხეობის მყუდრო და მზიან აღგილებში გაშენებული  
ვენახები საქმაოდ კარგ მოსავალს იძლევა. 1672 წლის შემოდგომა-  
ზე ქვაბლიანისა და მტკვრის ხეობით სამცხე და თორი ვაიარა ცნო-  
ბილმა ფრანგმა მოგზაურმა და ნეგოციანტმა უან შარდენმა. მან  
აღფრთოვანებული სტრიქონები მიუძღვნა მის ბუნებას. ბარაქიან  
მიწასა და სტუმართმოყვარე მოსახლეობას. საქართველოს ამ მხა-  
რებში შარდენი რთველის პერიოდში ყოფილა. იგი წერს: „სოფ-  
ლებში რთველი იყო; შესანიშნავი მეჩვენა ყურძენი, ახალი და ძვე-  
ლი ღვინო. ღვინო აქ ისეთი იაფი ღირს, რომ ზოგ აღგილას სამ  
გირვანქას ერთ ეკიუდ ყიდიან“. მტკვრის ხეობის სოფლების ვე-  
ნახიანობაზე წერს თავის გეოგრაფიაში ვახუშტი ბატონიშვილი.

გადმოცემების მიხედვით, ქვაბლიანის ხეობის ისეთ პატარა  
სოფლებში, როგორიც ჩორჩანი, მლაშე, ვარხანი, ფლატე და ჭეჭლაა,  
არცთუ შორეულ წარსულში, უკვე გამაპმადიანებულ ქართველო-  
ბას კარგი ზერები ჰქონია. სავენახე აღგილები ყოფილა აგრეთვე

კლდეში, წნისში, საყუნეთში (რომელსაც მოსახლეობის ორმა რწმენით წარსულში საღვინეთი ერქვა), აწყურში, ზეგლის ჭალებული ში, ნასოფლარ სლესასა და ქოლოსაში, ხიზაბავრაში, ასპინძაში, ვარძიაში და ა.შ.

ზემო ქართლში, მტკვრისა და ქვაბლიანის წყლისპირა სოფლებში მაღლარი და დაბლარი ვენახი ერთნაირად შეგუებული ყოფილა ადგილობრივ გეოკლიმატურ პირობებს. ყურძნის ჯიშებიდან გავრცელებული ყოფილა ბუდეშური, თოთა, ცხენისქუძუ, ხარის-თვალა, საფერავი, ანდრიული, ანიჭული, ვეჟანა, ცვრივი და სხვ.

თურქების მიერ ზემო ქართლის დაპყრობას, ქართული მოსახლეობის იძულებითი გამაპმადიანება მოჰყვა. შარიათი, როგორც ცნობილია, ღვინის მოხმარებას კრძალავს. ღროთა განმავლობაში მოსახლეობის უდიდესმა გამაპმადიანებულმა ნაშილმა თანდათან მიიღიშა მევენახეობა-მეღვინეობა, რამაც ვაზის უძეირფასესი ჯიშების გაქრობა გამოიწვია. მაგრამ, ოდითგანვე სათაყვანებელ მცენარეს ყველა ქართველი ვერ შეელია, პირველ რიგში კი ქრისტიანებით დასახლებული სოფლის მოსახლეობა. მაგალითად, სოფ. ხიზაბავრაში თურქების ბატონობის პერიოდშიაც მისდევნენ მევენახეობას ადგილობრივი ქრისტიანი (კათოლიკი) ქართველები. XIX ს. 80-იან წლებში ხიზაბავრაში ათიოდე ჯიშის ყურძენი იყო შემონახული. განსაკუთრებით ცნობილი იყო წითელი ღვინო, რომელიც ივანე გვარამაძის შეფასებით სიმაგრით კითხურს არ ჩამოუვარდებოდა, ხოლო გემოთი იმერულს სჭობდათ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებით კი სამოციანი წლებიდან სამცხეში მევენახეობის ალორძინებას მოჰყიდეს ხელი. მზვარე ადგილებში გაშენდა სახელმწიფო სექტორის ვენახები. ამჟამად ვენახებს საქმაო ფართობები უკავია წნისში, კლდეში, წრიოხში, აწყურის მახლობლად — ნასოფლარ სლესაში. მევენახეობის განახლება-ალორძინებამ მოსახლეობაში ენთუზიაზმი გამოიწვია. სამცხისა და თორის ბარის სოფლებში იშვიათია ცხეთი ოჯახი, რომელსაც თავის საკარმილამო ნაკვეთზე პატარა ვენახი არ ჰქონდეს გაკეთებული. თვალებს არ უჯერებს ადამიანი, როდესაც კარგად გახარებულ ვენახებს ნახავს ასპინძაში, იღუმალაში, ოშორაში, ახალ მუსხში, არალში, უდეში, კლდეში, საყუნეთში და სხვაგან. დიდ მოწონებაშია ალიგორე და იზაბელა, ადესას რომ უწოდებენ დასავლეთ საქართველოში. ყურძნის ამ ჯიშებისაგან მშვენიერი ღვინო დგება ზემო ქართლში.

მესაქონლეობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეკონომიკური პრინციპის შემცველი და ძალიან შორეული საუკუნეებიდან მომდინარე სოფლის მეურნეობის დარგია, რაზედაც ორქოლოგიურ მონაცემებთან ერთად წერილობითი წყაროებიც მკაფიოდ მეტყველებენ. „ქართლის ცხოვრებაში“ მესაქონლეობაზე ბევრი საინტერესო ცნობაა მოტანილი. საქართველოს ამ რეგიონში მესაქონლეობა იმდენად მასშტაბურად წარმოებდა, რომ ავტომატიზაციის ხანაშიაც კი, როგორც გახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, ყველა მის შემადგენელ პროვინციაში XVIII ს. პირველ ნახევარში პირუტყვის უძრავი ჭოგი ყოფილა. ამავე ვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე ოსმალთა მიერ შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელშიაც მეურნეობის აღნიშნული დარგის მაღალი დონე საქმიან მკაფიოდაა ნაჩვენები. ზემო ქართლის ტერიტორიაზე წარმოებულ მასშტაბურ მესაქონლეობაზე მეტყველებენ აგრეთვე საზაფხულო საძოვრებზე ჯერ კიდევ მრავლად შემორჩენილი ლოდებით ნაგები ციკლოპური ხასიათის საქონლის ღია სადგომების ნაშთები.

მესაქონლეობის მასშტაბურად და კულტურული ფორმით წარმოების საშუალებას იძლეოდა ზემო ქართლისათვის დამახასიათებელი და დიდ ფართობებზე გადაჭიმული სუბალპური და ალპური საძოვრები, რომელსაც რაციონალურად იყენებდა აღგილობრივი მოსახლეობა. ზემო ქართლი საქართველოს ერთი ის მხარეთაგანია, სადაც მთა და ბარი ერთმანეთის სიახლოვნის ჩდებარეობს. საზაფხულო საძოვრები — იალაღები და ბარის სოფლები ერთმანეთისაგან 7-10 კმ-ით თუ იქნებიან დაშორებული. მთა-ბარის ასეთი სიახლოვე და ხელსაყრელი გეოკლიმატური პირობები, რასაკვირველია, მესაქონლეობის განვითარების ღიდ შესაძლებლობას იძლეოდა.

ზემო ქართლში ამჟამადაც ტრადიციულად მიმდინარე ბინა-ზარ-საიალალო მესაქონლეობას მისდევენ. ისიც უნდა ითქვას, რომ წვრილფეხასთან შედარებით მსხვილფეხარქიანი მესაქონლეობა გაცილებით ინტენსიურად წარმოებდა და თანაც, შეიძლება ითქვას, ყოველთვის მასშტაბურ ხასიათს ატარებდა, რასაც ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად წერილობითი წყაროებიც ადასტურებს. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით XIII ს. ჯავახეთში თორელ ფეოდალებს საქონლის ურიცხვი ჭოგები ჰყოლიათ.

საძოვრების ვერტიკალურად განლაგებაში, ზემო ქართლში

სამგვარი სამეურნეო სიტუაცია დასტურდება. სამცხეში ორგვარი საძოვარია — ქვეშა და ზედა მთა. „ქვეშა მთაში“ სოფლის შემონაბეჭდის მიხედვით გარენში არსებული საძოვრები იგულისხმება, ხოლო „ზედა მთაში“ — სუბალპური და ალპური იალაღები. გაზაფხულზე, როცა ბალახი მოლონიერდებოდა, საქონელს ჯერ „ქვეშა მთის“ საძოვრებზე გარეკავდნენ, სადაც იენისამდე ამყოფებდნენ. იენისიდან უკვე „ზედა მთაში“ აიყვანდნენ და იქ სექტემბრის შუა რიცხვებამდე რჩებოდნენ.

თორის მხარემ თავისი ტყიანი ლანდშაფტის გამო „ქვეშა მთის“ საძოვრების ტრადიცია არ იცის. გაზაფხულზე მაისის შუა რიცხვებიდან საქონელი პირდაპირ მთაში — სუბალპურ და ალპურ საძოვრებზე მიჰყავთ. რაც შეეხება ჯავახეთს, რომელსაც თავისი ბარიც და მთაც აქვს, გეოგრაფიული მდებარეობის გამო — ზეგანის ვითარებაში საქონელი დიდ მანძილზე არ მოძრაობს. ჯავახეთის ზეგანის ყველა სოფლის ირგვლივაა სუბალპური საძოვრები. ასეა ბოგდანოვკის რაიონში, ცნობილ ნიალის ველსა (სადაც გარევეული მიწეზების გამო აღარაა მოსახლეობა) და ნაშილობრივ ახალ-ქალაქის რაიონში.

ფეოდალურ ხანაში, შეიძლება უფრო ადრეც, ზემო ქართლის მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ყოფისათვის დამახასიათებელი ყოფილა სეზონურად გამოსაყენებელი და მუდმივი ხასიათის დასახლებები — სამეურნეო ბაზები. სამეურნეო დანიშნულების დასახლება — ბაზები, რომელთა ნაშთები ყველა იალაზეა შემორჩენილი, დიდ ფეოდალთა საკუთრებას წარმოადგენ. და, ერთ-ერთი ასეთი სამეურნეო ბაზა უნდა ყოფილიყო დიდი აბულის მთის სამხრეთ კალთაზე მდებარე ნამოსახლარი, რომლის შემოგარენი, ტერიტორიულად იქვე მდებარე, ამჟამად სომხებით დასახლებულ სოფ. ეჭვის კკუთვნის.

დიდი აბულის მთა, მართალია, აბულ-სამსარის ქედის სისტემაში შეღის, მაგრამ თავისი ფიზიკური მდებარეობით თითქოს დამოუკიდებელი მდგომარეობა უჭირავს. დამრეცად დავაკებული მისი კალთები ნოკიერი მცენარეული ხალიჩითა დაფარული. აბულის იალაზი ზღვის დონიდან 2000-2500 მეტრის სიმაღლეზეა გაშლილი, რომლის შემდეგ იწყება ლოდნარი — მორენები, ხოლო მეტე კი მუდმივი თოვლის „ქუნძულები“.

აბულის იალაღებზე ბევრი ანკარა წყარო და პატარა ტბებია მიმობნეული, რომლებიდანაც ყველაზე მოზრდილის (1974 წლისა-

თვის) სიგრძე დაახლოებით 600 მ, ხოლო სიგანე 200 მ აღწევდა  
აბულის სახელწოდებით ცნობილ აქ ბუნებრივ წყალსატეპს ჭრის  
აქვს მოძალებული და არ არის გამორიცხული, რომ სულ მოკლე  
ხანში ნატბეურად გადაიქცეს. აი, ასეთ გეოგრაფიულ გარემოში  
მდებარეობს მესაქონლეობის ბაზა, ანუ ფეოდალური მეურნეობის  
სათვის დამახასიათებელი „ზაფხულ საჯდომი“, რომელსაც ამჟამად  
(რაც თვალსაჩინო იყო) დაახლოებით ორი ათასამდე კვ. მ ფართობი  
უკავია. ეს სამეურნეო ბაზა-ნამოსახლარი ორი ნაწილისაგან შედ-  
გება. ერთში დიდი ლოდები — ციკლოპურად ნაგები საქონლის  
ლია სადგომების ნაშთებია თავმოყრილი, ხოლო მეორეში კი ქოხ-  
სახლები, რომელთა გეგმა ჯერ კიდევ კარგად იყითხებოდა. ბაზა-  
ნამოსახლარიდან ოდნავ მოშორებით, ამ ორმოციოდე წლის წინათ  
თურქულ-თურქმანული წარმომავლობის მეჯოგე ზილიანლის ტომის  
სოფელი ყოფილა გაშენებული.

თავისი გეოკლიმატური პირობების მიხედვით, აბულის იალაღ-  
ზე მესაქონლეობის მასშტაბურად წარმოებისათვის ყველა პირობა  
არსებობს: დიდ ფართობზე გაშლილი ნოკიერბალახიანი საძოვარი,  
ანკარა წყაროები, პატარა მტკნარი ტბები და გამჭვირვალე მთის  
ჰაერი, რასაკვირველია, გამრჩე მეურნესთან ერთად მართლაც საუ-  
კეთესო ხელსაყრელი პირობებია. ქართველი ფეოდალები სწორედ  
ასეთ ადგილებს ირჩევდნენ თავიანთი მესაქონლე ყმაგლეხობის სა-  
მეურნეო ბაზის — „ზაფხულ საჯდომთა“ მოსაწყობად.

ფეოდალური ხანის აბულის სამეურნეო ბაზა-ნამოსახლარში  
არსებული ნაქოხარები, რომელთა ზეძირკვლის გეგმა საქმაოდ რე-  
ლიეფურად მოჩანდა, ნაგლეჯი ჭვით ნაშენ ერთი და ორსათავისიანი  
ქოხსახლები უნდა ყოფილიყო. მათ გეგმაზე აქა-იქ შესამჩნევად  
იყითხებოდა საკარეთა ჭვედა ნაწილი — ზღუბბლი და ნაგებობაში  
გამოყენებული კუთხის შემკვრელი ნათალი ჭვები. კარის ორიენტა-  
ცია დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებაა. აღნიშნუ-  
ლი მხრიდან თითქმის მთლიანად მოჩანს ჯავახეთის ზეგანი. რაც  
შეეხება ნაქოხართა ზომებს, მათი ფართობი 14-დან 20 კვ. მ-ს შო-  
რის მერყეობდა. გადახურვა, ვფიქრობთ, ბანური უნდა ყოფილიყო,  
რადგანაც სახურავის გამართვის აღნიშნული სისტემა სამხრეთ სა-  
ქართველოში შორეული წარსულიდან მომდინარეობს. ამასთან, სა-  
იალაღო ცხოვრების პირობებში მიწური ბანი ძალიან ხელსაყრე-  
ლია. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ადვილია გასაკეთებლად და  
გამძლეა. მეორეც, ამგვარი სახურავით მომთავრებული ოთახი თუ

შენობა ერთნაირად კარგად ინახავს სითბოს და სიგრილეს, ესოდენ აუცილებელია აღამიანისათვის (სითბო) და რძის პროცესის ტებისათვის (სიგრილე).

ნაქოხართა უშუალო სიახლოვეს თავმოყრილი იყო გეგმაზე მრგვალი და მომრგვალო მოყვანილობის ლოდებით შემოზღუდული საქონლის ლია სადგომები, რომლებიც ფართით ერთმანეთისა-გან განსხვავდებოდა. უფრო მრგვალების ფართი 15 მეტრიდან 30 მეტრამდე აღწევდა, ხოლო მომრგვალოებისა 50-100 კვ. მ-ს შორის მერყეობდა. ქართველები დიდ სადგომებს ხალხამს უწოდებენ, შე-დარბით მცირეს კი ბერას. გარდა ფართობში სხვაობისა, ხალხამი და ბერა მათ შემოსაზღუდავად გამოყენებული ლოდების ზომებითაც გამოირჩევა. ხალხამის შემოსაზღუდავად უზარმაზარი ლოდე-ბია გამოყენებული, ბერასი კი გაცილებით პატარა. ბერას ყველა ვარიანტი (ფართობის მიხედვით) გეგმაზე მრგვალი მოყვანილობი-საა და ორი კარით ხასიათდება, რომელთათვისაც დატოვებული ლიობი აშკარად მიჯნავს მათ ქვის ზღუდეს. თუ ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, ერთი საკარე ლიობი ცხვარის შესადენი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე უკვე მოწველილი ცხვრის გასაღენი „ყელი“. ყელი არის ბერას ის ნაწილი, სადაც უშუალოდ იწველება ცხვარი.

ბერათა ქვის ზღუდე, რასაკვირველია, მთლიანი სახით არაა შემონახული. მიწის ზემოდან, უმეტეს შემთხვევაში მისი ზღუდე 40-70 სმ-მდეა შერჩენილი. ზღუდის სისქე 40-50 სმ-ს შორის მერ-ყეობს, ხოლო საკარე ყელთა სიგანე, განსაკუთრებით გასაღენისა, 70 სმ-ს არ აღემატება. გასაღენი ყელის სიგანე, შეიძლება ითქვას, ყველა ბერაში ერთნაირი ზომისაა.

ბერასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მისი სახით საქმე გვაქვს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ოპტიმალური ხა-სიათისა და ტრაფარეტული გეგმის მქონე წვრილფეხა საქონლის— ცხვრის ლია სადგომ ნაგებობასთან. იგი დუალური დანიშნულებისა იყო. ბერა ერთდროულად ცხვრის სადგომ-საწველად გამოიყენე-ბოდა, რაც სრულიად უცხო მოვლენას წარმოადგენდა ნომადები-სათვის. მაგალითად, თურქეთში მცხოვრები ნომადი-მომთაბარე იურუკები ცხვარს დღე-ღამის განმავლობაში აძოვებენ და მოსაწვე-ლად მხოლოდ დილით მიჰყავთ თავიანთ ქეჩის კარვებთან. ასევე იქცევიან მომთაბარე აირუმები და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანელები.

აბულის იალაღზე შემორჩენილი მსხვილფეხა რქოსანი ხაჭაპუ-  
ლის სადგომი—ხალხამი, ელიფსის მოყვანილობის, დიდი მოცულებული-  
ბის ლია სადგომია. ყოველ ხალხამს აქვს ერთი საკმაოდ განიერი,  
1,5—2 მ სიგანის კარი და დიდი ლოდებისაგან ნაშენი ზღუდე, რომ-  
ლის იმექანიზელი სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატება. ზღუდე თა-  
ვის დროზე, რასაკვირველია, უფრო მაღალი იქნებოდა. დრომ თა-  
ვისი გაიტანა. კედლების რღვევის პროცესი დიდი ხნის დაწყებუ-  
ლია და მისი შემქმნელი ლოდები თანდათანობით მიწით იფარება.  
ბერასთან შედარებით ხალხამთა ზღუდის სიგანე გაცილებით მე-  
ტია. იგი 70-80 სმ-ს შორის მერყეობს. რაც შეეხება მათ ფართობს,  
როგორც უკვე ითქვა, 50 კვ. მ-დან 100 კვ. მ-მდე აღწევს. ერთ-  
ერთი მათგანის ზღუდე ეშტიელ სომხებს აღუდგენიათ და ფერმის  
საქონლის ღამის სადგომად იყენებენ.

უკვე აღნიშნულის გარდა, დიდი აბულის შემოგარენში საკმაო  
რაოდენობითაა აგრეთვე შემონახული ერთიმეორესაგან მოშორე-  
ბით მდებარე ხალხამებიც, რომლებიდანაც ზოგიერთი აღდგენის  
შემდეგ კვლავ გამოყენებაშია.

ანალოგიური ხასიათის მესაქონლეობის სამეურნეო ბაზა-ნამო-  
სახლარები შემორჩენილია აგრეთვე კარწახის ტბის მიღამოებში,  
ზექარის შემოგარენსა და თორის მხარეში. თორის მხარეში ოთხი  
იალაღია — დაბაძველის, კოდიანის, ნარიანისა და საკუთრივ თო-  
რის სახელით ცნობილი. ეს მიკრორაიონი მთელს კავკასიიში ყვე-  
ლაზე თვალწარმტაცი ლანდშაფტით და კლიმატური პირობებით ხა-  
სიათდება. მაგალითად, დაბაძველსა და თორის იალაღზე. საძოვ-  
რები ხშირ წიწვოვან ტყეებში კუნძულებადაა გავრცელებული და  
მათ შორის აქა-იქ ფირუზის თვლებივითაა ჩაღგმული ლურჯად მო-  
ლივლივე პატარა ტბები. პოეტური სახელწოდების ტბებთან ერ-  
თად (წეროს ტბა, ჩიტოს ტბა, დაბაძველის ტბა) უხვად მოჩუხებულ-  
ებენ ანკარა წყაროები, რომლებიც განუმეორებელ ელფერს აძლე-  
ვენ ისედაც თვალწარმტაც ბუნების ფენომენს.

საგანგებოდ უნდა ითქვას ნარიანის ველის შესახებაც. 2800  
ჰექტარის ფართობზე სიგრძეში გაშლილ ნოკიერბალახიან და ყვა-  
ვილოვან ვაკეზე, რომელიც ირგვლივ დაბალი სერებითაა შემოზ-  
ღუდული, მოედინება ქვემო ქართლში ხრამის სახელწოდებით ცნო-  
ბილი მდინარე ქცია. ნარიანის ველი ტაბაწყურის ტბიდან იწყება  
და თრიალეთის მიმართულებით ვითარდება. აი, ამ ველზე ვახუშ-  
ტი ბატონიშვილის „გეოგრაფიით“, ზაფხულობით თავს იყრიდა

უამრავი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, რომელიც აღმოჩნდა საკლეტ საქართველოს ბარის სხვადასხვა კუთხიდან, შიდა ჭრით და ლიდან, ქიზიყიდან და ბორჯომის ხეობიდან მოემართებოდა. სხვათა შორის, დღესაც ასეა.

ზემო ქართლის წარსულ სამეურნეო ყოფაში მესაქონლეობა ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. მისი წარმოებისათვის აუცილებლად საჭირო იყო საძოვარ-სათიბების დიდი სავარგულები, ბალახთესვის კულტურა და საქონლის კარგი საზამთრო სადგომები. ეს სამივე აუცილებელი პირობა შორეული წარსულიდანვე აქმაყოფილებდა მასშტაბურად წარმოებული მესაქონლეობის მოთხოვნილებებს. საქართველოს ამ რეგიონში არსებული იალაღების მოვლა-პატრონობას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. შეუნელებელი ყურადღების ცენტრში იდგა იალაღების მცენარეული საფარისა და ნიადაგის ეროზიისაგან განახლება-დაცვის საკითხი. ასევე საგანგებო ყურადღება ექცეოდა კეთილმოწყობილ და პარმტევ ბოსლების მშენებლობას. თუ სათანადოდ მოწყობილი დიდი ტევადობის ბოსლები არ იქნებოდა, ზედმეტი იყო ლაპარაკი დიდი ხასიათის ბინადარ მესაქონლეობაზე. სწორედ ამგვარი მოთხოვნილების გამოძახილია ის, რომ ზემო ქართლში, განსაკუთრებით ჯავახეთში, თორის მთიან სოფლებში, ნაწილობრივ ქვაბლიანის ზედა წელსა და ასპინძის მხარეში კომპლექსური ხასიათის სახლებში ყველაზე დიდი ფართობი ბოსლებს ეკავა. არცთუ იშვიათად მათი ფართობი 100-130 კვ. მ-ს აღწევდა.

განვითარებული, კულტურული ფორმით წარმოებული მესაქონლეობისათვის საჭირო იყო იგრეთვე სეზონური ხასიათის საიალო დასახლებები და მათ კომპლექსში შემავალი საქონლის სადგომები. ყოველივე ეს ზემო ქართლის სამეურნეო ცხოვრების შორის წარსულში სათანადოდ ყოფილა მოგვარებული. ასევე მოგვარებულად გამოიყურებოდა XIX ს. მიწურულშიც. იალაღებზე ერთ პატრონიმიაში გაერთიანებულ ყოველ გვარს თავის საკუთარი სამოსახლო ადგილი ჰქონდა. სადაც ცალკეულ ოჯახთა ქოხ-სახლების გარდა გაშენებული იყო იგრეთვე საქონლის ლია სადგომები — ხალხამი, ბავი და ბერა.

ბაკი თავისი ფორმა-მოყვანილობით, მშენებლობის ტექნიკით და სამშენებლო მასალის ხასიათით ხალხამის მსგავსი იყო. განსხვავება მათ შორის საერთო ფართობში, ზღუდის სისქესა და სიმაღლეში შეიმჩნეოდა. ხალხამი უფრო მასიური ნაგებობაა და 8. თ. ჩიქოვანი

იგი მსხვილფეხა-რქოსანი საქონლის ღამის სადგომად გამოიყენებოდა. ბაյი შედარებით ნაკლები ფართობისაა, კედლებიც ორუნაბეჭდის მასიურია და, რაც მთავარია, ის მხოლოდ და მხოლოდ ცხვრის ღამის სადგომს წარმოადგენს.

ხალხამ-ბაკ-ბერასაგან განსხვავებით, ქოხსახლები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თუ საძოვარზე სხვადასხვა ფორმისა იყო. მაგალითად, ჯავახეთისათვის დამახასიათებელი ქოხსახლი სანახვროდ მიწაში ჩადგმულს, ნაგლეჭი ქვით ნაშენსა და მიწური ბანით მომთავრებულ ერთოთახიან ნაგებობას წარმოადგენდა. მისი ფართობი 15-20 კვ. მ-ს შორის მერყეობდა. ჰქონდა ერთი ცალყურა კარი და პატარა სანათური, რომელიც ერთდროულად საკვამურის მოვალეობასაც ასრულებდა. სანათურ-საკვამურის კედელთან იყო მოწყობილი რკინისაგან გამოჭედილი ზედადგარიანი კერა. ასეთ ქოხში იდგა ერთი საქმაოდ დიდი და ფართო ხის ტახტი, საფეხვილე კიდობანი და ყველა სახის ჭურჭლეული, რაც კი ოჯახისა და რძის პროდუქტების დამზადება-შენახვისათვის იყო საჭირო.

თორის იარაღებისათვის დამახასიათებელი ქოხსახლები ჯარგვალურად ნაშენი და ყავრით დაბურული ორფერდიანი სახურავით მომთავრებული ძელური ნაგებობები იყო. მათი სამშენებლო მასალა — ხე, რასაკვირველია, ტყის არსებობით იყო განპირობებული. ეს ნაგებობები, ფაქტიურად, კარგად ნაშენ ორსათავსიანსა და პატარა აივნით დამშვენებულ კოხტა სახლებს წარმოადგენდა. ერთი ოთახი ოჯახის საცხოვრებლად იყო განკუთვნილი. იგი ჩვეულებრივ ხასიათდებოდა მიწური იატაკით, მის ცენტრში გამართული კერით და უცილებელი დგამ-ჭურჭლით. მეორე ოთახი — სათავსი რძის პროდუქტების შესანახ განყოფილებას წარმოადგენდა.

სრულიად თავისებურ ხასიათს ატარებდა ზეკარის გადასასვლელზე არსებული საიალალო ქოხსახლები. მესხეთის ქედზე, ზეკარის გადასასვლელის მიღამოებისათვის დამახასიათებელი ქოხსახლი წარმოადგენდა ძელებით ნაშენსა და ყავრით დაბურულ ერთსართულიან ჯარგვალს. სეგმენტირებული იყო სამ სათავსოდ და მის შუა ნაწილს წარმოადგენდა 10-12 კვ. მ. მქონე მიწურიატაკიანი კარაპანი, რომელიც გარდა ძირითადი ფუნქციისა, საკუჭნაოს მოვალეობასაც ასრულებდა. აქ ინახავდნენ შეშას, ფეხილს, ქვამარილს და სხვა, მთავარი ცხოვრებისათვის საჭირო ზოგიერთ ჭურჭელ-ინვენტარს.

კარაპნის მარჯვენა მხარეს იყო ოცდახუთიოდე კვ. მ. ფართო-

ბის მქონე საცხოვრებელი — შინა, ხოლო მარცხნივ — ხის გოგის-  
ლი ძელებით შემოკავებული საქონლის ღია სადგომი — ხალხაში.  
ორივე მათგანთან კარაპანი დაკავშირებული იყო მის შიგნით არ-  
სებული ორი კარით.

შინა ხასიათდებოდა მიწატექეპნილი იატაკით, უსხვენო და ორ-  
მხრივ დაფერდებული სახურავით. ეს ოთახი ერთდროულად მთაში  
ასულ ოჯახის საცხოვრებელსა და სამეურნეო სათავსს წარმოად-  
გენდა. ერთი კედლის გასწვრივ გამართული იყო დიდი ტახტი, მის  
გვერდითვე იდგა პროდუქტების კიდობანი. კარაპნის გამყოფ კედ-  
ლის სიახლოეს მოწყობილი იყო კერა — ფურნე, რომელშიც  
აცხობდნენ პურს. შინაშივე იყო საფილავი — რძის პროდუქტების  
დასამზადებელი და შესანახი განყოფილება თავისი საჭირო ჭურ-  
ჭლეულ-ინვენტარით.

ფოცხოვისა და ქვაბლიანის იალალების საბჭოთა ნაწილში გა-  
ვრცელებული იყო საიალალო ქოხსახლების კიდევ ერთი სახეობა.  
იგი ქვითა და ტალახით ნაშენ ბანით მომთავრებულ ერთსათავსიან  
ნაგებობას წარმოადგენდა და ჭავახურისაგან განსხვავებით მიწის-  
ზედა ნაგებობას განეკუთვნებოდა. მისი შინა უპირატესიდ ერთი  
ოთახ-სათავსისაგან შედგებოდა და პირობითად ორ ნაწილად იყო  
გაყოფილი. ერთი ნაწილი, სადაც კერა-ფურნე და ტახტი იყო, სა-  
ცხოვრებელს წარმოადგენდა, მეორე კი საფილავს.

ამჟამად ზემო ქართლის იალალებზე აშენებულია და კვლავ  
შენდება თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლები და დიდი  
ტევადობის საკოლმეურნეო ფერმები, რომლებიც შესაბამისად პა-  
სუხობენ შესაქონლეობის განვითარების თანამედროვე დონეს.

იალალობა მაისის მიწურულსა და ივნისის პირველ რიცხვებში  
იწყებოდა. საქონელს მწყემსთან ერთად მიყვებოდა რძის პროდუქ-  
ტების დამამზადებელი ქალი — მეთიური, ბავშვები და არცთუ  
იშვიათად მოხუცები. მთაში წასვლა ყოველ ოჯახში საზეიმო გან-  
წყობილებას ქმნიდა, რადგანაც შესანიშნავ ჰავასთან ერთად სისხლ-  
სავსე და თავგადასავლიანი ცხოვრება ელოდა მათ. მოიალალენი  
აგვისტოს დასასრულამდე აბალახებდნენ საქონელს, ამზადებდნენ  
რძის პროდუქტებს — ერბოს, ყველს, არაუანს და ხაჭოს. რძის  
პროდუქტები, განსაკუთრებით კი ერბო-ყველი პერიოდულად  
ახალციხის, თბილისისა და ქუთაისის ბაზრებში მიმქონდათ სარეა-  
ლიზაციოდ და უნდა ითქვას, რომ ძველთაგანვე დიდი მოთხოვნი-  
ლება იყო მათზე.

ზემო ქართლში ყველა გვარს და მასში შემავალ ცალკეულ იჯახს საქონლისათვის თავთავიანთი სერი — დამდა ჰერინდა შემუშავებული. საქონელს, წვრილფეხა იქნებოდა თუ მსხვილფეხა, ჯერ გვარის საერთო ნიშანს — სერს გაუკეთებდნენ, ხოლო შემდეგ საკუთარი ოჯახისას. სერის აღრევა, მით უმეტეს გარკვეული მიზნით ფალსიფიცირება-გაყალბება სოფლის მიერ სასტიკად იკრძალებოდა. საქონლის ქურდი და სერის გამყალბებელი ერთნაირად იქიცხებოდა.

მესაქონლეობასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო წესჩვეულება იყო გავრცელებული. მაგალითად, ახალი წლის წინა დღეს აცხობდნენ ხარის ქედის, ძროხის ცურის, ცხვრისა და სხვათა გამოსახულების რიტუალურ პურებს. ახალი წლის პირველ დღეს დარბაზში შეჰყავდათ მძლავრი ხარი და მას რქებზე კოკორა პურებს ჩამოაცვავდნენ, სანთელს მიაკრავდნენ, შუბლს შეუღებავდნენ. ხარს თივას დაუყრიდნენ და თუ ჭამის დროს რქებზე ჩამოცმული პურები არ ჩამოუცვივდებოდა, კარგის მომასწავებელი იყო: იმ წელს ხვავიანი შემოდგომა იქნებოდა. ხარის კულტი აქ ძალიან გავრცელებული იყო. ხარი სიკეთის, სიუხვისა და ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენდა. ალბათ ამის გამო კიდებდნენ მის რქებს დარბაზის დედაბოძზე.

როდესაც საქონელი საძოვრიდან არ დაბრუნდებოდა და ღმით გარეთ დარჩებოდა, ნალის რომ არ შეეჭამა, შემდეგ რიტუალს ჩაატარებდნენ: აიღებდნენ ხის საკეცს და თასმით ან ბაწრით პირს შეუკრავდნენ. ბაწრის ყოველ შემოვლებას გრძნებითი შეკვრის სიტყვებს დაყოლებდნენ — „ასე შეგეკრას კრიჭა მგელო და დათვო“.

სტიქიური უბედურების ან რაიმე ავადმყოფობის შედეგად საქონელს თუ დიდი ზარალი მოუვიდოდა, მაშინ „ვარძის ღვთის-მშობელს“ ცხვარს შეუთქვამდნენ. ვარძიობა 15 სექტემბერს იმართება. შეთქმული ცხვარი სწორედ ამ დღეს უნდა შეეწირათ „ღვთისმშობლისათვის“ და ეთხოვათ შეწევნა.

პირველი მაისის დადგომისას იმისათვის, რომ მიმდინარე წელს საქონელი რაც შეიძლება კარგად ყოფილიყო, ოჯახის უფროსი დილით ბოსელში შევიდოდა და ბაგურ კვებაზე მყოფ პირუტყვს ყურში ჩასახებდა — „ხარო დადგა მაისიო, ხორცი კარგი მაისხიო, ძროხა დადგა მაისიო, ცური კარგად გაიმსიო“.

არცთუ ისე შორეულ წარსულში, ზემო ქართლის სამივე პრო-

ვინციაში მუშა საქონლისათვის უგრეხელი საკმაო რაოდენობის მოპყავდათ. იგი მაღალკალორიულ და ყუათიან საკვებს წარმოადგენდა. უგრეხელი მწიფობისას ძალიან იზიდავდა პირუტყვას. სოფლის შემოგარენში უყურადღებოდ მიტოვებული მობალახე საქონელი უგრეხელის ყანაში შედიოდა და უზომოდ ძლებოდა. საქონლის სტომაქში მოხვედრილი ჭერ კიდევ დაუმწიფებელი უგრეხელის მარცვალი მეტისმეტად ძნელი მოსანელებელი იყო. იგი ფუვდებოდა და საქონელსაც მუცელი საშინლად ებერებოდა. თუ დროშე არ უშველიდნენ, საქონლის დაღუპვა გარდაუვალი იყო. უგრეხელნაკამ პირუტყვს ჭერ ყურს გაუჭრიდნენ, სისხლს გამოადენდნენ და თან გრძნებით ლოცვას დააყოლებდნენ. გლეხეცაცობის რწმენით, ყურის გაჭრა, სისხლის გამოშვება და შელოცვა საკვების მონელებაში ეხმარებოდა პირუტყვს. სხვათა შორის, აღნიშნულ ვითარებასთანაა დაკავშირებული ერთი ძევლი თქმა — „ისე გაძა, რომ ყური აქვს გასაჭრელიო“. თუ უგრეხელნაკამ საქონელს ყოველივე ეს არ უშველიდა, მაშინ იძულებით არბენინებდნენ. სირბილი საკვების მონელებაში შველოდა პირუტყვს.


მესაქონლეობის მასშტაბურობის მიუხედავად, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც „მცირერძიან ოჯახებს“ უწოდებდნენ. ასეთ ოჯახებს ერთი-ორი ძროხა თუ ჰყავდა. იმისათვის, რომ ერთდროულად რძის უხვი პროდუქტები დაემზადებინათ „მცირერძიანი ოჯახები“ ქმნიდნენ ე. წ. ხანულს, რაც რძეში შეამხანავებას ნიშანას. ხანულში შვიდი-რვა ოჯახი ერთიანდებოდა. ხანულის ყოველი წევრი თავიანთი საქონლიდან მიღებულ ერთი დღის მონაწველს მთლიანად აძლევდა კენჭისყრით პირველს. ერთი დღის ამ საერთო მონაწველს წინასწარ სპეციალურად შერჩეულ ჭურჭელში ასხამდნენ და საგანგებოდ გათლილი ჭოხით ზომავდნენ. რძის ყოველ ჩამორიგებაზე ამ ჭოხს ჭდე უკეთდებოდა. შვიდი-რვა ჭდის შემდეგ ხანულის ერთი ციკლი თავდებოდა. თუ ხანულის წევრები კვლავ მოინდომებდნენ ამხანავობის გახანგრძლივებას, მაშინ მხოლოდ ერთი ციკლით აგრძელებდნენ მის მოქმედებას. ასე რიგრიგობით უმართავდნენ ერთმანეთს ხელს „მცირერძიანი ოჯახები“.

ზემო ქართლის წარსულ ყოფაში გარდა ურთიერთდახმარების ამ მარტივი ფორმისა, იყო აგრეთვე დიდი ხანულიც, რომელსაც დახარგავება ეწოდებოდა. ხარგავში რამდენიმე ხანული ერთიანდებოდა და იგი თითქმის ერთი თვის განმავლობაში მოქმედებდა, ხარგავში შემავალ ყოველ ხანულს ჰყავდა თავისი დედა, რომელიც ანგარიშვალდებული იყო ხარგავის დედასთან. XX ს. დასაწყისში

ურთიერთდახმარების აღნიშნული ფორმა — ხარგავი თანდათან  
სოციალურ საბურველში გაეხვია და დაპკარგა თავისი თავდაცვის  
ველი ხასიათი — მეზობლური ურთიერთდახმარების კეთილშობი-  
ლური საფუძველი.

**ხელოსნობა** ზემო ქართლში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში,  
ზან აღმავლობას განიცდიდა, ხანაც, პირიქით, დაბალ დონეზე ეცე-  
მოდა, მაგრამ მივიწყებული არასოდეს ყოფილა. ისევე შეიძლება  
ითქვას ვაჭრობაზეც. გვინდუოდალურ ხანაში თურქების ბატონო-  
ბის მიუხედავად ეს ორივე დარგი არ ჩაევდა. ისარგებლეს რა გარ-  
კვეული ხელშემწყობი ფაქტორებით, პირველ ხანებში დაკინებუ-  
ლი ორივე დარგი ქართველმა ვაჭარ-ხელოსნებმა განვითარების გარ-  
კვეულ დონეზე იყვანეს. ამ ფაქტორებიდან ერთ-ერთი ის იყო,  
რომ რომის პაპის გავლენით, ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ  
კათოლიკე-ქრისტიანებს, მართლმადიდებლებისაგან განსხვავებით,  
ნაკლებად ავიწროვებდნენ. აღნიშნულ ვითარებაში კარგად გარ-  
კვევის შემდეგ, რასაკვირველია, კათოლიკე მისიონერების აგიტა-  
ციამაც თავისი სიტყვა თქვა, ქართველ ქრისტიან-მართლმადიდებე-  
ლი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, კერძოდ კი ხელოსნებმა და ვაჭ-  
რებმა კათოლიკობა აღიარეს. კათოლიკობაში გადასულ ქართვე-  
ლებს, ევროპელებისაგან მიღებული ახალი რწმენის გამო დარჩე-  
ნილმა ქართველებმა „ფრანგები“ შეარქვეს. თუმცა როგორც ვი-  
ცით, სარწმუნოების გარდა, მათ არაფერი საერთო არა ჰქონდათ  
ნამდვილ ფრანგებთან. კათოლიკობაში გადასულთ, ზოგიერთი სოფ-  
ლის (ხიზაბავრა, ივლიტა, უდე და სხვ.) მოსახლეობამაც მიპაა. ამგვარად,  
გაყათოლიკდნენ ფალიაშვილების, თამარაშვილების, ყა-  
უხებიშვილების, გოქიელების, ზუბალაშვილების, ხარისჭირაშვი-  
ლებისა და სხვათა წინაპრები. მაგრამ, როგორც შემდგომმა ცხოვ-  
რებამ აჩვენა, ვერც კათოლიკურმა სარწმუნოებამ უშეელა ქართვე-  
ლობას. თურქები კვლავ განურჩევლად ავიწროვებდნენ ქრისტიან  
ქართველებს, რის გამოც მათი გარკვეული ნაწილი, კერძოდ კი  
ფალიაშვილები, გოქიელები, ყაუხებიშვილები და სხვები ქუთაისში,  
გორსა და თბილისში წავიდნენ საცხოვრებლად.

XVII—XVIII სს. მანძილზე საქართველოსთან ეკონომი-  
კურსა და კულტურულ მეკაშირეებად სწორედ ქართველი ვა-  
ჭარ-ხელოსნები გამოლიოდნენ. მათ არამარტო ოსმალეთისა და  
მცირე აზიის სხვა ქვეყნებთან, არამედ საქართველოს ეკონომი-  
კურ ცენტრებთან, ქალაქებთანაც ჰქონდათ კავშირი. ზემო-



სურ. 5. ბრინჯაოს სამკულები კვირაცხოვლის სამაროვნიდან ძე. წ. XIV-XIII სს.  
(ბორგომის რ-ნი, არქეოლოგი ოთ. ღამბაშიძე).

ქართლელ, კერძოდ კი ახალციხელ შინამრეწველ ხელოსნებს საქართველოს ბაზრებზე გამსალებელი შუამაგალი არ სცირდებოდა. თვითონვე იყვნენ საკუთარი ხელით შექმნილი ნაწარმის გამსალებელნი. ახალციხელ ვაჭარ-ხელოსანთა ფენის განეკუთვნებოდნენ გოკიელთა, თამარაშვილთა, ყირქვესალთა (იგივე კირკესალიშვილები), ხმალაძეთა და ზოგიერთ სხვა გვართა წარმომადგენლები. მაგალითად, XVIII ს. მოყოლებული მოთელი XIX ს. მანძილზე რუმბებისა და ტიკების ოსტატ გამსალებლები იყვნენ გამოჩენილი ისტორიკოსის მიხეილ თამარაშვილის წინაპრები. კერძოდ მისი პაპა სოლომონი და მამა პეტრე საკუთარი ხელით დამზადებულ ტიკებსა და რუმბებს თვითონვე ასაღებდნენ იმერეთის მელვინეობის ცენტრებში — ბაღდადსა და ქუთაისში. ცნობილი და მდიდარი ვაჭარ-ხელოსნები იყვნენ ყირქვესალები, რომლებსაც სიმდიდრის გამოორმოცქისიანები (კირქ ორმოცს ნიშნავს თურქულად) შეარქვეს. ქუდის ცნობილ ოსტატებად ითვლებოდნენ ყაუხებიშვილები, ქვისა და ხის კარგი ხუროები გამოდიოდნენ ბალიაშვილებისა და ლიჩელების გვარიდან და ა. შ.

ახალციხელ ხელოსანთა ნაწარმზე დიდი მოთხოვნილება იქნა  
არა მარტო დანარჩენ საქართველოში, არამედ უცხოეთის ბაზრებზე  
შიაც მოწონებით სარგებლობდა ქართველ ოსტატთა ნახელავი.  
ახალციხელი ოქრომჭედლების ნაწარმი — სხვადასხვანაირი სამკაუ-  
ლები ტოლს არ უთმობდა აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროში  
შექმნილ ფუფუნების საგნებს.

ახალციხის გარდა შინამრეწველობა და ხელოსნობა საკმაოდ  
მაღალ დონეზე იდგა ისეთ სოფლებში, როგორიცაა ხიზაბავრა,  
არალი, უდე, აწყური, აგარა, ურაველი, ვალე და სხვ. შინამრეწვე-  
ლები სელისა და მატყლისაგან ქსოვდნენ მაღალხარისხოვან ქსოვი-  
ლებს, ხდიდნენ სელის ზეთს, ამზადებდნენ კოპტონს, თაფლის  
ცვილს. აკეთებდნენ ურმებს, სალეწ და სახველ იარაღებს; კერავ-  
დნენ ქურქებს, ქუდებს, ხურჯინებს, სქელ ტომრებს — ე. წ. გვა-  
ლის ტომრებს. ქსოვდნენ ფარდაგებს, ჯეჭიმებს. აკეთებდნენ უნა-  
ვირებს, კურტნებს, ქსოვილის მოსაჩით ყალიბებს — საჩითავებს,  
გუდებს, ტიკებს, რუმბებს და გუთნეულის საჭაპანე ღვედებს. მა-  
ღალხარისხოვანი ლითონნისაგან ამზადებდნენ სხვადასხვა სახის სა-  
ბრძოლო იარალს. სათანადო დონეზე იდგა აგრეთვე მეთუნეობა  
და ხის დამუშავება, რომელსაც განსაკუთრებით ქვაბლიანის ხეო-  
ბასა და თორის სოფლებში მისდევდნენ. ხისაგან ამზადებდნენ გო-  
ბებს, ვარცლებს, ჩანახებს, ტაბლებს, საწყლე კუტალებს. შინდის,  
იფნისა და თხილის წნელისაგან წნავდნენ კალათებს, გიდელებს,  
გოდრებს, ლასტებს და სასიმინდე ძარებს.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართოდგავრცელებულმა  
ფაბრიკულმა ნაწარმმა ხელოსნობისა და შინამრეწველობის სწრა-  
ფი დაკნინება გამოიწვია. მივიწყებას მიეცა, შეიძლება ითქვას, ხე-  
ლოსნობისა და შინამრეწველობის ყველა დარგი. ამჟამად, ერთეუ-  
ლების სახით აქა-იქ თუ მოიძებნება მეთუნე, ხის ჭურჭლის მხვე-  
წავი, ფარდაგ-ჯეჭიმების მქსელავი, მჭედელი... კულტურული პროგ-  
რესი თავის კანონებს კარნახობს სამეურნეო ყოფას, რასაკვირვე-  
ლია, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამა თუ იმ კარგი საწარმოო  
დარგის შენახვა-აღორძინებასაც არ მოაქვს ვნება.

შუაფეოდალური ხანიდან მოყოლებული თითქმის პირველ  
მსოფლიო ომამდე ზემო ქართლში, განსაკუთრებით კი ჯავახეთში,  
ძალიან გავრცელებული ყოფილა ქვის მხატვრული დამუშავება-  
მქანდაკებლობა, რომლის შესანიშნავმა ნიმუშებმა ჩვენს დრომდე  
შემოინახა თავი. წარსულში ქვისაგან აქანდაკებდნენ ცხენებს და

ცხვარს — უპირატესად ვერძებსა და ბატკნებს. ცხვარ-ვერძების და ცხენების ქანდაკებანი შემორჩენილია ძველქართულ სასაფლაოზე ებზე და ნასაყდრალებთან. ჩვენდა სამწუხაოოდ, დანაშაულებრივი უყურადღებობის გამო მათი რიცხვი კატასტროფულად მცირდება. ძნელად ამოსახსნელი ბოროტი შურიანობით ანგრევენ, და ორცუ იშვიათად სხვა რესპუბლიკებშიაც ეზიდებიან. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ შორს არაა ის დღე, როდესაც ქართველი ხალხის გენიოთ შექმნილი ეს უნიკალური ძეგლები აღიგვება მიწისაგან პირისა.

ჩვენ მიერ მიკვლეული ცხვარ-ვერძთა დიდი უმრავლესობა ნატურალურ ზომებში იყო გამოქანდაკებული. მათ, ისევე როგორც ცხენების ქანდაკებას, ფეხები არა აქვთ. ქანდაკების საფუძველი, რომელშიაც ფეხები უნდა იგულისხმებოდეს, მთლიანად მიწაში იყო ჩაღმული. ქანდაკების ტანზე, უმეტეს შემთხვევაში რელიეფური კვეთით გამოხატულია მიწათმოქმედისა და მწყემსის ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ინვენტარი — გუთანი, კომბალი, ჯამი, დოქი, ნაბადი, ხურჯინი, ხანჯალი, ხმალი, ღუქარდი — ცხვრის საკრეჭი მაკრატელი და ორცუ იშვიათად აუცხლმსროლელი იარალი — დამბაჩა და თოფი. იყო ისეთი ქანდაკებებიც, რომელთა ტანზე გამოხატული იყო მხოლოდ გუთანი, ულელი, ჯამი და დოქი, რაც მიცვალებულის ამქვეყნიურ საქმიანობაზე, მის მიწის მუშაკობაზე მიუთითებს. მწყემსისათვის განკუთვნილ ქანდაკებაზე გამოხატული იყო მხოლოდ მისი პროფესიისათვის აუცილებლად საჭირო და დამახასიათებელი ინვენტარი — კომბალი, ნაბადი, ღუქარდი, ხანჯალი.

ქანდაკების ანალოგიური ტექნიკა და ხელოვნებაა გამოყენებული ქვის ცხენებშიც, რომლებიც ნატურალურზე ხუთ-ექვსჯერ მცირეა. ქვის ცხენი, როგორც წესი, ყოველთვის შეკაზმული სახითაა გამოქანდაკებული. მის ტანზე რელიეფურადაა გამოხატული მოსართვები, სადაცე, უზანგი და უნაგირი, რომელიც თავისი ფორმით ინგლისურს ჩამოგავს. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ჩვენ დროში გავრცელებული ქართულ-კავკასიური ტიპის უნაგირამდე, საქართველოში სხვა ტიპისაც ყოფილა.

ცხვარ-ვერძების მსგავსად ცხენების ტანზეც რელიეფურად იყო გამოხატული სხვადასხვა სახის იარალი — შურდული, შუბი. ფარი, ხმალი, სატევარი, დამბაჩა, თოფი, აგრეთვე ნაბადი, ტიკი და ყანწი. იყო შემთხვევები, როდესაც ცხენის ტანზე გამოხატულია მხოლოდ შუბი, შურდული, ხმალი და ფარი, რაც იმაზე უნდა

შიუთითებდეს, რომ ამგვარი იარაღიანი ქანდაკებანი უფრო  ლია, ვიდრე ისინი, რომლებზედაც ცეცხლმსროლელი იარაღუნდა ვამოკვეთილი.

ცხენ-ვერძები გარდა იმისა, რომ ქართული ხალხური მატერიალური კულტურის იშვიათ ძეგლებს განექუთვნებიან, მათ ტანზე გამოხატული ინვენტარი ფეოდალური ხანის ყოფითი კულტურის ამსახველ რეალიებს წარმოადგენს. ამ მიმართებით არანაკლებ მნიშვნელობისაა ძველ სასაფლაოებზე შემორჩენილი საფლავის ლოდები, რომლებზედაც ცხენ-ვერძია მსგავსად მიცვალებულის პროფესიის ამსახველი ინვენტარია გამოსახული.

ზემო ქართლში ჩამოსახლებულ სომხებს ადგილზე დახვდათ ქართული ხალხური მატერიალური კულტურის უამრავი ძეგლი, რომლებიდანაც ზოგიერთი (სახლი, წისქვილი, ზეთსახდელი) მზამზარეულად ითვისეს და საქუთარი ეთნიკურის მოთხოვნის შესაბამისად გადააკეთეს. სომხებს საფლავის ჩვეულებრივი ლოდების გარდა, ქვისაგან გამოქანდაკებული ცხენ-ვერძებიც დახვდათ. სულ მალე მათი წაბაძვით სომხებმაც დაიწყეს საფლავის ძეგლებად ცხენ-ვერძების გამოქანდაკება. მაგრამ, როგორც XIX ს. მეორე ნახევარში გამოქანდაკებული სომხური ცხენ-ვერძები კუთხოვანი კონფიგურაციით ხასიათდებიან.

ჯავახეთის ტერიტორიაზე შემონახული სხვა ხასიათის ქვის ძეგლებიდან ჩანს, ქვის მხატვრული დამუშავება-მქანდაკებლობა საქართველოში ბრინჯაოს ხანიდან უნდა მომდინარეობდეს. სხვასთან ერთად ამაზე მეტყველებს სოფ. განძანსა და მურჯახეთის შემოგარენში შემორჩენილი კარგად დამუშავებული ქვის მონოლითები, რომლებიც მითიური ვეშაპების მატერიალურ გამოხატულებას წარმოადგენს.

**მეტივეობა.** ზემო ქართლის, კერძოდ კი სამცხისა და თორის წარსულ ყოფაში მდინარის მეშვეობით ხე-ტყის დაცურება ფრიად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ხელისუფალი წონის შემცველი იყო. იაფი და მეტად ხელსაყრელი სამეურნეო-საჭაპანო საშუალების, მეტივეობის განვითარება მტკვრის აუზში განლაგებულმა ტყის მასივებმა და ხის სამშენებლო მასალაზე არსებულმა დიდმა მოთხოვნილებამ განაპირობა. ხის მასალის ნაკლებობას XIX ს. მწვავედ განიცადა შიდა ქართლის უტყეო სოფლები, განსაკუთრებით ქალაქები — გორი, მცხეთა, თბილისი.

ძვირფასი სამშენებლო ტყის მასივებით ოდითგანვე განთქმული იყო სამცხისა და თორის მთების ფერდობები. ყოველთვის დი მოთხოვნილება იყო ბორჯომისა და ქვაბლიანის ხეობის წიწვოვანი ტყეების — ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, ანუ კატარი — ძვირფას მერქანზე.

ხე-ტყის ტივების დამცურებლებად, მეტივეებად უმთავრესად ახალდაბელი, ზანაველი, ლიკნელი, ქვაბისხეველი, აწყურელი, აგარელი გლეხობა გამოდიოდა. ყველა ეს სოფელი უშუალოდ მტკვრის პირასაა და სატივეებიც სწორედ ამ დასახლებულ პუნქტებთან იყო გამართული.

ტივი მტკვარზე რამდენიმე პუნქტში იკვრებოდა. ყველაზე ცნობილ პუნქტებს ახალციხის, აგარისა და ახალდაბის სატივეები წარმოადგენდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ვიდრე ტივს შეკრავდნენ, ჯერ საჭირო იყო ხის მიტანა სატივესთან. ამ მიზნით მეტივეები ქმნიდნენ სპეციალურ ამხანაგობას, რომელშიაც ათიოდე შევრი ერთიანდებოდა. მეტივეთა ამხანაგობის მეთაურად ყველაზე გამოცდილსა და ძლიერი აგებულების კაცს ირჩევდნენ. იგი აუცილებლად წერა-კითხვის მცოდნეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ხე-ტყის დაცურებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი მისი მოსაგვარებელი იყო. მას უნდა დაედო ხელშეკრულება ტყის მფლობელთან, იგი იყო მთავარი მეტივე და მასვე უნდა ევაჭრა ტივის რეალიზაციისათვის.

მეტივეთა ამხანაგობა ზაფხულის განმავლობაში, სეზონზე, ოთხ-ხუთ ტივს აცურებდა. ყოველი ტივი ორი ნაწილისაგან შედგებოდა და სამი მეტივე სჭირდებოდა. ასე რომ, ათიოდე კაცი სრულიად საკმარისი იყო ოთხი-ხუთი ტივის დაცურებისათვის.

XX ს. 30-იან წლებამდე მტკვარზე მეტივეთა ოციოდე ამხანაგობა მოქმედებდა. ყოველი ამხანაგობა სულ ცოტა სამი წლით უნდა „შეკრულიყო“, რადგანაც ამაზე ნაკლები ღროით კარგი სარგებელი არ იყოდა. ზოგიერთი ამხანაგობა უფრო მეტი ღროითაც „იკვრებოდა“, მაგრამ ოთხ-ხუთ წელზე მეტად არ მოქმედებდა. ამხანაგობა ყოველ ოთხ-ხუთ წელიწადში იშლებოდა და მერე ხელ-ახლა „იკვრებოდა“.

შემოდგომის მიწურულს, როდესაც ჭირნახული უკვე მოწეული იყო, მეტივეთა ამხანაგობების ხელმძღვანელები სატყეო აგარაკებზე მიღიოდნენ და დასაცურებელი ხე-ტყის ფასს აგვარებდნენ. გარიგების შემდეგ მთელი შემადგენლობით მიღიოდნენ დაბე-

ვებულ ტყეში. მეტივეები თვითონვე იყვნენ ხის მჭრელები და  
გამომტანნიც. ხეს, როგორც წესი, მეტიურა ცულით — კოჭუჭრა  
ცულის პირდაპირი შთამომავლით ჭრიდნენ. მეტიურა მაღალყელი-  
ანი, ნიღრიანი და ვიწროპირიანი საჩეხი იარაღია. ამგვარი ცულით  
ხდებოდა სატივე ხეების დაცვებირვა — მორების თავისა და ბოლოს  
გახვრეტა, რაც ბავირისათვის აუცილებელი იყო.

მოჭრილ ხეებს ადგილობრივ ამსუბუქებდნენ — სხიპავდნენ  
ტოტებს, აცლიდნენ ქერქს და ცხვირავდნენ. ყოველ სატივე მორს-  
ცალკეული ამხანავობა საკუთარ ნიშანს, ჭდეს უკეთებდა. ნაჭდევი  
მორს მუდამ შრა ნაწილში უკეთდებოდა და მისი გადაკეთება ან  
ამოთლა ყოვლად დაუშვებელი იყო. ამგვარი საქმის ჩამდენი სას-  
ტივად იქიცხებოდა. ნაჭდევი გეომეტრიულ ხასიათს ატარებდა. მე-  
ტიურა ცულით გამოიყვანდნენ ჭვარს, სამკუთხედს, რომბს, გამ-  
რავლების ნიშანს და სხვ.

ტყის ადგილმდებარეობის რელიეფი საშუალებას იძლეოდა,  
სატივე მორები გამწევი ძალის გამოყენებით მიეტანათ მდინარემდე. ციცაბო ადგილებში ხელკეტების დახმარებით, არხისებურად გაყვა-  
ნილ ღარებში — სენებში ჩაგდებდნენ მორებს, რომლებიც ზათქი-  
თა და გრიალით მიექანებოდა მდინარისაკენ. თუ მდინარე ახლო არ  
იყო, მაშინ სვნებიდან ჩამოყრილ მორებს მოვაკებულ ადგილზე —  
ხერგილზე მოაგროვებდნენ, საიდანაც ხარ-კამეჩის საშუალებით  
მოჰქონდათ სატივეზე.

ჭვაბლიანის თავთხელ მდინარეს ტივის დაცურება არ შეეძლო.  
მასში პირდაპირ ყრიდნენ წინასწარ ნაჭდევ მორებს, რომლებიც  
დინებას მიკენდა ახალციხემდე, სადაც მდინარის მთელ სიგანეზე  
გაკეთებული იყო მორების დამჭერი ჭოჭინები. ხე-ტყის ამგვარად  
ტრანსპორტირებას ჭოლლად დაცურება ეწოდებოდა.

სატივისათვის, იქ სადაც ტივი უნდა შეეკრათ, მდორე ადგილი  
იყო შერჩეული. სატივეში სათითაოდ ჩაყრილ მორებს ერთმანეთზე  
რცხილის ან უხრავის ლატანებით ამაგრებდნენ, რომლებიც ბავი-  
რის ან მსხვილი ლვლერჭის ამოყრით უკავშირდებოდნენ მორების  
ნაცხვირალებს. მორების ნაცხვირალებთან ამგვარად დაკავშირებულ  
ლატანებს, ულლებს უწოდებდნენ. ტივი მუდამ ორი ნაწილისაგან  
შედგებოდა და ყოველი ნაწილის თავი და ბოლო ულლით იყო შეკ-  
რული. ტივის თითოეული ნაწილი უმთავრესად ათი მორისაგან  
შედგებოდა. რვა მათგანი მჭიდროდ იყო დამაგრებული ულლებზე.  
ხოლო ორი, გვერდის მორი, რომელსაც სამარქაფოს უწოდებდნენ,

ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სასწრაფოდ მოიხსენიებოდა. მე-  
ჩეჩხე გარიყული ან ლოდებზე გაჩინირული ტივის აშვება სამარქანტო  
მორების აშვებით ხდებოდა. ამ დროს, სამარქაფო მორს საჭიროე-  
ბისამებრ მოუშვებდნენ, წყლის დინება ფრთასავით შლიდა მას და  
ტივს ადგილიდან დაძრაში ეხმარებოდა.

ტივის წინა და უკანა ნაწილში, მათი ცენტრალური მორის —  
დედა ხის თავში, ჩამაგრებული იყო საორთაყვირე პალო — ჭოლო-  
კინი. ამ ჭოლოკინებზე იყო ჩამოცმული ხუთიოდე მეტრის სიგრ-  
ძის ორთაყვირი, რომლის თავშიაც ჩაჭდეულ ორ პატარა პალოს  
ლაშებში ჩამაგრებული იყო ყავრისაგან შედგენილი ფრთა. ამას  
იმისათვის აკეთებდნენ, რათა წყალში მოსმისას ორთაყვირს მეტი  
წინააღმდეგობა ეგრძნო. ეს კი აადვილებდა ტივის მართვას. ტივის  
მოძრაობის დროს მეტივეს ორთაყვირის ტარმუჭში ჰქონდა მოკი-  
დებული ხელი და ისე მართავდა მას. ორთაყვირი ერთდროულად  
საჭეს და თავისებურ ნიჩაბსაც წარმოადგენდა.

წინა და უკანა საორთაყვირე ჭოლოკინების გარდა, ტივის მე-  
წინავე და უკანა ნაწილის შესაყართან, შუაში კიდევ ერთი ჭოლო-  
კინი იყო ჩამაგრებული, რომელზედაც ჰკიდებდნენ მეტივეები თა-  
ვიანთ ტანისამოსს და საგზალს. ტივზე ყოფნისას მეტივეები მსუ-  
ბუქად ჩაცმული და ფეხშიშველნი იყვნენ.

ტივს ორი კაცი მართავდა, მაგრამ იყო მესამე და მას ხელის-  
შამკვრელს უწოდებდნენ. მეწინავე ორთაყვირს მუდამ ძალგულო-  
ვანი და გამოცდილი მეტივე მართავდა. ბოლოშიც ყოჩალი მეტივე  
უნდა ყოფილიყო, რადგანაც აღიდებულმა მტკვარმა დიდი ჩქერები  
იცოდა. თუ მტკვარი ძალიან აბობოქტებული იყო, მაშინ ოთხი მე-  
ტივე მართავდა ტივს. უკანა მეტივეს წინაშე ეჭირა თვალი. მისი  
შეძინილების მიხედვით ხან მარჯვნივ და ხანაც მარცხნივ უსვავდა  
ორთაყვირს. მათთანვე იდგნენ ხელისშამკვრელნიც და ყოველ კონ-  
კრეტულ სიტუაციაში ეხმარებოდნენ ორთაყვირის მოსმაში.

კარგი წყლის დროს ახალციხიდან თბილისში ტივი დღე-ნა-  
ხევარში ჩადიოდა, ხოლო ბორჯომიდან — ერთ დღეში. ტივი მხო-  
ლოდ დღის სინათლეზე მოძრაობდა. შეღამდებოდა თუ არა, წინას-  
წარ დათქმულ სატივეზე უნდა გაეჩერებინათ ტივი. მას კარგად  
დააბავდნენ და დასაძინებლად მიმდებარე სოფლებში, ნაცნობ-  
მეგობრებთან მიღიოდნენ. სატივეები საკმაო რაოდენობით იყო  
მტკვრის სანაპიროზე. ზემოთ ხსენებული სატივეების გარდა, ტივის  
გასაჩერებელი ადგილები იყო ცხრამუხაში (ხაშურის სიახლოვესაა

ეს სოფელი) ბებნისში, ურბნისში, გორში, ქანტი, ძეგვში, მცხეთასა და თბილისში. თბილისში ორი სატივე იყო: ერთი ვერისა მონარქისან, ხოლო მეორე რიყეზე. ამ მიღამოებში იყიდებოდა ტივად დაცურებული ხის მასალა — ნაძვის, ფიჭვისა და სოჭის მორები.

XIX ს. შუა წლებში ტივი საქმაოდ პოპულარული და თანაც ეგზოტიკური სატრანსპორტო საშუალება იყო. გარდა ძირითადი დანიშნულებისა, იგი წყლის ტრანსპორტის მოვალეობასაც ასრულებდა. მეტივეებთან წინასწარ შეთანხმებულ სამცხელ, თორელ და შიდაქართლელ გლეხობას თბილისში ტივით მოპქონდათ ხილი და არცთუ იშვიათად ხორბალი. ტივებით პატარძლის წაყვანაც იცოდნენ. სამცხიდან, ბორჯომის ხეობიდან, თუ ქვიშეთის მხრიდან გამოთხვილი ქალები სიმღერითა და ჰარიპარალოთი მიჰყავდათ დანიშნულ ადგილებზე.

ქართველ თავადაზნაურობას და შეძლებულ თბილისელ მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი ხელოსან-ყარაჩოხელებს ძალიან უყვარდათ ტივზე ქეიფი და დროსტარება. ტივის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1852 წ. ცნობილმა ქართველმა დრამატურგმა ზურაბ ანტონოვმა დაწერა თავის დროზე „გახმაურებული კომედია — „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“. ზ. ანტიონოვმა კომედიას საფუძვლად დაუდო ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პლატონ იოსელიანისა და ასევე ცნობილი მხატვრის გაგარინის გორიდან თბილისში ტივით მოგზაურობის ამბავი.

მეტივეები სიტყვის პატრონი, ერთმანეთის გამტანი, დარდიმანდი ვაჟკაცები იყვნენ. ისინი უღალატოდ ცხოვრობდნენ, ხანგრძლივი და მომქანცველი საშიში შრომის შემდეგ კარგი ქეიფიც იცოდნენ. ყოფა-ქცევაში ყარაჩოხელებს ბაძავდნენ. უყვარდათ სიმღერა. ყავდათ თავიანთი შემწე — წყლის ანგელოზი.

მეტივეები ჯანმაგარი და უშიშარი ვაჟკაცები იყვნენ. მტკვრის ტალღებში მედგრად, ომახიანი სიმღერით მიაქანებდნენ ტივს:

სატივეზე ტივი შევკარ,  
ტივი არის ნაძვის ხისა,  
ორთაყვირები დაგასხი,  
მოსასმელი არის წყლისა...

სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებამ, რასაც მტკვარზე გაშენებული ელექტროსადგურები, წყალშემკრები კაშხალებიც დაერთო, საბოლოო ზღვარი დაუდო მეტივეობას. საუ-

კუნების მანძილზე მოქმედი ხალხური სატრანსპორტო-საჭავალო  
საშუალება, ტივი სულ მოკლე ხანში — ორმოცდათიოდე წლის  
განმავლობაში შორეული ცხოვრების ექიდ იქცა.

მეთევზეობა, ოოგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ფეო-  
დალური ხანის ზემო ქართლში საკამაოდ მნიშვნელოვანი ეკონომი-  
კური ხვედრითი წონა ჰქონია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ „გურჯის-  
ტანის ვილაიეთის დიდი დაცურის“ მიხედვით თურქებს ქართველე-  
ბისათვის თევზზეც შეუშერიათ გადასახადი. განა რა დონეზე უნდა  
ყოფილიყო მეთევზეობა, რომ მასზე გადასახადი დაეწესებინათ?  
როგორც ჩანს ყოფილა, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქთა ხელი-  
სუფალნი ასე არ მოიქცეოდნენ.

ზემო ქართლში მრავალი დიდი და პატარა ტბაა. მათ შორის  
ყველაზე დიდი, ჩრდილის ანუ ჩილდირის ტბა, როგორც მას თურქები  
უწოდებენ, ამეამად თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებშია მოქ-  
ცეული. ჩრდილის ტბაზე ამერიკელების დახმარებით თურქებს  
თევზის დიდი კომბინატი აქვთ მოწყობილი და მისი პროდუქცია  
წელიწადში მრავალი ათეული ტონით განისაზღვრება. თანამედრო-  
ვე ზემო ქართლში, როგორც უკვე ვიცით, სარკის ფართობის მი-  
ხედვით ყველაზე დიდია ფარავანის, მერე ტაბაწყურის, ხანჩალის,  
სალამოს და ა. შ. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ვახუშტი ხშირად  
საგანგებოდ ხაზს უსვამს თევზის სიუხვეს ზემო ქართლის პროვინ-  
ციებში, მაშინ აღარც თურქების მიერ დაწესებული გადასახადი მო-  
გვეჩენება უცნაურად. შედარებით გვიანდელი, XIX ს. 70-იანი  
წლების ფაქტიური მონაცემებით თორის, სამცხისა და ჭავახეთის  
წყალსატევებში წლიურად იქერდნენ 700 ფუთ კალმახს და 200  
ფუთ ხრამულს, მურწას და ლოქოს. ამეამად ჩვენთვის ცნობილი  
არაა თუ რა ოდენობით იქერენ თევზი თანამედროვე ზემო ქართლ-  
ში. მაგრამ ერთი კი ცხადია: კალმახის (ტაბაწყურის გარდა), ხრა-  
მულის, მურწას და ლოქოს რეწვა, გარკვეული მიზეზების გამო  
უკვე დიდი ხანია რაც აღარ მიმდინარეობს.

არცთუ ისე შორეულ წარსულში, კერძოდ კი ვიდრე ზემო ავ-  
ჭალის პიდროელექტროსაფურის კაშხალი აშენდებოდა და ბრა-  
კონიერობაც იმძლავრებდა, რომელმაც თავის აპოგეას 60—70-იან  
წლებში მიაღწია ზემო ქართლის ტბებში, დიდსა და პატარა მდი-  
ნარებებში უამრავი თევზი ბინაღრობდა: კალმახი, მურწა, ციმორი,  
ხრამული, ჭანარი, ლურჯი, ორაგული, ლოქო და სხვ. აღნიშნული  
თევზების ზოგიერთი სახეობა მცირე რაოდენობით აქა-იქ ჭერ კი-

დევ ბინადრობს. რაც შეეხება ორაგულსა და ლოქოს, მათი ხელი უკვე დიდი ხანია გაქრა. ჯერ ზაპესის, შემდეგ ჩითახევის შემდეგ შემკრებმა კაშხალებმა და ულმერთოდ გამრავლებულმა ბრაკონიერებმა ბოლო მოუღეს ორაგულსა და ლოქოს. ასეთი ვითარების მიუხედავად, ჯერ კიდევ შეიძლება ეშველოს საქმეს და ხელოვნური გამრავლების შედეგად კვლავ იღდგეს თევზის მარაგი.

წარსულში მეთევზეობა შემოსავლის წყაროს როდი წარმოადგენდა. იგი გასართობი საშუალება იყო. თევზს, რასაკვირველია, იჭერდნენ, მაგრამ არა იმდენად გასასყიდად, რამდენადაც საქუთარი მოხმარებისათვის. ყველაზე კარგ მეთევზებად პირველ რიგში მეტივები ითვლებოდნენ. მათ ყველაზე უკეთ იცოდნენ სათევზაოდ ვარგისი აღგილები: სად უნდა გაკეთებულიყო ოჩით, რომელ ჩემი უფრო ივარგებდა კიკოზა ანდა ფაცერი. მეთევზეობაში არანაკლებ დახელოვნებულები იყო უშუალოდ მტკერისპირა სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ტობელები (ამჟამად ნასოფლარია), წნისელები, აგარელები, საყუნეთელები, აწყურლები, მოქცევილები, ქვაბისხეველები, დვირელები, ლიკნელები, ბორჯომელები, ყვიბისელები, ახალდაბელები და სხვები.

წარსულში თევზს მხოლოდ იმ დროს იჭერდნენ, როცა იგი არ „ქვირითდებოდა“. ეს პერიოდი კი შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულზე მოღიოდა. თევზს იჭერდნენ სასროლი ბადით, ფაცერით, ოჩით, კოკოზა კოდრით, ჩანგლით, ხელაობით და ტოტის დაწყვეტით. რასაკვირველია, ანკესითაც. ამ უკანასკნელით თევზაობას ძირითადად მოზარდი თაობა მისდევდა. საინტერესოა, რომ ყველა ის იარაღი თუ მოწყობილობა წელიწადის სხვადასხვა დროს გამოიყენებოდა. მაგალითად, კოკოზა აღრე გაზაფხულზე, მდინარე რომ ოდნავ შეიძლებოდა. მაშინ დადგამდნენ. ფაცერი სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით მოქმედებდა, ხოლო ოჩით კი ზამთარში თევზაობდნენ.

ფაცერისათვის კარგ აღგილად მდინარის მოხვეული ჩემერები ითვლება. წინასწარ შერჩეულ აღგილზე წყვილად შეკრავდნენ ხის ორ გრძელ ლატანს. ამ ორი ლატანის თავის დასამაგრებლად მდინარის პირას ქვაყრილი მოეწყობოდა. რაზედაც მჭიდროდ უნდა დამაგრებულიყო საფაცრე ბოგირი. თუ მდინარის ნაპირი შემალებული და კორდიანი იყო, მაშინ ქვაყრილი აღარ კეთდებოდა. საფაცრე ბოგირს კორდზე ამაგრებდნენ და მდინარეზე რამდენიმე მეტრით გადადიოდა. მისი წვერი, რომელშიაც ფაცერები — ხის კიტებზე დამაგრებული თავჩახვეული გოდრები უნდა ჩაეკიდათ,

ჩქერის შუა ნაწილს უსწორდებოდა. გოდორი ისე იყო მოწნევლების რომ შიგ შესული თევზი უკან ვეღარ გამოდიოდა.

კოკოზა, გრძელი მოყვანილობის პირჩაბრუნებული გოდორია. პირი ისე აქვს ჩაბრუნებული, როგორც მოსწავლის სამელნეს. კოკოზა უშუალოდ მდინარისპირა პატარა ჩქერებში იდგმებოდა. წყალს რომ არ წაეღო, მას ქვებით ამაგრებდნენ. კოკოზაში შესული თევზი უკან ვეღარ გამოდიოდა. ფაცრისაგან განსხვავებით კოკოზაში უმთავრესად ხრამული შედიოდა. კოკოზას დილათ ადრე და შებინდებისას ამოილებდნენ ხოლმე. თუ შიგ თევზი იყო, ბოლოს გაუხსნიდნენ და ისე გამოჰყავდათ.

ოჩხაობა ნოემბრის მიწურულს იწყებოდა. ამ დროისათვის, მდინარის შედარებით მყუდრო და თავთხელ ადგილში რიყის ქვებისაგან აკეთებდნენ ერთი მეტრი სიმაღლის ფულურო ქვაყრილს, რომელსაც ძირში პატარა ხვრელს უტოვებდნენ. ოჩხს გუმბათის თავში დატანიებული ჰქონდა სათვალე. ძლიერი ყინვებისას წვრილი თევზი, განსაკუთრებით კი ხრამული მყუდრო და თბილ ადგილებს ეტანება. ოჩხი სწორედ ამგვარ თავშესაფარს წარმოადგენდა. ძირში დატანიებული ხვრელით თევზი შიგ შედიოდა და ინაბებოდა. პირველი ყინვების დადგომისთანავე ოჩხს ჩხრიყავდნენ. მეორეს წყალში ფრთხილად შედიოდა, სათვალიდან ჩაიხდავდა შიგ და თუ თევზი იყო შესული, ოჩხის ხვრელს სასწრაფოდ ქოლავდა. შემდეგ, ოჩხის თავს ცოტათი გააგანიერებდა და ამოყავდა თევზი. თევზის ამოღების შემდეგ ოჩხის თავს კვლავ მოამრგვალებდნენ. ზემოქართლში ყველაზე კარგ მეოჩხეებად ტობელები, მინაძელები, აგარელები, აწყურლები, ყვიბისელები და ახალდაბელები ითვლებოდნენ.

ჩანგლის გამოყენებით თევზაობა ლოქოზე იცოდნენ. როგორც ცნობილია, ლოქოს შლამიანი მორევი უყვარს. ლოქოს ჭერაში დახელოვნებული მეთევზე თვითონვე აკეთებდა რკინის ჩანგალს, რომელიც რკინისაგან გაკეთებულ მოკაუჭებულ და წვერმახვილა სათევზაო იარაღს წარმოადგენდა. წინასწარ დაჭერილ ბაყაყს, ლოქოს ჩანგალს ისე გაუყრიდნენ ზურგის კანში, რომ იგი არ მომკვდარიყო. თოვზე გამობმულ ჩანგალს მორევში ჩააგდებდნენ. თოვის ბოლოს ხეზე ან ლოდზე დაამაგრებდნენ. ტკივილისაგან შეწუხებული ზურგში ჩანგალგაყრილი ბაყაყი ფართხალებდა და წმდაუწუმ ყვინთავდა, რითაც ძალაუნებურად ლოქოს ყურადღებას იქ-



ცევდა. დაინახავდა თუ არა ლოქო მორევიდან ამოცურდებოდნენდა ჩანგლიანად ყლაპავდა ბაყაყს.

განსაკუთრებით სასიამოვნოსა და აზარტულს წარმოადგენდა სასროლი ბადით თევზაობა, რომელსაც „ბადაობას“ უწოდებენ ზემო ქართლში. გავრცელებული იყო ორი სახის ბადე — დიდი და პატარა. დიდი ბადის გარშემოწერილობა თორმეტ მხარს (მეტრს) აღწევდა და იგი მტკვარში სათევზაოდ გამოიყენებოდა. პატარას საკალმახედ იყენებდნენ და მისი გარშემოწერილობა ექვს მხარს არ აღემატებოდა. ამასთან საკალმახე ბადე უფრო წვრილად იყო ნაჯსოვი.

მტკვარზე საბადაოდ წასვლა დილით და შებინდებისას იცოდნენ. თევზი ამ დროისათვის მშიერია და საკვების მოსაძებნად ნაპირებისაკენ ილტვის. ბადაობისას მდინარეს აუცილებლად აღმაუნდა აჟყოლოდნენ. ასევე იქცეოდნენ კალმახზე თევზაობისას. ოღონდ, კალმახზე თევზაობა გაცილებით რთულ საქმეს წარმოადგენდა. კალმახი მეტად ფრთხილი და თანაც ძალიან სჭრაფი თევზია. ამასთან ერთად იგი ყოველთვის მინასავით გამჭვირვალე პატარა მდინარეებში ბინაღრობს. ყოველივე ეს ართულებდა მის დაჭერას. დახელოვნებულ მოკალმახეს ყოველთვის თან მოჰყავდა ბარით ან თოხით შეიარაღებული ერთი თანაშემწე, რომელიც მდინარის სათავისაკენ მიდიოდა და ბელტებს ყრიდა შიგ. ამღვრეულ წყალში, ერთის თქმისა არ იყოს — „თევზის დაჭერა ადვილია“. განსაკუთრებით ლამაზფორრეგიანი და გემრიელი კალმახი იცოდა ურაველის წყალმა, ძინძემ, ღაღვის წყალმა, წინუბნის წყალმა, ზორეთის წყალმა და ზოგიერთმა სხვა პატარა მდინარეებმა. სამწუხაროდ, ბრაქონიერთა დაუსჯელი თარეშის გამო, რომლებიც ყველა არა-ადამიანური საშუალებებით წამლავენ და აფეთქებენ მდინარეებს, კალმახი უკვე რელიქტურ იშვიათობას განეკუთვნება.

არტაანის მიდამოებში (თურქეთში) შავ-მოყვითალო ნიადაგებია. პერიოდულად საქართველოს ამ ისტორიულ მხარეში, დაახლოებით ხუთ-ექვს წელიწადში ერთხელ საშინელი წვიმები იცის. კოკისპირული წვიმების შედევრად ჩამორეცხილი ნიადაგის შავ-ყვითელი მასა მტკვარში ჩაღის და საშინლად ამღვრევს. აღიდებული მტკვარი რცხ ფერს იღებს. არტაანის ტალახი აბრამავებს და აბრუებს თევზს, რომელიც ზედაპირზე აღის და ისე ტივტივით მოჰყვება მდინარეს. ასეთ პერიოდს ზემო ქართლში „ლოქოობას“ უწოდებენ. ლოქოობისას მდინარის ნაპირს უამრავი ხალხი მიაწყ-

დებოდა ხოლმე. ვის როგორ და რითაც შეეძლო იქერდა თვეუსწის იცდათ წელზე მეტია მას შემდეგ, რაც მტკვარზე ლოქოობა მოადგინა უფილა. არტანის ტალახი კვლავ ამღვრევს მტკვარს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, შიგ თითქმის აღარაფერია გასაბრუებელი.

სახელმწიფოებრივი ხასიათის თევზჭერა-რეწვა თანამედროვე ზემო ქართლის მხოლოდ სამიოდე წყალსატევში წარმოებს. თევზის პერიოდული რეწვაა ფარავანზე, ტაბაწყურსა და ნაწილობრივ დიდი ხანჩალის ტბაზე. ფარავნისა და ტაბაწყურის ტბებში ხელოვნურად გაშვებულია ჭაპალი, ვერცხლისებური კობრი და სევანის იშხანი — კალმახი. ტაბაწყურზე კარგად გამრავლდა იშხანი, რასაც ვერ ვიტყვით ფარავანზე. სამაგიეროდ, ფარავნის ტბას კარგად შეეგუა ვერცხლისებური კობრი და ჭაპალი.

**მონადირეობა** ზემო ქართლში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, სარეწაო ხასიათს არ ატარებდა. იგი ძირითადად გასართობი და სპორტული მნიშვნელობის იყო. მართალია, ნანადირევი სახლში მიქონდათ, მაგრამ საბაზროდ არასოდეს ქცეულა.

ზემო ქართლის ტყეებსა და ველ-მინდვრებში ამჟამადაც ბინადრობს ირემი, აქა-იქ შველი, გარეული ლორი, დათვი, კურდლელი, მელა, ტურა, ხალთა და ზოგიერთი სხვა გარეული ცხოველი. ფრინველებიდან ალსანიშნავია კაჯაბი, ტყის ქათამი, იშვიათად: გარეული ინდაური — სავათი, გნოლი, მტრედი, გვრიტი, შაშვი, ჩხიკვი, ჩხართვი და სხვა წვრილი ფრთოსანი. მტაცებლებიდან ჯერ კიდევ საკმაოდაა მიმინო, ქორი, შავარდენი, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მემინდვრეობაში გამოყენებული ქიმიკატების, განსაკუთრებით კი ბრაქონიერთა აღვირასნილი თარეშის შედეგად ნადირ-ფრინველთა რაოდენობა კატასტროფულად მცირდება. არცთუ შორეულ წარსულში გავრცელებული ყოფილა აგრეთვე არჩვი, გარეული თხა, წავი, გარეული ბატი და იხვი.

ხანგრძლივი და ძნელად გაღასატანი მძიმე ავბედობის მიუხედავად, ხალხის ყოფაში შემონახული იყო ნადირ-ფრინველზე ნადირობის ბევრი საინტერესო ხერხი და საშუალება. არტანისა და ფარავნის მტკვრის ხეობების კლდოვან ფერდობებში და აბულ-სამსარის იალალებზე ჯერ კიდევ საკმაოდაა კაჯაბი და გნოლი. მათზე სანადიროდ ამჟამად, რასაკვირველია, საფანტის თოფს იყენებენ და უმოწყალოდ ულეტენ ბუნების ამ მშვენიერ ქმნილების. საუკუნეების მანძილზე შეძენილი ცოდნა-გამოცდილების შედეგად, მო-

ნადირებს კარგად ჰქონდათ შესწავლილი კაქბის ბუნება და ჩემი ვები, მათი ლრმა რწმენით, კაკაბი კეკლუცი და პრანჭია ფრინველის, იგი თურმე ჭრელჭრულსა და ბრჭყვიალა საგნებს ეტანება. როდესაც ვინმე კაკაბზე სანადიროდ წასვლას გადაწყვეტდა, ტანისამოსზე ჭრელჭრულ ქსოვილებს, სარქისა და მინის ნატეხებს დაიკიდებდა. ხელში დაიკერდა ტყვიისთავიან კეტს და დილადრიან სანადიროდ გასწევდა. ამგვარად მორთულ-მოკაზმული და კეტით შეიარაღებული მონადირე კაქბების ადგილ-სამყოფელთან მივიღოდა და მზის გულზე გაშეშდებოდა. მზეზე მოელვარე და ჭრელჭრულით შემკული უცხო საგანი ანდამატივით იზიდავდა კაკაბს. კაკბები დანახვის-თანავე გოგმანით გასწევდნენ მონადირისაკენ და ირგვლივ შემოეხვეოდნენ. მონადირესაც ეს უნდოდა. ტყვიით დამძიმებულ ხელ-კეტს ერთბაშად რამდენიმე კაკაბი ეწირებოდა.

არცთუ ისე შორეულ წარსულში, დაახლოებით XX ს. დასაწყისამდე ჯავახეთში, უფრო ზუსტად შავნაბადასა და ცხრაწყაროს შემოგარენის ლაქაშებში გარეული ლორის კოლტიც საკმაოდ ყოფილა. გარეულ ლორზე — ტახზე ნადირობა სავაუკაცო საქმედ ითვლებოდა. იგი დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული, რადგანაც, როგორც ცნობილია, გარეული ლორი მეტად ძლიერი და შეუპოვარი ცხოველია, რის გამოც შაბზე ნადირობას ყველა ვერ ბედავდა და თანაც ამ საქმეში თოფს არ იყენებდნენ. ტახზე სანადიროდ მხოლოდ შუბებით შეიარაღებული ძალგულოვანი ვაუკაცები მიღიოდნენ.

ტახზე სანადიროდ ხუთი-ექვსი კაცი შეამხანავდებოდა და იმისათვის, რომ ვისმე ივ თვალს არ „დაეთარსა“, დილადრიან იპარებოდნენ სოფლიდან. მათ წინასწარ ჰქონდათ შესწავლილი გარეული ლორის კოლტის სამოძრაო ბილიკები. ბილიკის მოხერხებულ ადგილას ჩასაფრდებოდა ყველაზე უშიში და ლონიერი სამი-ოთხი შუბოსანი. სახუნდარს საიმედოდ შენიღბავდნენ და მარეკი შუბოსნები ჯაგნარსა და ლაქაშში გაიფანტებოდნენ, სადაც ასტეხზნენ საშინელ ხმაურსა და ყვირილს, რასაც სანადიროდ წაყვანილი ძალების ყეფა აძლევდა ბანს. გამაყრუებელი ხმაურისაგან თავზარდაცემული გარეული ლორის კოლტი თავის გადარჩენის მიზნით ნაცნობი ბილიკით მიექანებოდა მიუვალი ადგილებისაკენ და თავდავიწყებით გაქანებული გარეული ლორებიდან ერთ-ერთი მაინც აუცილებლად შეასკდებოდა შუბმომარჯვებულ მონადირებს.

წარსულში მიმინოთი ნადირობაც იყო გავრცელებული. მიმი-

ნოს ბაღისაგან გაკეთებული ქავანათით იჭერდნენ და სათანადო გარებული წერტინის შემდეგ გაყავდათ სანადიროდ. მიმინოთი ნაღირობების მწყერზე, იხვზე და გარეული ინდაურზე — სავათზე. ეს უკანასკნელი ძალიან ბევრი ყოფილა ნარიანის, კოდიანის, ლომის მთის და ზევარის იალაღებზე. აღრე სცოდნიათ აგრეთვე სამგლე ორმოების გამართვა, დათვის ხაფანგის დაეგება. დათვის დასაფრთხობის სარეკლების მოწყობა და კიდევ ბევრი სხვა რამ.

თორისა და სამცხის ტყიან სოფლებში ფრიად პოპულარული ყოფილა ფუტკარზე ნაღირობა. გამოცდილი მეფუტკრე ტყეში საგანგებოდ მიღიოდა და ფუტკარს ეძებდა. შემჩნევდა თუ არა, მაშინვე მის სვლაგეზს საგულდაგულოდ აკვირდებოდა. როდესაც საბოლოოდ დაადგენდა მისი მოძრაობის მიმართულებას, ფუტკარს გაჰყებოდა და ხანგრძლივი ძებნის შემდეგ მიადგებოდა იმ ხეს, რომლის ფულუროშიაც ბუნებრივი სკა ჰქონდა მოწყობილი. თუ ფუტკარი სჭირდებოდა, მაშინ იგი ფულუროს დაგმანავდა. მოიტანდა სკას და შებოლვის გამოყენებით თავის სკაში გადაყავდა მთელი ოჯახი. გარეული ფუტკრის ოჯახის მოშინაურებას ხანგრძლივ დროს ანდომებდა მეფუტკრე. თუ ფუტკრის ადგილზე დატოვება უნდოდა, მაშინ ასევე შებოლების საშუალებით გამოჰქონდა თაფლის გოლეულები, მაგრამ ფუტკარს ზამთრის საყოფ თაფლს უცილებლად უტოვებდა. მიკვლეულ საფუტკრე ხეს თავის საკუთრების მაუწყებელ ჭდეს, ნიშანს უკეთებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სხვას მისი ხელყოფა უკვე აღარ შეეძლო.

თაფლთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მეფუტკრეობა ზემო ქართლში ძალიან გავრცელებული იყო და საკმაოდ დიდი ხვედრითი წონაც ჰქონდა. აღნიშნულ ვითარებას ვახუშტის სიტყვებთან ერთად („ფუტკარი მრავალნი, და თაფლი კარგნი და მრავალნი“) „გურგისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიც“ ადასტურებს. XVI ს. სამცხე-საათაბაგოს 702 სოფელი მეფუტკრეობას მისდევდა და მის ნაწარმზეც იყო შეწერილი გადასახადი თურქების მიერ. მიხ. სვანიძის გამოანგარიშებით, იმდროინდელ ზემო ქართლში 45 788 სკა ყოფილა, საიდანაც ყოველწლიურად საშუალოდ 600—700 ათას კგ თაფლს იღებდნენ.

მეფუტკრეობის პროდუქტიდან თაფლთან ერთად იღებდნენ ცვილს და დინდგელს, რომლებსაც წარმატებით იყენებდნენ ხალხურ მედიცინაში. ცვილისაგან უწინ არაყსაც ხდიდნენ, რომელიც განსაკუთრებული არომატითა და გემოთი ხასიათდებოდა.

ჩემი ქართლის მეფუტკრეობიდან განსაკუთრებულად გამოიიყო  
არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელი ქვეყნების ბაზრებ-  
შიც. თანამედროვე ვითარებაში მეფუტკრეობა ცოტა არ იყოს  
დაკინდა, რომლის მიზეზად ფუტკრის სხვადასხვა ავაღმყოფობას-  
თან ერთად, მისი წარმოების დიდ შრომა-გარჯასაც ასახელებენ.  
ფუტკარს მართლაც დიდი მოვლა-პატრონობა სჭირდება, წინააღ-  
მდეგ შემთხვევაში მას მაღლ უჩნდება ამჟამად მოარული ავაღმყო-  
ფობა, რის შედეგადაც სწრაფად იღუპება.

ამრიგად, ზემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი ისეთი მხა-  
რეთაგანია, რომლის დალოცვილ მიწა-წყალზე ბევრი სიკეთე ხა-  
რობს. ტყეებით დაფარული ხეობები და მთები, ტბები და მდინა-  
რები, მწვანედ მოხასხასე წყაროიანი იალაღები, წიალისეული სიმ-  
დიდრენი და იშვიათი ბუნებრივ-კლიმატური პირობები მრავალი  
საუკუნეა, რაც მშრომელ მოსახლეობას ემსახურება. ამასთან, მისი  
გეოკლიმატური პირობები და ბუნებრივი რესურსები საშუალებას  
იძლევა, რათა შეიქმნას უფრო მძლავრი ეკონომიკური პოტენცია-  
ლის სახალხო მეურნეობა. ამისათვის კი სათანადო უნდა იქნეს  
გამოყენებული დღემდე დაუწევებული რეზერვები, რომლითაც ესო-  
ზენ მდიდარია ზემო ქართლი.

კულტურულ-ეკონომიკური წინსვლა და ტექნიკური პროგრესი  
საქართველოს ამ რეგიონშიც განუხრელად მიმდინარეობს. კეთილ-  
ეწყობა და მშვენდება სოფლები და ქალაქები. შენდება თანამედ-  
როვე სტილის ახალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულე-  
ბანი, საცხოვრებელი სახლები, დასასვენებელ-გამაგანსაღებელი  
ობიექტები და ინდუსტრიული სიმძლავრეები, რომლებიც ახლებუ-  
რი ცხოვრებით ეხმაურებიან გარდასულ ხანათა მეტყველ მოწმე-  
ებს — ქართული მატერიალური კულტურის დიდნაშენ ძეგლებს,  
ეკლესია-ტაძრებს და ციხესიმაგრეებს, რომლებითაც ესეოდენ  
მდიდარია თანამედროვე ზემო ქართლის კურთხეული მიწა-წყალი.

## გამოყენებული ლიტერატურა

- ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955; ტ. II, თბილისი, 1959; ტ. III, თბილისი, 1973.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბილისი, 1973; ტ. III, თბილისი, 1979; ტ. IV, თბილისი, 1973.
- იგ. ჭავახიშვილი ტ. III, თბილისი, 1982.
- ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1964.
- ს. გიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგ. III, თბილისი, 1958.
- ს. მაკალათია. მესხეთ-ჭავახეთი, თბილისი, 1938.
- ტ. ჩუბინიშვილი. მირანის გორა, თბილისი, 1963.
- ლ. მოლოდინი. ქართული ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები), თბილისი, 1963.
- ილ. მაისურაძე. მეტივეობა მტკვარზე (თ. სახოკიასადმი მიძღვნილი კრუბული), თბილისი, 1969.
- გ. ხუჭაძე. ბორჯომის ხეობა, თბილისი, 1969.
- ლ. მარუაშვილი. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. II, თბილისი, 1970.
- გ. ჭალაბაძე. მემინდვრეობა მესხეთ-ჭავახეთში. სამიერ ნაშრომი მოთავსებულია კრებულში: „მასალები მესხეთ-ჭავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბილისი, 1972.
- გ. მაკალათია. მესახონლეობა მესხეთში. სამიერ ნაშრომი მოთავსებულია კრებულში: „მასალები მესხეთ-ჭავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბილისი, 1972.
- გ. გასიტაშვილი. ხის დაცულების ხალხური წესები მესხეთ-ჭავახეთში. სამიერ ნაშრომი მოთავსებულია კრებულში: „მასალები მესხეთ-ჭავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბილისი, 1972.
- შ. ლომსაძე. სამცხე-ჭავახეთი, თბილისი, 1975.
- თ. ჩიქოვანი. მესხეთი (სამცხე), თბილისი, 1979.
- თ. ჩიქოვანი. ჭავახეთი, თბილისი, 1982.
- მიხ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, თბილისი, 1984.
- დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბილისი, 1985.

## ს ა რ ჩ ი ვ 3 0

ტაშისყარიდან არსიანამდე . . . . .	3
გმირული წარსულის ფურცლები . . . . .	18
ხალხური ხუროთმოძღვრება . . . . .	62
სამეურნეო ყოფა . . . . .	90
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	135

რედაქტორი ჭ. ებანიძე  
 მხატვარი ვ. მეედლიშვილი  
 მხატვრული რედაქტორი ლ. ლვინგიძე  
 ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი  
 კორექტორები: ე. უვანია, გ. მალანია  
 გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. № 5288

გადაეცა წარმოებას 12.05.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.01.87.  
 უ. 01213. საბეჭდი ქალალდი № 1. 60×841/16. გარნიტური ვენა.  
 ბეჭდების ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 7,91+ჩაკერა 0,46.  
 პირ. სალ.-გატ. 8,14. სააღმ.-საგამომც. თაბაზი 7,03.  
 ტირაჟი 10 000. შეკვ. № 1475.

ფასი 30 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
 თბილისი, მარჯანიშვილის 5.

380060 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. მედებალაძი,  
 II სასწ. კორპ., საქ. სსრ გამსახურმის № 4 სტამბა.  
 380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, Медгородок,  
 II учеб. корп., Типография № 4 Госкомиздата Груз. ССР.

K289.864  
3

